მიხეილ გაფრინდაშვილი

გიორგი წერეთლის მსოფლმხედველობა

საბჭოთა მეცნიერ
1955

შესავალი

რომელიმე მოძღვრების მექანიკური გადანერგვა ერთი ქვეყნიდან მეორეში შეუძლებელია; ეს განსაკუთრებით სწორია მარქსიზმის — ამ ჭეშმარიტად მეცნიერული და უაღრესად რევოლუციური მოძღვრების მიმართ.

საქართველოში მეცნიერული სოციალიზმის ათვისება შესაძლებელი გახდა ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიური განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე. მეორე მხრივ, საზოგადოებრივი ცხოვრების პირობების ზეგავლენით მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის მოწინავე ქართველმა მოაზროვნეებმა შექმნეს ფორმით ეროვნული და შინაარსით პროგრესულ-დემოკრატიული მსოფლმხედველობა, რომელმაც გზა გაწმინდა და იდეური ნიადაგი მოამზადა მარქსისტული მოძღვრების დასამკვიდრებლად ჩვენში. „როგორც ყოველი ახალი თეორია, სოციალიზმიც უწინარეს ყოვლისა აზროვნების იმ მასალას უნდა დაყრდნობოდა, რომელიც მას დახვდა დაგროვებული, თუმცა მისი ფესვები მატერიალურ-ეკონომიურ ფაქტებში იყო გადგმული"[1].

ლენინი არა ერთხელ მიუთითებდა მარქსიზმსა და სამოციანი წლების რუსი განმანათლებლების „მემკვიდრეობას" შო-

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, — რჩ. ნაწ., ტ. II, გვ. 129, 1950 წ.

რის არსებულ იდეურ ნათესაობაზე. დანამდვილებით შეიძ-
ლება ითქვას, რომ მსგავსი იდეური ნათესაობა აკავშირებს
მარქსიზმთან ქართულ განმანათლებლობასაც. ეს ბუნებრივია,
რადგან მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს
ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა რუსეთის რევო-
ლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი რაზ-
მი იყო, ხოლო ქართველი განმანათლებლები დიდი რუსი
რევოლუციონერ-დემოკრატების ღირსეული მოწაფენი. რა
თქმა უნდა, ქართული განმანათლებლობა, როგორც, უწინა-
რეს ყოვლისა, ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების
თავისებური პირობების გამოხატულება, ატარებს ზოგიერთ
ნიშანს, რაც განასხვავებს მას რუსული განმანათლებლობი-
საგან. ეს განსხვავებაც იყო ერთ-ერთი მიზეზი იმ ისტორიუ-
ლი ფაქტისა, რომ ქართული განმანათლებლობისა და რუ-
სული ნაროდნიკული სოციალიზმის დაცემის ხანაში სამოღ-
ვაწეო სარბიელზე ორი — ფორმით ერთნაირი, მაგრამ შინა-
არსით სხვადასხვა იდეური მიმდინარეობა გამოვიდა: სა-
ქართველოში — ლეგალური მარქსიზმი — „მესამე დასში“
ჟორდანიას ოპორტუნისტული ჯგუფის სახით, ხოლო რუსეთ-
ში - — ასე თუ ისე რევოლუციური მარქსიზმი პლეხანოვის
„შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის სახით. ქართულმა
ლეგალურმა მარქსიზმმა შეითვისა და შეისისხლხორცა სამო-
ციანი წლების ქართული განმანათლებლობის სუსტი მხარეები,
ხოლო რევოლუციური მარქსიზმი საქართველოში იზრდებოდა
და მტკიცდებოდა ისტორიულად შეზღუდული განმანათლებ-
ლური თვალსაზრისის დაძლევისა და ნაციონალისტურ-
რეფორმისტული შეხედულებების წინააღმდეგ ულმობელი
ბრძოლის გზით. რევოლუციურმა მარქსიზმმა უბრალოდ კი არ
გააგრძელა წინა თაობათა საქმე, არამედ უდიდესი გადატრია-
ლებაც მოახდინა ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში.

უდაოა, რომ საქართველოში რევოლუციური მარქსიზმის
წარმოშობისა და განმტკიცებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელო-
ბა ჰქონდა რუსეთის მუშათა კლასის რევოლუციური მოძ-
რაობის გამოცდილების გადმონერგვასა და ლენინურ-
ისკრული იდეების პროპაგანდას. მაგრამ მნიშვნელობას მოკ-

ლებული არც ის არის, რომ რევოლუციურად განწყობილი ქართველი ახალგაზრდობა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეებზე იზრდებოდა და რუსეთის თვითმპყრობელობის ეროვნული და სოციალური ჩაგვრის პოლიტიკის საწინააღმდეგო სულისკვეთებით იმსჭვალებოდა. ერთი სიტყვით, მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგია საყურადღებოა არა მარტო იმ მხრივ, რომ იგი არის მრავალსაუკუნოვანი ქართული საზოგადოებრივი აზრის ბუნებრივი გაგრძელება და განვითარება ახალ სოციალ-ეკონომიურ პირობებში, არამედ იმ მხრივაც, რომ მან მოამზადა იდეური ნიადაგი მარქსიზმის გავრცელებისათვის და ამით ხელი შეუწყო უდიდესი რევოლუციური გადატრიალების მოხდენას საქართველოს იდეურ ცხოვრებაში. ამ მხრივ ამ მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეებს მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვით, რადგან, როგორც ლენინი ამბობდა, „არსად მსოფლიოში პროლეტარული მოძრაობა არ წარმოშობილა და არც შეიძლებოდა წარმოშობილიყო „ერთბაშად", წმინდა კლასობრივი სახით, არ შეიძლებოდა გაჩენილიყო ქვეყნად მზამზარეული სახით, როგორც მინერვა იუპიტერის თავიდან"[1].

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიის შესწავლა მნიშვნელოვან დახმარებას გაგვიწევს, რომ უფრო ნათლად იქნეს გარკვეული იდეური საფუძვლები და კლასობრივი შინაარსი იმ ცხარე ბრძოლისა, რომელიც მიმდინარეობდა ჩვენში რევოლუციურ-მარქსისტული ორგანიზაციების წარმოშობამდე და მის შემდეგ.

ქართველი განმანათლებლების მსოფლმხედველობამ და მარქსიზმთან მათი მსოფლმხედველობის დამოკიდებულების საკითხმა კარგა ხანია მიიპყრო მკვლევართა ყურადღება. ქართველ კლასიკოსთა შესწავლის საქმეში მოპოვებულია მნიშვნელოვანი წარმატებანი. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება ითქვას, რომ ამ საკითხში ყველაფერი ნათლად გარკ-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ.; ტ. 20, გვ. 301.

ვეული და მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების საფუძველზე იყოს შესწავლილი. ასეთი შესწავლის გარეშე კი წარმოუდგენელია ქართული განმანათლებლობის იდეური და კლასობრივი შინაარსის გამორკვევა.

გამოჩენილი ქართველი მწერლისა და მოაზროვნის გიორგი წერეთლის მსოფლმხედველობის შესწავლა ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა. გიორგი წერეთელი თითქმის ორმოცი წლის განმავლობაში იღწვოდა ქართველი ხალხის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული აღორძინებისათვის. ეს ორმოცი წელი გიორგი წერეთელმა დაუცხრომელ ძიებაში გაატარა. სად არ ატარა იგი თავისი ხალხის ეროვნული და სოციალური განთავისუფლების გზების ძიებამ: პეტერბურგის უნივერსიტეტის მშფოთვარე აუდიტორიებიდან პეტროპავლოვსკის მდუმარე კედლებამდე, „თერგდალეულობიდან“ — „ახალი ახალგაზრდობის“ ჯგუფამდე. „დროების“ მტვრიანი სტამბიდან — ევროპული ქალაქების. ფართო ქუჩებამდე, გაზეთის რედაქტორობიდან — გაზეთის გამყიდველის მოვალეობამდე, პოლიტიკური რადიკალიზმიდან — პოლიტიკურ ლიბერალიზმამდე, ლიბერალიზმიდან — ეითომ მარქსიზმამდე და, ვინ იცის, კიდევ როდემდის გაგრძელდებოდა ასე, სიკვდილს რომ არ შეეწყვიტა ამ იშვიათი ერუდიციისა და მუდამ ახალგაზრდული ენერგიით სავსე ადამიანის სიცოცხლე. რა არ იყო იგი ამ ხნის განმავლობაში: ბელეტრისტი და პუბლიცისტი, რედაქტორი და კორესპონდენტი, დრამატურგი და არქეოლოგი, მრეწველი და პოეტი, ისტორიკოსი და ბუნებისმეტყველი. ასეთი მრავალმხრივი და მრავალფეროვანი იყო გიორგი წერეთლის მოღვაწეობა. მიუხედავად ასეთი მრავალფეროვნებისა, გიორგი წერეთლის მოღვაწეობის ცალკეული მომენტები თავს იყრიან ერთი მთლიანი მიზნის გარშემო. ამიტომ მისი მსოფლმხედველობის ძირითადი შინაარსიც ერთიანი და მთლიანია.

გიორგი წერეთლის მსოფლმხედველობა 60-70-იან წლებში ჩამოყალიბდა. ამიტომ მის მსოფლმხედველობაში აისახა, ერთი მხრივ, 60-იანი წლების პოლიტიკურ-ეკონომიური სინამდვილე, და, მეორე მხრივ, 70-იანი წლების დასაწყისში

ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებანი. ამით აიხსნება, რომ გიორგი წერეთლის მსოფლმხედველობაში არა მარტო შენარჩუნებულია 60-იანი წლების განმანათლებლობის თვალსაზრისი, არამედ იგი შემდგომაცაა განვითარებული ცხოვრების ახალ პირობებთან შეფარდებით.

მსოფლმხედველობრივად გიორგი წერეთელი სამოციანი წლების ქართული განმანათლებლობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. მის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებებში საკმარისად მკაფიოდ აისახა ქართული განმანათლებლობის დამახასიათებელი ნიშნები: გიორგი წერეთელი გამსჭვალული იყო მხურვალე მტრობით ბატონყმობისა და ყველა მისი გამოვლინებისადმი ეკონომიურ, სოციალურ და პოლიტიკურ დარგში; იგი იყო დაუღალავი დამცველი განათლებისა, თვითმმართველობისა და მოითხოვდა საქართველოს ცხოვრების ყოველმხრივ განვითარებას. იგი გამოდიოდა ხალხის ფართო მასების ინტერესების დამცველად და გულწრფელად სწამდა, რომ ბატონყმობის გაუქმებას და მისი ნაშთების მოსპობას მოჰყვებოდა ხალხის საყოველთაო კეთილდღეობა; და, ბოლოს, გიორგი წერეთელი იყო მხურვალე პროპაგანდისტი ხალხთა თანასწორუფლებიანობის იდეისა და დაუღალავი მებრძოლი თვითმპყრობელობის ეროვნული ჩაგვრისა და გარუსების პოლიტიკის წინააღმდეგ საქართველოში.

70-იან წლებშიც გ. წერეთელი არსებითად განმანათლებლურ პოზიციაზე რჩება, მაგრამ საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი პირობების ზეგავლენით მისი განმანათლებლური მსოფლმხედველობა შეივსო ახალი მომენტებით. ამიტომ გ. წერეთლის მსოფლმხედველობის შესწავლა დიდ დახმარებას გაგვიწევს 60-70-იანი წლების საქართველოს საზოგადოებრივს ცხოვრებაში მიმდინარე იდეურ-პოლიტიკური ბრძოლის კლასობრივი შინაარსის გარკვევასა და ამ ბრძოლის მონაწილე იდეურ-პოლიტიკურ მიმდინარეობათა დადგენაში.

გ. წერეთლის შემოქმედების შესწავლა ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში სცადეს. მაგრამ მაშინ ჭეშმარიტად მეცნიერულ-კრიტიკული აზროვნება ჩვენში მოიკოჭლებდა. ამ მიზეზით გ. წერეთლის მაშინდელი კრიტიკოსები საქმეს ბოლოდან იწყებდნენ: ისინი ბევრს მსჯელობდნენ იმაზე, თუ რომელ ლიტერატურულ მიმართულებას ეკუთვნოდა ფორმალურად გ. წერეთელი, გულმოდგინედ იწერდნენ მწერლის თხზულებათა ვრცელ შინაარსს, უდარებდნენ ემილ ზ ო ლ ა ს და ესა თუ ის დასკვნა გამოჰქონდათ. მაგრამ ვინც გ. წერეთლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ესთეტიკურ-ფილოსოფიური შეხედულებების მეცნიერული შესწავლის გზით მისი მსოფლმხედველობის ნამდვილ იდეურსა და კლასობრივს შინაარსს ამოიცნობს, მას საფრანგეთში წასვლა არ დასჭირდება იმის გამოსარკვევად, თუ რომელ ლიტერატურულ მიმართულებას ეკუთვნოდა ჩვენი მწერალი. ასეთი შესწავლის გარეშე კი თვით საკითხის დაყენება, იყო თუ არა გ. წერეთელი ნატურალისტი, და კამათი ამის გამო არაფერს არ იძლევა, რადგან მთავარია არა ის, თუ რას უწოდებდნენ გ. წერეთელს, არამედ ის, — თუ რა იყო იგი ნამდვილად.

ჩვენს დროში მნიშვნელოვანი მუშაობაა ჩატარებული გ. წერეთლის შესწავლისათვის. პროფ. ს. ხუნდაძის, პროფ. შ. რადიანის, დოც. ლ. გორგილაძის, პროფ. გ. ჯიბლაძის, დოც. აპ. მახარაძის და სხვების შრომებში გამორკვეულია გ. წერეთლის ლიტერატურული და პოლიტიკური მსოფლმხედველობის ბევრი უმნიშვნელოვანესი საკითხი. მაგრამ ყველა დაგვეთანხმება, რომ გ. წერეთლის მსოფლმხედველობის შესწავლა დამთავრებული არ არის.

რეაქციული ბურჟუაზიული კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა და ერთგული სიამაყის გრძნობით საბჭოთა ადამიანების აღზრდის აუცილებლობა თანამედროვე პირობებში აქტუალურს ხდის ქართველი განმანათლებლების, კერძოდ, გ. წერეთლის, მსოფლმხედველობის შესწავლის საქმეს.

თვითონ გ. წერეთელი თავის მხატვრულ-შემოქმედებით მეთოდს „შეუფერავ რეალიზმს“ უწოდებდა. მთელი მისი

მსოფლმხედველობაც ამკარად ატარებს „შეუფერავი რეალიზმის“ დაღს. მაგრამ გ. წერეთლის ამ ტერმინში გამოიხატა მისი საკუთარი შეხედულება თავისი მსოფლმხედველობის ხასიათზე.

ნამდვილად რა იდეურ-პოლიტიკური შინაარსის შემცველია გ. წერეთლის „შეუფერავი რეალიზმი“ და რა ადგილი უჭირავს „შეუფერავ რეალისტს“ ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ესთეტიკურ-ფილოსოფიური აზრის ისტორიაში — ამ კითხვაზე პასუხის გაცემის ცდას წარმოადგენს წინამდებარე შრომა.

თავი პირველი

გიორგი წერეთელი და მისი დრო

გიორგი წ ე რ ე თ ე ლ ი 1842 წელს დაიბადა.

მისი მამა ექვთიმე წერეთელი ზემო-იმერეთის სოფელ გორისას მცხოვრები ხელმოკლე აზნაური იყო. ექვთიმე წერეთელი გონებრივად თავისი დროისათვის საკმაოდ მომზადებულ კაცად მოჩანს. მან კარგად იცოდა ძველი ქართული სასულიერო და საერო მწერლობა. ამან საშუალება მისცა ექვთიმეს, თვითონ ეკისრა პატარა გიორგის აღზრდა პირველ ხანებში მაინც. არც ისაა გასაკვირი, რომ „მამათა" და „შვილთა" პირველივე შეტაკებისას ივანე კ ე რ ე ს ე ლ ი-ძ ე მ სწორედ ექვთიმე წერეთელი გამოიყენა ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ. ჩანს, ექვთიმე წერეთელი არა მარტო ბუნებით გონებაგახსნილი და განსწავლული კაცი ყოფილა, არამედ იდეურად ძველი თაობის ტიპიური და საიმედო წარმომადგენელიც. მან დიდი გავლენა მოახდინა ახალგაზრდა გიორგი წერეთლის გონებრივ განვითარებაზე.

გიორგი წერეთლის ბავშვობა და ყრმობა საგლეხო რეფორმის წინაპერიოდს ემთხვევა. იმ დროს სოციალური და ნაციონალური ჩაგვრის უღელქვეშ გაბმული ქართველი ხალხის თვითშეგნება ჯერ კიდევ ფეოდალური უძრაობის

ბურუსში თვლემდა. ეკონომიურად გაძარცვულ და სულიერად გაღატაკებულ გლეხთა მასებს, მათ უმრავლესობას, ქართველი მებატონის ყინიანობა ღვთის ნებად მიაჩნდა, ხოლო რუსი ჩინოვნიკის სურვილი — ღვთით-მოვლინებულ მეფის წყალობად. თვითმპყრობელობის როზგის, ქართველი მებატონის მათრახისა და რუსულ-ქართული სამღვდელოების რეაქციული გავლენა სულიერად და ფიზიკურად ამახინჯებდა ახალ თაობას.

ოჯახში გიორგი წერეთელი თავისი დროის შესაფერისად იზრდებოდა. ბუნებრივია, რომ იგი თავის სოფელშივე გაეცნო ბატონყმური ურთიერთობის ყველა სიმახინჯეს. ამას მნიშვნელოვნად უწყობდა ხელს ცემა-ტყეპაზე დამყარებული იმდროინდელი აღზრდის მეთოდიც. კონსერვატორი ექვთიმე პატარა გიორგის ქრისტიანული მორალის პრინციპებზე ზრდიდა. ღვთისმოშიში მამა შვილსაც ღვთისა და უფროსების წინაშე შიშის გრძნობას უნერგავდა.

მაშინდელ ოჯახზე უკეთესი არც მაშინდელი სკოლა იყო. ფეოდალური ოჯახი რელიგიური მორჩილების გრძნობებით წამლავდა ახალგაზრდობის სულს, იმდროინდელი „ქართული“ გიმნაზია კი ამითაც არ კმაყოფილდებოდა. ქრისტიანული რელიგიის პრინციპებზე ახალგაზრდობის „მორალური განწმენდა“, რა თქმა უნდა, აქაც მნიშვნელოვან საქმედ ითვლებოდა, მაგრამ უმთავრესი მაინც ის იყო, რომ ქართველი ბავშვები მეფის თვითმპყრობელობის ერთგულ მოხელეებად აღეზარდათ და ამ გზით კიდევ უფრო გაედიდებინათ თვითმპყრობელობის მსახური ქართველი არისტოკრატების რიცხვი. თუ გავიხსენებთ, რომ ყოველივე ეს როზგისა და „ლინეიკის“ უშუალო მონაწილეობით კეთდებოდა, საკმარისად სრული სახით წარმოგვიდგება ზნეობრივი და აღმზრდელობითი „მნიშვნელობა“ 50-იანი წლების ქუთაისის „ქართული“ გიმნაზიისა, სადაც იზრდებოდა ახალგაზრდა გ. წერეთელი.

შემდეგში თვითონ გიორგი წერეთელი აღნიშნავდა, რომ „ჩვენი ახლანდელი აღზრდა ჩვენი გონებისა და მეხსიერე-

ბისათვის ისეთივე საპყრობილეა, როგორც მეტეხის ციხე ყაჩაღებისათვისო"[1].

ასე რომ გ. წერეთელმა ბავშვობიდანვე იწვნია „მშობლიური" და უცხო ბატონყმობის სუსხი ჯერ მამის ფეოდალურ-აზნაურულ ოჯახში, ხოლო შემდეგ ცარიზმის რუსიფიკატორულ გიმნაზიაში. მართალია, მოწაფეობის წლებში გ. წერეთელმა სცადა წინააღმდეგობა გაეწია, — ყოველ შემთხვევაში, გაქცეოდა მაინც, — ჩვენი ხალხის დამმონებელ ამ ორ ძალას — მშობლიურ და უცხო ბატონყმობას,— მაგრამ ჭაბუკში ჯერ კიდევ არ ჩანდა ის დიდი დემოკრატი და ცარიზმის ეროვნულ-კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ დაუღალავი მებრძოლი, რომელიც შემდეგ გამომჟღავნდა. ძალა აღმართსა ხნავდა და ეს ძალა აღმოაჩნდა იმ საზოგადოებრივ ატმოსფეროს, რომელშიაც იგი აღიზარდა. ფეოდალურ-კონსერვატიული ოჯახისა და თვითმპყრობელურ-ბატონყმური აღმზრდელობითი დაწესებულების დამღუპველი ზეგავლენით მკვირცხლი და ნიჭიერი, მაგრამ „ღვთისა და უფროსების შიშში და მორიდებაში აღზრდილი" გიორგი წერეთელი გადაიქცა რელიგიური „სარწმუნოებით საესე... სორცშესხმულ უმანკოებად"... (ნ. ნიკოლაძე).

1861 წელს 19 წლის გიორგი წერეთელი სწავლის გაგრძელების მიზნით პეტერბურგს ჩავიდა. გიორგი წერეთელს პეტერბურგი ამოძრავებული, გამოღვიძებული, ბრძოლის სურვილით ანთებული დახვდა. ბუნებრივიცაა, რუსეთი ამ ხანებში საღათას ძილისაგან გამოერკვა და ეს სატახტო ქალაქში ყველაზე მეტად იგრძნობოდა.

გასული საუკუნის სამოციან წლებში ისტორიამ რუსეთი დააყენა ისეთი ამოცანების წინაშე, რომლების ნამდვილი გადაჭრა მხოლოდ ძლევამოსილ სახალხო რევოლუციას შეეძლო. „ეს იყო ერთი იმ საწყის-ისტორიულ მომენტთაგანი, — იგონებდა შელგუნოვი, — რომლებიც მზადდებიან არა წლებით, არამედ საუკუნეებით და ,რომელთა აცილება

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, რჩ. ნაწერები, 1948 წ., ტ. II, გვ. 43.

ისევე შეუძლებელია, როგორც აცილება ზვავისა მთებში, კოკისპირული წვიმებისა — ეკვატორზე".

ბატონყმური რუსეთის დამარცხებამ ყირიმის ომში გამოამჟღავნა მისი სოციალური წყობილების სიდამპლე. ბატონყმური წყობილება ხელს უშლიდა კაპიტალიზმის განვითარებას. ქვეყნის ინტერესები მოითხოვდა ბატონყმური მონობის მოსპობას და ძველის წიაღში ჩასახული ახალი მწარმოებლური ძალების თავისუფალი, დაუბრკოლებელი განვითარებისათვის გზის გაწმენდას.

გლეხობის მდგომარეობა თანდათან აუტანელი ხდებოდა, რასაც შედეგად მოჰყვა მძლავრი რევოლუციური მღელვარება რუსეთის ვრცელი იმპერიის ყველა მხარეში. 1858-60 წლებში გლეხთა რევოლუციური გამოსვლები აღმავალი ხაზით ვითარდებოდა, ზოგჯერ ეს გამოსვლები ნამდვილი შეიარაღებული აჯანყების ხასიათს ღებულობდა.

გლეხთა რევოლუციური „ჯანყი" ბიძგს აძლევდა სტუდენტობასაც. განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო სტუდენტთა მღელვარებამ პეტერბურგში. იქმნებოდა ფარული საზოგადოებანი, რომლებიც ავრცელებდნენ ფურცლებს გლეხთა განთავისუფლებისა და თვითმპყრობელობის დამხობის ლოზუნგით.

ერთი სიტყვით, „ეს ის დრო იყო, როცა მთავრობას ორნაირი ლახტი ხვდებოდა: გარეთ — ყირიმის დამარცხება და შიგნით — გლეხების მოძრაობა. ამიტომ იყო, რომ ორივე მხრიდან შეწუხებულმა მთავრობამ თითი მოკაკვა და ყმათა განთავისუფლებაზე ალაპარაკდა: „ჩვენ თვითონ უნდა განვათავისუფლოთ ყმები ზევიდან, თორემ ხალხი აღდგება და თავისივე ხელით გაითავისუფლებს თავს ქვეევიდანო" [1].

მღელვარება გლეხობის ფართო მასებში და სტუდენტობაში რეფორმის შემდეგაც არ შეწყვეტილა. გლეხური რევოლუციის იდეური ბელადი ჩერნიშევსკი და მის ირგვლივ შემოკრებილი რევოლუციურ-დემოკრატიული ჯგუფი მკაცრად აკრიტიკებდა ალექსანდრე მეორის რეფორმას,

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 196.

რომელმაც მოატყუა გლეხობა. „ბატონყმობის გაუქმების შემდეგაც მემამულენი განაგრძობდნენ გლეხების ჩაგვრას. მემამულეებმა გაძარცვეს გლეხები, „განთავისუფლების“ დროს წაართვეს, ჩამოაჭრეს მათ იმ მიწის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლითაც გლეხები წინათ სარგებლობდნენ“[1].

ამრიგად, მემამულეების კარნახით შედგენილ თვითმპყრობელურ რეფორმას არ შეეძლო გადაეჭრა და ვერც გადაჭრა ის ამოცანები, რომლებიც ისტორიულმა აუცილებლობამ დააყენა რუსეთის წინაშე. ამიტომ იყო, რომ გლეხობის ფართო მასებში მღელვარება არ ნელდებოდა.

ლ ე ნ ი ნ ი 1859—1861 წლების ვითარებას რუსეთში აფასებდა, როგორც რევოლუციურ სიტუაციას. იგი წერდა, რომ მაშინდელ „...პირობებში უაღრესად ფრთხილსა და ფხიზელ პოლიტიკოსსაც კი უნდა ეღიარებინა, რომ რევოლუციური აფეთქება სავსებით შესაძლო იყო და გლეხთა აჯანყება მეტად სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა“[2].

თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლნი 60-იან წლებში არსებითად ორი სხვადასხვა პოლიტიკური მიმდინარეობის გარშემო იყრიდნენ თავს. „1860-იანი წლების ლიბერალები და ჩერნიშევსკი, — წერდა ლენინი 1911 წელს,— წარმომადგენლები არიან ორი ისტორიული ტენდენციისა, ორი ისტორიული ძალისა, რომელნიც მას შემდეგ დღევანდლამდე განსაზღვრავენ ახალი რუსეთისათვის ბრძოლის შედეგს“[3].

ორივე ამ ტენდენციის ობიექტური შინაარსი რუსეთის ბურჟუაზიული განვითარების ინტერესებს გამოხატავდა, მაგრამ, როგორც ლენინი მიუთითებდა, ბრძოლა მათ შორის სწარმოებდა იმის გამო, თუ კაპიტალიზმის განვითარების რომელი გზით უნდა წასულიყო რუსეთი. ლიბერალები განვითარების პრუსიულ გზას ამჯობინებდნენ. ისინი ბატონყმური მეურნეობის მზარდ კაპიტალიზმთან მშვიდობიანი, თანდათანობითი შეზრდის მომხრენი იყვნენ. რევოლუციო-

---

1 საკ. კ. პ. (ბ) ისტორია, მოკლე კურსი, 1938 წ., გვ. 5.

2 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 5, გვ. 35.

3 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 17, გვ. 128 — 129.

ნერ-დემოკრატები კი ბატონყმური ურთიერთობის რევოლუციურ დამსხვრევას მოითხოვდნენ, ეს კი ხელს შეუწყობდა კაპიტალისტური გზით ქვეყნის განვითარების სწრაფ წინსვლას.

მიუხედავად რევოლუციური სიტუაციის არსებობისა, სამოციან წლებში რუსეთში რევოლუცია არ მოხდა. გლეხურ ჯანყებს ხელმძღვანელი ესაჭიროებოდა, მუშათა კლასი კი მაშინ წარმოშობის პროცესში თუ იყო. რევოლუციური პარტია სუსტი იყო. ამიტომ „მაშინ ხალხი მოტყუვდა... მთავრობამ თავისი ფარისევლური გეგმები გაიყვანა... რეფორმებით წელი მოიმაგრა და მით ხალხის გამარჯვება დააგვიანა“ [1].

ასეთი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება დახვდა ახალგაზრდა გიორგი წერეთელს პეტერბურგში. სამოციანი წლების რუსეთის რევოლუციურ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ უდიდესი გავლენა იქონია მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე.

რელიგიურ ბურუსში მყოფი ახალგაზრდა ჩასვლისთანავე რევოლუციურად განწყობილ სტუდენტთა წრეში მოხვდა. ნ. ნიკოლაძის და სხვა ქართველი სტუდენტების მეშვეობით გ. წერეთელი ჩაება სტუდენტთა რევოლუციურ მოძრაობაში. ნ. ნიკოლაძე კარგად იცნობდა ჩერნიშევსკის და მის ოჯახს. როგორც ირკვევა, გ. წერეთელიც ხშირად ხლებია მას დიდი რევოლუციონერ-დემოკრატის ოჯახში. სხვა ქართველ სტუდენტებთან ერთად გიორგი წერეთელიც რევოლუციურ-დემოკრატიული „სოვრემენიკის“ იდეური გავლენის ქვეშ მოექცა. „სოვრემენიკზე“ ნ. ნიკოლაძე ჯერ კიდევ 1873 წელს წერდა: „რა დრო იყო მაშინ, რომ იცოდე, მკითხველო, რანაირი მოუთმენლობით და წყურვილით ველოდით ჩვენ ახალგაზრდები იმ ბედნიერ დღეს, როცა საყვარელი ჟურნალის („სოვრემენიკის“ — მ. გ.) ახალი წიგნი გამოვიდოდა. რა აღტაცებით და აჩქარებით, რა სიხარბით და დაუღალავად ვეწაფებოდით ჩვენ მის კითხვას... რამდენი გრძელი, ბოლო მოუღებელი, ჩრდილოეთის ზამთრის ღამეები გაგვითენებია ჩვენ მის კითხვაში, მისი აზრების რჩევაში, მასზე დავაში...

[1] ი. ბ. ხ ტ ა ლ ი ნ ი, თხზ., ტ. 1, გვ. 196.

ვინ დათვლის იმ ხანგრძლივ ბედნიერების აღტაცებას, ტვინის წვალებას და გრძნობის ამაღლების დღეებს, ან ვინ დაიკიწყებს მათ სანიადაგოთ გულში ჩაჭედილ კვალს"[1]...

კიდევ მეტის თქმის უფლება ჰქონდა გიორგი წერეთელს, რომელსაც 60-იან წლებში შეთვისებული რადიკალურ-დემოკრატიული მსოფლმხედველობისათვის სიკვდილამდე არ უღალატნია. სამართლიანად წერდა პროფ. ს. ხ უ ნ დ ა ძ ე: „გ. წერეთელი 60-იანი წლების მოღვაწეთა მიმდევრად და განსაკუთრებით ჩერნიშევსკის ერთ საინტერესო მოწაფეთ უნდა ჩაითვალოს იმდენად, რამდენადაც მან შეითვისა ამ ეპოქის რადიკალურ-დემოკრატიული აზროვნება და მას ემსახურებოდა თავისი ხანგრძლივი ლიტერატურული მოღვაწეობის პერიოდში"[2].

უნივერსიტეტში გ. წერეთელი საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე შევიდა. გ. წერეთელი ხარბად დაეწაფა რუსეთისა და დასავლეთ ევროპის მოწინავე მოაზროვნეთა ნაწარმოებებს. რევოლუციურ-მატერიალისტური აზროვნების შესწავლის შემდეგ მან სწრაფად მიატოვა ძველი, ადამისდროინდელი შეხედულებანი, რომელთაც ძალით უტენიდნენ თავში კონსერვატორი მამა და ქუთაისის გიმნაზიის ბნელეთის მოციქულნი.

კაცობრიობისადმი ქრისტიანული სიყვარულის შეხედულებათა დამსწრევა და უკუგდება იაფად არ დაჯდომია ახალგაზრდა გიორგი წერეთელს. როგორც ნ. ნიკოლაძე გადმოგვცემს, დაძაბულ გონებრივ მუშაობას და სულიერ მღელვარებას ლამის ფსიქიურ შერყევამდე მიუყვანია იგი.

რუსული რევოლუციურ-დემოკრატიული აზროვნების შეთვისების ნიადაგზე მომხდარმა მსოფლმხედველობრივმა გარდატეხამ გიორგი წერეთელი გამოიყვანა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის ფართო გზაზე. შემდეგ გ. წერეთელს ვითარების მიხედვით ხან წინსვლა უხდებოდა ამ

---

[1] ნ. ნ ი კ ო ლ ა ძ ე, „სხვათა შორის", „კრებული", 1873 წ., № 4, გვ. 151.

[2] ს. ხ უ ნ დ ა ძ ე, „მასალები ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის", თბილისი 1949 წ., გვ. 15.

გზაზე, ხანაც უკანდახევა, მაგრამ პრინციპულად ხალხის კეთილდღეობისათვის თავდადებული მებრძოლის ერთხელ არჩეული გზა მას არასოდეს არ მიუტოვებია. 1861 წლის შემოდგომაზე თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართულ პეტერბურგის სტუდენტთა დემონსტრაციაში მონაწილეობის მიღება რევოლუციური ბრძოლის ყველაზე თვალსაჩინო ფაქტია გ. წერეთლის ცხოვრებაში. მთავრობამ სასტიკი რეპრესიებით ჩააქრო სტუდენტთა გამოსვლა. დემონსტრაციის ბევრი მონაწილე და მეთაური დააპატიმრეს. დაპატიმრებულთა შორის ზოგიერთ სხვა ქართველ სტუდენტთან ერთად' გ. წერეთელიც იყო. პეტერბურგის სტუდენტთა მღელვარების გამო დაწერილ წერილში გ ე რ ც ე ნ ი კითხულობდა: „მაგრამ სად უნდა წახვიდეთ თქვენ, ჰაბუკებო, რომლებსაც მეცნიერების კარები დაგიკეტეს?" — და უპასუხებდა: „ხალხში, ხალხისაკენ! — აი, თქვენი ადგილი, განდევნილებო! აჩვენეთ ამ მედუქნეებს, რომ თქვენ გამოხვალთ არა დიაკვნები, არამედ მეომრები, მაგრამ არა უგვანო დაქირაველებულნი, არამედ მეომრები რუსი ხალხისა".

და გ. წერეთელიც გაჰყვა დიდი რევოლუციონერ-დემოკრატის ამ მოწოდებას: იგი გახდა თავდადებული მეომარი ქართველი ხალხისა, რომლის ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ უერთდებოდა დიდი რუსი ხალხის რევოლუციურ-განმათავისუფლებელ მოძრაობას მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში.

ამრიგად, გ. წერეთლის პირველი იდეური და რევოლუციური ნათლობა პეტერბურგში მოხდა. ღვთისმორწმუნე გ. წერეთელი, რომელიც მკაცრად ეკამათებოდა ამხანაგებს ღვთისგმობისა და ათეისტობისათვის, დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების ზეგავლენით მატერიალისტურ შეხედულებათა მხურვალე დამცველი გახდა. მაგრამ განსაკუთრებით საინტერესო ის არის, რომ გ. წერეთელი არ დაკმაყოფილდა რევოლუციური მოძრაობის მატერიალისტური თეორიის უბრალო შეთვისებით, იგი პრაქტიკულადაც ჩაება თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართულ რუსეთის რევოლუციური ახალგაზრდობის მოძრაობაში. პეტერბურგში

პირველად გამომჟღავნდა თეორიული და პრაქტიკული საქმიანობის ეს მთლიანობა, რომელიც გ. წერეთლის მოღვაწეობის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი იყო მთელი ორმოცი წლის განმავლობაში.

ყოველივე ეს უფლებას გვაძლევს, გიორგი წერეთლის მსოფლმხედველობის ერთ-ერთ უმთავრეს წყაროდ მივიჩნიოთ რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული ლიტერატურა და, საერთოდ, რუსი ხალხის რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა — მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში.

თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მიმართულ დემოკრატიულ მოძრაობაში რომ ებმებოდა, გ. წერეთელს, უწინარეს ყოვლისა, თავისი სამშობლო ედგა თვალწინ. იგი ფიქრობდა, რომ თვითმპყრობელობის დამარცხება გააადვილებდა საქართველოს ეროვნულ განთავისუფლებას. მაგრამ ეროვნული ჩაგვრისაგან ქართველი ხალხის განთავისუფლება, როგორც ჩანს, გ. წერეთელს ვერ წარმოედგინა თვით ქართველი ხალხის ბრძოლის გარეშე. ამიტომ ქართველი ხალხის გათვითცნობიერება და მისი მომზადება ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის, — აი, რა მიზანს ისახავდნენ „თერგდალეულები" ჯერ კიდევ სამოციანი წლების დასაწყისში. ამით აიხსნება ის დიდი აღფრთოვანება და გატაცება, რომელსაც იწვევდა „თერგდალეულებში" დასავლეთ ევროპის ჩაგრული ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის წარმატებანი. გ. წერეთელი დაძაბული ყურადღებით ადევნებდა თვალს ჩაგრულ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას და მთელი ორმოცი წლის განმავლობაში ეწეოდა ამ ბრძოლის იდეების პროპაგანდას ქართველ ხალხში. „მგზავრის წერილებში" გ. წერეთელი პირდაპირ პუბლიცისტური ენით გადმოგვცემს თავის დამოკიდებულებას იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისა და მისი ხელმძღვანელის — გ ა რ ი ბ ა ლ დ ი ს ა დ მ ი.

პოლონელი რევოლუციონერი ხოროშევსკი გ. წერეთლის სათაყვანებელ პიროვნებად გადაიქცა სწორედ იმიტომ, რომ იგი მხურვალე მომხრე იყო ჩაგრული ხალხების რევოლუ-

ციურ-განმათავისუფლებელი ომებისა დამპყრობელთა წინააღმდეგ.

გ. წერეთელი ხოროშევსკის შეხედულებებს უწოდებს „ღრმა აზრებს, რომელნიც... ალმასივით სპრიდნენ ჩვენს მოუხვნელ გონების ნიადაგს და სთესდნენ შიგ აზრის მარგალიტებს". მწერალი პირდაპირ ამბობს: „ხ...სკის დიდი გავლენა ჰქონდაო ჩვენზე". „ამ კაცმა სწორედ მოიტაცა ჩემი გონებაო" [1] და სხვ.

ასეთი იყო გ. წერეთლის დამოკიდებულება ჩაგრულ ხალხთა ეროვნულ-რევოლუციური ბრძოლის იდეებისადმი.

ჩაგრულ ხალხთა ეროვნულ-რევოლუციური ბრძოლების ისტორიის გაცნობას და შესწავლას დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა იმ ადამიანისათვის, რომელსაც თავისი ქვეყანა თვითმპყრობელობის ბორკილებში ეგულებოდა და მისი განთავისუფლების გზებს ეძებდა. ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლისა და ნ. ნიკოლაძის მსგავსად, გ. წერეთელი ჯერ კიდევ პეტერბურგში ყოფნის დროს დაეწაფა პატრიოტიზმის პროგრესულ-რევოლუციურ იდეებს. შემდეგში სხვებთან ერთად ამ იდეებზე ზრდიდა იგი ქართველ ხალხს, ნერგავდა მასში ეროვნული თვითშეგნების გრძნობას, აღვიძებდა სიძულვილს თვითმპყრობელური ეროვნულ-კოლონიური პოლიტიკისადმი და, მაშასადამე, ამზადებდა მასებს ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

ერთი სიტყვით, ჩაგრულ ხალხთა ეროვნულ-რევოლუციური ბრძოლის იდეები უნდა მივიჩნიოთ გ. წერეთლის მსოფლმხედველობის ერთ-ერთ მთავარ იდეურ წყაროდ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ 40 — 60-იანი წლების რუსული და ქართული რევოლუციურ-დემოკრატიული ლიტერატურის სარკეში ცოტად თუ ბევრად ევროპული ცხოვრების რევოლუციური სინამდვილის ზოგიერთი სხვა მხარეც იხედებოდა. ამ დროს ქვეყნის ევროპეიზაციის მოთხოვნა, ლენინის თქმით, პროგრესულ-დემოკრატიული მოღვაწეობის ერთ-ერთ ნიშნად ითვლებოდა. გიორგი წერეთელი სამოციანი წლებიდანვე

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, რჩ. ნაწ., 1948 წ., ტ. 1, გვ. 114 — 131.

ცხოვრების ევროპული ფორმებისა და, საერთოდ, თავისი ქვეყნის ყოველმხრივი განვითარების მხურვალე დამცველი იყო. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისათვის ერთგვარი მნიშვნელობა ჰქონდა ევროპის განმანათლებლურ იდეოლოგიას.

„დროებაში" დაბეჭდილი მრავალი წერილიდან [1] ნათლად ჩანს, რომ მე-19 საუკუნის 60-იან წლებში, როცა საქართველო ჯერ კიდევ ბატონყმური ცხოვრების ნაშთების ძლიერი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, გ. წერეთელი მე-18 საუკუნის ფრანგი განმანათლებლების რევოლუციურ შეხედულებათა პროპაგანდას ეწეოდა. ეს შეხედულებანი კანონის წინაშე ყველას თანასწორობისა და თავისუფლების მოთხოვნას გამოხატავდნენ. მათ გავრცელებას ჩვენს სინამდვილეში იმ დროს უდიდესი პროგრესულ-რევოლუციური მნიშვნელობა ჰქონდა. აღსანიშნავია, რომ დასახელებულ წერილში პირდაპირაა მითითებული ამ რევოლუციური აზრების ვარგისობა, გამოსადეგობა იმდროინდელი საქართველოს ვითარებისათვის: „აი წმინდა, სრულებით მოსაზრული აზრები, რომელსაც არ გავცილებულვართ ახლაცა, — ნათქვამია წერილში, — ანუ რომელნიც გამოსადეგნი არიან ჩვენის დროისთვისაც".

კიდევ უფრო საყურადღებოა, რომ ფრანგი განმანათლებლები, „დიდი ადამიანები, რომელთაც საფრანგეთში ადამიანთა თავები გაანათლეს მოახლოებული რევოლუციისათვის" [2], აღნიშნულ წერილში „ხალხის საყვარელ დამრიგებლებად" არიან გამოცხადებულნი, ხოლო საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია მიჩნეულია ფეოდალური ჩაგვრისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ მიმართულ „ხალხის საშინელ აღრეულობად". ამასთან წერილის ავტორი წუხს, რომ „აღრეულობამ" მხოლოდ დროებით „მოსპო" ჩაგვრა და ექსპლოატაცია. „...ვოლტერი, მონტესკო, ჟ. ჟ. რუსო, მირაბო, — ეკითხულობთ [2] წერილში, — შეიქნენ ხალხის საყვარელი

---

[1] იხ., მაგალითად, წერილი, „სახელმწიფო პოლიცია", „დროება", 1868 წ., № 31.

[2] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, — „რჩ. ნაწერები", ტ. II, გვ. 129, 1950 წ.

დამრიგებელნი. ამათი აზრი იყო საერთო ხელმძღვანელი საზოგადოებისა. შეიქმნა საშინელი აღრეულობა, რომლის დროსაც ხალხმა მოაქცია პირქვე ყოველი ძველი წესები. მაგრამ ეს არის ცუდი, — გულისტკივილით დასძენს წერილის ავტორი, — რომ აღმოჩნდნენ იმგვარი კაცები, რომელთაც გააუქმეს ყოველი ხალხის მეცადინეობა და საქმე დაატრიალეს თავიანთ სასარგებლოდ".

ასე რომ, გ. წერეთელი სამოციანი წლებიდანვე გახდა ევროპის რევოლუციური და სოციალისტური აზრების პროპაგანდისტი საქართველოში. მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა გ. წერეთელს, რომ ბურჟუაზიული დასავლეთ ევროპის ცხოვრებაში განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე წარმოშობილი რეაქციული იდეურ-პოლიტიკური მიმდინარეობანი დაენახა და სასტიკად გაეკრიტიკებინა ისინი. აი, რას წერდა გ. წერეთელი იმავე საფრანგეთის იდეურ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე: „საფრანგეთს ამ ასი წლის წინად, დიდი რევოლუციის დროს, მართლა ხელში ეჭირა წარმატების ბაირაღი... მაშინ მან ჩამოაგდო ტახტებიდან ევროპის დესპოტები...

...ახლანდელი ბურჟუების რესპუბლიკა არაფერს ახალს არ აძლევს კაცობრიობას. მისი წეს-წყობილება ზოგიერთ შემთხვევაში მონარხიულ წეს-წყობილებაზედაც უფრო სასტიკია. მისმა მკაცრმა მოქმედებამ... ღარიბ მუშების წინააღმდეგ და უცხოელ თავისუფალ მოაზრეების განდევნამ ქვეყნიდან ყველას თვალი აუხილა. დღეს საუკეთესო ახალგაზრდა საფრანგეთის მწერალნი ინგლისში და ბელგიაში იმალაჭენ თავს საფრანგეთის რესპუბლიკის დევნულებისაგან.

პირველმა საფრანგეთის რესპუბლიკამ, — განაგრძობს გ. წერეთელი, — ქვეყანაში გაავრცელა ერთობა, ძმობა და თავისუფლება; ახლანდელი კი ქადაგებს: მე ჩემი საკუთარი საქმე მაქვს, სხვისი ნაღველი ჩირად არ მიღირსო. პირველი რესპუბლიკა ცდილობდა პაპებისა და დესპოტების უღლიდან განეთავისუფლებინა მთელი ქვეყანა; ახლანდელი რესპუბლიკა კი პაპებსა და დესპოტებს მეგობრულად უწვდენს ხელს"...[1].

---

[1] „ქვალი", 1894 წ., № 7, გვ. 8.

გ. წერეთელი ქართველი გლეხობის ეკონომიურ სიღატაკეზე მიუთითებდა და ქართველი რობერტ ოუენის დაბადებას შენატროდა: „ინგლისის მუშებს ჰყავდათ ძალიან კარგი ხელმძღვანელი მასწავლებელი... ჩვენ ქართველობას იმისთანა ოუენები ერთიც არა გვყავსო“, — წერდა იგი. მაგრამ კაპიტალისტურ დასავლეთ ევროპაში და ამერიკაში მშრომელი მასების ეკონომიური მდგომარეობა მას კიდევ უფრო უნუგეშოდ მიაჩნდა: „დასავლეთ ევროპაში და ამერიკაშიც... როგორც ჩვენშიაც, — წერდა გ. წერეთელი, — არიან მუშა ხალხი და იმათი მდგომარეობა არამცთუ არ არის უკეთესი, არამედ ბევრში ჯერჯერობით ცუდია, ვინემ რუსეთშიც და ჩვენშიაც“...[1].

ამრიგად, გ. წერეთელი მონურად როდი ბაძავდა ყოველივე ევროპულს. თუ, ერთი მხრივ, იგი ითვისებდა და იცავდა დასავლეთ-ევროპული განმანათლებლობისა და უტოპიური სოციალიზმის იდეებს, მეორე მხრივ, სასტიკად აკრიტიკებდა ევროპის რეაქციულ ბურჟუაზიას. თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტი გ. წერეთელი ორმოცი წლის განმავლობაში შეუბრალებლად ისროდა სანაგვე ყუთში ყოველგვარ ბორკილებს და, მათ შორის, ევროპულ ოქროს ბორკილებსაც, თუ ისინი ჩვენი ქვეყნის ეროვნულ-პოლიტიკური და ეკონომიური ინტერესების წინააღმდეგ იყვნენ მიმართულნი.

გ. წერეთლის მსოფლმხედველობის ძირითადი პრინციპები უკვე შემუშავებული იყო, როცა „ცისკრის“ ფურცლებზე დაიწყო ცნობილი ბრძოლა ახალსა და ძველ თაობას შორის.

„მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლა ჩვენი ქვეყნის სოციალ-ეკონომიურ ცხოვრებაში მომხდარი ღრმა ცვლილებების იდეური გამოხატულება იყო. უდაოა, რომ „თერგდალეულების“ გალაშქრებას „მამების“ წინააღმდეგ ძლიერი ბიძგი მისცა იმ დროს რუსეთში მიმდინარე ცხარე იდეურმა ბრძოლამ, მაგრამ იგი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს ამ ბრძოლის უბრალო მექანიკურ გადმონერგვად ქართულ

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, „რამდენათ სარფა აქვს შეერთებით ცხოვრებას და მუშაობას“, „სასოფლო გაზეთი“, 1872 წ., № 9.

სინამდვილეში, როგორც შემდეგ ფიქრობდა თვით „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლის ზოგიერთი მონაწილეც კი. მართალია, იდეური ბრძოლის სოციალური შინაარსი რუსეთში უფრო მდიდარი და მრავალფეროვანი იყო, მაგრამ ეს ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების ერთგვარ ჩამორჩენილობაზე და ზოგიერთ თავისებურებაზე მიუთითებს და არა იმაზე, რომ „თერგდალეულების“ ბრძოლა ძველი თაობის წინააღმდეგ თითქოს „საიდანღაც მოსული“ ცარიელი მიბაძვა იყო და არა განსაზღვრული სოციალური შინაარსის საზოგადოებრივი მოვლენა, რომელსაც ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაშივე ჰქონდა ფესვები. „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლის სოციალურ-პოლიტიკური შინაარსის ბუნდოვანება იმითაცაა გამოწვეული, რომ საქართველოში — ცარიზმის კოლონიაში — მეფის ცენზურა განსაკუთრებით მძვინვარებდა. თუ რუსული რევოლუციურ-დემოკრატიული ლიტერატურის გავლენით ჩვენში რევოლუციური მოაზროვნენი იზრდებოდნენ, თვითმპყრობელობის „გავლენიანი“ მოხელენი სრულიად უშიშარ ლიბერალიზმსაც კი ვერ ითმენდნენ. საბედნიეროდ, ხშირ შემთხვევაში რევოლუციური გავლენა იმარჯვებდა რეაქციულზე.

მე-19 საუკუნის დასაწყისში საქართველო თვითმპყრობელური რუსეთის კოლონია გახდა. თვითმპყრობელობამ საქართველო, უწინარეს ყოვლისა, პოლიტიკურად დაიპყრო. „მეფის რუსეთის მიერ მისი ეკონომიური დაპყრობა გაცილებით უფრო გვიან მოხდა, ვიდრე პოლიტიკური დაპყრობა“... ჩვენი ქვეყნის ეკონომიური დაპყრობა თვით მეოცე საუკუნის დასაწყისშიც არ იყო დამთავრებული, მაგრამ ამ მხრივ მნიშვნელოვანი ნაბიჯები ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 30-იან წლებში გადაიდგა. ამ დროიდან ხდებოდა, ერთი მხრივ, საქართველოს ძლიერი კოლონიზაცია, ხოლო, მეორე მხრივ, რუსეთისა და დასავლეთ ევროპის სამრეწველო საქონლის შემოტანის გზით ადგილობრივი შინამრეწველობის გამოდევნა. ბარაქიანი ქართული მიწა ბევრ კოლონისტს იზიდავდა რუსეთიდან, ხოლო ევროპული გართობა-სანახაობებით გატაცებული ქართველი თავადაზნაურობის გაზრდილი

გემოვნება დიდ მოთხოვნებს უყენებდა უცხოელ ფაბრიკანტებს. გაჩნდა სასოფლო-სამეურნეო იარაღების მოთხოვნილება, რადგან ქართველი მებატონე ნელა, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მაინც რწმუნდებოდა ქართულ გუთანთან შედარებით ევროპულის უპირატესობაში. ვაჭრობა გამოცოცხლდა, საქართველო სამრეწველო ნედლეულის გამტან და სამრეწველო ნაწარმის შემომტან ქვეყნად იქცეოდა. ევროპულ ტექნიკას ევროპული და „რუსული" კაპიტალიზმიც თან მოჰყვებოდა, რადგან „ერთი მხრით, სწორედ კაპიტალიზმი წარმოადგენს ფაქტორს, რომელიც იწვევს და აფართოებს მანქანების გამოყენებას სოფლის მეურნეობაში; მეორე მხრით, მანქანების გამოყენება მიწათმოქმედებაში კაპიტალისტური ხასიათისაა, ე. ი. იწვევს კაპიტალისტურ ურთიერთობათა წარმოშობას და მათ შემდგომ განვითარებას" [1].

თვითმპყრობელობის ყურადღება იქითაც იყო მიმართული, რომ პოლიტიკურად დამორჩილებული საქართველო ეკონომიურადაც მაგრად მიეჯაჭვა რუსეთთან და მისი ბუნებრივი სიმდიდრის ერთადერთ ბატონ-პატრონად რუსეთის კაპიტალი გაეხადნა. მეფის მთავრობას სამხედრო მიზნებით გაჰყავდა გზები, რაც ხელს უწყობდა ამიერკავკასიის სხვადასხვა კუთხეების სამეურნეო დაახლოებას. ცბიერი ვორონცოვი ყოველმხრივ ცდილობდა მეფის ტახტის საიმედო დასაყრდენის — ქართველი თავადაზნაურობის დაინტერესებას სამეურნეო საქმიანობით. მან დააარსა თბილისში „პრიკაზი", რომელსაც ხელი უნდა შეეწყო მებატონეთა მეურნეობის რაციონალურად მოწყობისათვის.

მაგრამ ყოველივე ეს იწვევდა ფეოდალურ-ბატონყმური მეურნეობის რღვევას და კაპიტალიზმის განვითარებას საქართველოში. ყირიმის ომის შემდეგ, რომელმაც ჩვენშიაც გამოამეღავნა ძველი წყობილების სიდამპლე და ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის დამკვიდრების აუცილებლობა, უკვე დიდგვარიანი ფეოდალებიც აღარ მალავდნენ ვაჭ-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., მე-4 გამოცემა, ტ. 3, გვ. 254.

რობა-მრეწველობის განვითარების აუცილებელ საჭიროებას. „ვაჭრობა თუ არ ვისწავლეთო, — წერდა ალ. ორბელიანი 1859 წელს, — ულუკმო დავრჩებით ყველანი და ბოლოს იქნება კიდეც გაეწყვეთო... კიდევ გვიყვარს მამაპაპური ქცევა, იმათებურად ხელგაშლით ცხოვრება, მაგრამ ეს კი არ ვიცით, რომ მაშინდელი დრო სხვა იყო და ეხლანდელი დრო სხვა არის. მაშასადამე დროის მიხედვით უნდა ვიქცეოდეთ უთუოდო“...[1].

კაპიტალიზმის განვითარების შედეგად ჯერ კიდევ 50-იან წლებში დაიწყო წოდებათა დიფერენციაცია. თუ ადრე ერთმანეთის პირისპირ ფეოდალი და გლეხი იდგა, ახლა მათ გვერდით ამოუდგნენ ვაჭრები და მევახშენი, რომელნიც ყმაგლეხობას ხომ ტყავს აძრობდნენ, მაგრამ აღარც ბატონმემამულეს აყრიდნენ კარგ დღეს. თავადაზნაურობას ფული სჭირდებოდა ცალკე ევროპულ ყაიდაზე ცხოვრებისათვის და ცალკე თვითმპყრობელობის გავლენიან მოხელეთა მოსყიდვისათვის. ვაჭრისა და მევახშისაგან აღებული სესხი მას ან მამულს აკარგვინებდა, ან არა და ვალი წლიდან წლამდე მიჰყვებოდა. ორივე შემთხვევაში შედეგი ერთი იყო: თავადაზნაურობის ძველი უზრუნველი ცხოვრების შერყევა და მისი ეკონომიური ძლიერებისადმი ძირის გამოთხრა. ტყუილად როდი წერდნენ კახელი თავადაზნაურნი საგლეხო რეფორმის წინა ხანებში: „არ არის მთელს კახეთში არც ერთი კეთილშობილის ოჯახი, რომ დატვირთული არ იყოს პრიკაზის ვალითა, ან გარეშე პირთაგან დიდი სარგებლით ნასესხები ფულითა; სხუა და სხუა გარემოებამ შეგვავიწროვა და ნამეტნავად სასამართლოებში ბრძოლამ ჩუენს ყმებთან, ანუ თუ ურთიერთს შორის... ეს ვალი ისე აღორძინებულია ყოველს საგუარეულოში, რომ თვითეულს ოჯახს ექადის დაცემა და ოხრება“ [2].

---

1 ალ. ორბელიანი, ჩვენი საქართველოს საზოგადოება, „ცისკარი“, 1859 წ., № 10.

2 პ. გუგუშვილი, „ქართული ჟურნალისტიკა“, იხ., დამატება, ტ. 409.

რა თქმა უნდა, ქართველი თავადაზნაურობის „დაცემა და აოხრება“ ჯერ კიდევ შორს იყო 60-იან წლებში, მაგრამ ამომავალი კაპიტალიზმი უკვე მაშინ იწყებდა მზადებას ფეოდალური ცხოვრების ამ უმთავრესი ბურჯის გასანადგურებლად.

ქართველი გლეხობის ეკონომიური სიღატაკე და პოლიტიკური უუფლებობა უკიდურესობამდე იყო მიყვანილი. გლეხი ექსპლოატაციის ორმაგ უღელს ატარებდა: მას, ერთი მხრივ, „მშობლიური“ ბატონი აწვა კისერზე, ხოლო, მეორე მხრივ, თვითმპყრობელობის სამხედრო-ბიუროკრატიული რეჟიმის აღვირახსნილი თარეშისთვის უნდა გაეძლო. გლეხობა ხშირად აწყობდა სტიქიურ ამბოხებებს თვითმპყრობელურ-ბატონყმური წყობილების წინააღმდეგ. გლეხთა მოძრაობა განსაკუთრებით გაძლიერდა ყირიმის ომის შემდეგ და საგლეხო რეფორმის წინა პერიოდში.

„მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარი ამ სოციალურ-ეკონომიური ცვლილებების იდეური გამოხატულებაა. „მამების“ საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი ძირმომპალი ფეოდალიზმის ეკონომიურ საფუძვლებს ეყრდნობოდნენ; ხოლო „შვილები“ ამომავალ, ჩასახვისა და განვითარების პროცესში მყოფ ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობას უჭერდნენ მხარს. მართალია, ორივე მხარეს ეროვნული დროშა ეჭირა ხელში და ბრძოლის სოციალური შინაარსი ქართული ასოების შესახებ კამათში იჩქმალებოდა, მაგრამ ძნელი გამოსარკვევი არაა, რომ „მამებისათვის“ საქართველოს თავისუფლება ნიშნავდა ქართველი ფეოდალის თავისუფლებას — მონობაში ჰყოლოდა და ულმობლად ეძარცვა ქართველი გლეხობა, ხოლო „შვილებისათვის“ საქართველოს თავისუფლება ნიშნავდა ყველას თავისუფლებას ყველას წინააღმდეგ, ე. ი. მთელი ხალხის თავისუფალ განვითარებას წოდებრივი პრივილეგიების მოსპობის საფუძველზე, რაც, საბოლოო ანგარიშით, ახალი „ბატონყმობის“ დამყარებას მოასწავებდა. ასე, რომ „მამების“ ეროვნული თავისუფლების ცნებაში საკმარისად ჩანდა ფეოდალური სოციალური შინაარსი, ხოლო ამ ცნების შვილები-

სეული გაგება არსებითად ბურჟუაზიულ შინაარსს ემყარებოდა. ამიტომაც „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლის ობიექტური შინაარსი ბატონყმობის სოციალ-ეკონომიური საფუძვლების მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა დაპირისპირება იყო. ჩვენი ქვეყნის ეკონომიურმა განვითარებამ უკვე სამოციანი წლების დასაწყისში დააყენა საკითხი ბატონყმობის მოსპობის აუცილებლობის შესახებ. ამ აუცილებლობას მეტად თუ ნაკლებად „მამებიც“ გრძნობდნენ. კამათი მხოლოდ იმის გამო წარმოებდა, თუ ვის სასარგებლოდ უნდა გადაჭრილიყო ეს საკითხი: მიმავალი ფეოდალიზმის სასარგებლოდ თუ ამომავალი ბურჟუაზიის სასარგებლოდ. „მამები“ ძირმომპალ ფეოდალიზმს მიემხრნენ და კონსერვატიული ფაუადაზნაურობის ეკონომიური და პოლიტიკური პრივილეგიების შენარჩუნებას მოითხოვდნენ, შვილები კი უმთავრესად მდაბიო ხალხის (გლეხობის, რომლის ნაწილი შემდეგ სოფლისა და ქალაქის ბურჟუაზიად იქცა, ხოლო უდიდესი ნაწილი გაღატაკდა), ეკონომიურ და პოლიტიკურ ინტერესებს გამოხატავდნენ და არსებითად ქვეყნის ბურჟუაზიული განვითარების მოთხოვნას ვერ სცილდებოდნენ.

მაგრამ თუ „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლის სოციალ-პოლიტიკური შინაარსი ეროვნულ საბურველში გაეხვია, თუ იგი ქართული ენის გარშემო გააფთრებული კამათის სახით მოგვეევლინა, — ეს ძირითადად ორი მიზეზით აიხსნება:

ჯერ ერთი, ახალი თაობის წარმომადგენლებს, რომლებმაც ეს ბრძოლა წამოიწყეს, სწამდათ რომ ქართველი ხალხის სოციალური განთავისუფლების წინაპირობა მისი ეროვნული განთავისუფლება არისო. სოციალური ჩაგვრის არსებობის უმთავრეს პირობად მათ თვითმპყრობელობა მიაჩნდათ. მათი აზრით, თუ ეს უმთავრესი პირობა დაძლეული იქნებოდა, შემდეგ ხალხის სოციალური ცხოვრების მოწყობაც ასე თუ ისე გაადვილდებოდა. ამიტომ იყო, რომ მე-19 საუკუნის საქართველოში ყოველგვარი პროტესტი სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ, დაწყებული გლეხთა სტიქიური ამბოხებებითა და გათავებული ინტელიგენციის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობით, თვითმპყრობელობასთან

ეროვნული ბრძოლის ფორმას ღებულობდა. მაგრამ რუსეთის თვითმპყრობელობა საქართველოში არა მარტო რუსი კაპიტალისტისა და მემამულის ეკონომიურ ინტერესებს იცავდა, არამედ ადგილობრივ ბატონყმურ ცხოვრებასაც მფარველობდა. ამიტომ ვინც რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ხელს აღმართავდა, მას შოლტი ადგილობრივი ბატონყმობის წინააღმდეგაც უნდა მოექნია (მით უფრო, რომ ქართველი არისტოკრატია ცარიზმის საიმედო დასაყრდენი გახდა საქართველოში). ეს ასეც ხდებოდა და, ამრიგად, ეროვნული ბრძოლის ამა თუ იმ ფორმაში ყოველთვის განსაზღვრული სოციალ-პოლიტიკური შინაარსი იგულისხმებოდა. ახალი თაობის წარმომადგენლების ცდა, გამოეყოთ ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესები მისი სოციალური ინტერესებისაგან, თითქმის ყოველთვის მარცხით მთავრდებოდა და ობიექტურად მათი „ნაციონალიზმი“ სოციალური შინაარსით ივსებოდა. იგივე უნდა ითქვას ძველ თაობაზეც.

მეორე მხრივ, ის, ვინც თავს ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების დამცველად აცხადებდა, ბუნებრივია, უწინარეს ყოვლისა, ქართული ენის პატრიოტი უნდა გამხდარიყო, მით უმეტეს, რომ იმ ისტორიული „ნაციონალური“ შინაარსიდან, რასაც წინათ ქართველობა ეწოდებოდა, მე-19 საუკუნისათვის დროთა ქარტეხილს ყველაზე მეტად ქართული ენა გადაურჩა. ქართული სახელმწიფოებრიობის ადრინდელი, ცოტად თუ ბევრად მთლიანი ეკონომიური და პოლიტიკური ორგანიზმი დაირღვა და ქართველი ხალხის მოსარჩლე ადამიანთა უკანასკნელ თავშესაფარად ქართული ენა დარჩა. „პირველი... ნიშანი ერის ვინაობისა, — წერდა ი. ჭავჭავაძე, — ენაა და, აი, სწორედ პირველმან ამან აიდგა ფეხი ჩვენში, შემდეგ კარგა ხნის დუმილისა. ამასთან ჩვენს ცხოვრებას, ჩვენს აზრთა სვლას, ჩვენს ზრუნვას და ფიქრსა მთელის ბუნებითად რთულის ცხოვრების ფართო მოედნიდამ — მცირე კუნჭული-ღა ჰქონდა დათმობილი ჟამთა ვითარებისაგან. მარტო ამ კუნჭულში-ღა გახდა შესაძლებელი ჩვენის ცხოვრებისათვის მოღვაწე კაცს თავი ეჩინა... ჩვენმა

აზრთა სვლამ, მიმართულებამ, საქმიანობამ აქ შეიფარა თავი"...[1].

ენა და მწერლობა ძველი თაობისთვისაც ძირითადი სამოღვაწეო სარბიელი იყო, რამდენადაც იგი ქართველი ხალხის ეროვნული გათვითცნობიერების საქმეს ემსახურებოდა. ქართული ენა „მამებისათვის" იყო უკანასკნელი ნაშთი „დროთა უწყალო ხელით დანთქმული" საქართველოს ძველი დიდებისა. რუსეთის თვითმპყრობელობის სამსახურში ფიზიკურად მოქანცული „მამების" ზოგიერთი ნიჭიერი წარმომადგენელი ქართულ პოეზიაში ჰპოვებდა ხოლმე სულიერ „განსასვენებელს". ამდენად მათ უფლებაც ჰქონდათ, — რა თქმა უნდა, განსაზღვრული კლასობრივი პოზიციებიდან და განსაზღვრული დროის ფარგლებში, — თავი ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების დამცველად გამოეცხადებინათ, „შვილებისათვის" თავიანთი ლიტერატურული დამსახურება მოეგონებინათ და ქართული ენის ვითომდა დამახინჯების წინააღმდეგ ებრძოლათ.

მაგრამ მე-19 საუკუნის ქართველი მოღვაწეებისათვის ენა იყო არა მარტო „პირველი ნიშანი ერის ვინაობისა" და გადარჩენილი ისტორიული ნაშთი ოდესღაც არსებული, მართალია, ეფემერული, მაგრამ ზოგჯერ ძლიერ დაწინაურებული, ქართული სახელმწიფოებრიობისა, — არამედ სოციალური ბრძოლის მძლავრი იარაღიც[2]. ძველი ქართული სამწერლო ენა, იოანე პეტრიწისა და ანტონ კათალიკოსის ენა, მხოლოდ განათლებული თავადაზნაურობის კუთვნილება იყო, ხალხს არაფერი ან თითქმის არაფერი არ გაეგებოდა ამ ენისა. „მამები" ხალხისათვის გაუგებარი ძველი ენობრივი ნორმების ხელშეუხებლობასა და შეუვალობას რომ ჰქადაგებდნენ, ამით ნათლად ამეღავნებდნენ თავიანთ ანტიდემოკრატიულ სოციალ-პოლიტიკურ თვალსაზრისს. კონსერვა-

---

[1] ი. ჭავჭავაძე, ,ნაწერების სრული კრებული, 1927 წ., ტ. IV, გვ. 226.

[2] „მამებს" ეს, რა თქმა უნდა, აზრადაც არ მოსდიოდათ. ბარბარე ჯორჯაძე წერდა: ენის შესახებ დავა არ არის დავა „არც ყმაზედ და არც მამულზე, არამედ მცირე დავა სიტყვიერების ღირსების დაცვაზეო".

ტიული თავადაზნაურობა დაინტერესებული იყო იმით, რომ გლეხობის ფართო მასები სულიერ სიბეჩავეში ჰყოლოდა. ეს მისი ეკონომიური და პოლიტიკური ბატონობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა იყო. განათლება, რარიგ დაბალ დონეზედაც არ უნდა ყოფილიყო იგი ბატონყმურ საქართველოში, გაბატონებული კლასის მონოპოლიას წარმოადგენდა. ქართველი თავადის აზრით, თუ, საერთოდ, საჭირო იყო განათლება, ეს მხოლოდ თავადაზნაურობის შვილებს შეეფერებოდა, რადგან მხოლოდ მათ „აქვთ“ ღვთისაგან მინიჭებული უფლება და საშუალება, წერონ ხან ლექსები და ხან კანონები, ხოლო გლეხები მონურად უნდა შრომობდნენ და ასრულებდნენ მათი ბატონების ნება-სურვილს. ასეთი იყო კონსერვატიული თავადაზნაურობის პოლიტიკური თვალსაზრისი. იდეურად ამ თვალსაზრისის გამოხატულებაა „მამების“ მიერ ენის საკითხში დაკავებული პოზიცია.

„შვილების“ შეხედულებანი ენის საკითხში საესებით გამომდინარეობდა მათი დემოკრატიული პოლიტიკური პროგრამიდან. რამდენიმე გულმოსული თავადის „შეთქმა“ მათ საკმარისად არ მიაჩნდათ საქართველოს ეროვნული განთავისუფლებისათვის. ამ ამოცანის გადაჭრაში ისინი უმთავრეს როლს ხალხის ფართო მასებს აკუთვნებდნენ. მაგრამ „თერგდალეულებმა“ იცოდნენ, რომ თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის როზგქვეშ ფიზიკურად და გონებრივად დაბეჩავებული გლეხობა ვერ შეძლებდა საქართველოს განთავისუფლებას; მაშასადამე, საჭირო იყო მისი აღზრდა, განათლება. მწერლობას უნდა აღეზარდა, გაეთვითცნობიერებინა ხალხის ფართო მასები. მაგრამ ხალხისათვის ანტონ კათალიკოსის ენა გაუგებარი იყო, იგი მხოლოდ გაბატონებული კლასის უმნიშვნელო განათლებულ უმცირესობას ესმოდა. მაშასადამე, ხალხის ენაზე წერის საჭიროების აუცილებლობა მოითხოვდა სამწერლო ენის დაახლოებას სასაუბრო ენასთან. ენის რეფორმას რომ ატარებდნენ, ხალხური ენის შემოღების აუცილებლობას რომ იცავდნენ, — ამით „თერგდალეულები“ ნათლად გამოთქვამდნენ თავიანთ დემოკრატიულ-პოლიტიკურ თვალსაზრისს. ი. ჭავჭავაძე „ხალხის სახელით“ მოი-

თხოვდა ენის გამარტივებას. ამ „ხალხის“ კლასობრივი სახე იმ დროს ჯერ კიდევ ბუნდოვანი იყო, მაგრამ განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე საკმაოდ გამომჟღავნდა მისი ბურჟუაზიული ბუნება: არსებითად ხალხის ცნებაში ამომავალი ბურჟუაზია იგულისხმებოდა. და თუ „შვილები“ ენის დემოკრატიზაციას მოითხოვდნენ, ამით ისინი ნათლად ამჟღავნებდნენ თავიანთი პოლიტიკური პროგრამის არსებითად ბურჟუაზიულ შინაარსს.

ასეთი იყო „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლის სოციალური შინაარსი.

თეორიულად „მამების“ პოლიტიკური თვალსაზრისი უძრაობისა და უმოქმედობის მქადაგებელი ქრისტიანული მოძღვრებით საბუთდებოდა, „შვილების“ პოზიციას კი მეცნიერულ-მატერიალისტური მსოფლმხედველობა ამაგრებდა.

„ნუ განიკითხავთ, რათა არა განიკითხნეთ“ [1], — საღმრთო წერილიდან გადმოწერილი ასეთი „ჭეშმარიტებებით“ იგერიებდნენ ძველი თაობის წარმომადგენლები „თერგდალეულთა“ გააფთრებულ თავდასხმებს. და როცა ახალგაზრდებმა დასცინეს ბარბარე ჯორჯაძეს „ცისკარში“ ამ ღვთაებრივი „აზრის“ დაბეჭდვისათვის, უკანასკნელმა პირდაპირ განაცხადა: „ჩვენ მოვმდინარეობთ მამაპაპათ ჩვეულებაზე და უმაღლეს პოეზიას გინა ფილოსოფიას ვპოვებთ უმეტესად საღმრთო წიგნებშიო“... [2].

თერგდალეულები კი „უმაღლეს პოეზიას, გინა ფილოსოფიას“ საბუნებისმეტყველო-მეცნიერულ და მატერიალისტურ ლიტერატურაში პოულობდნენ. „მამების“ ქრისტიანულ-რელიგიური მოძღვრების უცვლელ დოგმატებს, ისინი მუდმივი მოძრაობისა და ცვალებადობის რევოლუციურ-მატერიალისტურ აზრებს უპირისპირებდნენ. „ყოველი კაცი, რომელსაც კი თვალებზე ჩამოფარებული არა აქვს რა, ხედავს, რომ ცხოვრება რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის,

---

[1] ეპიგრაფი ბ. ჯორჯაძის სტატიისა, „საღმრთო წერილი გეამხილებს“, იხ. „ცისკარი“, 1861 წ., № 5, გვ. 34.

[2] იქვე.

რომ იგი იცვლება, მიდის წინ და მოაქვს განახლება ყოველისფერისა. წესი, ჩვეულება, აზრი, გრძნობა, ენა, რომელიც მაგათი გამომეტყველია, ყოველი ფერი იცვლება მის ძლიერ გავლენისაგან" [1], — წერდა იმ დროს ი. ჭავჭავაძე.

გ. წერეთელი პირველად 1862 წელს გამოვიდა „მამების" წინააღმდეგ. ამ დროს ი. კერესელიძემ „ცისკარში" დაბეჭდა ექვთიმე წერეთლის წერილი, რომელშიც ი. ჭავჭავაძე „მავნებელ პიროვნებად" იყო გამოცხადებული, ხოლო მისი „განდევნა" მწერლობიდან — აუცილებელ საჭიროებად. ლ. არდაზიანის გადმოცემით, ექ. წერეთლის „ქნავილი", თბილისში ძლივს გაიგონეს, მაგრამ პეტერბურგში განგაში ატყდა: „სამმა ქვით დაკრიბეს ერთი და ხმა აღარ ამოაღებინესო". ესენი იყვნენ, როგორც გ. წერეთელი წერდა, „სამნი ძმანი, სამნივ თერგდალეულთაგანი", ხოლო „ერთი ამ სამძმათაგანი" თვით გ. წერეთელი იყო. ასე, რომ ამ შემთხვევაში ნამდვილმა შვილმა გაილაშქრა მამის წინააღმდეგ. ასე გადაიხადა მამის მიერ ღვთისა და უფროსებისადმი მორჩილებისა და შიშის სულისკვეთებით აღზრდილმა გ. წერეთელმა მშობლის „ამაგი"!

1863 წელს გ. წერეთელმა „საქართველოს მოამბეში" გამოაქვეყნა კრიტიკული სტატია — „ცისკარს" რა აკაკანებდა?". ამ შესანიშნავ სტატიაში გ. წერეთელი მსოფლმხედველობრივად უკვე დასრულებულ მოაზროვნედ მოჩანს. აქ მშვენივრადაა შეერთებული იმ დროის მატერიალისტური აზროვნების საკმაოდ კარგი ცოდნა რევოლუციურ-დემოკრატიული პოლიტიკური პროგრამის მოხერხებულ გადმოცემასთან.

გ. წერეთელი თავის სტატიაში ი. ჭავჭავაძეს უწოდებს „ღვთიან კაცს", რომელმაც გულწრფელად გააკრიტიკა „ცისკარი", რათა ჟურნალისთვისაც „სარგებლობა მოეტანა" და საზოგადოებაც ეხსნა მისი უმეცრებისაგან. მაგრამ „ცისკარმა" „ექიმთან წამალზე გაფრენის-მაგივრად" ამ „კეთილი

---

[1] ი. ჭავჭავაძე, ნაწ. სრული კრებული, 1927 წ., ტ. IV, გვ. 65.

პირის“ კრიტიკა „უკადრისად მიიღო“ [1]. მით უფრო სასტიკად შეუტია გ. წერეთელმა „ცისკრის“ მწერლებს. „ცისკარი“, — წერდა იგი, — ისე დაშორებულია ცხოვრების მოთხოვნილებაზე, როგორც ცა მიწაზედ“. „ჩვენ საზოგადოებაში დაიძრა ცხოველი სული, იმას უნდა ცხოველი სიტყვა; მაშასადამე „ცისკარს“ თუ თავის სიკვდილი არ უნდა, უსათუოდ უნდა დასტოვოს ის გზა, რომელზედაც აქამდინ მიდიოდა, გააგდოს... გარეგანი სიბრკიალე და ჩაღრმავდეს სიცოცხლის მორევში მარგალიტების მოსაბოქად:“ [2].

ფეოდალურ-კონსერვატიული თაობის წარმომადგენლებმა და მათმა მომხრეებმა გ. წერეთლის ამ სიტყვებში „ცისკრის“ მოსპობის სურვილი ამოიკითხეს, ხოლო, საერთოდ, მისი სტატია მემარცხენე-რადიკალური პროგრამის მქადაგებლად მიიჩნიეს. „ყოველი აზრი, ხასიათი და ძალა „მოამბისა“, — წერდა „მამებსა“ და „შვილებს“ შორის მოქანავე ან. ფურცელაძე, — წარმოითქვა ამ გ. — თელის (გიორგი წერეთლის — მ. გ.) სტატიაში“. „მოამბეს“ თურმე „ცისკრის“ მოსპობა უნდა, ჩვენ ეს არ გვჯეროდა, ახლა კი გვჯერაო“ [3].

ანტონ ფურცელაძე მისდა უნებურად მართალს ამბობდა: გ. წერეთელი „ცისკრის“ წინააღმდეგ ბრძოლაში არა მარტო სავსებით უჭერდა მხარს ი. ჭავჭავაძეს, არამედ უფრო რადიკალურ-პოლიტიკურ პროგრამასაც აყენებდა. თვით 60-იან წლებში დაწერილ ი. ჭავჭავაძის წერილებიდან, რომლებიც ძველი ცხოვრების წინააღმდეგაა მიმართული, მძლავრად ჰქრის ის ზომიერ-ჰუმანისტური სიო, რომელმაც შემდეგში ჩვეულებრივ ლიბერალობამდე დააქვეითა ი. ჭავჭავაძე. გ. წერეთელი ტიპიური სამოციანელი იყო და აბსტრაქტული ჰუმანიზმი არც მისთვისაა უცხო, მაგრამ ზოგადი დებულებიდან მას იმთავითვე გაცილებით უფრო რევოლუციური დასკვნა გამოჰქონდა, ვიდრე მის დიდ თანამედროვეს. ი. ჭავჭავაძის აზრით, ამ ქვეყნად ყველაფერი იცვლება, მაგრამ,

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ., სრ. კრებული ს. ხუნდაძის რედაქციით, ტ. 1, გვ. 6.

[2] იქვე, გვ. 16 — 22.

[3] „ცისკარი“, 1863 წ., № 6, გვ. 367.

რადგან ყველაფერი ცვალებადია, ეს ქართული ბატონყმობა რა წითელი კოპია, რომ უცვლელი დარჩესო. გ. წერეთელმაც იცის, რომ ყველაფერი იცვლება, რომ, მაშასადამე, ბატონყმობაც უნდა შეიცვალოს, მაგრამ თუ, მიუხედავად ამისა, ბატონყმობა არ შეიცვალა, მაშინ იგი, გ. წერეთლის აზრით, ბრძოლის გზით უნდა მოისპოს. „რამოდენიმე საუკუნის წინ დაარსებული საზოგადო წყობილება... ვეღარ აკმაყოფილებს ამ ცხოვრების მოთხოვნილებასა. აშკარაა, რომ საზოგადო ფორმამ განვლო თავისი საუკუნე, დაძველდა და ამის გამო ან სულ უნდა მოისპოს და ან გადაკეთდეს ახლად შემოსულ მოთხოვნილებისამებრ“ [1].

რევოლუციონერი სტუდენტის ამ მსჯელობიდან ნათლად ჩანს, რომ გ. წერეთელი ცდილობდა ერთი მხრივ, რევოლუციურ-დემოკრატიულ პოზიციაზე გამაგრებულიყო, („უნდა მოისპოს“) ხოლო, მეორე მხრივ, ლიბერალიზმისაკენ იხრებოდა („უნდა გადაკეთდეს“). ეს მერყეობა ბუნებრივიცაა, რადგან „სადაც პოლიტიკური დაწესებულებების მატერიალისტური კრიტიკა არ არსებობს და სადაც თანამედროვე (ე. ი. ბურჟუაზიული. მ. გ.) სახელმწიფოს კლასობრივი ხასიათის შეუგნებლობაა, — იქ პოლიტიკური რადიკალიზმიდან პოლიტიკურ-ოპორტუნიზმამდე მხოლოდ ერთი ნაბიჯია რჩება“ [2].

ამ მიზეზით ორი დაპირისპირებული ან-ან („ან უნდა მოისპოს და ან გადაკეთდეს“) გიორგი წერეთლის საზოგადოებრივ მოღვაწეობას განუყრელად თან სდევდა მთელი 40 წლის განმავლობაში. კერძოდ, სამოციან წლებში გიორგი წერეთლის მერყეობა პოლიტიკურ რადიკალიზმსა და ლიბერალიზმს შორის გამოხატავს რევოლუციური აღმავლობიდან რევოლუციური დაღმავლობისაკენ გარდამავალი ხანის კონკრეტულ ვითარებას. როგორც ვიცით. რუსეთში 1859-61 წლებში რევოლუციური სიტუაცია არსებობდა. საქართველოც თავისებურად ეხმაურებოდა რუსეთში მიმდინარე პო-

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ. სრული კრებული, ტ. 1, გვ. 11.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 1, გვ. 301.

ლიტიკურ ამბებს (გლეხთა მოძრაობა, პროგრესული ინტელიგენციის გამოსვლა კონსერვატიულის წინააღმდეგ). საგლეხო რეფორმამ და ცარიზმის რეპრესიებმა 1862 წლის შემდეგ შეძლეს გლეხთა მოძრაობის შენელება და ქვეყნის იდეურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში რეაქცია გაბატონდა. რევოლუციური სიტუაცია თუ არა, ყოველ შემთხვევაში, რევოლუციური სიტუაციის შესაძლებლობა მაინც საქართველოში თვით 1864 წლამდე არსებობდა, რადგან, თუ რუსეთში 1861 წ. ასე თუ ისე „მოგვარდა" ბატონყმობის საკითხი, საქართველოში რეფორმის გატარება 1864 წელს დაიწყეს და ისიც ნაწილობრივ. ასეთ მდგომარეობას არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა საზოგადოებრივ აზროვნებაზე. და, მართლაც, 1859—1863 წლები საქართველოში ბატონყმობის წინააღმდეგ იერიშის წლები იყო. დ. ჭონქაძის, ი. ჭავჭავაძის, გ. წერეთლის, ა. წერეთლის, კ. ლორთქიფანიძის და სხვების იმ დროის ნაწერები ამ იერიშის იდეურ-ლიტერატურული გამოხატულებაა.

ამასთან რუსეთში რეფორმის მომდევნო წლებში გამეფებული იდეურ-პოლიტიკური რეაქცია საგრძნობ გავლენას ახდენდა ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაზედაც: რადიკალიზმი ლიბერალიზმით იცვლებოდა და თვით ლიბერალიზმიც საშიშ საქმედ ითვლებოდა. საგლეხო რეფორმის გატარებისათვის მზადებამ და შემდეგ თვით რეფორმის გატარებამ კიდევ უფრო დააჩქარა ინტელიგენციის „გალიბერალების" პროცესი. „თერგდალეულთა" ერთი ნაწილი რეფორმამ დაამშვიდა, დააკმაყოფილა. ეს უნდა იყოს მიზეზი „საქართველოს მოამბის" დახურვისა და ი. ჭავჭავაძის ჯგუფის დაშლისა. ინტელიგენცია „ხალხში წავიდა", სახელმწიფო სამსახურში ჩადგა და ამ გზით ფიქრობდა ხალხის მძიმე მდგომარეობის შემსუბუქებას.

1864 წელს პეტერბურგიდან საქართველოში დაბრუნებულმა გიორგი წერეთელმა ახლაც თავისებური პოზიცია დაიკავა. პირველ ხანებში იგი კიდევ ამყარებდა იმედს ბატონყმობის რევოლუციური იერიშით აღების შესაძლებლობაზე. გ. წერეთელიც „ხალხში წავიდა", მაგრამ, როგორც

ჩანს, თვითმპყრობელური სახელმწიფოს მოსამსახურის თანამდებობის შეთავსება ხალხის მსახურის საპატიო მოვალეობასთან შეუძლებლად მიიჩნია. მეფის ბიუროკრატიულ დაწესებულებებში მუშაობას მუდამ მტრულად ეკიდებოდა გ. წერეთელი. „მგზავრის წერილებში“ იგი წერდა: „...არაფრად მეხალისებოდა სამსახურში შესვლა... ბევრია ისეთი კაცი, რომელიც ამისთანა მდგომარეობას შენატრის, იმისთვის, რომ იმას კარგი ტკბილი ცხოვრება მოჰყვება ხოლმე და ზემოხსენებული ჩვეულება დიდ პოლიტიკათ, გონიერების ნიშნად მიაჩნია. მე... კი ვერაოდეს ვერ დავმორჩილდი ამას“...[1]

გ. წერეთელს არ სურდა დამორჩილებოდა ხალხის მჩაგვრელებს. იგი მკაცრ ბოიკოტს უცხადებდა თვითმპყრობელურ-ბიუროკრატიულ სახელმწიფოს და ჯერ მისი რევოლუციური მოსპობისაკენ მოუწოდებდა, ხოლო შემდეგ, რადგან სხვა საშუალებას ვერ ხედავდა, ხალხის აღზრდითა და განათლების გავრცელებით კმაყოფილდებოდა. სახელდობრ. ამ მიზანს ემსახურებოდა 1866 წ. დაარსებული გაზეთი „დროება“ რომლის პირველი რედაქტორი გ. წერეთელი იყო. ამავე მიზნით დაიწყო გ. წერეთელმა ჯერ „სასოფლო გაზეთის“, ხოლო შემდეგ ჟურნალ „კრებულის“ გამოცემა. ამ ლიტერატურული ორგანოების ფურცლებიდან მოწინავე პოლიტიკური აზრები ვრცელდებოდა ქართულ საზოგადოებაში. კერძოდ, გ. წერეთლის 70-იანი წლების პუბლიცისტურ და მხატვრულ ნაწარმოებებში განვითარებული პოლიტიკური შეხედულებანი მოუწოდებენ საზოგადოებრივი ცხოვრების რადიკალური გარდაქმნისაკენ, ბატონყმური ნაშთების აღმოფხვრისაკენ, ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის განმტკიცებისაკენ და მისი მავნე ტენდენციების შეზღუდვისაკენ. მართალია, ამ პერიოდში გ. წერეთელი ტაქტიკურად ლიბერალიზმისაკენ გადაიხარა; მაგრამ იდეურად იგი ახლაც ყოველგვარი მონობის შეურიგებელი მტერი იყო: სიტყვა „განმათავისუფლებელს“, რომელსაც მეფე ალექსანდრე მეორის ეპიტეტად ხმარობდნენ იმ დროს, გ. წერეთელი ბრჭყალებში სვამდა, ხალხის

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, რჩ. ნაწერები, 1947 წ., ტ. I, გვ. 39 — 40.

ჩაგვრისა და ექსპლოატაციის აღმოფხვრის საქმეში საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის არადამაკმაყოფილებელი შედეგის გამო მწუხარებას გამოთქვამდა, ხოლო ფრანგ რევოლუციონერ-განმანათლებლებს „ხალხის საყვარელ დამრიგებლებად" აცხადებდა.

ესეც ბევრი იყო ჩვენს საზოგადოებრივ აზროვნებაში მაშინ, როცა „„ყმათა განთავისუფლებით" დააცხრეს გლეხობის დიადი მოძრაობა" (სტალინი), როცა თვითმპყრობელობამ „რეფორმებით წელი მოიმაგრა", მასების რევოლუციური მოძრაობა მოტყუებით შეანელა, რევოლუციური ორგანიზაციები დაარბია, ამ ორგანიზაციების ბელადები ციმბირში გაგზავნა, ხოლო ყოველივე ამან რუსეთი ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმისაკენ გარდამავალ. ასე თუ ისე მშვიდობიან გზაზე დააყენა. ასეთ პირობებში თვითმპყრობელურ-ბატონყმური წყობილების წინააღმდეგ მებრძოლ ადამიანებს ორი გზა-ღა რჩებოდათ: ან სახელმწიფო სამსახურში შესულიყვნენ და უკეთესი დროის დადგომაზე ლიბერალურად ეოცნებათ, ან „ნაროდნაია ვოლიას" ტაქტიკა მიეღოთ და რევოლუციურ-ტერორისტული ბრძოლა ეწარმოებინათ. როგორც ვნახეთ, პირველი გზა გიორგი წერეთელს „დიდ პოლიტიკად, გონიერების ნიშნად" არ მიაჩნდა და მან იგი უკუაგდო. ტერორისტული ბრძოლის გზას კი გ. წერეთელი პირდაპირ უგუნურებად თვლიდა, რადგან, მისი აზრით, „დიდი უმეცრება და მეცნიერების წინააღმდეგია ის აზრი, ის დარწმუნება, ვითომც ერთ კაცს... შეეძლოს მთელი საზოგადოების, მთელი ერის ცხვრების ფარასავით აქეთ-იქით მირეკ-მორეკა, ან ვითომც თავის ფრაკის კუდზე შეეძლოს იგი გამოიბას და ნებისამებრ ატაროს"[1]. „ნაროდნაია ვოლიას" გმირების ტაქტიკა კი, როგორც ცნობილია, პიროვნების როლის გადაჭარბებული შეფასებიდან გამომდინარეობდა. გ. წერეთელმა ლიბერალებსა და რევოლუციონერებს შორის მდებარე საშუალო პოზიცია აირჩია: ლეგალურ პრესაში რადიკალური

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, „ქუთაისის სალდგილმამულო ბანკი და ინტელიგენტთა პარტიები", „კვალი", 1899 წ., № 11, გვ. 166.

აზრების ქადაგება. გ. წერეთლის ეს მოხერხებული, მაგრამ მერყეევი პოზიცია შეეფერებოდა კიდეც 70-იანი წლების ვითარებას და იმ კლასის მერყეევ ბუნებას, რომლის ინტერესებსაც იგი გამოხატავდა.

ამრიგად, ჩვენი ქვეყნის იდეურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებებმა განსაზღვრეს გ. წერეთლის ტაქტიკური გადახრა პოლიტიკური რადიკალიზმიდან პოლიტიკური ლიბერალიზმისაკენ, მაგრამ იდეურად იგი მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ცდილობდა რევოლუციური მოაზროვნის პოზიციაზე გამაგრებულიყო.

ასეა თუ ისე, ერთი ცხადია: გიორგი წერეთელმა უაღრესად მტრული, შეურიგებელი პოზიცია დაიკავა ბატონყმობისა და ყველა მისი გამოვლინების წინააღმდეგ ეკონომიურ, სოციალურ და პოლიტიკურ დარგში. იგი იყო ერთ-ერთი მეთაური ფეოდალიზმის წინააღმდეგ ახალი ცხოვრების მოიერიშე რაზმისა. მან გადაჭრით მოითხოვა ყოველგვარი იდეური და ლიტერატურული კავშირის გაწყვეტა წარსულის კონსერვატიულ მემკვიდრეობასთან და დაუღალავად ქადაგებდა მოწინავე პროგრესულ-რევოლუციურ იდეებს ჩვენი ხალხის ეროვნული თავისუფლებისათვის, დემოკრატიული წყობილებისათვის, რეალისტური ლიტერატურისა და მატერიალისტური საზოგადოებრივი აზროვნებისათვის. როგორც ვნახეთ, გ. წერეთლის რადიკალურ-დემოკრატიულ შეხედულებათა იდეური წყარო რუსეთისა და დასავლეთ ევროპის მოწინავე რევოლუციური აზროვნება იყო.

მაგრამ ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ გ. წერეთლის მსოფლმხედველობა მოწყვეტილია ეროვნულ ნიადაგს, ეროვნული კულტურის წარსულ ტრადიციებს? რა თქმა უნდა, არა.

ჩვენ ვნახეთ, რომ გ. წერეთლის და, საერთოდ, „თერგდალეულების“ გამოსვლა სამოღვაწეო ასპარეზზე მომზადებული იყო 50 — 60-იანი წლების საქართველოს სოციალ-ეკონომიური და ეროვნულ-პოლიტიკური მდგომარეობით. საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარმა სოციალ-ეკონო-

მიურმა ცვლილებებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს გ. წერეთლის მსოფლმხედველობის ეროვნული და სოციალური შინაარსის ჩამოყალიბებაში. გ. წერეთელი საქართველოს იმდროინდელ ვითარებას ძირითად საზომად თვლიდა სხვა ქვეყნებში შემუშავებული საზოგადოებრივი თეორიების ათვისებისას. იგი ემიჯნებოდა იმ პუბლიცისტებს, რომლებიც „სატახტო პუბლიცისტიკის გავლენის ქვეშ იმყოფებიან და რასაც ყურს მოჰკრავენ, ისე დაიწყებენ სჯას, რადგან... ჩვენი ქვეყნის გარემოების ზედმიწევნით ცოდნა არა აქვთ"[1]. საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარი ახალი ეტაპია, მაგრამ ეს ეტაპი ბუნებრივად უკავშირდება მის წარსულს ისტორიულს ყოფიერებას, იმდროინდელი საზოგადოებრივი აზროვნება ახალი საფეხურია ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში, მაგრამ იგი მრავალმხრივ არის დაკავშირებული წინა საფეხურებთან. გიორგი წერეთლის მსოფლმხედველობის სათავეებიც ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიაშია საძიებელი.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს ეკონომიური ცხოვრების განვითარებამ კაპიტალიზმის გზით გამოიწვია ქართველი ხალხის ერად ჩამოყალიბება. „საქართველო, როგორც ერი, — წერდა სტალინი, — მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდა, როცა ბატონყმობის გადავარდნამ და ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების ზრდამ, გზების განვითარებამ და კაპიტალიზმის წარმოშობამ დაამყარა შრომის განაწილება საქართველოს ოლქებს შორის, საბოლოოდ შეარყია სამთავროთა სამეურნეო კარჩაკეტილობა და ერთ მთელად შეაკავშირა ისინი"[2].

ქართველი ხალხის ერად ჩამოყალიბებამ ქართული ეროვნული კულტურის შემდგომი განვითარება გამოიწვია. ქართული კულტურის განვითარებას ხელი შეუწყო მოწინავე ერების, უწინარეს ყოვლისა, დიდი რუსი ერის რეალისტური

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, უნივერსიტეტი თუ პოლიტეხნიკუმი, „კვალი", № 44, გვ. 782.

[2] ი. ბ. ს ტ ა ლ ი ნ ი, თხზ., ტ. 2, გვ. 318.

და დემოკრატიული კულტურის გაცნობამ, მაგრამ ეს რეალიზმი და დემოკრატიზმი უცხო არ იყო წინა დროის ქართული მწერლობისათვის. ეროვნული თავისუფლების იდეებიც ახალი ამბავი როდი იყო იმ ხალხის აზროვნებისათვის, რომელიც მრავალი საუკუნის მანძილზე გმირულად იბრძოდა საკუთარი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. არც ადამიანის პირადი თავისუფლების იდეა იყო უჩვეულო ქართველი ხალხის საზოგადოებრივ აზროვნებაში; გენიალურმა ქართველმა პოეტმა ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში თქვა: „მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონებიო“. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ რუსთაველი მე-12 საუკუნეში ბატონყმობის გაუქმებას მოითხოვდა, ან არა და დავით აღმაშენებელი ურჩ ფეოდალებს რომ ლაგმავდა, ამით მშრომელთა ინტერესებს იცავდა. ლაპარაკია მხოლოდ იმაზე, რომ ქართული საზოგადოებრივი აზროვნება შეიცავდა ისეთ იდეებს, რომლებზე დაყრდნობა შეეძლო და დაეყრდნო კიდეც მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეოლოგია. ასე რომ ქართული კულტურის შემდგომი განვითარება ქართველი ხალხის ერად ჩამოყალიბების პერიოდში, უწინარეს ყოვლისა, საკუთარი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის სახელოვანი ტრადიციების განვითარება იყო. ეს განვითარება მოხდა არა მარტო საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრების ახალ პირობებში, რაც ჩვენში კაპიტალიზმის განვითარების შედეგად შეიქმნა, არამედ საზოგადოებრივი აზროვნების რევოლუციურ ფორმებშიც. მოწინავე რევოლუციურ აზროვნებასთან - მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის პატრიოტული იდეების და რეალისტურ-დემოკრატიული ტენდენციების შერწყმის ნიადაგზე ჩამოყალიბდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ფორმით ეროვნული და შინაარსით ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ქართული კულტურა. ამიტომ თუ ბელინსკი და ჩერნიშევსკი ქართველი განმანათლებლების იდეური მასწავლებლები იყვნენ, ძველი და ახალი

დროის ქართველი მწერლების მთელი პლეადა მათ იდეურ წინამორბედებად უნდა ჩაითვალონ.

გ. წერეთელი, ახალი პროგრესულ-რევოლუციური აზროვნების ეს ერთ-ერთი ფუძემდებელი საქართველოში, არა მარტო თავისი დროის, არამედ, უწინარეს ყოვლისა, თავისი ხალხის ღვიძლი შვილი იყო. მისი მსოფლმხედველობა მჭიდროდ უკავშირდება ქართული საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზროვნების ისტორიულ მსვლელობას. მისი მსოფლმხედველობის დაუშრეტელი წყარო ქართული მწერლობა იყო.

გიორგი წერეთელი მტკიცედ იცავდა იმ აზრს, რომ „ახალი ძველის შეუსწავლელად ფესვებდაჭრილი ხეა... (რომ) რომელ ხალხსაც ჰსურს თავისი იერი შეირჩინოს, თავისი ვინაობა დარჩეს, ის უსათუოდ უნდა ჩაღრმავდეს და გაიცნოს თავისი ისტორიული ზრდა“[1].

გიორგი წერეთელს სახელმწიფოს ძლიერების ერთ-ერთ წყაროდ მისი ძველი ეროვნული კულტურის ახალ საკაცობრიო კულტურასთან შეჯვარება მიაჩნდა. იგი ძველ ქართულ მწერლობას და საზოგადოებრივ აზროვნებას თვლიდა იმ ნიადაგად, რომელზედაც ახალი პროგრესულ-რევოლუციური იდეები უნდა დანერგილიყო. „ვისაც ძველი თესლი ხელში არ უჭირავს, — წერდა გ. წერეთელი, — ის ახალს ნამუშევარს ვერ მოიმკის. ხეს რომ ფესვები გამოვაცალოთ, ნაყოფს როგორღა გამოიღებს?“

გიორგი წერეთელი გულმოდგინედ სწავლობდა და ასწავლიდა თავის ხალხს ძველ ქართულ მწერლობასა და ისტორიას. მაგრამ იგი საქართველოს „წარსული დიდების“ განურჩეველი მეხოტბე როდი იყო.

გ. წერეთელი კრიტიკული თვალით უყურებდა ძველი საქართველოს მთელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას, კერძოდ, მწერლობას და აზროვნებას. ფ. მ ა ხ ა რ ა ძ ი ს წიგნის — „ხალხური პოეზია და ბატონი კელენჯერიძე“ — რეცენზიაში გ. წერეთელი ჰგმობს კელენჯერიძის „დაფორე-

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, „ქართველი ქალები მეთხუთმეტე საუკუნეში“, „კვალი“, 1893 წ., № 26, გვ. 12.

ბულ აზრებს“ ხალხური პოეზიის მნიშვნელობის შესახებ: „ამ პოეზიამ იდეალი კი არ უნდა მიაჩეჩოს ხელში ჩვენ მწერლობას, არამედ უცხო სკოლაში აღზრდილ ჩვენ ახალგაზრდობას დავიწყებული სამშობლო ენა... (უნდა) შეასწავლოს... რა იდეალები უნდა იპოვოს ჩვენმა დრომ მეცხრამეტე საუკუნის კაცობრიობის სოციალურ წესწყობილების განსავითარებლად იმ პატრიარქალური, ნახევრად ველური კაცობრიობის ნაწარმოებში, რომლის გმირებიც სისხლის ღვრისა, ცარცვა-გლეჯისა და ქალების მოტაცების მეტს არას აკეთებდენ...“

ძველი საქართველოს სულიერი ცხოვრების ნაკლოვანი მხარეების კრიტიკულად შეფასებისას გ. წერეთელი თვით ისეთ დიდ მწერლებსაც არ ერიდებოდა, როგორიც, მაგალითად, შოთა რუსთაველი იყო. უნდა ითქვას, რომ, საერთოდ, „ვეფხის-ტყაოსანს“ გ. წერეთელი დიდად აფასებდა და მას უდიდესი ეროვნული და საკაცობრიო მნიშვნელობის ნაწარმოებად თვლიდა. „ვეფხის-ტყაოსანზე“ მითითებით გ. წერეთელი ამტკიცებდა: „რაც ევროპის ერთა გონებას მეჩვიდმეტე და პირველ ნახევარ მეთვრამეტე საუკუნეში ასაზრდოებდა, ის ქართველ ერს მეთორმეტე საუკუნეში უკვე ჰქონებია შეგნებული, შეთვისებული და მონელებული“...[1] მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია გ. წერეთლისათვის, რომ შოთა რუსთაველისათვის „გრძნობისა და სიტყვების გაზვიადება, გაბრტყელება, და ზოგან არა ნამდვილი სურათების გამოყვანა“ ესაყვედურებინა. „შეუფერავი რეალისტი“ ვერ ითმენდა სინამდვილის აღწერაში მცირე გადახვევასაც კი რეალიზმის პრინციპებიდან.

გიორგი წერეთლის მსოფლმხედველობის ეროვნული ძირების გამორკვევისათვის მეტად საყურადღებო მასალას შეიცავს მის მიერ ნ. ბერძენოვთან და პ. უმიკაშვილთან ერთად 1870 წელს გამოცემული „დავითიანის“ წინასიტყვაობა — „დავით გურამიშვილი და იმისი წინა დროები“. ამ წერილში

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, რეცენზია ხახანაშვილის წიგნზე, „კვალი“. 1898 წ., № 47, გვ. 781.

განვითარებულ ზოგიერთ დებულებას შეიძლება არც დავეთანხმოთ, მაგრამ მასში მაინც ნათლად ჩანს, თუ რა აკავშირებს გ. წერეთელს ქართული მწერლობის მრავალსაუკუნოვან ისტორიასთან, სახელდობრ, რა იდეური საზრდო მიიღო მან ქართული მწერლობის მდიდარი ისტორიული საგანძურიდან.

გიორგი წერეთელი რუსთაველის წინადროინდელ ხანას ქართულ მწერლობაში „ზღაპრულ პერიოდს“ უწოდებს. რუსთაველის დიდი დამსახურება ქართველი ხალხის წინაშე, გ. წერეთლის აზრით, სწორედ ის არის, რომ მან მწერლობას ჩამოაშორა ფანტასტიური საბურველი, გამოიყვანა იგი „ზღაპრული პერიოდიდან“ და დაუახლოვა ადამიანის რეალურ ცხოვრებას. „რუსთველის მაღალაზროვანმა გამოხატულებამ გვიჩვენა ნამდვილი კაცი, რომლის ზნეობითი სიდიდე და დამცრობა უმეტეს ნაწილათ გარემოებაზეა დამოკიდებული“.

შემდეგ გ. წერეთელი ე. წ. აღორძინების ხანის მწერლობას და დ. გურამიშვილის შემოქმედებას განიხილავს. გ. წერეთლის აზრით, „დავით გურამიშვილის თხზულებამ მეთვრამეტე საუკუნეში დააგვირგვინა ნაციონალური პოეზია, რომელიც დიდმა თეიმურაზმა და... არჩილმა დააფუძნეს მეჩვიდმეტე საუკუნეში“ [1].

გ. წერეთელი აღორძინების ხანის, კერძოდ, არჩილის პოეზიის მთავარ იდეურ შინაარსად თვლის ქართველი ხალხის ბრძოლას ეროვნული თავისუფლებისათვის გარეშე მტრებისა და შინაური ფეოდალების წინააღმდეგ. და მართლაც იმ დროის ქართული პოეზია და საზოგადოებრივი აზროვნება მტრის წინააღმდეგ ბრძოლის მძლავრი საშუალება იყო. კერძოდ, „არჩილის პოეზია იდეურობის ნიმუშია... მისი პოეზია სამშობლოს სიყვარულისა და მისთვის თავდადებული ბრძოლისაკენ მოწოდებაა. არჩილმა პირველმა სთქვა: „თუ ამოწყდეს გლეხი-კაცი საქართველო დაძაბუნდა“, არჩილი

---

[1] „დაეთიანი“, 1870 წ., იხ. წინასიტყვაობა გ. წერეთლისა, გვ. VIII, IX.

კარგად ხედავდა, რომ გლეხთა ამოწყვეტის მიზეზი ფეოდალების ძალადობა იყო"...[1]

მე-19 საუკუნეში საქართველოს, ირანისა და ოსმალეთის ბარბაროსული ურდოები აღარ სჯიჯგნიდნენ. რუსმა ხალხმა იხსნა ქართველი ხალხი ფიზიკური მოსპობისაგან. მაგრამ რუსეთის თვითმპყრობელობა ქართველი ხალხის ეროვნული დამონებისა და ეკონომიური ძარცვის პოლიტიკას ატარებდა. მშრომელი მასების გაძარცვის საქმეში თვითმპყრობელობას დიდად უწყობდა ხელს ქართველი მსახურეული არისტოკრატია. ერთი სიტყვით, დამპყრობელი და მისი მსახური ბატონები შეიცვალენ; მაგრამ დაპყრობა და ბატონობა დარჩა. მსგავსი მიზეზები მსგავსსაეე შედეგებს იწვევენ და რა გასაკვირია, რომ მე-19 საუკუნის მწერალ-განმანათლებელსა და მე-17 საუკუნის ფეოდალ-პოეტს შორის იდეური ნათესაობა არსებობს. დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლა, თავადაზნაურობის მიერ გლეხობის აღვირახსნილი ექსპლოატაციის აღიარება საქართველოს დაცემის ძირითად მიზეზად და უკმაყოფილება ამის გამო, ფორმალური სიმარტივე და ხალხურობა, — სამართლიანად მიაჩნია გ. წერეთელს აღორძინების ხანის მწერლობისა და, კერძოდ, არჩილის პოეზიის ძირითად იდეურ შინაარსად. სწორედ ეს იდეური შინაარსი იყო რადიკალურად მოაზროვნე „თერგდალეულის" მსოფლმხედველობის ერთ-ერთი წყარო. მართალია მამულისშვილი მეფე-პოეტი გლეხთა გამოსარჩლებამდე ფეოდალური საქართველოს გადარჩენის ინტერესმა მიიყვანა, ხოლო მამულიშვილი აზნაური-განმანათლებელი — ბურჟუაზიული საქართველოს დაბადების აუცილებლობამ, ამიტომ პირველი, გათვითნებებული და გაუტანელი თავადაზნაურობისადმი რჩევის მიცემით კმაყოფილდება, ხოლო მეორე, თავადაზნაურობის მოსპობის მომხრეა,— მაგრამ ლაპარაკია მათ შეხედულებათა მსგავსებაზე და არა იგივეობაზე.

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, „საქართველოს ისტორია" ნაწილი I, 1949 წ., გვ. 365 — 366.

კიდევ უფრო მახლობელი იდეური ნათესაობა აკავშირებს გიორგი წერეთელს დ. გურამიშვილის შემოქმედებასთან. აღსანიშნავია, რომ გ. წერეთელი დ. გურამიშვილის შემოქმედებიდან გამოჰყოფს და წინა პლანზე სწევს სწორედ იმ იდეურ-ლიტერატურულ შეხედულებებს, რომლებსაც თვითონ იცავდა ასე ენერგიულად ანტონ კათალიკოსის იდეური ჩამომაელობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

გიორგი წერეთელს დავით გურამიშვილის შემოქმედების მთავარ იდეურ შინაარსად მიაჩნია: — სწავლისა და შრომის საჭიროების ქადაგება, თავისი დროის სინამდვილისადმი კრიტიკულ-რეალისტური დამოკიდებულება, „სოფლის სამდურავი“ საქართველოს ძნელბედობის გამო და ხალხურობა. მისი აზრით, „გურამის-შვილი მღაღადებელია ახალი დროისა“ [1].

გიორგი წერეთელი არც ცდებოდა: რუსთაველისა და თეიმურაზ პირველის, არჩილისა და გურამიშვილის პოეზია ჩანასახის სახით უკვე შეიცავდა ახალი დროის მღაღადებელ იდეურ ელემენტებს, რომლებიც მე-19 საუკუნის ქართული მწერლობისა და საზოგადოებრივი აზროვნების მოწინავე წარმომადგენლებმა თავისი დროის მოთხოვნილებათა მიხედვით აითვისეს, განავითარეს და განამტკიცეს. ქართული ლიტერატურის ისტორიკოსების მიერ საკმაო დამაჯერებლობით არის ნაჩვენები, რომ მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქართული მწერლობა ძველი ქართული მწერლობის (იდეური) ზეგავლენით ვითარდებოდა. „თერგდალეულებმა“ კი უშუალოდ ქართველი რომანტიკოსების ხელიდან მიიღეს საქართველოს ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის დროშა. მართალია ქართველი რომანტიკოსები და „თერგდალეულები“ სხვადასხვა კლასობრივი პოზიციებიდან იღწვოდნენ საქართველოს ეროვნული განთავისუფლებისათვის და, მაშასადამე, მათი მსოფლმხედველობის იდეურ-კლასობრივი შინაარსიც (ფორმაზე რომ აღარათერი ვთქვათ) განსხვავებული იყო. მაგრამ ჯერ კიდევ 20-იან წლებში ხელ-

---

[1] დავითიანი, გვ. XI.

ახლა დასმული საკითხი „ქართლის ბედისა“ მთავარ საჭირბოროტო საკითხად დარჩა მე-19 საუკუნის მიწურულამდის და ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ „თერგდალეულები“ უარს არ ამბობდნენ ქართველი რომანტიკოსების იდეურ მემკვიდრეობაზე, რამდენადაც ეს უკანასკნელი პატრიოტიზმის ცხოველმყოფელ შეხედულებებთან ერთად რეალისტურ-დემოკრატიულ ტენდენციებსაც შეიცავდა. აღარაფერს ვამბობთ 50-იანი წლების ბოლოს ლიტერატურულ სარბიელზე გამოსული ორი ქართველი „რაზნოჩინელის“ — ლავრენტი არდაზიანისა და დანიელ ჭონქაძის შესახებ, რომელთა დემოკრატიული შეხედულებანი — 60 — 70-იანი წლების ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში დემოკრატიზმის გამარჯვების უშუალო პროლოგი იყო.

გიორგი წერეთელი თავიდანვე მკვეთრად გაემიჯნა და ბოლომდე ენერგიულად ებრძოდა წინა თაობის რეაქციულ შეხედულებებს, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა მას ნიკ. ბარათაშვილის პოეზიით აღფრთოვანებულიყო და „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილისა“ და „სურამის ციხის“ ავტორები ქებით მოეხსენებინა. გიორგი წერეთელი კარგად ხედავდა ძველი თაობის იდეურ კრიზისსა და პოლიტიკურ დეკადანსს. მას მტკიცედ სწამდა, რომ „მამები“ ანტიდემოკრატიულ, ფეოდალურ-კონსერვატიულ პოზიციებზე იდგნენ და ხელს უშლიდნენ საქართველოს ეროვნულ აღორძინებას, რომ მათ არსებითად უღალატეს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის პრინციპს ვიწრო-კლასობრივი ინტერესებისათვის და ეროვნული ბრძოლის დროშა რომანოვების დინასტიას გაუფინეს ფეხქვეშ.

მაგრამ ამასთან ერთად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „მამათა“ და „შვილთა“ გააფთრებული ბრძოლის დროსაც კი გ. წერეთელი ხელაღებით არ უარყოფდა მისი წინამორბედი თაობის ერთგვარ დამსახურებას ქართული ენისა და ქართველი ხალხის წინაშე და ეძებდა დადებით მარცვალს „ნამეტურ თ. გრ. ორბელიანის, სწორედ ხალხური ელემენტით სავსე

პოეტურ გრძნობებში, სადაც ასე ალტაცებით არის გამოყვანილი, თუ რას შეხარის ქართველის გული"[1].

ამრიგად: გიორგი წერეთლის მსოფლმხედველობა მჭიდროდ უკავშირდება მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობისა და საზოგადოებრივი აზროვნების პროგრესულ ტრადიციებს. სხვანაირად, რომ ვთქვათ, ქართული პატრიოტულ-დემოკრატიული და რეალისტურ-მატერიალისტური აზროვნება მისი მსოფლმხედველობის ერთ-ერთი უმთავრესი იდეური წყარო იყო.

ასეთ სოციალ-ეკონომიურ და იდეურ-პოლიტიკურ პირობებში ჩამოყალიბდა გ. წერეთლის მსოფლმხედველობის სამი ძირითადი პრინციპი: პატრიოტიზმი, დემოკრატიზმი და „სოციალიზმი". გ. წერეთლის მსოფლმხედველობა 60—70-იან წლებში შემუშავდა, მაგრამ იგი ბოლომდე დარჩა ამ პრინციპების ერთგული. გ. წერეთელი სიკვდილამდე ყოველგვარი ექსპლოატაციის მოწინააღმდეგე იყო. 60-იან წლებში იგი ბატონყმობის წინააღმდეგ იბრძოდა და ფიქრობდა, რომ მისი მოსპობით საყოველთაო კეთილდღეობა დამყარდებოდა. მაგრამ ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ექსპლოატაციის კიდევ უფრო სასტიკი ფორმები გაბატონდა და გ. წერეთელიც 70-იან წლებში განაგრძობდა ბრძოლას, ერთი მხრივ, ბატონყმობის ნაშთების წინააღმდეგ ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის სასარგებლოდ და, მეორე მხრივ, ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის „წინააღმდეგ" მისი მავნე მხარეების მოსასპობად „დემოკრატიზაციისა" და „სოციალიზაციის" გზით.

1873—1877 წლებში გიორგი წერეთელი საზღვარგარეთ ცხოვრობდა. ევროპის სახელმწიფოების სოციალ-ეკონომიური ცხოვრების უფრო ახლო გაცნობამ იგი საბოლოოდ დაარწმუნა იმ წყობილების უვარგისობაში, რომლის დროს „ღიპი-

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, „თხზ. სრ. კრებული", ტ. I, გვ. 21.

ანი ბურჟუა“... „ყოველთვის კმაყოფილია თავის ჯიბისა და მუცლისა, დანარჩენი კი თუნდ წყალსაც წაუღია“...[1]

რუსეთ-თურქეთის ომის დროს, 1877 — 1878 წლებში, გიორგი წერეთელი პეტერბურგის გაზეთ „გოლოსის“ სპეციალური კორესპონდენტი გახდა და ფრონტზე გაემგზავრა. ამ ომმა იმედი გაუღვიძა გიორგი წერეთელს. იგი ფიქრობდა, რომ სინამდვილედ იქცეოდა ქართველი ხალხის დიდიხნის ოცნება: საქართველოს დაუბრუნდებოდა მისი ძველთაძველი ტერიტორიები, რომლებიც თურქმა დამპყრობლებმა მიიტაცეს. ამ პერიოდში გიორგი წერეთელმა პეტერბურგისა და თბილისის რუსულ პრესაში გამოაქვეყნა მთელი რიგი სტატიები, რომლებშიც იგი ამტკიცებდა, რომ „ოლთისი, ბაიბურთი, არდაგანი, აჭარა, ჭანეთი“... ქართული ტერიტორიებია და ქართველ ხალხს უნდა დაუბრუნდესო. იგი ყოველნაირად აქეზებდა რუსეთის მთავრობას დაეპყრო და შეეერთებინა მთელი სამხრეთი საქართველო.

80-იან წლებში გიორგი წერეთელი სამრეწველო საქმიანობამ გაიტაცა. იგი ცდილობდა თავისი პოლიტიკური პროგრამის პრაქტიკულად განხორციელებას „სამშობლოს დახმარების გულისთვის“ და „სახელისა და დიდების“ მოსაპოვებლად.

90-იან წლებში გიორგი წერეთელი ახალ საზოგადოებრივ ძალას — მარქსისტულ ახალგაზრდობას დაუკავშირდა და მასზე დაამყარა ეკონომიურად ძლიერი და პოლიტიკურად დამოუკიდებელი საქართველოს აღდგენის იმედი. მარქსისტულ ახალგაზრდობას მოხუცმა ნათლიამ „მესამე დასი“ უწოდა, ფართოდ გადაუშალა თავისი ლიტერატურული ორგანოს გაზეთ „კვალის“ ფურცლები და თავის პოლიტიკურ მემკვიდრედ გამოაცხადა. ამასთან, იგი სავსებით კმაყოფილი როდი იყო „მემკვიდრეების“ მოღვაწეობით.

ასე, რომ 80 — 90-იან წლებში გ. წერეთლის პოლიტიკურ შეხედულებებს ახალი არაფერი შემატებია. მართალია,

---

[1] წერილი ს. მესხისადმი. იხ.. ს. ხუნდაძე, „მასალები ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის“, გვ. 131.

მისი შეხედულებანი დროის შესაფერის ელფერს ღებულობ-
დნენ, მაგრამ ძნელი არ არის იმის გამოცნობა, რომ ახალ
ფორმაში ძველი 60—70-იანი წლების განმანათლებლური
თვალსაზრისი იყო გამოხვეული. არსებითად გ. წერეთლის
პატრიოტული, დემოკრატიული და „სოციალისტური" შე-
ხედულებანი 90-იან წლებშიც არ შეცვლილა.

გიორგი წერეთლის პუბლიცისტური და მხატვრული შე-
მოქმედების მარქსისტული შესწავლის მიზანია, გვაჩვენოს
მისი მსოფლმხედველობის ამ სამი ძირითადი პრინციპის ნამ-
დვილი იდეურ-კლასობრივი შინაარსი.

თავი მეოთხე

გიორგი ნერეთლის ბრძოლა ქართველი ხალხის ეროვნული თანასწორუფლებიანობისათვის

ოდესღაც ძლიერ დაწინაურებული საქართველოს სამეფო მე-18 საუკუნის დასასრულს უფსკრულის პირას აღმოჩნდა. ქართველ ხალხს ფიზიკური მოსპობის საფრთხე ემუქრებოდა შაჰის სპარსეთის და სულთანის თურქეთის ბარბაროსული ურდოების გამანადგურებელი თავდასხმებისაგან. ამ საფრთხის თავიდან აცილება ქართველი ხალხისათვის ისტორიული აუცილებლობა, მისი ეროვნული ყოფნა-არყოფნის ძირეული საკითხი იყო. მაგრამ სამი მხრიდან მაჰმადიანური ურდოებით გარშემორტყმულ ქართველ ხალხს მარტოდმარტოს არ შეეძლო ამ საკითხის გადაჭრა. ქართველი ხალხის ხსნა შეეძლო მხოლოდ მის გაერთიანებას დიდ რუს ხალხთან. ამიტომაც ესწრაფოდა ქართველი ხალხი რუსეთთან შეერთებას. ეს მისწრაფება სავსებით ჰქონდა შეგნებული საქართველოს უკანასკნელ სახელგანთქმულ მეფეს, გმირ მეომარს და ნიჭიერ პოლიტიკოსს — ერეკლე მეორეს. ქართველი ხალხის მისწრაფებას — შეერთებოდა რუსეთს — მხარს უჭერდა აგრეთვე რუსეთის მეფის მთავრობაც, რა თქმა უნდა, რუსეთის მემამულური სახელმწიფოს განმტკიცების ინტერესებისათვის. ყოველივე ამან განსაზღვრა საქართველოს შეერთება რუსეთთან 1801 წელს.

რუსეთთან საქართველოს შეერთებას უდიდესი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული განვითარებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის სათავეში მაშინ იდგნენ მეფე და მემამულენი. ამ ისტორიული აქტის მნიშვნელობა ის იყო, რომ მან რუსი ხალხის სახით ქართველ ხალხს შესძინა დიდი მოკავშირე, ერთგული მეგობარი და დამცველი, რომელმაც ლახვარი ჩასცა სპარსეთისა და თურქეთის აგრესიულ მისწრაფებებს ამიერკავკასიაში, გადაარჩინა საქართველო ბარბაროსული ურდოებისაგან შთანთქმას, ხელი შეუწყო საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის აღორძინებას და შემდგომ განვითარებას და უზრუნველყო ქართველი ხალხის ბრწყინვალე მომავალი.

მაგრამ მეფის თვითმპყრობელობა როგორც რუსეთის ყველა ხალხისათვის, ისე ქართველი ხალხისათვისაც უბოროტეს მტერს წარმოადგენდა. „მეფის რუსეთი ხალხთა საპყრობილე იყო... ცარიზმი არარუს ხალხთა ჯალათად და მტანჯველად გამოდიოდა“ [1]. ქართველი მემამულეებისა და ბურჟუაზიის რეაქციულ ზეადაფენაზე დაყრდნობით ცარიზმი ატარებდა ქართველი ხალხის სასტიკი ეროვნულ-კოლონიური ჩაგვრის პოლიტიკას. ცარიზმმა მოსპო ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში, იგი სასტიკად ახშობდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და ქართული სახელმწიფოებრიობის შექმნისადმი მისწრაფებას, ატარებდა ძალდატანებითი გარუსების პოლიტიკას, ბორკავდა ქართული ენისა და კულტურის განვითარებას [2].

ამიტომ თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხი, როგორიც მუდამ მადლიერი იყო დიდი რუსი ხალხის უანგარო შეგობრობისა და დახმარებისა, არასოდეს არ შერიგებია სასტიკი ეროვნულ-კოლონიური ჩაგვრის თვითმპყრობელურ პოლიტიკას. იგი დიდ რუს ხალხთან ერთად იბრძოდა ცარი-

---

1 საკ. კ. პ. (ბ) ისტორია, მოკლე კურსი, გვ. 6 — 7, 1952 წ.

2 შდრ. თეზისები რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის შესახებ (1654 — 1954 წ. წ.) გვ. 14 — 15.

ზმის წინააღმდეგ. მართალია, ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობა მთელი თავისი ძლიერებით მხოლოდ მაშინ გაჩაღდა, როცა იგი რუსეთის პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთ რაზმად იქცა, მაგრამ ქართველმა ხალხმა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დასაწყისში აღიმაღლა ხმა თვითმპყრობელობის ეროვნულ-კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ.

ქართველ ფეოდალებს პირველ ხანებში ვითომ არც კი ეამათ „მათი უდიდებულესობის", რუსეთის თვითმპყრობელი მეფის კონკურენცია ქართველი გლეხობის ექსპლოატაციის საქმეში და აჯანყების მოწყობა განიზრახეს. მაგრამ როცა დარწმუნდნენ, რომ თვითმპყრობელობა ხელს უწყობდა მათ მასების ექსპლოატაციაში, ქართველმა არისტოკრატებმა აჯანყების ჩსგავს ცალკეულ ექსცესებს თავი დაანებეს, სამაგიეროდ რუსეთის მეფეს ერთგულება დაუმტკიცეს და ისიც კი აღუთქვეს—დასავლეთ ევროპის ხალხთა რევოლუციური ბრძოლის ჩახშობაში დაგეხმარებითო. სწორედ ასე სწერდა რუსეთის იმპერატორს ქართველი თავადაზნაურობა 1848 წელს: „ყოველი ჩვენგანი გრძნობს წმინდა სიყვარულს და თავდადებას ჩვენი რუსეთის თვითმპყრობელი მონარქიისადმი... გვსურს, რომ მოთხოვნილ იქნეს ჩვენი სამსახური გინდ ჩვენი ქვეყნის საზღვრებში, გინდ სახელმწიფო საზღვრებ გარეთაც, თუკი იმ უწესოებათ, რომელიც აღელვებს დასავლეთ ევროპას, შეუძლია რაიმე საფრთხე მოაყენოს იმ სახელმწიფოს კეთილდღეობას, რომელსაც პატივი აქვს საქართველოს ამჟამად ეკუთვნოდესო"[1].

ასე იყო მე-19 საუკუნის საქართველოს „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის" პირველ, ფეოდალურ-მონარქიულ პერიოდში, რომელიც 1860-იან წლებამდე გრძელდება. ეს ის დროა, როცა გათვითნებებული ქართველი ფეოდალი ჯერ კიდევ აცხადებს პრეტენზიას ქართველი გლეხობის მეურვეობაზე და თავი ეროვნული ინტერესების „დამცველად" მიაჩნია. ვახტანგ მეექვსის კანონებით ყმა-გლეხი მება-

---

[1] ციტირებულია ბ. გუგუშვილის წიგნიდან: „ქართული ჟურნალისტიკა", 1941 წ., გვ. 10.

ტონის განუყოფელი კუთვნილება იყო. რუსეთის თვითმპყრობელობას არ გაუუქმებია ქართველი მებატონის ეს უფლება, რა თქმა უნდა, იმ ანგარიშით, რომ ნაძარცვიდან თვითმპყრობელობასაც „თავისი წილი“ უნდა მიეღო. „წილის“ მიღების თვითმპყრობელურმა სურვილმა ერთგვარად შელახა ქართველი მებატონის განუყოფელი და შეუზღუდავი უფლება ყმა-გლეხის აღვირახსნილი ექსპლოატაციისა. წინათ ქართველი ფეოდალი თვითონ იყო თვითმპყრობელი თავის საბატონოში: ღალა არ აკლდა და ბეგარა. ქვეყანას რომ მტერი შემოესეოდა და მეფე ქუდზე კაცს მოითხოვდა, ქართველი ფეოდალი სამეფოს დასაცავად ან გამოვიდოდა, ან არა, იმის მიხედვით, თუ როგორი ურთიერთობა ჰქონდა მას მეფესთან, ან ემუქრებოდა თუ არა მტერი უშუალოდ მის საბატონოს.

რუსეთის „ძლიერი და ორგანიზებული თავადაზნაურული სამხედრო ბიუროკრატია“, რომელსაც თვითმპყრობელი მეფე ედგა სათავეში, ვერ ითმენდა ასეთ თვითნებობას. თავის მხრივ, ცენტრალისტურ ხელისუფლებას მიუჩვეველი, გათვითნებებული ქართველი არისტოკრატიაც უცებ ვერ შეურიგდა თავისი ძველი პრივილეგიების დაკარგვას და საქართველოს „განთავისუფლება“ მოისურვა. ქართველმა არისტოკრატებმა აჯანყების გზით რუსების საქართველოდან განდევნა გადასწყვიტეს, რათა წინათ მათ მიერვე დარღვეული საქართველოს სამეფოს „დამოუკიდებლობა“ აღედგინათ და კვლავ თავთავის ციხესიმაგრეებში ჩამსხდარიყვნენ.

ს ტ ა ლ ი ნ ი ასე ახასიათებდა 1832 წლის შეთქმულების მონაწილე ქართველი თავადაზნაურობის ეროვნულ „მოძრაობას“: „საქართველოს რუსეთთან შეერთების“ შემდეგ ქართველმა თავადაზნაურობამ იგრძნო, თუ რა საზარალო იყო მისთვის ძველი პრივილეგიებისა და ძლიერების დაკარგვა, რომლებიც მას ქართველი მეფეების დროს ჰქონდა, იუკადრისა „უბრალო ქვეშევრდომობა“ და მოინდომა „საქართველოს განთავისუფლება“. ამით მას უნდოდა „საქართველოს“ სათავეში ქართველი მეფეები და თავადაზნაურობა დაეყენებინა და, ამგვარად, მათთვის გადაეცა ქართველი

ხალხის ბედ-იღბალი. ეს იყო ფეოდალურ-მოწარჟიული „ნაციონალიზმი“ [1].

ქართველი თავადაზნაურობა რომ „საქართველოს ძველი დიდების“ აღდგენაზე ოცნებობდა, კლასობრივი და ეროვნული ჩაგვრის ორმაგი უღლის სიმძიმით წელში გატეხილი ქართველი გლეხობა დიდის ვაი-ვაგლახით ახერხებდა ელემენტარული საარსებო პირობების შენარჩუნებას. გლეხთა აჯანყებები საქართველოში მთელი მე-19 საუკუნის განმავლობაში არ შეწყვეტილა. მაგრამ იმ დროს გლეხობის კლასობრივი შეგნების დონე მეტად დაბალი იყო და მათი გამოსვლებიც „მოთმინება-დაკარგული“ ადამიანების სტიქიური ჯანყის ფარგლებს არ სცილდებოდა.

ეროვნული და კლასობრივი ჩაგვრისა და ძალადობის პირობებში სიცოცხლეს ქართველი გლეხი შინაურ და გარეშე მოძალადეთა წინააღმდეგ ბრძოლაში სიკვდილს ამჯობინებდა, მაგრამ მას ჯერ კიდევ ღრმად სწამდა ღვთაებრივი ჯვრის „სიწმინდე“ და ხელმწიფის „გულკეთილობა“. გლეხობის ფართო მასებს ჯერ კიდევ სჯეროდათ, რომ თვითმპყრობელობა გააუმჯობესებდა მათ მძიმე მდგომარეობას, თუ გლეხების თხოვნას „ხელმწიფის ყურამდე მიუშვებდნენ“[2]. ასეთი შეუგნებელი, სტიქიური ხასიათისა იყო გლეხთა მაშინდელი აჯანყებები. მიუხედავად ამისა, საქართველოში მე-19 საუკუნის მიწურულამდე უმთავრესად გლეხთა მოძრაობა იყო ძირითადი რეალური მასობრივი ძალა, რომელიც გააფთრებით ებრძოდა ცარიზმის ეროვნულ-კოლონიურ პოლიტიკას.

მე-19 საუკუნის 60-იან წლებში იწყება საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი პერიოდი.

საგლეხო რეფორმის შემდეგ საქართველოშიც შედარებით სწრაფად იწყო განვითარება კაპიტალიზმმა. ფეოდალიზმის რღვევისა და კაპიტალიზმის განვითარების შედეგად

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 32.

[2] იხ. პ. გუგუშვილი, ქართული ჟურნალისტიკა, გვ. 6.

ქართველი ხალხი ერად ჩამოყალიბდა, რასაც მოჰყვა ეროვნული ცხოვრების გამოღვიძება. ქვეყნის ეკონომიურ-კულტურულმა წინსვლამ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაღრმავება, გაფართოება და ახალი შინაარსით ავსება გამოიწვია. „...საქონლის წარმოების განვითარებამ, ბატონყმობის გადავარდნამ, სათავადაზნაურო ბანკის დაარსებამ, კლასთა ანტაგონიზმის გაძლიერებამ ქალაქსა და სოფელში, სოფლელი ღარიბების გაღონიერებულმა მოძრაობამ და სხვა ამისთანებმა — სასიკვდილო ლახტი დაკრა ქართველ თავადაზნაურობას და, მასთან ერთად, ფეოდალურ-მონარქიულ ნაციონალიზმს... ამასთანავე... საზოგადოებრივმა ცხოვრებამ წამოაყენა ჩვენში ბურჟუაზიის ნაციონალური საკითხი“ [1].

გასული საუკუნის მეორე ნახევარი საქართველოში აღმავალი კაპიტალიზმის ხანა იყო. იმ დროის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობაც თავისი ძირითადი შინაარსით პროგრესულ-რევოლუციური ხასიათისაა, რამდენადაც „პროგრესულია მასების გამოღვიძება ფეოდალური მძინარობისაგან, მათი ბრძოლა ყოველგვარი ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, ხალხის სუვერენობისათვის, ერის სუვერენობისათვის“ [2].

60 — 70-იანი წლების ქართულ სინამდვილეში წარმოშობილი ახალი საზოგადოებრივი ძალები რუსეთის თვითმპყრობელურ-მემამულური სახელმწიფოს სამხედრო-ბიუროკრატიული რეჟიმისაგან განთავისუფლებას რომ მოითხოვდნენ, განსაზღვრული აზრით, მთელ ხალხთან ერთად მონაწილეობდნენ ფეოდალიზმის ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლაში. მაგრამ „ბაზარი პირველი სკოლაა, სადაც ბურჟუაზია ნაციონალიზმს სწავლობს“ [3] და ახალგაზრდა ქართველი ბურჟუაზიისთვისაც საქართველოს და ქართველი ხალხის განთავისუფლება არსებითად უცხო ქვეყნის ბურჟუაზიასთან ბრძოლაში „მშობლიური“ ბაზრის დაპყრობას ნიშნავდა.

ამიტომ იყო, რომ 90-იან წლებში, როცა ქართველი ხალხის ეროვნული განთავისუფლების საქმე პროლეტარიატის

---

1 ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 33.
2 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 20, გვ. 24.
3 ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 2, გვ. 329.

ხელში გადადიოდა, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბევრი გამოჩენილი მოღვაწე ნაციონალისტურ-რეაქციულ კილოზე ალაპარაკდა. დიალექტიკამ აქაც გაიმარჯვა: თავის დროზე ნაციონალური და რევოლუციური, შემდეგში ნაციონალისტურად და რეაქციულად გადაიქცა; ბურჟუაზიული პატრიოტიზმი, რომელმაც პროგრესულ-რევოლუციური როლი ითამაშა ფეოდალიზმთან ბრძოლის ეპოქაში, კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დასაწყისიდანვე შეუთავსებელი აღმოჩნდა პროლეტარულ ინტერნაციონალიზმთან.

გ. წერეთლის ეროვნული შეხედულებანი, მისი ეროვნული პროგრამა და პოლიტიკა, მით უფრო საინტერესოა, რომ მან სცადა ბურჟუაზიული „ნაციონალიზმის" მორიგება პროლეტარულ ინტერნაციონალიზმთან, თუმცა ეს ცდა, რაღა თქმა უნდა, მარცხით დამთავრდა.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ პერიოდში (1861 წლიდან — 1890-იან წლებამდე) თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის იდეური ბელადები ქართველი განმანათლებლები იყვნენ.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ქართველი ხალხის ეროვნულ-რევოლუციური ბრძოლა თვითმპყრობელურ-მემამულური წყობილების წინააღმდეგ ორ სხვადასხვა ფორმაში გამოვლინდა: ერთი მხრივ, მოწინავე ქართველი ინტელიგენცია იბრძოდა, მეორე მხრივ, — ქართველი გლეხობა. ინტელიგენცია ბრძოლის იდეურ საშუალებებს აძლევდა უპირატესობას და უმთავრესად საგანმანათლებლო მუშაობით კმაყოფილდებოდა; ხოლო გლეხობა ხელში პირველმოხვედრილი იარაღით ცდილობდა ჩაგვრისა და ექსპლოატაციის ორმაგი უღლის მოშორებას. პირველნი ხალხში განათლების გავრცელებით ფიქრობდნენ სამართლიანობის აღდგენას, მეორენი მეფის „ცუდი" ჩინოვნიკების გაქლეტით აპირებდნენ უსამართლობის მოსპობას. ქართველი ინტელიგენციის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ბოლომდე შერჩა „წმინდა" ინტელიგენტური სული ხოლო გლეხობის რევოლუციურ გამოსვლებს მხოლოდ

პროლეტარული მოძრაობის წარმოშობის შემდეგ ჩამოშორდა სტიქიური ხასიათი. ეროვნულ-რევოლუციური ბრძოლის თეორიულ-ინტელიგენტური და სტიქიური მიმდინარეობანი არ შეერთებულან და, ამრიგად, ქართველი განმანათლებლები მოწყვეტილი აღმოჩნდნენ გლეხთა სტიქიური გამოსვლებისაგან. ამიტომაც მათი ეროვნული პროგრამა წმინდა პროპაგანდისტული ხასიათისაა. ეს პროგრამა არასდროს არ გადაქცეულა მასების ცოცხალი მოძრაობის კონკრეტულ გეგმად. მიუხედავად ამისა, ქართველი განმანათლებლების ეროვნულმა შეხედულებებმა დიდი როლი ითამაშეს ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების შემუშავების საქმეში.

„საკითხის გადაჭრისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს საკითხის რიგიანად დაყენებას“ (სტალინი). როგორ აყენებდა გ. წერეთელი საქართველოს ეროვნული განთავისუფლების საკითხს?

გ. წერეთლის აზრით, ეროვნული საკითხი საქართველოში უნდა გადაჭრილიყო სოციალურ საკითხზე ადრე, ე. ი. საქართველო ჯერ უნდა განთავისუფლებულიყო თვითმპყრობელობის კოლონიური უღლისაგან, ხოლო შემდეგ უნდა დაწყებულიყო ბრძოლა „მშრომელი ხალხის“ კლასობრივი განთავისუფლებისათვის. ამიტომაა, რომ მთელ რიგ სტატიებში საფრანგეთის რევოლუციის ძირითად საკითხად გ. წერეთელს ეროვნული საკითხი მიაჩნია. მისი აზრით, უდიდესი მნიშვნელობა ამ რევოლუციისა, რომელმაც, ლენინის სიტყვით რომ ვთქვათ, მხოლოდ გაკვრით, გზადაგზა გადაწყვიტა ნაციონალური საკითხიც, — ის არის, რომ მან გაათავისუფლა ევროპის ხალხები ეროვნული ჩაგვრისაგან. „წარსული საუკუნის გასულს, — წერდა გ. წერეთელი, — საფრანგეთში დიდი რევოლუციის დროშა აიმართა ერთა განსათავისუფლებლათ... ეროვნების თავისუფლების პრინციპმა ძველი თვითმპყრობელობითი წეს-წყობილება პირქვე დაამხო“ [1].

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, წარსული წლის პოლიტიკა, „კვალი“, № 38 1896 წ.

საგულისხმოა, რომ თვით სოციალიზმის ძირითად მიზნად გ. წერეთელს კლასობრივი ჩაგვრისა და ექსპლოატაციის მოსპობა კი არ მიაჩნია, არამედ, უწინარეს ყოვლისა, ეროვნული ჩაგვრის აღმოფხვრა და ეროვნული თანასწორობის დამყარება. „როცა გარემოებას მივიღებთ მხედველობაში, — სწერდა იგი ეგნატე ნინოშვილს, — მაშინ ასეთი პრინციპი წარმოდგება სოციალურ (ე. ი. სოციალისტური. მ. გ.) დოქტრინისა, — ერთმა სახელმწიფომ მეორე სახელმწიფო არ დაჩაგროს, ერთმა ერმა მეორე ერი არ დაჩაგროს, ერთმა კაცმა მეორე კაცი არ დაჩაგროს... ნუ ვუმტყუნებთ სოციალურ პრინციპს, მაგრამ იმდენად რამდენადაც ეს... არ გადაიქცევა ჩვენსავე დასაკლავ დანათ. ჩვენ ბედში მყოფი ხალხი ორივე ხელით უნდა ვეკიდებოდეთ ჩვენს ისტორიას, ცხოვრებას, ჩვენს ქართველობას და ამასთანავე ჩვენსავე ქვეყანაში ვავრცელებდეთ სოციალურ იდეებს, რომ წოდებითი და შეძლებითი უთანასწორობა რაიმე ნაირად მოვსპოთ... აი, ამ გარემოების ძალით ჩვენ უნდა ვიყოთ ნაციონალ-სოციალისტები მანამდის, სანამდის ქვეყანაზე დაჩაგრული ნაციები, როგორც ჩვენცა ვართ, არ განთავისუფლდებიან სხვა უფრო ძლიერის ნაციის მონობისაგან“ [1].

ამრიგად, ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლას გ. წერეთელი ყველაზე უფრო აქტუალურ საქმედ თვლიდა. დიდტანიან სოციალურ რომანებს წერდა, თუ პატარა, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო სტატიებს, ნაციონალური და სოციალური ჩაგვრის უღრმეს მიზეზებს ეძებდა, თუ გლეხებს „ბოსტნის განყოფას... კვლების განრიგებას“ და აბრეშუმის ჭიის მოვლას ასწავლიდა, პეტერბურგის სტუდენტთა რევოლუციურ დემონსტრაციაში მონაწილეობდა, თუ ჭალის მთაში ნავთის წყაროებს დაეძებდა, ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი კულტურის მივიწყებულ ძეგლებს იკვლევდა, თუ რომელიღაც თავხედ შოვინისტს ქართული ენის შესახებ ეკამათებოდა, — თავისი ქვეყნის დიდ პატრიოტს —

---

[1] გ. წ ე რ ე თ ლ ი ს წერილი ე. ნინოშვილს. იხ. ეგ. ნინოშვილი, ოხზ., ტ. 3, გვ. 156—157.

გ. წერეთელს მუდამ თვალწინ ედგა ჩაგრული სამშობლო და მისი თავისუფლებისათვის ბრძოლას პირველ რიგში აყენებდა. ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ეპოქაში შეუძლებელი იყო ქართველი ხალხის ეროვნული განთავისუფლების ნამდვილი გზის აღმოჩენა. ეს გზა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების საფუძველზე დაისახა საქართველოში პროლეტარული მოძრაობის წარმოშობის შემდეგ. მაგრამ გ. წერეთლის წარმოდგენა გონებაშეზღუდულ ნაციონალისტად შეცდომა იქნებოდა; რამდენადაც იგი არა მარტო ეროვნული ჩაგვრის, არამედ, საერთოდ, ყოველგვარი, კერძოდ, კლასობრივი ჩაგვრის წინააღმდეგაც იბრძოდა, ამდენად მისი მსოფლმხედველობა არა მარტო „ნაციონალური", არამედ უაღრესად დემოკრატიულიც იყო. თავისი ქვეყნის მდგომარეობამ აიძულა გ. წერეთელი სუბიექტურად გამოეთიშა ნაწილი მთელისაგან, ეროვნული საკითხი — სოციალური საკითხისაგან, მაგრამ ობიექტურად მისი მსოფლმხედველობის პატრიოტული და დემოკრატიული პრინციპები მჭიდროდ უკავშირდებოდნენ ერთმანეთს. ამ შემთხვევაში გ. წერეთელი გამონაკლისი არ იყო. ასე ფიქრობდა საქართველოს ეროვნულ-რევოლუციური მოძრაობის ყველა გამოჩენილი მოღვაწე 60 — 70-იან წლებში, თუ არ ჩავთვლით ქართველ ნაროდნიკებს. „ადრიდა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნესო",— ი. ჭავჭავაძის ეს სიტყვები ქართველი განმანათლებლების ძირითადი საბრძოლო-პროპაგანდისტული ლოზუნგი, და მისი შინაარსი მათი მსოფლმხედველობის უმთავრესი შემადგენელი ნაწილი იყო.

ამრიგად, გ. წერეთელი ქართველი ხალხის კლასობრივი განთავისუფლების პირობად მის ეროვნულ განთავისუფლებას აცხადებდა. ამ ფაქტის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია გ. წერეთლის მსოფლმხედველობის შესწავლა და ჯეროვანი შეფასება. სამწუხაროდ, ამ გარემოებას ზოგჯერ სრულიად ივიწყებენ ან სათანადო ყურადღებას არ აქცევენ; ამის გამო გ. წერეთლის ეროვნულ-დემოკრატიულ შეხედულებათ-

პროგრესულ-დემოკრატიული ხასიათი იჩრდილება უნაყოფო კამათში: იყო თუ არა გ. წერეთელი სოციალისტი.

გ. წერეთელი ებრძოდა თვითმპყრობელობის ეროვნული ჩაგვრის კოლონიურ პოლიტიკას. იგი აღტაცებით გასძახოდა ქართველ ხალხს: „მაშ აკურთხოს ღმერთმა ყოველი განცალკევებული საგნის არსებობა, თუნდ რომ ჭიანჭველაც იყოს და დასწყევლოს... ის ძალა, რომელიც იმის უდროოდ გასრესას ნდომულობსო“ [1]. ცხადია, ამ სიტყვებში არაფერი სოციალისტური არ არის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ სიტყვებით გამოთქმული აზრი თავის დროისათვის რევოლუციური შინაარსის შემცველი იყო. სახელდობრ, გ. წერეთელი ამით უსაბუთებდა ქართველ ხალხს სხვა ჩაგრული ხალხებისამებრ ეროვნულ-რევოლუციური ბრძოლის გაჩაღების აუცილებლობას მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. „ჩვენც ის იარაღები უნდა ვიხმაროთ... ჩვენი თვითარსებობის დასაცავად, რაც ევროპის ერებს უხმარიათო“, — ამბობდა იგი.

გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში, როცა რუსეთში რევოლუციური სიტუაცია შეიქმნა, ხოლო ჩაგრულ ხალხთა რევოლუციური ბრძოლა დასავლეთ ევროპაში აღმავალი ხაზით ვითარდებოდა, პეტერბურგს მყოფმა ქართველმა სტუდენტობამ დააყენა საკითხი თვითმპყრობელობის ეროვნულ-კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის გზების შესახებ. როგორც გ. წერეთლის „მგზავრის წერილებიდან“ ჩანს, ქართველი სტუდენტობა ამ საკითხში ერთნაირი აზრის არ იყო. ქართველი სტუდენტების ერთი ჯგუფი ნაციონალური რევოლუციის იდეას ემხრობოდა, მეორე კი ლიბერალურ-შემთანხმებლურ ტაქტიკას იცავდა.

რევოლუციონერი სტუდენტების აზრით, თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხი უძლეველია, რადგან „სამშობლო ბრძოლაში და თავისუფლების დაცვაში თავის დამცველი ხალხი უფრო გამწარებული იბრძვის და ბრძოლასაც მოუგებს ძალიან კარგს გაწვრთნილს ჯარს, თუ ეს ჯარია შემო-

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, რჩ. ნაწ., ტ. 1, გვ. 185.

სული და ქვეყნის დამმორჩილებელი". რევოლუციონერი სტუდენტები საერთოდ გმობდნენ ომებს, მაგრამ ისინი სამართლიანად თვლიდნენ ჩაგრული ხალხის ომს დამპყრობელთა წინააღმდეგ. ამავე დროს სამართლიანი, რევოლუციურ-განმათავისუფლებელი ომების გამარჯვება და უსამართლო, რეაქციული, დაპყრობითი ომების დამარცხება მათ თანაბარ აუცილებლობად მიაჩნდათ [1].

ლიბერალებისა და რევოლუციონერების ბრძოლაში, რომელიც ასე ღრმა ისტორიული სიმართლითაა გადმოცემული „მგზავრის წერილებში", გ. წერეთელი რევოლუციონერების მხარეზე დადგა. გ. წერეთელს ესმოდა, რომ ლიბერალების მიერ დასახული გზა — თვითმპყრობელობის სამსახურში დაწინაურების საშუალებით საქართველოს გამოხსნისა — საეჭვო გზა იყო [2]. ამიტომ გ. წერეთელმა 60-იანი წლების დასაწყისში გადაჭრით დაჰგმო ლიბერალების „ფრთებ-მოკვეცილი მოსაზრება" და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ეროვნულ-რევოლუციური ბრძოლის პოზიცია დაიკავა: „ხმლით მოგებული ხმლითვე წარწყმდესო" [3], — ამბობდა იგი.

მაგრამ ვერც კი მოასწრო გ. წერეთელმა სამშობლოში ჩამოსვლა, რომ რევოლუციური სიტუაცია რუსეთში რეაქციის სუსხით შეიცვალა. ამ გარემოებამ და ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების ჩამორჩენილობამ რევოლუციურ იდეებზე აღზრდილ გ. წერეთელს ხმალი გვერდზე გადაადებინა და უფრო „მშვიდობიანი" იარაღი — კალამი მისცა ხელში. სწორედ ამიტომ ვერ შესძლო გ. წერეთელმა საბრძოლო-პრაქტიკულ ლოზუნგად ექცია თავისი რევოლუციური პროგრამა და ქართველი ხალხისათვის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ აჯანყებისაკენ მოეწოდებინა. მიუხედავად ამისა, გ. წერეთლის ეროვნულ-რევოლუციურ შეხედულებებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების შემუშავებისა და მომავალი ბრძოლებისათვის მისი მომზადების საქმეში.

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, რჩ. ნაწერები, ტ. 1, გვ. 127 — 130.
[2] იქვე, გვ. 163 — 164.
[3] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, რჩ. ნაწერები, ტ. 2, გვ. 162.

დიადი მიზნებით, დიდი რევოლუციური პროგრამის გახ ხორციელების სურვილით ჩამოვიდა გ. წერეთელი საქართველოში, მაგრამ ჯერ კიდევ ბატონყმურ ბურუსში მყოფი ჩვენი ცხოვრების პირობებში იგი „უმიზნოდ, უსაქმოდ უამხანაგოდ“ დარჩა. იგი იძულებული აღმოჩნდა პირდაპირი რევოლუციური ბრძოლის ნაცვლად ქართული ენის რეფორმის გატარებისა და განათლების გავრცელებისათვის ებრძოლა.

გ. წერეთელი ახლაც ხშირად იგონებდა რევოლუციონერების მხურვალე სიტყვებს, ახლაც მკვეთრად ემიჯნებოდა ანგარებიან ლიბერალებს და ხალხის კეთილდღეობისათვის უანგარო მებრძოლის პოზიციაზე რჩებოდა, მაგრამ ფაქტია, რომ რუსეთიდან ჩამოსვლის შემდეგ ტაქტიკურად იგი ლიბერალებსა და რევოლუციონერებს შორის გამავალ საშუალო ხაზზე აღმოჩნდა[1].

საშუალო გზა მერყეობის გზაა, მაგრამ ეს გზა აუცილებელია იქ, „სადაც პოლიტიკური დაწესებულებების მატერიალისტური კრიტიკა არ არსებობს“ (ლენინი). ყოველი ახალი რევოლუციური სიტუაციის დადგომისას გ. წერეთელი ცდილობდა უკიდურესად რევოლუციური პოზიცია დაეკავებინა, მაგრამ არსებითად იგი ბოლომდე საშუალო ხაზის გამტარებელი დარჩა. უმთავრესად ეს იყო იმის მიზეზი, რომ სამოცდაათიან წლებში გ. წერეთელი მაკიაველიზმის აღიარებამდე მივიდა: „საყოველთაო კეთილდღეობის“ განხორციელებისათვის ყველა საშუალება კარგიაო. „ყოველს გვარს ნება აქვს,— წერდა გ. წერეთელი 1879 წელს, — დაიცვას თავის თავი, თავისი სიცოცხლე, უკანასკნელს სისხლის ცვარამდის ყოველნაირნი საშუალებით, რასაც კი მოახერხებს, რაც ხელში მოხვდება“[2]. მაკიაველის მოძღვრების ძირითადი პრინციპების მომხრეობა გ. წერეთელს სამშობლოსადმი ერთგული სამსახურის სიმბოლოდ მიაჩნდა.

ამრიგად, 60-იანი წლების დასაწყისში გ. წერეთელი ეროვნული რევოლუციის იდეას ემხრობოდა და შესაძლებლად

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, რჩ. ნაწერები, ტ. I, გვ. 175 — 176, 88, 155, 149.

[2] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, აღმოსავლეთის პოლიტიკის აზრი, „დროება“, № 6, 1879 წ.

თვლიდა რუს და სხვა ხალხებთან ერთად ქართველი ხალხის „ჯანყებას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, ხოლო შემდეგში იგი ქართველი ხალხის განთავისუფლებისათვის, მისი კეთილდღეობისათვის ყველა საშუალებით ბრძოლის მიზანშეწონილობის აღიარებამდე მივიდა.

გ. წერეთელი მართლაც ყოველგვარი საშუალებით იბრძოდა თვითმპყრობელობის ეროვნული ჩაგვრის პოლიტიკის წინააღმდეგ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი უარყოფდა საქართველოს რუსეთთან შეერთების პროგრესულობას. პირიქით, გ. წერეთელი ყოველთვის ნათლად აღნიშნავდა, რომ რუსეთთან საქართველოს შეერთება პროგრესული საქმე იყო, რამდენადაც ამ ისტორიულმა აქტმა ქართველ ხალხს შესაძლებლობა მისცა აღედგინა და შემდგომ განევითარებინა საქართველოს ეკონომიკა და კულტურა მშვიდობიანი შრომის საშუალებით. „მეათე საუკუნიდამ დაწყებული, — წერდა გ. წერეთელი, — მეთვრამეტე საუკუნის გასვლამდის ოთხმოცდაცხრამეტჯერ მაინც შემოსეულა თურქი და სხვა ტომის მაჰმადიანები საქართველოს დასამხობად! მაგრამ ყველა ეს აუარებელი ურდოები საქართველოს ხალხის სიმტკიცეს შესკდომია... მეთვრამეტე საუკუნის გასულს გატყდა ხვანთქარი, დაძაბუნდა სპარსეთის შახი... ისინი დაყუჩდნენ, მათ თავი მოიხარეს ახალი ძალის ქვეშ, რომელიც დღეს მთელს კავკასიის აქეთა მხარეს მშვიდობიანათ განაგებს და არავის არაკითარს შფოთსა და უწესობას აღარ აბედვინებს“ [1]. „ჩვენმა ცხოვრებამ ევროპულს კვალს მიჰმართა იმ დროიდან, როცა დიდებულმა რუსეთმა თავის საფარველს ქვეშ შეგვიყვანა მძლავრ მტერთან... უწყნარებელი ბრძოლით აკლებულნი... ამას შემდეგ გაცარცულმა ქვეყანამ შეისვენა“ [2]. „მეთვრამეტე საუკუნიდან რუსეთი განათლების წყაროდ იქცა ჩვენთვის“ [3].

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ჩვენ და ჩვენი „დროება“, „დროება“, № 16, 1879 წ.

[2] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, რა გვეპირება, „კრებული“, № 5, 1871 წ., გვ. 176.

[3] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ამ დროის ეითარება, „კრებული“, № 10, 1872 წ., გვ. 90.

ასე რომ რუსეთთან საქართველოს შეერთებას გ. წერეთელი პროგრესულ საქმედ თვლიდა, რადგან რუსეთთან შეერთების შემდეგ საქართველოში ბოლო მოეღო ბარბაროსულ ხალხთა აღვირახსნილ თარეშს და, ამასთან, რუსეთი და მისი მეშვეობით მაშინდელი მოწინავე ქვეყნები ქართველი ხალხისათვის განათლებისა და კულტურის წყარო გახდა. მაგრამ, მეორე მხრით, გ. წერეთელი ვერ ურიგდება ქართველი ხალხის სასტიკი ეროვნულ-კოლონიური ჩაგვრის თვითმპყრობელურ პოლიტიკას. „ერთი ხელით მოგცე შენ სინათლე და მეორე ხელით განვაქარვო იგი სიბნელის უკუნით",— ასე ახასიათებდა გ. წერეთელი თვითმპყრობელობის პოლიტიკას საქართველოში.

მიუხედავად ამისა, გ. წერეთელი ერეკლეს კურსს რუსეთისაკენ „მაღალ პრინციპს" უწოდებს, ე. ი. აღიარებს რუსეთთან საქართველოს შეერთების პროგრესულობას, თუმცა, როგორც ვთქვით, ეს ხელს არ უშლიდა გ. წერეთელს ებრძოლა ცარიზმის ეროვნულ-კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ.

გ. წერეთელი არ აიდიალებდა ძველი საქართველოს საზოგადოებრივ წყობილებას. იგი არ მალავდა „მტრობისა" და „ძარცვა-გლეჯის" არსებობას ძველ საქართველოში". მაგრამ, გ. წერეთლის აზრით, ცარიზმმა კლასობრივ ჩაგვრას ნაციონალურ-კოლონიური ძალადობაც დაუმატა და კიდევ უფრო გააღრმავა და გააფართოვა ხალხის ჩაგვრა. გ. წერეთლის იდეალი კი იყო ჩაგვრისაგან თავისუფალი საქართველო, „თავისებური საერთო არსებობის პრინციპით შესისხლხორცებული", მაგრამ ამავე დროს „დღევანდელი მეცნიერების შეხედულებით მოწყობილი", ე. ი. დემოკრატიული.

გ. წერეთელი კარგად ხედავდა, რომ მას შემდეგ, რაც ჩვენში განკითარება იწყო კაპიტალიზმმა, დაირღვა ქართველი ხალხის „თავისებური საერთო არსებობის პრინციპი... ეს მისი მაცოცხლებელი სული". მართალია, კაპიტალიზმმა შეჰქმნა პირობები ქართველი ხალხის ერად ჩამოყალიბებისათვის და ეროვნული მოძრაობის წარმოშობისათვის, მაგრამ ამავე დროს მან გააძლიერა კლასობრივი წინააღმდეგობანი თვით

ერის შიგნით და, მაშასადამე, დაანაწილა იგი ანტაგონისტურ ჯგუფებად. გ. წერეთელი ამ დანაწილებას „საერთო საქმისათვის“ საზიანოდ თვლიდა. იგი არ უარყოფდა ქართული საზოგადოების დაყოფას ორ მებრძოლ ბანაკად, მაგრამ იმათ წინააღმდეგ, ვინც ერთ რომელიმე ბანაკს ემხრობოდა, გ. წერეთელს მუდამ მზად ჰქონდა „ბრძნული აზრი კაცობრიობის წინმსვლელობისა: ერთობა არის ძალა და განცალკევება — სისუსტე“[1].

ამრიგად, ქართველი ხალხის ეროვნული განთავისუფლებისათვის ყველა პროგრესული საზოგადოებრივი ძალის „შერიგება, შეთანხმება და შეკავშირება“ ეროვნულ-რევოლუციური ბრძოლის ერთიან რაზმად, თვითმპყრობელურ-ბიუროკრატიული რეჟიმის წინააღმდეგ საბრძოლველად, — ასეთია გ. წერეთლის თვალსაზრისი.

მარქსიზმ-ლენინიზმმა მეცნიერულად დაასაბუთა და ცხოვრებამ ცხადყო, რომ ალმავალი კაპიტალიზმის ეპოქაში ეროვნული მოძრაობა ბურჟუაზიული შინაარსისაა. ფეოდალიზმის რღვევის საფუძველზე კაპიტალიზმის ჩასახვისა და განვითარების პირობებში ბურჟუაზია „მშობლიური“ ქვეყნის განთავისუფლებას რომ ცდილობდა, ამით იგი უმთავრესად საკუთარი კლასობრივი ინტერესებისათვის იბრძოდა. მართალია, ამ პერიოდში ბურჟუაზია ფორმალურად სხვა ჩაგრული კლასების განმათავისუფლებლის როლშიც გამოდიოდა და თავის საკუთარ საქმეს „საერთო-სახალხო საქმედ“ ასაღებდა, მაგრამ არსებითად ეროვნული ბრძოლა, ალმავალი კაპიტალიზმის ეპოქაშიც იყო ბურჟუაზიის ბრძოლა საკუთარი ეკონომიური და პოლიტიკური ინტერესებისათვის. მაშასადამე, გ. წერეთელი „ცდებოდა“, ბურჟუაზიის კერძო საქმეს „საერთო-სახალხო საქმედ“ რომ აცხადებდა. ეს „შეცდომა“ წმინდა თეორიული ხასიათისაა და ლოგიკურად გამომდინარეობს გ. წერეთლის სურვილიდან: „მორალური განწმენდის“ გზით გადააქციოს კაპიტალიზმი „საერთო-სახალხო სიკეთედ“. პრაქტიკულად გ. წერეთელმა დასძლია თავისი „შეცდომა“,

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ამ საუკუნის ვითარება, „კვალი“, № 1, 1897 წ.

რამდენადაც საქართველოს ეროვნული განთავისუფლებისათვის იგი ძალებს ეძებდა უმთავრესად „ახალგამოღვიძებულ ვაჭარ-მრეწველთა კლასში". აქედან გამომდინარეობს, რომ ყველა საზოგადოებრივ ძალთა „შერიგება, შეთანხმება, შეკავშირება" საქართველოს ეროვნული განთავისუფლებისათვის 60-იან წლებში არსებითად სხვას არაფერს ნიშნავდა, თუ არ მთელი ქართველი ხალხის დადგომას ბურჟუაზიის დროშის გარშემო. ამრიგად, გ. წერეთლის შეხედულებათა რეალური შინაარსი არსებითად ბურჟუაზიული და ამ აზრით პროგრესული იყო ფეოდალურ-მონარქიულ ნაციონალიზმთან შედარებით.

გ. წერეთელი არ უარყოფდა კლასობრივ წინააღმდეგობათა და კლასობრივი ბრძოლის არსებობას საქართველოს წარსულსა და აწმყოში; იგი არა მარტო ეროვნული ჩაგვრის, არამედ კლასობრივი ჩაგვრის „მოსპობის" გზებსაც სახავდა, მაგრამ პირველი რიგის აუცილებლობად მიაჩნდა ხალხის ეროვნული განთავისუფლება და ამ მიზნით შესაძლებლად თვლიდა „ახალაღორძინებული" ბურჟუაზიისა და მშრომელი ხალხის „დროებით" შეთანხმებას მეფის ნახევრადფეოდალური-ნახევრადბურჟუაზიული ბიუროკრატიის წინააღმდეგ.

თავისთავად კლასობრივ „ინტერესთა ჰარმონიის" თეორია და აქედან გამომდინარე მჩაგვრელ და ჩაგრულ კლასთა შეთანხმების მოთხოვნა აშკარად უტოპიური და რეაქციულია, რადგან იგი ხელსაყრელ ნიადაგს ქმნის ჩაგრული კლასის კლასობრივი ინტერესების მიჩქმალვისათვის, მისი სულიერი დამონებისათვის. 60—70-იანი წლების საქართველოს სინამდვილეში ეს მოთხოვნა არსებითად ბურჟუაზიული იყო. მაგრამ ფეოდალიზმის და აბსოლუტიზმის რღვევისა და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული წყობილების ფორმირების ეპოქაში, როცა ჯერ კიდევ არ არსებობდა ნამდვილად რევოლუციური კლასი — პროლეტარიატი და პროლეტარული მოძრაობა, ბურჟუაზია უნდა ყოფილიყო ერთადერთი რევოლუციური ძალა, რომელსაც ნაციონალური მოძრაობისთვისაც უნდა „ეხელმძღვანელნა".

90-იან წლებში, როცა რუსეთსა და საქართველოში რევოლუციურმა პროლეტარიატმა დაიწყო ბრძოლა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ გარდაქმნათა საქმეში ჰეგემონობისათვის, როცა გამომჟღავნდა. ქართველი ბურჟუაზიის რევოლუციური უნარის არარაობა ეროვნული მოძრაობის ხაზითაც, — ზემოხსენებული ეროვნულ-დემოკრატიული მოთხოვნაც რევოლუციური შინაარსისაგან დაიცალა და რეაქციული ძალების ლოზუნგად იქცა. გ. წერეთელმა სცადა გამოჰყოფოდა რეაქციონერებს, შეენარჩუნებინა რევოლუციური პოზიცია და ამ მიზნით იგი ნაციონალ-დემოკრატიზმიდან სოციალ-დემოკრატიზმზე „გადავიდა“, მაგრამ ამ პერიოდში გ. წერეთელი სოციალ-დემოკრატიზმის ფორმით არსებითად ნაციონალ-დემოკრატიზმის, თავის დროზე რევოლუციურ, მაგრამ ახლა უკვე დრომოჭმულ სოციალურ შინაარსს იცავდა.

კიდევ უფრო საინტერესოა გ. წერეთლის შეხედულებანი მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ჩაგრულ ხალხთა ერთიანი ფრონტის შექმნის აუცილებლობაზე.

გ. წერეთელი ჯერ კიდევ 60-იანი წლების დასაწყისში ემხრობოდა რუსეთის იმპერიის ჩაგრულ ხალხთა, სახელდობრ, პოლონელთა და ქართველთა ერთიანი ეროვნული ფრონტის შექმნას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად[1].

გ. წერეთელი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ქართველი ხალხის მეგობრულ კავშირს სომეხ, აზერბაიჯანელ და სხვა მეზობელ ხალხებთან. რუსეთის თვითმპყრობელობა ყოველნაირად ცდილობდა გაეთიშა და ერთმანეთისთვის გადაეკიდებინა დაპყრობილი ხალხები, რათა ხელი მოეთბო ჩაგრულ ხალხებს შორის გაჩაღებულ ბრძოლის ალზე. იგი მოქმედებდა ცნობილი მეთოდით: — გასთიშე და იბატონე! „მეფის მთავრობა შეგნებულად აღვივებდა ნაციონალურ შუღლს, ამხედრებდა ერთ ხალხს მეორის წინააღმდეგ, აწყობდა ებრაელთა დარბევას, თათარ-სომეხთა ხოცვა-ჟლეტას ამიერკავკასიაში“ [2].

---

1 იხ. გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, რჩ. ნაწერები, ტ. I, გვ. 111 — 125.

2 საკ. კ. პ. (ბ) ისტორია, მოკლე კურსი, გვ. 6. 1953 წ.

ცარიზმის კაცთმოძულე ეროვნულ-კოლონიური პოლიტიკის ბატონობის პირობებში ადვილი როდი იყო ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და ძმური კავშირის ქადაგება. მიუხედავად ამისა, გ. წერეთელი ბოლომდე ერთგულ დარაჯად ედგა ჩაგრულ ხალხთა ერთიანობისა და თანასწორუფლებიანობის ნიშნად აღმართულ დროშას და განუხრელად იცავდა ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრული თანამშრომლობის იდეას. „მე ყოველთვის თანასწორი სიყვარული მქონდა ორის ნაციისა, — წერდა გ. წერეთელი სომხებსა და ქართველებზე, — რადგან განუყრელი გონებითი რწმენა მეუბნებოდა, რომ თუ... შესაძლოა ამ ორი ხალხის ბრწყინვალე მომავალი კავკასიაში, მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს ორი ნაცია ძმურად შეუკავშირდებიან ერთმანეთს, ზურგს მისცემენ მჩაგვრელ ძალის წინააღმდეგ"[1]. „დღეს კავკასიის აქეთა მხარეში სამი მკვიდრი ერი — ქართველი, სომეხი, და მაჰმადიანი ერთს გარემოებაში არიან ჩამდგარი, ერთი მომავალი მიზანი, ერთი და იგივე კეთილდღეობა აქვთ საზრუნველი. ჩვენ საქართველოს ხალხს და იმათს დაწინაურებულს კაცებს დღეს ბაირალზე... ეს უნდა ეწეროს: ერთმანეთთან დაახლოება, ერთმანეთის პატივისცემა, სამივე ერის გულისთვის ერთად ზრუნვა, ძმური კავშირი და საერთო ძალით იმ შინაური ცუდის გასწორება, რომელიც ასე აჩერებს ჩვენს კეთილმდგომარეობის გზაზე წინსვლას... ეს სამი ტომი... ერთმანეთის დახმარებით აშენდებიან, ერთმანეთის მტრობით კი დაიქცევიან"[2]. ამრიგად: თვითმპყრობელობა ამიერკავკასიის ხალხთა საერთო მტერია, ძალა ერთობაშია, ამიტომ ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხები უნდა შეერთდნენ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, — ასე ფიქრობდა გ. წერეთელი.

მაგრამ ამიერკავკასიის ხალხთა დაახლოებას არა მარტო მეფის მთავრობის გამთიშველი ეროვნულ-კოლონიური პოლიტიკა აბრკოლებდა, არამედ თვით ამ ხალხთა გაბატონებულ

---

[1] ლიტერატურის მატიანე, ტ. I, გვ. 527.

[2] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ჩვენ და ჩვენი „დროება", „დროება", № 16, 1879 წ.

კლასებს შორის არსებული წინააღმდეგობაც. მაგალითად, გასული საუკუნის მეორე ნახევარში ქართველი და სომეხი ხალხის დაახლოების გზაზე ძირითადი დაბრკოლება იყო შეურიგებელ ეკონომიურ წინააღმდეგობათა არსებობა საქართველოში დამკვიდრებულ სომხურ ბურჟუაზიასა და ქართველ თავადაზნაურობას შორის. როგორც პროფ. ს. ხუნდაძე წერდა, ქართველი თავადაზნაურული ინტელიგენციის ბრძოლა სომხების წინააღმდეგ „არსებითად გამოხატავდა ქართველ თავადაზნაურთა და სომხის ბურჟუაზიის კლასიურ ბრძოლას". რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ სუსტი ქართველი ბურჟუაზიაც არ იყო კმაყოფილი მის „მშობლიურ" ქვეყანაში უცხო კაპიტალის გაძლიერებით და მისი წარმომადგენლებიც სომხების წინააღმდეგ ილაშქრებდნენ.

გ. წერეთელმა ამ ბრძოლაში ჩვეულებრივი საშუალო პოზიცია დაიკავა. იგი ყოველმხრივ ცდილობდა მოწინააღმდეგეთა შერიგებას, რადგან, მისი აზრით, ამას მოითხოვდა ამიერკავკასიის ხალხთა ეროვნული ინტერესები.

გ. წერეთელი არ უარყოფდა ეკონომიურ წინააღმდეგობათა არსებობას, ერთი მხრივ, სომხურ ბურჟუაზიასა და, მეორე მხრივ, ქართველ თავადაზნაურულ-ბურჟუაზიულ კლასებს შორის, მაგრამ ამ წინააღმდეგობათა გადაჭრის ერთადერთ გზად იგი „ეკონომიურ ნიადაგზე" ბრძოლას თვლიდა. საქართველოში სომხური ბურჟუაზიის გაძლიერებისა და ქართველი თავადაზნაურულ-ბურჟუაზიული კლასების ეკონომიური სისუსტის უმთავრეს მიზეზებს გ. წერეთელი „საკუთარ სახლშიეე" პოულობდა[1]. იგი სომხური ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხში მკვეთრად გამოეთიშა ქართველ თავადაზნაურულ-ბურჟუაზიულ წრეებს, რომლებიც ზოგიერთ შემთხვევაში საკუთარ უმოქმედობას სომხების წინააღმდეგ გალაშქრებით ფარავდნენ. გ. წერეთელი აღიარებდა ეკონომიური ბრძოლის აუცილებლობას ორი მეზობელი ხალხის გაბატონებულ კლასებს შორის, მაგრამ გადაჭრით ილაშქრებდა მათ წინააღმდეგ, ვინც სომხური ბურჟუაზიისა და

---

[1] იხ. გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ქართველების სტუმრობა, „დროება", № 24, 1870 წ.

ქართველი თავადაზნაურობის ბრძოლაში სომეხი და ქართველი ხალხის ჩათრევას ცდილობდა. გ. წერეთელი შიშობდა, რომ კაპიტალიზმის პირობებში ეკონომიური ბრძოლა ორი ერის გაბატონებულ კლასებს შორის, საბოლოო ანგარიშით, ეროვნულ-პოლიტიკურ ბრძოლად არ გადაქცეულიყო ორ მეზობელ ხალხს შორის. ამიტომ თვით „ეკონომიურ ნიადაგზე ბრძოლა“ გ. წერეთლისათვის ნიშნავდა არა სომხური ბურჟუაზიის ეკონომიური განადგურებისა და საქართველოდან მისი დაუყოვნებლივ განდევნის მოთხოვნას, არამედ სომხურ ბურჟუაზიასთან ქართველი ბურჟუაზიის „მეზობლურ, მეგობრულ“ შეჯიბრებას [1].

გ. წერეთელი სომხურ ბურჟუაზიასთან ბრძოლაშიც რეალური პოლიტიკის მომხრედ გამოდიოდა. მართალია, უტოპისტი აქაც ვერ მალავს თავის უსაფუძვლო ოცნებებს, მაგრამ მისი პოლიტიკის ძირითადი შინაარსი უდაოდ რეალურია. ქართველი თავადაზნაურობა სომხური ბურჟუაზიის „გარეკვას“ ძალდატანებითა და შესევით ფიქრობდა, თუმცა ამისათვის მას არც ეკონომიური საშუალება გააჩნდა და არც პოლიტიკური უფლება. თავადაზნაურობა ამ შემთხვევაში საზოგადოებრივი განვითარების ძირითადი ტენდენციის წინააღმდეგ ილაშქრებდა. ახალგაზრდა ქართველი ბურჟუაზიაც ვერ უძლებდა სომხური სავაჭრო და სავაჭრო კაპიტალის კონკურენციას და ისიც სომხების ძალდატანებითი გარეკვის თავადაზნაურულ გეგმებს თანაუგრძნობდა. გ. წერეთელმა აღიარა საზოგადოებრივი განვითარების - ძირითადი ტენდენციის წინააღმდეგ ბრძოლის უნაყოფობა და ეს ბრძოლა საზიანოდ მიიჩნია. მართლაც, გასული საუკუნის სამოცდაათიან, და განსაკუთრებით, ოთხმოცდაათიან წლებში, როცა ამიერკავკასია მტკიცედ დაადგა კაპიტალისტური განვითარების გზას, სომხური ბურჟუაზიის საქართველოდან ძალდატანებითი გარეკვის თავადაზნაურული გეგმები რეაქციული უტოპია იყო. თბილისის საქალაქო თვითმმართველობის საარჩევნო დებულებით ქონებრივი ცენზის დაწესებამ ქართველი თავადაზნა-

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, „კვალის“ ორი წლის ნაღვაწი, „კვალი“, № 3, 1895 წ. გვ. 5.

ურობა და ბურჟუაზია ალტერნატივის წინაშე დააყენა: ან ეკონომიურად გათანასწორებოდნენ სომხურ ბურჟუაზიას, ან არა და, ხელი აეღოთ „მშობლიური“ ქალაქის მართვა-გამგეობაში მონაწილეობის უფლებაზე. ასეთ ვითარებაში გ. წერეთელმა რეალისტი პოლიტიკოსის დიდი ალღო გამოიჩინა: „აქ მარტო „ვინ ხარ მამაცის“ ძახილით და შურისძიებით ვერას გავარიგებთ. ამით ისევე ჩვენს თავს ვავნებთ, რადგან დიდს მტერს პატარასაც შევუკავშირებთო“[1],— წერდა იგი.

გ. წერეთელს შეგნებული აქვს, რომ ფეოდალიზმი უძლურია კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. მისი აზრით, სწორედ ამიტომ ანადგურებს ასე შეუბრალებლად საქართველოს თავადაზნაურულ და, განსაკუთრებით, წვრილბურჟუაზიულ-გლეხურ მეურნეობას სომხური სავაჭრო და სავაჭრო კაპიტალი. ერთადერთი გზა, რომელსაც შეუძლია საქართველო შემოხიზნული ჩარჩ-ვაჭრებისაგან იხსნას, არის სომხური ბურჟუაზიის წინააღმდეგ ისევ ბურჟუაზიული საშუალებებით ბრძოლა[2], ე. ი. საქართველოს განვითარება ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მიმართულებით ეროვნული კაპიტალის შექმნის საფუძველზე. სომხური ბურჟუაზიის მოსპობა არათუ თავადაზნაურობას, არამედ ქართველ ბურჟუაზიასაც არ შეუძლია; თუ ბურჟუაზიულ საზოგადოებას გავწმენდთ „მავნე ტენდენციებისაგან“, გ. წერეთლის აზრით, ეს არც სასურველია. სამაგიეროდ, ქართველ ბურჟუაზიას შეუძლია „საკუთარი შრომითა და თვითმოქმედებით“ ეკონომიურად გაუთანასწორდეს „მოძმე“ სომხურ ბურჟუაზიას, შეზღუდოს სომხური კაპიტალის განუსაზღვრელი ბატონობა და „მაშინ თვითონ სომხებიც უფრო პატივისცემით, მორიდებით და

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, „კვალის“ ორი წლის ნაღვაწი, „კვალი“, № 3, 1895 წ. გვ. 4.

[2] ამ საბუთით გ. წერეთელს უშენიშვნოდ აცხადებენ ხოლმე ბურჟუაზიის ჩვეულებრივ იდეოლოგად, მაგრამ ეს სწორი არ არის, თუნდაც იმიტომ, რომ „წვრილი ბურჟუას დამახასიათებელი და ძირითადი თვისება ის არის, რომ ბურჟუაზიულობას ებრძოლოს ბურჟუაზიული საზოგადოებისავე საშუალებებით“ (ლენინი).

ძმური სიყვარულით დაუწყებენ ქართველ ხალხს ცქერას"[1] რადგან ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ძლიერი მეზობლის დამეგობრება მხოლოდ საკუთარი ეკონომიური და პოლიტიკური ძლიერების განმტკიცების გზით შეიძლება.

საგულისხმოა, რომ გ. წერეთელი თავისი ეროვნული პოლიტიკის დასასაბუთებლად იშველიებს საკუთარ შეხედულებას გარეშე მტრის წინააღმდეგ „დროებითი კლასობრივი ზავის" აუცილებლობაზე. იგი წერს „ეკონომიური ბრძოლა განა ჩვენს შინაურობაში კი არ არის? თვით ჩვენი შეძლებული, ფულით გამდიდრებული, იმერლობა თავისსავე საწყალს გაღარიბებულს მოძმე-იმერელს სულსა წვდის და, როგორც მოგეხსენებათ, გინდ მგელს შევუჭამივარ, გინდ მგლისფერ ძაღლს, სულ ერთია. საქმე იმაშია, რომ ეკონომიურ ბრძოლას არაფერი საერთო არა აქვს რა გვარტომობის ურთიერთობასთან. იმ დროს, როდესაც მდიდარი იმერელი ღარიბი იმერლის მიწა-წყალს იფლობს, წარმოვიდგინოთ, ოსმალები შემოგვესიენ. რას ვნახავთ? მაშინვე ეს მდიდარი და ღარიბი, ერთმანეთის დაუძინებელი მტერი, ხელი-ხელს მისცემენ ერთმანეთს და ძმურად შეკავშირდებიან ოსმალების მოსაგერიებლად"[2]. ამრიგად,

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, „კვალის" ორი წლის ნაღვაწი, „კვალი", № 3, 1895 წ.

[2] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, „კვალის" ორი წლის ნაღვაწი, „კვალი", № 3, 1895 წ. უნდა შევნიშნოთ, რომ შინაურ ცხოვრებაში ჯლასებად (წოდებებად) დანაწილებული ერის „ერთ მთელად" მიჩნევა საერთაშორისო საქმეებში საერთო დამახასიათებელია ყველა ქვეყნის განმანათლებლობისა, რადგან, როგორც ლენინი ამბობდა, განმანათლებლები „ლაპარაკობდნენ არა მარტო ხალხზე საერთოდ, არამედ ერზეც კი საერთოდ" (თხზ., ტ. 2, გვ. 656). ამიტომ არ უნდა გვიკვირდეს, რომ თვით დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი ჩერნიშევსკი წერდა: „საერთაშორისო საქმეებში ის ერი, რომელსაც სახელმწიფოებრივი ერთიანობა გააჩნია ან მის მოპოვებას ცდილობს, ნამდვილად შეადგენს ერთ მთელს... მაგრამ შინაური საქმეების მიხედვით ის შედგება წოდებრივი და პროფესიული განაყოფებისაგან, რომელთა ურთიერთობა დაახლოებით ისეთივეა, როგორც სხვადასხვა ხალხთა ურთიერთობა" (რჩ. ნაწერები, გვ. 268). ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ეს განმანათლებლური შეხედულება ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლაში

გ. წერეთელი კარგად ხედავდა სომხურ ბურჟუაზიასა და ქართველ თავადაზნაურულ-ბურჟუაზიულ კლასებს შორის არსებულ ეკონომიურ წინააღმდეგობებს, მაგრამ ამას „საშინაო საქმედ“ აცხადებდა, რათა ბრძოლა ამ წინააღმდეგობათა გამო არ გადაქცეულიყო თვითმპყრობელობის მიერ დამონებულ ამიერკავკასიის ხალხთა ეროვნული შუღლის წყაროდ.

აქვე უნდა ითქვას, რომ გ. წერეთელი, თუ, ერთი მხრივ, ემხრობოდა ახალგაზრდა სომხების პარტიას და მასთან შეთანხმების მიღწევას ცდილობდა, მეორე მხრივ, მტკიცედ ებრძოდა სომხების კონსერვატიულ პარტიას. საერთოდ, იგი სომხურ ბურჟუაზიასთან უკრიტიკო დამოკიდებულების მომხრე არ იყო.

გ. წერეთელმა კარგად იცოდა, ვის ხარჯზე გამდიდრდა სომხური ბურჟუაზია: „ის სარგებლობდა მდიდრისაგანაც და ღარიბისაგანაც, ამგვარად ის დააწვა მდიდარს საქართველოს ერსაც და მუშა ხალხსაც“... გ. წერეთელს ხალხის მოტყუებისა და ექსპლოატაციის გზით გამდიდრება უსამართლობად მიაჩნია, მაგრამ ამის მიზეზი, მისი აზრით, კაპიტალიზმია და არა სომხის ეროვნული თვისება. საქართველოში სომეხი ვაჭრები რომ არ გამოჩენილიყვნენ, ქართველები დაიწყებდნენ ვაჭრობას და ისინიც ხალხის გაძარცვის გზით გამდიდრდებოდნენ. „საქმე იმაშია, — ამბობს გ. წერეთელი, — რომ აღებ-მიცემობის წესი ეს არის და ყოველი აღებ-მიმცემი კაციც ამნაირი უსამართლო სარგებლით ცხოვრობს. აქ. ამისთანა ბოროტებაში სომხობა და სომხის ხალხის თვისება კი არ არის დამნაშავე, საზოგადოდ — ვაჭრობის წესსა აქვს ამაში დანაშაული... სომხის ვაჭრობა იმგვარათვე ფცქვნის სომხის მშრომელ ხალხს, როგორც ჩვენსას... იგივე ითქმის ჩვენს ვაჭრობაზე... მახმადიანის ვაჭრობაზე“...[1]

გ. წერეთელი იბრძოდა „უსამართლო, უსინდისო, მძარცველი“ ვაჭრების წინააღმდეგ განურჩევლად ეროვნებისა,

---

პროგრესულ როლს ასრულებდა, კაპიტალიზმის წინააღმდეგ პროლეტარიატის კლასობრივ ბრძოლაში კი — რეაქციულს.

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ჩვენ და ჩვენი „დროება“, „დროება“, № 16, 1879 წ.

მაგრამ იგი მკვეთრად ემიჯნებოდა ქართველ შოვინისტებს, რომლების ბრძოლა სომხური კაპიტალის წინააღმდეგ ზოგჯერ განურჩეველ ხასიათს ღებულობდა და არსებითად ხელს უმართავდა ცარიზმის დამქაშებს, უნდობლობასა და მტრობას რომ თესავდნენ ამიერკავკასიის ხალხთა შორის. ეროვნული შუღლის აღმოფხვრისა და ერთ ბედში მყოფი ორი მეზობელი ხალხის დაახლოების მიზნით გ. წერეთელი მოითხოვდა — სომხური ბურჟუაზიისაგან სომეხი ხალხის მკვეთრად გამოყოფას, რადგან, მისი აზრით, „ხალხი, რომელიც უნდა აიღო... ყველა უბრალოა, ყველა სინიდისიანია, პატიოსანი“... [1].

ამრიგად, გ. წერეთელი გულწრფელად იცავდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ამიერკავკასიის ხალხთა სოლიდარული მოქმედების იდეას. ამ შემთხვევაში მისი შეხედულებანი პირდაპირ გამომდინარეობდნენ მისი ეროვნული იდეალებიდან: როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ 1874 წელს, ციურიხში შემდგარ კავკასიელ მოღვაწეთა კონგრესზე გ. წერეთელი, (რომელიც ამ კონგრესზე თავმჯდომარედ იყო არჩეული) მიემხრო ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნის მოთხოვნას. გ. წერეთელი ბოლომდე ერთგული დარჩა ამ მოთხოვნისა, რომელსაც ლოგიკურად მიჰყავდა იგი ამიერკავკასიის ხალხთა სოლიდარობის აღიარებამდე.

თქმა არ უნდა, რომ ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის მოთხოვნა გასული საუკუნის 70-იან წლებში ბურჟუაზიული მოთხოვნა იყო.

გ. წერეთელის შეხედულებანი გამოხატავდა სახელდობრ ქართველი წვრილი ბურჟუაზიის განწყობილებებს, რომელიც არსებობისათვის ბრძოლაში იძულებული იყო, ერთი მხრივ, გამდიდრებაზე ეოცნება, ხოლო, მეორე მხრივ, გამდიდრების მავნე ტენდენციების წინააღმდეგ ებრძოლნა. ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის მოთხოვნა და ბრძოლა ამ მოთხოვნის განხორციელებისათვის „წვრილი, ჯერ კიდევ მოუმაგ-

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი. ჩვენ და ჩვენი „დროება“, „დროება“, № 16, 1879 წ.

რებელი ქართველი ბურჟუაზიის"[1] ამ საარსებო ინტერესებს გამოხატავდა.

ზოგიერთები ამის გამო გ. წერეთელს სომხური ბურჟუაზიის განურჩეველ აპოლოგეტად, ხოლო სხვანი ქართველი ხალხის მოღალატედ აცხადებდნენ. ისტორიული სინამდვილე კი სრულიად საწინააღმდეგოს ამტკიცებს.

გ. წერეთელი ქართველი წვრილი ბურჟუაზიის სომხურ ბურჟუაზიასთან გათანასწორების და მორიგების იდეას რომ აყენებდა, ამის უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ იგი ემხრობოდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ამიერკავკასიის ხალხთა (მათ შორის ქართველთა და სომეხთა) გაერთიანებული ბრძოლის გზით ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის შექმნის მოთხოვნას. ეს მოთხოვნაც, როგორც უკვე ვთქვით, არსებითად ბურჟუაზიულ ფარგლებს ვერ გასცილდებოდა, რადგან, საბოლოო ანგარიშით, მისი სოციალური შინაარსი ქართველი წვრილბურჟუაზიული ფენების ბურჟუაზიულ კლასად გადაქცევისაკენ ლტოლვას და მის მიერ „მშობლიური" ბაზრის დაპყრობას გამოხატავდა. ამის შესაბამისად გ. წერეთლის ეროვნული პოლიტიკაც ობიექტურად უდაოდ ბურჟუაზიულია. სახელდობრ, იგი გამოხატავდა ინტერესებს იმ წვრილბურჟუაზიულ-გლეხური ფენებისას, რომლებიც უკვე სამოცდაათიანი წლებიდან ემზადებოდნენ გაბატონებულ ბურჟუაზიულ კლასად გადაქცევისათვის. სამოცდაათიან წლებში, ჯერ კიდევ ნათლად არ ჩანდა ამ ფენების ექსპლოატატორული ტენდენციები და გ. წერეთელიც თავგამოდებით იცავდა მათ. წვრილბურჟუაზიული ფენების დაცვამ და „საერთო-ეროვნული" კეთილდღეობის ძიებამ გ. წერეთელი ეროვნული კაპიტალის შექმნის ქადაგებამდე მიიყვანა, მაგრამ იგი, როგორც ტიპიური განმანათლებელი, ამ შემთხვევაშიც გადაჭრით გმობდა მშრომელი მასების ჩაგვრასა და ექსპლოატაციას. მიუხედავად ამისა, მისი ეროვნული შეხედულებების ობიექტური შინაარსი ბურჟუაზიული იყო და სხვა

---

[1] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 2, გვ. 330.

რამ იგი 60 — 70-იანი წლების კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში არც შეიძლებოდა ყოფილიყო.

იგივე, მაგრამ უფრო მკვეთრად, უნდა ითქვას დასავლეთ ევროპის კაპიტალიზმთან გ. წერეთლის დამოკიდებულების საკითხში.

გ. წერეთელი, როგორც განმანათლებელი, თავისი ქვეყნის ყოველმხრივ ევროპეიზაციას მოითხოვდა. მაგრამ ეს სრულებითაც იმას არ ნიშნავს, რომ გ. წერეთელი დასავლეთ ევროპის ორიენტაციის მომხრე და ევროპული კაპიტალიზმის მეხოტბე იყო. გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ერთადერთი „ორიენტაცია", რომელსაც გ. წერეთელი სიკვდილამდე მტკიცედ ემხრობოდა, ეს იყო ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესების დაცვა უცხო სახელმწიფოთა წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლაში.

გ. წერეთელი კარგად ხედავდა, რომ დასავლეთის ცივილიზაციის უკან იდგა გაუმაძღარი ევროპული ბურჟუაზია, რომელიც მე-19 საუკუნეში ახალი გამსაღებელი ბაზრებისა და ნედლეულის წყაროების დაპყრობის სურვილმა ამიერკავკასიაშიც შემოიტყუა. გ. წერეთელი გრძნობდა, რომ პოლიტიკურად დაპყრობილი და ტექნიკურ-ეკონომიურად ჩამორჩენილი საქართველო, რომელიც მხოლოდ 60 — 70-იან წლებში იწყებდა გამოღვიძებას ფეოდალური ძილისაგან, ვერ გაუძლებდა დასავლეთ ევროპის ძლიერი ბურჟუაზიული სახელმწიფოების ეკონომიურ კონკურენციას და ქართველი ხალხი უცხო კაპიტალისტების მოხარკე გახდებოდა[1].

გ. წერეთელი გამოსავალს საქართველოს ტექნიკურ-ეკონომიურ განვითარებაში ხედავდა. იგი მოითხოვდა უცხო ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლის წარმოებას იმავე საშუალებებით, რომლებითაც „ევროპის განათლებული ხალხები" ცდილობდნენ ჩამორჩენილი ხალხების გაძარცვას. „რომ როგორმე უეცრად მოვარდნილ ღვარს ჩვენი საერო სახლკარის საძირკველი არ გამოვათხრევინოთ, — წერდა გ. წერეთელი, —

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ჩვენი ქვეყნის ოჯახობის მდგომარეობა, „სასოფ. გაზეთი", № 14, 1871 წ.

ისეთი ქვითკირის კედლით (უნდა) შევიზღუდოთ თავი, რომ მაგარი ბურჯები ჰქონდეს... ამისთანა მკვიდრი კედელი ამჟამად უნდა იყოს ფულის გაჩენა ჩვენში, რომ ყოველს კაცს ახალი საქმის დაწყებისათვის ხელი მოენაცვლებოდეს"...[1]

„ფულის გაჩენა ჩვენში" კაპიტალიზმის განვითარებას მოასწავებდა. სწორედ ამაში ხედავდა გ. წერეთელი რეალურ საშუალებას ევროპელი კაპიტალისტების წინააღმდეგ საბრძოლველად. ამიტომ იყო, რომ 90-იან წლებში, როცა ქართველი ბურჟუაზია იმდენად მომაგრდა, რომ ერთგვარ წინააღმდეგობას უწევდა უცხოეთის კაპიტალის შეუზღუდველ ბატონობას „მშობლიურ" ქვეყანაში, გ. წერეთელი გამარჯვებულის კილოთი ამბობდა: დასავლეთ საქართველოს „თავადი, აზნაური, მოქალაქე და გლეხი... შეუერთებია ეკონომიურ ინტერესებს ერთ განუყოფელ ძმურ ჯგუფად და პირისპირ უცხო ქვეყნის კაპიტალისა გამოსულა საბრძოლველათო"[2].

ამრიგად, გ. წერეთელი ებრძოდა ევროპული კაპიტალიზმის გაბატონებას საქართველოში. ეს ჯერ კიდევ 1927 წელს აღნიშნა პროფ. ს. ხუნდაძემ. მაგრამ ზოგჯერ არასაკმაოდ აფასებენ გ. წერეთლის მოღვაწეობის ამ მხარეს და ცდილობენ დაამტკიცონ, რომ „გ. წერეთელი დასავლეთ ევროპის ორიენტაციის ნიადაგზე იდგა". საბუთად გამოაქვთ ყურმოკრული ამბები 1877—78 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს გ. წერეთლის მოლაპარაკების შესახებ ინგლისელებთან; მაგრამ, ჯერ ერთი, ამ ამბების ნამდვილი შინაარსი არავის უჩვენებია; და, მეორეც, დუმილით უვლიან გვერდს იმ დროის რუსულ პრესაში გამოქვეყნებულ გ. წერეთლის წერილებს, რომლებიც საკმაო ნათელს ჰფენენ მის დამოკიდებულებას აღნიშნული ომით დაინტერესებულ სახელმწიფოებთან. ჩვენ ზემოთ ვთქვით, რომ გ. წერეთელი დიდ იმედს ამყარებდა რუსეთ-თურქეთის 1877—78 წლების ომზე. მას ეს ომი

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, საამხანაგო ბანკები... და სხვა, „კრებული", № 8—9, 1872 წ., გვ. 111.

[2] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, შავი ქვის მრეწველთა კრება ქუთაისში, „კვალი", № 19, 1896 წ. გვ. 322.

საქართველოს ძველთაძველი ტერიტორიების შემოერთების საშუალებად მიაჩნდა. ამასთან გ. წერეთელი ნათლად ითვალისწინებდა 1877—78 წლებში შექმნილ საერთაშორისო ვითარებას და გმობდა ევროპის სახელმწიფოთა „სრულიად გაუმართლებელ უნდობლობას" რუსეთისადმი „ქრისტიანების განთავისუფლების" საკითხში. ამ „უნდობლობის" არსებობის გამო გ. წერეთელს შეუძლებლად მიაჩნდა „აღმოსავლეთის (ე. ი. სამხრეთ საქართველოს. მ. გ.) ყველა ქრისტიანის განთავისუფლება" თურქებისაგან, მაგრამ იგი კატეგორიულად მოითხოვდა იმ ტერიტორიების შენარჩუნებას, რომლებიც რუსეთის ჯარებმა დაიკავეს [1].

გ. წერეთელი ცდილობდა დაერწმუნებია რუსეთის საზოგადოებრიობა და რუსეთის მთავრობა სამხრეთ საქართველოს შემოერთების აუცილებლობაში. ამ შემთხვევაში იგი, უწინარეს ყოვლისა, ისტორიას იმოწმებდა: „ყველაზე აყვავებული და მჭიდროთ-დასახლებული ქართული პროვინციები — ოლთისი, ბაიბურთი, არდაგანი, აჭარა, ჭანეთი, — წერდა გ. წერეთელი, — წარსული საუკუნეების განმავლობაში ნაწილობრივ მოწყვეტილია თურქების გამხეცებული ურდოების მიერ, ნაწილობრივ გამაჰმადიანებულია. მტკვრისა და ჭოროხის სათავეები, წარსულში განთქმულნი მოსახლეობის სიმრავლით და ქართული ქალაქების (კოლას, ოლთისის, ხერთვისის, ერუშეთის, შავშეთის, ჯავახეთისა და სხვების) ვაჭრობა-მრეწველობით, ახლა წარმოადგენენ სათიბ მინდვრებს ან მცირედ-დასახლებულ სოფლებს... ახლა ეს ადგილები დაცარიელებული და გაუდაბურებულია, მხოლოდ აქაიქ გაბნეული დიდებული ტაძრების ნანგრევები, რომლებიც დაფარულია ხავსითა და შამბნარით, მოწმობენ, რომ აქ ოდესღაც ქრისტიანი მოსახლეობის ცხოვრება ჰყვაოდა" [2].

გ. წერეთელს კარგად ესმოდა რუსეთ-თურქეთის ომის მთავარი მიზნები და გმობდა მათ. „სარწმუნოებისთვის დევნულება დიდი უსამართლობაა, — წერდა იგი, — დევნულებაზე ომი დიდი ბოროტებაა".

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი. Письмо с Кавказа. „Голос". №297. 1877 г.
[2] იქვე.

მიუხედავად ამისა, გ. წერეთელი ამ ომს ქართველებისა და სომხებისათვის განმათავისუფლებელ ომად თვლიდა. „ამ ქვეყნების (თურქეთის სომხური და ქართული ოლქების) ქრისტიანი მოსახლეობა, — წერდა გ. წერეთელი. — სომხები და ქართველები უყურებენ ამ ომს როგორც განმათავისუფლებელს ოსმალთა ჩაგვრისაგან". „ცნობამ რუსეთის მიერ თურქეთისათვის ომის გამოცხადების შესახებ გაახარა მთელი თურქეთის საქართველო". გ. წერეთელი ხედავდა, რომ თავისთავად სამხრეთ საქართველოს განთავისუფლება სრულებითაც არ შედიოდა მეფის მთავრობის გეგმებში. ამიტომ თურქეთის მიერ მიტაცებული ქართული მიწა-წყლის რუსეთთან შეერთების აუცილებლობას გ. წერეთელი „სტრატეგიული მოსაზრებებითაც" ასაბუთებდა: „სხვა რომ არაფერი, ამ რაიონების მდებარეობა მოითხოვს რუსეთისაგან მათ დაპყრობასო" [1].

ალექსანდრე მეორის მანიფესტში თურქეთთან ომის ძირითად მიზნად ბალკანეთის „ქრისტიანთა განთავისუფლება" იყო გამოცხადებული. გ. წერეთელი გადაჭრით ილაშქრებდა საკითხის ასე დაყენების წინააღმდეგ: აზიელი ქრისტიანები ევროპელებზე უფრო იტანჯებიან თურქი ფეოდალების ძალადობისაგან და ამიტომ „თურქეთის უღლისაგან ქრისტიანების განთავისუფლების დროშით დაწყებულმა ახლანდელმა ომმა თანაბრად უნდა დაიცვას, როგორც ევროპის, ისე აზიის თურქეთის ქრისტიანეთა ინტერესებიო" [2].

უფრო მეტიც: გ. წერეთელი პირდაპირ ბრალს დებდა მეფის მთავრობას, რომ მისი ჯარები ამიერკავკასიის ფრონტზე უმოქმედობას იჩენდნენ და გადამწყვეტ შეტევას არ იწყებდნენ მთელი სამხრეთ საქართველოს გასათავისუფლებლად. ფრონტის სარდლობა შეტევის ნელ ტემპს აფხაზების აჯანყებას აბრალებდა. ამის საწინააღმდეგოდ გ. წერეთელი ამტკიცებდა, რომ „აფხაზეთში არ ყოფილა „ფორმალური პოლიტიკური ჯანყი", არამედ — უბრალო უკმაყოფილება ად-

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, Письма с Кавказа, „Голос", № 297, 1877 г.
[2] იქვე.

გილობრივი ადმინისტრაციით, სავსებით ისეთი, როგორიც იყო გასულ წელს ზუგდიდის მაზრაში და სვანეთში". გ. წერეთელი იქვე მიუთითებს, რომ ჯერ კიდევ ყირიმის ომის დროს „თურქეთის ქართველები" აცხადებდნენ რუსეთთთან შეერთების სურვილს, მაგრამ რუსეთის მთავრობამ ამას ყურადღება არ მიაქციაო და დაასკვნის: „ვიყოთ გულახდილნი... აფხაზებმა იარაღი აღმართეს მაშინ, როცა ჩვენ მივატოვეთ ისინი ბედის ანაბარა, მაშინ, როცა თურქები მოვიდნენ, დაიკავეს მათი მხარე, მძევლად წაიყვანეს მათი ოჯახები და მუქარით აიძულეს ისინი გამოსულიყვნენ ჩვენს წინააღმდეგ. ჩვენ რომ ბედის ანაბარა არ მიგვეტოვებინა აფხაზები, ისინი დაუფიქრებლად გამოვიდოდნენ თურქების წინააღმდეგ... ომის გამოცხადების შემდეგაც (ლაპარაკია 1877-78 წლების ომზე მ. გ.) თურქეთის ქართველები დიდხანს გვთავაზობდნენ თავიანთ სამსახურს და გვიწვევდნენ — თავისუფლად დაგვეკავებინა ციხისძირიც და ბათომიც; მაგრამ ჩვენ არ ვინძრეოდითო" [1]...

გ. წერეთელს მეფის მთავრობის უმოქმედობა მიაჩნდა იმის მიზეზად, რომ ბერლინის კონგრესზე რუსეთის დელეგაციას მოუხდა დათმობაზე წასვლა და უარის თქმა სამხრეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონზე, კერძოდ, ლაზისტანის ნაწილზე, „რომელიც, — როგორც გ. წერეთელი ამბობს, — სამართლიანად გვეკუთვნოდა ჩვენ ეთნიური მონაცემებისა და წარსულ ომში ჩვენი იარაღის წარმატებათა საფუძველზე".

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ გ. წერეთელი მომხრე იყო ცარიზმის ეროვნულ-კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ ყოველგვარი საშუალებით ბრძოლისა, იგი რუსეთს თვლიდა ერთადერთ რეალურ ძალად, რომელსაც შეეძლო თურქი დამპყრობლების მიერ მიტაცებული ქართული მიწა-წყლის შემოერთება და ამ საფუძველზე საქართველოს გაერთიანება.

---

[1] გ. წერეთელი. Письма с Кавказа, I. „Голос", № 257, 1877 г.

ასეთია ფაქტები. ამ ფაქტებით მტკიცდება, რომ გ. წერეთლის გამოცხადება დასავლეთ ევროპის ორიენტაციის მომხრედ და, მით უფრო, უცხო სახელმწიფოების აგენტად დიდი უსამართლობა და უხეში შეცდომაა.

ეს შეცდომა ლოგიკურად გამომდინარეობს რუსეთთან საქართველოს დამოკიდებულების შესახებ გ. წერეთლის შეხედულებათა გაუგებრობიდან.

ზოგიერთი მკვლევარი გ. წერეთელს სეპარატისტად და „საქართველოს რუსეთიდან გამოყოფის მომხრედ" აცხადებს. ზოგიერთის აზრით კი, გ. წერეთელი „მხარს არ უჭერდა რუსეთის ტახტის ერთგულებას და ცდილობდა საქართველოს სრულიად განთავისუფლებას რუსეთის დესპოტიისაგან".

გ. წერეთელი რომ თვითმპყრობელობის ერთგული არ იყო, ეს მართალია. ისიც, მართალია, რომ გ. წერეთელი უარს არ იტყოდა ხელსაყრელ პირობებში საქართველოს „სრულ თავისუფლებაზე". მაგრამ ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ გ. წერეთელი კარგად ხედავდა „საქართველოს სრულიად განთავისუფლებისათვის" პირობების მოუმწიფებლობას 70-იან წლებში და საქართველოს გაერთიანების იმედს რუსეთზე ამყარებდა. გ. წერეთელი 1877 წელს წერდა: „ომის გამოცხადებამდე რამდენიმე კვირის წინ კონსტანტინოპოლის ერთ გაზეთში (მითხად-ფაშას ორგანოში) გამოქვეყნდა მოწინავე სტატია, რომელშიც სხვათაშორის ლაპარაკი იყო იმაზე, რომ „ქართველები უკმაყოფილო არიან რუსეთის მმართველობით და რუსების წინააღმდეგ აჯანყდებიანო". ამით ხელები გაეხსნებათ მთიელებს, ისინიც მათ მაგალითს მიბაძავენ და მაშინ, „ამიერკავკასიის მხარისა და, საერთოდ მთელი კავკასიის საერთო-სახალხო აჯანყების ვითარებაში". მცირე აზიაში თურქების წარმატებები უზრუნველყოფილი იქნებაო. იმავე გაზეთში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ „სრული წარმატებისათვის" საკმარისი იქნება. თურქების გადასხდომა სადმე შავი ზღვის ნაპირზეო... დიდი დიპლომატი — მითხად-ფაშა, — განაგრძობს გ. წერეთელი, — როგორც ჩანს, კარგად გრძნობდა ქართველების მებრძოლ სულს, მას ახსოვდა ისტორიიდან, თუ რა დიდ მსხვერპლად დაუჯდათ

თურქებს საქართველოსთან ბრძოლა ოთხასი წლის მანძილზე... მაგრამ მას, როგორც აღმოჩნდა, არაფერი არ სცოდნია მათი (ქართველთა) ახლანდელი განწყობილებისა. (ხაზი ჩემია. მ. გ.). ანგარიშში მოტყუებულმა შექფეთ-ფაშამ ნათლად დაინახა, რომ სოხუმს იქით მას არ უშვებენ იგივე ქართველები, რომლების გამოყენებას იგი ვარაუდობდა... მათ მოელოდათ შეხვედრა ქართველებისა არა პურმარილით, არამედ იარაღით ხელში" [1].

როგორც ვხედავთ, გ. წერეთელი სრულებითაც არ ყოფილა საქართველოს დამოუკიდებლობის განურჩეველი მომხრე.

„ერთა თავისუფალი გამოყოფის უფლების საკითხის და ამა თუ იმ მომენტში ერის გამოყოფის აუცილებლობის საკითხის ერთმანეთში არევა შეუწყნარებელია... როდესაც ჩაგრულ ეროვნებათა გამოყოფის უფლებას, თავიანთი პოლიტიკური ბედის გადაჭრის უფლებას ვაღიარებთ, ჩვენ ამით არ ვწყვეტთ საკითხს—უნდა გამოეყონ თუ არა რუსეთის სახელმწიფოს მოცემულ მომენტში ესა და ეს ერები. მე შემიძლია ვაღიარო ერის გამოყოფის უფლება, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ მე იგი ვალდებული გავხადე ასე მოიქცეს. ხალხს უფლება აქვს გამოიყოს, მაგრამ მას, პირობების მიხედვით, შეუძლია არც ისარგებლოს ამ უფლებით" [2].

ასეთია ერის გამოყოფის უფლების და გამოყოფის აუცილებლობის საკითხის დიალექტიკური ახსნა, მოცემული სტალინის მიერ.

რა თქმა უნდა, გ. წერეთელი შორს იყო მარქსისტული დიალექტიკისაგან, მაგრამ „შეუფერავ რეალისტს" არც ამ შემთხვევაში უღალატა ალღომ და „ჯანსაღ აზრზე" დაყრდნობითაც შესძლო ალექსანდრე ბატონიშვილის ტიპის ვიწროშუბლიან ავანტურისტებზე მაღლა დადგომა.

გ. წერეთელს, ისევე როგორც მისი დროის ყველა პროგრესულ ქართველ მოღვაწეს, გულწრფელად სურდა საქართ-

---

[1] გ. წერეთელი, Письма с Кавказа, II, „Голос", № 257, 1877 г.

[2] ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 3, გვ. 57 — 58.

ველოს დამოუკიდებლობა. იგივე სურდათ დიდ რუს ხალხს და მის საუკეთესო შვილებს ყველა ჩაგრული ხალხისათვის. მათთან ერთად გ. წერეთელიც აღიარებდა ქართველი ხალხის კანონიერ უფლებას — საკუთარი სურვილის მიხედვით მოეწყო თავისი შინაგანი პოლიტიკური ცხოვრება, შეექმნა დამოუკიდებელი სახელმწიფო; მაშასადამე, გ. წერეთელი აღიარებდა ქართველი ხალხის გამოყოფის უფლებას. ამ კანონიერი უფლებისათვის მებრძოლთა შორის გ. წერეთელს ერთ-ერთი საპატიო ადგილი ეკუთვნის.

მეორე მხრივ, გ. წერეთელი სასურველს მკვეთრად ანსხვავებდა შესაძლებლისა და მიზანშეწონილისაგან. იგი ითვალისწინებდა საქართველოს საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობას გასული საუკუნის მეორე ნახევარში და სცნობდა რუსეთთან საქართველოს შეერთების პროგრესულობას; მაშასადამე, იმ ისტორიულ პირობებში გ. წერეთელს აუცილებლად არ მიაჩნდა ქართველი ხალხის მიერ გამოყოფის უფლების გამოყენება.

გ. წერეთელი აცალკევებდა რუსეთის ხალხს თვითმპყრობელობისაგან, ჩერნიშევსკის რუსეთს — ალექსანდრე მეორის რუსეთისაგან. გ. წერეთელი ებრძოდა ცარიზმს, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა მას — ესწავლა ბელინსკისა და ჩერნიშევსკისაგან, დობროლიუბოვისა და პისარევისაგან. „ხალხი, რომელიც არ უნდა აიღო, — წერდა გ. წერეთელი, — რუსის, ქართველის, სომხის, თათრის და სხვა, ყველა უბრალოა, ყველა სინდისიანია, პატიოსანი... მაგრამ ყოველს იმაში გამოიძებნება თითო-ოროლა ავაზაკები, არამცთუ თითო-ოროლა, მთელი პარტიაც, მთელი წოდებაც“... [1]

გ. წერეთელი ყოველთვის აღტაცებით აღნიშნავდა დიდი რუსი ხალხის წინსვლას და რუსული ეროვნული სიამაყის ზრდის მაჩვენებელ ფაქტებს. მაგალითად, 1868 წელს გ. წერეთელი წერდა: „ამ უკანასკნელს ხანს რუსეთის ხალხის განათლებულმა ნაწილმა დიდი სიმხნით მიჰყო ხელი თავისი გონების ზრდას და განათლების გავრცელებას... გონიერი

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ჩვენ და ჩვენი „დროება“, „დროება“, № 16, 1879 წ.

ცხოვრება თანდათან ვრცელდება არათუ მარტო დედაქალაქში, არამედ რუსეთის ხალხშიაც... რუსეთის ხალხმა გაიღვიძა და დაიწყო თანდათან გაძლიერება". იქვე გ. წერეთელს მოაქვს ერთი რუსი მეცნიერის მიერ ნათქვამი ეროვნული სიამაყის გრძნობით გამსჭვალული სიტყვები: „აქამდის ჩვენს ენას არაფრათ დავსდევდითო და მაღალი წოდება ჩვენი საზოგადოებისა იმითი იცნობოდა, რომ მშვენიერი პარიჟული გამოთქმა ჰქონდა და ცუდათ ლაპარაკობდა თავის სამშობლო ენაზე. მაგრამ ის დრო თანდათან გადის, როცა ჩვენში სამშობლო ენა სძულდათო და არც ის დროა შორს, როცა დიდის თვითარსებობით და სიყვარულით მივყოფთ ხელს იმას, რითაც მართლაც უფრო მდიდარი და ძლიერი ვართ ევროპის ხალხზეო".

გ. წერეთელი აღტაცებით ეგებებოდა დიდი რუსი ხალხისა და ქართველი ხალხის დაახლოებისაკენ გადადგმულ ყოველ ნაბიჯს. იგი განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მოწინავე რუსული კულტურის გავრცელებას საქართველოში, რადგან დიდი რუსი ხალხის კულტურა მიაჩნდა საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების დაწინაურების და ქართველი ხალხის განათლების საუკეთესო საშუალებად. მაგალითად, თბილისის რუსული დრამატული დასის მიერ გრიბოედოვის უკვდავი კომედიის დადგმასთან დაკავშირებით გ. წერეთელი წერდა: „ამ შემთხვევაში (რუსული) სცენა შეიქმნება ერთ საუკეთესო საშუალებათ, რომლითაც უფრო გონებაგახსნილი (რუსული) ცხოვრება კეთილად იზედმოქმედებს ნაკლებად განათლებულზე (ქართულზე)... სცენას დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხის აღზრდაში. ეევი არ არის რუსული სცენა ამ აზრით არის გამართული ტფილისში და ყველანიც უნდა ვიყოთ ამ კეთილი საქმის მოხარულნი" [1].

ასე რომ გ. წერეთლისათვის საქართველოს დამოუკიდებლობა თვითმიზანი არ იყო. იგი მოითხოვდა საქართველოს გამოყოფას არა საერთოდ რუსეთისაგან, არამედ — ცარიზმისა და მისი ეროვნული ჩაგვრის პოლიტიკისაგან. მეფის „რუსეთთან

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი. თხზ., სრ. კრებული, ტ. I, გვ. 179, 209, 210.

ძმობის გამოცხადება, — სწერდა გ. წერეთელი ეგ. ნინოშვილს, — მანამდე შეუძლებელია, სანამდის მის მთავრობას ბრეჟყალებში ვყავართ გამოკლულიო...“ [1].

გ. წერეთელი ვერ ამაღლდა ნამდვილ ინტერნაციონალიზმამდე. იგი მოითხოვდა ამიერკავკასიის ხალხთა, საერთოდ, ჩაგრულ ხალხთა გაერთიანებას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად. მაგრამ ცარიზმის ნაციონალურ-კოლონიური პოლიტიკის ბატონობის ვითარებაში, როცა „მეფის მთავრობა აჩვევდა რუს მოსახლეობას, ისე ეცქირა ნაციონალური ოლქების მკვიდრი მოსახლეობისათვის, როგორც დაბალი რასისათვის“ [2], გ. წერეთელი სათანადოდ ვერ აფასებდა ჩაგრულ ხალხთა ეროვნულ-რევოლუციური მოძრაობის დაკავშირების აუცილებლობას დიდი რუსი ხალხის რევოლუციურ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან. ნაწილობრივ ეს შეუძლებელიც იყო ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ეპოქაში, რამდენადაც იმ დროს ჩაგრულ ხალხთა წინააღმდეგ იდგა „არა თუ მარტო რუსეთის მმართველობა, არამედ რუსეთის ხალხიც კი, რომელსაც ჯერ ვერ შეუგნია, რომ მათი საერთო მტერი თვითმპყრობელობაა“ [3]. მაგრამ, მიუხედავად ამისა, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეთა, სახელდობრ, გ. წერეთლის ბრძოლა ქართველი ხალხის განთავისუფლებისათვის ობიექტურად უერთდებოდა რუსეთის რევოლუციონერთა ბრძოლას თვითმპყრობელობასთან.

გ. წერეთელი დიდ იმედს ამყარებდა ცარიზმის დასამხობად რუსი რევოლუციონერების და რუსი ხალხის გმირულ ბრძოლაზე; როგორც ვნახეთ, სწორედ მათი გავლენით გ. წერეთელი ჯერ კიდევ 60-იანი წლების დასაწყისში ჩაება რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიულ მოძრაობაში. 70-იანი წლების მიწურულში, როცა რუსეთში ახალი რევოლუციური სიტუაცია დგებოდა, გ. წერეთელი კვლავ იმედით განიმს-

---

1 იხ. ეგ. ნინოშვილი, თხზ., ტ. III, გვ. 156.
2 საკ. კ. პ. (ბ) ისტორია, გვ. 7. 1953 წ.
3 ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 22 — 23.

ჭვალა. ამ დროს იგი ცარიზმთან რევოლუციურ-ტერორისტული ბრძოლის წარმატებებს თვითმპყრობელური წყობილების დამხობის წინასწარ მაუწყებელ ნიშნად თვლიდა. 1879 წელს „ნაროდნაია ვოლიას“ გმირების მიერ გუბერნატორ კროპოტკინის მოკვლის გამო გ. წერეთელი წერდა: „აქ შემდეგობითი კავშირი შეთქმულობისაგან კი არ წარმოსდგება, ერთი საზოგადო მიზეზისაგან... (იგულისხმება თვითმპყრობელური წყობილება. მ. გ.)... მოვა თუ არა გაზაფხული, — ქარაგმულად დასძენს გ. წერეთელი, — საქართველოშიდაც ტყე შეიმოსება ფოთლით და ჩინეთშიც“...[1]

ტერორისტებმა ვერ დაამხეს თვითმპყრობელური წყობილება რუსეთში და ქართველი ხალხის ეროვნული განთავისუფლების გაზაფხულმაც დაიგვიანა. მაგრამ გ. წერეთელი კვლავ ნათლად ითვალისწინებდა საქართველოს საშინაო და საგარეო ვითარებას და ემხრობოდა რუსეთთან საქართველოს „შეთანხმებას“ „ორი პრინციპით: შინ ყოველი განკერძოებული საკუთარი თავისუფლებისა და საკუთარი შინაგანი გამგეობის მინიჭება; ხოლო გარეთ მთელი სახელმწიფოსათვის შეერთებული შრომა და ერთმანეთის შეწევნით სახელმწიფოს დაცვა და განმტკიცება“...[2]

ბრძოლის გარიბალდისეული ფორმის გამოყენება საქართველოში „შეუძლებელი“ აღმოჩნდა, ეკონომიურ ნიადაგზე ბრძოლის საშუალებით ერის „გაღონიერების“ მეთოდმა საქმეს ვერ უშველა, ხოლო თვითმპყრობელობის პირობებში ეროვნული საკითხის „შვეიცარიულ“ გადაწყვეტაზე ფიქრიც შეუძლებელი იყო. გ. წერეთელს ისღა დარჩენოდა, რომ „ცალ-ცალკე ერების შეთანხმების“ ავსტრიული მეთოდით დაკმაყოფილებულიყო... მართლაც ავსტრო-უნგრეთის იმპერიაში ეროვნული საკითხის გადაწყვეტა გ. წერეთელს სანიმუშოდ მიაჩნდა რუსეთის იმპერიისათვის 90-იან წლებში.

„გალიცია ავსტრიის სახელმწიფოს აქვს მისაკუთრებული; — წერდა გ. წერეთელი, — მას აქეთ რაც ავსტრიის იმპე-

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, უცნაური ნიშნები, „დროება“, № 39, 1879 წ.

[2] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ავსტრიის იმპერიის კანცლერი ბადენი, „კვალი“, № 49, 1895 წ.

რატორმა მიანიჭა ამ ქვეყანას სრული თავისუფლება შინაგან ქვეყნის გამგეობაში, მისცა საკუთარი პარლამენტი, ე. ი. უფლება ხალხის წარმომადგენლების მეოხებით ქვეყნის მართვისა, მისცა თავის საკუთარ ენაზე სამართლის წარმოება, განათავისუფლა მისი ეკლესია, მიანიჭა ნება... პოლონელ ენაზე ყოფილიყო სწავლა-განათლება, — ეს პოლონიის ნაწილი უერთგულესი ქვეყანა შეიქნა ავსტრიის იმპერატორისათვის. რამდენათაც უწინ ღელავდა და წინააღმდეგობას უწევდა ავსტრიის იმპერატორს, როცა იგი თავის მძვინვარე კლანჭებში გამოკლული ყავდა, იმდენათ დღეს გალიცია ერთგული შეიქნა ავსტრიის იმპერატორის ტახტისა, როცა მას მიანიჭეს შინაგანი თავისუფლება და ეროვნულს ნიადაგზე განვითარება“ [1].

ამ ამონაწერში გადმოცემულია გ. წერეთლის მთელი ეროვნული პროგრამა. რუსეთის საშუალებით საქართველოს მთლიანობის აღდგენა და დაცვა, სხვა ხალხებთან ქართველი ხალხის მოქალაქეობრივი თანასწორობის აღიარება, ადგილობრივი საოლქო თვითმმართველობის მინიჭება ქართველი ხალხისათვის, სახელმწიფო დაწესებულებებსა და სკოლებში ქართული ენის შემოღება, ქართული კულტურის ხელშეუხებლობა, — აი, გ. წერეთლის ეროვნული პროგრამის ძირითადი პუნქტები.

1877 — 78 წლების ომთან გ. წერეთლის დამოკიდებულების განხილვისას ნაჩვენები იყო, რომ გ. წერეთელი მეფის მთავრობისაგან დაჟინებით მოითხოვდა დროთა განმავლობაში მტრების მიერ მიტაცებული ქართული მიწა-წყლის დაბრუნებას ქართველი ხალხისათვის. მეორე მხრივ, გ. წერეთელი ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კოლონიზაციის თვითმპყრობელურ პოლიტიკას.

რუსეთის ბურჟუაზიულ-მემამულური კლასების ინტერესების დამცველი მეფის მთავრობა საქართველოს დაუსახ-

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ავსტრიის იმპერიის კანცლერი ბადენი, „კვალი“, № 49, 1895 წ., გვ. 10.

ლებელ ადგილებზე რუს მემამულეებსა და კულაკებს ასახლებდა. მზარდი ეროვნული ბურჟუაზიის ინტერესები კი „მშობლიური ბაზრის“ გაფართოებას მოითხოვდა. კაპიტალიზმის განვითარებამ საქართველოში მოსახლეობის რიცხვის გაზრდა და მისი ერთი ნაწილის გაღატაკება გამოიწვია. უმიწაწყლოდ დარჩენილი, „საშოვარზე“ გასული მესამე წოდება, ბუნებრივია, დაუსახლებელი ადგილებისაკენ მიიწევდა. გ. წერეთელი „საქართველოს ერს“ შავი ზღვის სანაპიროების და სხვა დაუსახლებელი ადგილების დაკავებას ურჩევდა.

მაგრამ თვითმპყრობელობა წინააღმდეგი იყო შავი ზღვის სანაპიროებზე ქართველების დასახლებისა. მეფის დამქაშები, მაგალითად, აფხაზეთში ქართველების დასახლებას „საშიშად“ თვლიდნენ — თურქეთთან ომის შემთხვევაში სანდოა მხოლოდ რუსი მოსახლეობაო. გ. წერეთელი ამხელდა ცარიზმის კოლონიზატორულ გეგმებს და მოითხოვდა — რუსეთის ყველა ხალხს მისცემოდა უფლება შავი ზღვის სანაპიროებზე დასახლებისა. თავის შეხედულებას გ. წერეთელი „საქართველოს ერის“ ეკონომიურ მდგომარეობაზე მითითებით, აგრეთვე, დასახლებული ტერიტორიების ისტორიული ბედის და გეოგრაფიული მდებარეობის დამოწმებით ასაბუთებდა „...შავი ზღვის პირები, — წერდა იგი, — ყველა რუსის ერთგულ ქვეშევრდომთათვის უნდა იყოს კარგაღებული დასასახლებლად“ [1].

თვითმპყრობელური ბიუროკრატიის ყოვლისშემძლეობა და მოხელეთა თვითნებობა, ბუნებრივია, განაპირა მხარეებში უფრო მძლავრად იჩენდა თავს. გ. წერეთელი ეწინააღმდეგებოდა ცარიზმის მოხელეთა აღვირახსნილ თარეშს საქართველოში და „მშვიდობიანობისა და ცივილიზაციის ინტერესებისათვის“ რუსეთის სახელმწიფოს ფარგლებში საქართველოს საოლქო ავტონომიას ემხრობოდა. იგი მკაცრად აკრიტიკებდა ცარიზმის მოხელეთა თვითნებობას და ადგილობრივი

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, მიეშველეთ ნოვოროსიელ ქართველებს, „ქვალი“, № 37, 1896 წ., გვ. 650.

თვითმმართველობის დაწესება მიაჩნდა მეფის ჩინოვნიკთა პოლიციური თარეშის ამლაგმავ საშუალებად. ამიტომ გ. წერეთელი მოითხოვდა საქართველოშიაც გაეტარებინათ საერობო რეფორმა, რომელიც რუსეთში ჯერ კიდევ 60-იან წლებში „გამოგლიჯა თვითმპყრობელ მთავრობას აზვირთებულმა საზოგადოებრივმა აღტყინებამ და რევოლუციურმა შეტევამ“ (ლენინი).

ცნობილია, რას წარმოადგენდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, ერობები, ეს „მეხუთე თვალი“ რუსეთის თვითმპყრობელურ-ბიუროკრატიული სახელმწიფოს მართვა-გამგეობის სისტემაში. მაგრამ ცარიზმი ჩაგრულ ხალხებს ასეთი უბადრუკი „თვითმმართველობის“ მიცემაზედაც უარს ეუბნებოდა. როგორღა არ ცდილობდნენ მეფის დამქაშები კავკასიაში თვითმმართველობის „ნაადრევობის“ დამტკიცებას! გ. წერეთელი კი გადაჭრით ილაშქრებდა ცარიზმის მსახურთა წინააღმდეგ ერობათა შემოღების საკითხში.

გ. წერეთელი რუსულ კანონმდებლობას შეუფერებლად თვლიდა რუსეთის არარუს ერთათვის. „ახლანდელი სამართალი... ახლანდელი კანონმდებლობა, — წერდა იგი, — თვით ჩვენი ცხოვრების ვითარებაზედ კი არ არის მომართული, არამედ უფრო განათლებულ ქვეყნიდან არის გადმოღებული და მის შედგენის და შემოღების დროს არც ჩვენი ხალხის ბუნება, არც მისი სისხლ-ხორცი, არც მისი ძველი წესწყობილება და ჩვეულება, არც მისი ენა და მოსაზრება არ ყოფილა მიღებული“ [1]. ასეთი მართლმსაჯულება კი არ სპობს, არამედ, პირიქით, ხელს უწყობს დანაშაულის წარმოშობას. ერთადერთი გამოსავალი ამ მდგომარეობიდან, გ. წერეთლის აზრით, საერთო-სახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში ეროვნულ თავისებურებათა გათვალისწინებაა. „სამართალი ხალხისთვის უნდა იყოს და არა ხალხი სამართლისთვის“, — ამბობდა იგი.

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, მატიანე, „კვალი“, № 23, 1893 წ., გვ. 6.

საქართველოს საშინაო საქმეებში ჩაურევლობისა და მისთვის ადგილობრივი თვითმმართველობის უფლების მინიჭების მოთხოვნა ბუნებრივად გამომდინარეობდა რუსეთის ყველა ერთა თანასწორუფლებიანობის იდეიდან, რომელსაც გ. წერეთელი ბოლომდე ერთგულად იცავდა. იგი გმობდა ცარიზმის ეროვნულ-კოლონიურ პოლიტიკას, რომელიც რუსეთის ერებს ანაწილებდა ბატონებად და მონებად, მჩაგვრელებად და ჩაგრულებად. „დროა შეიგნონ ესრედ წოდებულთ მამულისშვილთა, — წერდა გ. წერეთელი ცარიზმის დიდმპყრობელი შოვინისტების მიმართ, — რომ რუსეთის სახელმწიფო მრავალისგვარის სარწმუნოების და მრავალგვარ ენაზე მოლაპარაკე ტომების საერთო სამშობლოა, რომ ვინც რუსეთის სამფლობელოში ცხოვრობს, ის რუსეთის მოქალაქეთ იწოდება და თანასწორადაც უნდა წევდეს სახელმწიფო მოთხოვნილებათა უღელს; მაშასადამე, თანასწორი უფლებითაც უნდა იყოს აღჭურვილი. ხოლო ვინც კი სხვადასხვა ტომებს არჩევს და გაყოფს „რუსებათ“ და „არარუსებათ“ რომ ამით დაამყაროს ერთიმეორეზე მეტ-ნაკლები უფლება, რომ ერთ ნაწილს მეორე ნაწილი დააჩაგვრინოს, ისინი ყოველი განხეთქილების წინამორბედნი არიან, ისინი ახდენენ ერთმანეთს შორის განცალკევებას... ყოველმა ნამდვილმა მამულისშვილმა მთგლი თავისი ღონისძიება იმას უნდა მოანდომოს, რომ იქადაგოს შემდეგი: უთანასწორობა, ერის ერთი ნაწილის მეორე ნაწილზე გაბატონება, გადამტერება, გვარის გვარზე აღდგენა უბედურებისა და დაცემის მეტს არას შეგვძენსო“ [1].

განაპირა მხარეებში თავისი ველური ეროვნული ჩაგვრის პოლიტიკის გატარებას ცარიზმი რუსეთის საზოგადოების ზედაფენების ყველაზე რეაქციულ, კაცთმოძულე ელემენტებს ანდობდა. რასიული თეორიის ეს აღვირახსნილი პროპაგანდისტები ქართველ ხალხს ველურ და უნიჭო ხალხად თვლიდნენ. მათი აზრით, — წერდა გ. წერეთელი, — „ყოველს

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, სენატორი კონი და მისი აზრი კავკასიის ხალხების შესახებ, „კვალი“, № 10, 1897 წ., გვ. 203.

მუნებურს მცხოვრებს დიდი სიცოცხლე არა აქვს. საზოგადოდ ქართველები ჭკუით სხვა ხალხებზე დაბლა დგანან". ასეთი იყო ცარიზმის ბნელეთის მოციქულთა „შეხედულება" ქართველ ხალხზე. ეს „შეხედულებანი" გარუსების პოლიტიკის „თეორიულ" საფუძველს წარმოადგენდა. რაც შეეხება შოვინისტთა „პრაქტიკას", გ. წერეთლის დახასიათებით იგი შემდეგში მდგომარეობდა: „ჩვენი მოვალეობაა რაც შეიძლება სწრაფად მოვსპოთ კავკასიაში მუნებური ენები და ძირი გავადგმევინოთ ჩვენს ენასაო"[1]...

გ. წერეთელი ბოლომდე მისთვის ჩვეული ენერგიულობით ებრძოდა რეაქციონერ-შოვინისტებს. იგი ამხელდა ცარიზმის სატრაპებს, რომლებიც ადგილობრივ შოვინისტურ ჯგუფებზე დაყრდნობით „ქართველი ერის სიყვარულით" სომხებს უტევდნენ, ხოლო „სომხების სიყვარულით" — ქართველებს.

ცარიზმი და მისი დამქაშები ცდილობდნენ როზგითა და მათრახით გაებატონებინათ ხალხისათვის უცხო ენა სახელმწიფო დაწესებულებებსა და სკოლებში, შეეფერხებინათ ეროვნული კულტურის განვითარება, ძალდატანებით გაერუსებინათ ჩაგრული ხალხები.

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ., ტ. II, გვ. 80 — 83. გ. წერეთელი კარგად ხედავდა, რომ ძალდატანებითი გარუსების თვითმპყრობელური პოლიტიკა, ქართული ენის განდევნა არა მარტო სახელმწიფო დაწესებულებებიდან, არამედ აგრეთვე სკოლიდანაც უდიდეს დაბრკოლებებს ქმნიდა ხალხის განათლების, მისი ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული განვითარებისათვის. გ. წერეთელი დაჟინებით მოითხოვდა ქართული ენის აღდგენას თავის უფლებებში. იგი წერდა: „თავდაპირველი საშუალება განათლებისა არის ენა... როგორც ჭკუა-გონების წართმევა არ შეიძლება, ისე ენის წართმევა არ შეიძლება... ამჟამად მაინც ყოველს ხალხს თავისი ენა აქვს და ყოველი ხალხი აქამომდე საკუთარი ენის საშუალებით ნათლდება... ახლა საქართველო იმისთანა მდგომარეობაშია, რომ დიდი და პატარა ყველა გრძნობს სწავლის საჭიროებას; ამ მოთხოვნილებას, რომ... ხელი შეეუწყოთ უეჭველად უნდა ვისარგებლოთ ჩვენი საშობლო ენითა; იმის საშუალებით უნდა გადავცეთ ხალხსა სასარგებლო სწავლა და მეცნიერება". (ტ. I, გვ. 228 — 230).

გ. წერეთელი დიდი სიმპატიით ეკიდებოდა „დიდ რუს ერს“ [1], იგი კარგად ხედავდა რუსული ენის ძლიერ „სულიერს მხარეს... და იმის ბუნებით სიმდიდრეს და სიმკვირცხლეს [2]. გ. წერეთელი აღიარებდა რუსული კულტურის კეთილისმყოფელ გავლენას ქართულ კულტურაზე; სწორედ ამიტომ მიაჩნდა მას რუსეთი ქართველი ხალხის განათლებისა და კულტურის წყაროდ; მაგრამ იგი წინააღმდეგი იყო ქართველი ხალხის ძალდატანებითი გარუსებისა და დაუღალავად ებრძოდა რეაქციული რასიული თეორიის მომხრეებს.

გ. წერეთელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა დაწინაურებულ ხალხთა ცხოვრების შესწავლას შედარებით ჩამორჩენილი ხალხების პროგრესული განვითარებისათვის. „გარეშე ერთა ცხოვრება, — წერდა იგი, — რომელიც ისტორიული გარემოების ძალით წინ წასულა ჩვენზე და ბევრად უფრო განათლებულათ ითვლება, ჩვენთვის ისე სამაგალითოა, როგორც მოწაფისათვის მისი მასწავლებლის თავგადასავალი. განათლებულ ერთა ცხოვრების შესწავლა ჩვენთვის სკოლაა, რომელმაც უნდა გვასწავლოს მისი წარსული, მისი ისტორიული მოძრაობა, აგვაცილოს მისი შეცდომა“... მაგრამ, გ. წერეთლის აზრით, დაწინაურებულმა ერებმა არ უნდა უგულებელყონ სხვა ხალხების კულტურა. შედარებით ჩამორჩენილი ხალხების ისტორიულ-კულტურული ძეგლებიც „ღირსებისამებრ (უნდა) იქნან დაფასებულნი და შესწავლულნი“.

ცარიზმი სდევნიდა და ავიწროებდა მრავალსაუკუნოვან ქართულ კულტურას. „ყოველივე ძვირფასი ჩვეულება, — წერდა გ. წერეთელი, — რომელშიაც მარგალიტსავით გამოსჭვივის ჩვენი ერის სიძველე და ემჩნევა უძველესი კვალი

---

[1] იხ. მისი წერილები 1869 წლის „დროებაში“: „მიმოვლა რუსეთისაკენ“.

[2] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, რჩ. ნაწერები, ტ. II, გვ. 143.

უმაღლესი განათლებისა, დღეს უმეცართა და უგუნურთაგან შეუბრალებლად იდევნება და ითელება“ [1].

ამიტომ იყო, რომ მეფის „უმეცარ და უგუნურ“ სატრაპთა საწინააღმდეგოდ გ. წერეთელი წერდა საქართველოს წარსულზე უამრავ სტატიებს, რომლებშიაც განიხილავდა ქართული ლიტერატურის, ისტორიის, კულტურის მრავალრიცხოვან ძეგლებს [2].

წინააღმდეგ ცარიზმის დიდმპყრობელური შოვინისტებისა, რომლებიც ქართველებს ველურებად აცხადებდნენ, გ. წერეთელი ამტკიცებდა, რომ ქართველმა ხალხმა თავისი პოლიტიკური და ეკონომიური ძლიერების ეპოქაში კაცობრიობას შესძინა მრავალი შესანიშნავი ლიტერატურული და კულტურული ძეგლი. „საქართველოს ერი, — წერდა გ. წერეთელი, — მართლაც შესანიშნავი ყოფილა თავისი წარსულით, მისი მდიდარი ლიტერატურით, ხუროთმოძღვრებით, საერო პოეზიის ნიმუშებით, რომელნიც ჯერ კიდევ არ არიან საკმაოდ დაფასებულნი, მაგრამ შესაძლებელი კია, რომ ეს კულტურის ნაწარმოებნი ყოფილიყონ ევროპის გონების განვითა-

---

[1] „კვალი“, № 11, 1895 წ., გვ. 9.

[2] ქართველ სამოციანელთა შორის გ. წერეთელს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, როგორც მკვლევარსა და გამომცემელს. მან სხვებთან ერთად ჯერ კიდევ სამოციან წლებში გამოსცა მრავალი, საყურადღებო ძეგლი ძველი და ახალი ქართული ლიტერატურისა. ისტორიულ და სხვა სახის უამრავ წერილებში, რომლებიც უმთავრესად „კვალში“ იბეჭდებოდა, გ. წერეთელმა შეისწავლა (უფრო ზუსტად: აღწერა) ქართული კულტურის ბევრი უძველესი ძეგლი. გ. წერეთლის ისტორიული და სხვა სახის გამოკვლევები გამიზნული იყო არა იმდენად მეცნიერული წრეებისათვის, რამდენადაც ხალხის ფართო მასებისათვის. მისთვის საქართველოს წარსულის შესწავლა იყო ცარიზმის რასიული იდეოლოგიის წინააღმდეგ მიმართული კონტრლონისძიება და ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძების საშუალება. თვითონ გ. წერეთელი წერდა: ამ გამოკვლევებს „სამეცნიერო საფუძველი კი არა აქვთ, მაგრამ... მათი კითხვა თვალს აუხელს ბევრ ჩვენებურ მკითხველსო“. („დროება“, № 24, 1871 წ.). მაშასადამე, გ. წერეთლის ისტორიული და სხვა სახის გამოკვლევები უმთავრესად პროპაგანდისტული ხასიათისაა, თუმცა ზოგიერთი მათგანი მეცნიერულ მნიშვნელობასაც არაა მოკლებული.

რებისათვის მისაბაძავ წყაროთ, საშუალო საუკუნეებისა და მათი აღორძინების ხანებში" [1].

გ. წერეთლის აზრით, შინაგან აშლილობას და ბარბაროს ხალხთა გამანადგურებელ თავდასხმებს რომ ადრეულად არ დაერღვია საქართველოს სამეფოს ეკონომიური და პოლიტიკური ძლიერება, რენესანსის ეპოქა საქართველოში უფრო ადრე დადგებოდა, ვიდრე ევროპაში: „ქართველი ერის კულტურულ მოძრაობას, — წერდა გ. წერეთელი, — სხვა ევროპის ერებისას ვერ შეეუფარდებთ... მას არ ღირსებია ის განვითარება, რაც ევროპის ხალხებს ეწია: ან აღორძინების ხანაში, ან რეფორმაციის ხანაში, ან დიდ რევოლუციაში. ფეოდალიზმის შესუსტება, ვაჭრობის ცენტრების შექმნა და ვაჭართა კლასის თანდათანი გაძლიერების მეოხებით დიდი ქალაქების აღორძინება საქართველოს ისტორიამ არ იცის, არ იცის აგრეთვე მან დიდი რევოლუციის მოვლენა, რომელმაც აღადგინა დაჩაგრული, დამონებული ცხოვრების მიერ დატყვევებული კაცი, არ მოსწრებია მის განთავისუფლებას და არ მიუღია მონაწილეობა მისი პირადი უფლებების აღდგენის ხანაში. მაგიერათ მისი კულტურული წინმსვლელობა, რომ მეცამეტე საუკუნეში მონგოლებს და ძლიერ მაჰმადიანთა სარწმუნოების მძლავრობას არ მოესპო, მაშინ ბიზანტია და მასთან საქართველოც თანახმად უმაღლესი გონებრივი განვითარებისა რამდენიმე საუკუნით უფრო ადრე გამოცდიდა ზემოხსენებული ევროპის წარმატებითს ევოლუციას და ამის მეოხებით შესაძლებელი იქნებოდა დღეს მთელი აღმოსავლეთის და დასავლეთის კაცობრიობა რამდენიმე საუკუნით წინ ყოფილიყო"... [2]

გ. წერეთელი ძველ ქართულ ლიტერატურას და კულტურას თვლიდა ღრმადნაციონალურ, თავისთავად მოვლენად. იგი განსაკუთრებით მკაცრად ილაშქრებდა იმათ წინააღმდეგ, ვინც ქართულ მწერლობას სპარსული ლიტერატურის გადამ-

---

[1] გ. წ ერ ე თ ე ლ ი, რეცენზია ხახანაშვილის წიგნზე: „კვალი", № 47, 1898 წ.

[2] იქვე.

ღერებად მიიჩნევდა. „მოარულ აზრს“ სპარსული კულტუ-
.რის მიერ ქართულ კულტურაზე ვითომდა მოხდენილი გან-
მსაზღვრელი გავლენის შესახებ — გ. წერეთელი „თავისი
დროის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შეცდომას“ უწოდებდა.

გ. წერეთლის შეხედულებანი ქართული კულტურის თა-
ვისთავადობასა და სიდიადეზე, ისევე, როგორც მთლიანად
მისი ეროვნული პროგრამა მიმართული იყო ცარიზმის ეროვ-
ნულ-კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ. გ. წერეთელი
ბოლომდე იცავდა ყველა ხალხის თანასწორობის, კერძოდ,
სხვა ხალხებთან ქართველი ხალხის თანასწორობის იდეას. რა
თქმა უნდა, საქმე ეხებოდა ბურჟუაზიულ ერებს და ბურჟუა-
ზიულ თანასწორობას. მაშასადამე, გ. წერეთლის ეროვნული
პროგრამა 60 — 70-იანი წლების ვითარებაში ბურჟუაზიულ
ფარგლებს ვერ გასცილდებოდა. მაგრამ იმ დროს, ცარიზმის
ეროვნულ-კოლონიური პოლიტიკის უმთავრესი სიმძიმის
ატანა უხდებოდათ არა შეძლებულ კლასებს, არამედ მშრო-
მელი ხალხის ფართო მასებს. ამიტომ სავსებით ბუნებრივია,
რომ გ. წერეთლის ეროვნულ პროგრამაში, საერთოდ, მის
ეროვნულ შეხედულებებში ასახულია ორმაგი ექსპლოატა-
ციით განაწამები წვრილბურჟუაზიულ-გლეხური ფენების
საარსებო ინტერესები, მათი ფსიქოლოგია. სწორედ ესაა
იმის მთავარი მიზეზი, რომ წვრილბურჟუაზიული მერყეობა,
საშუალო გზების ძიება, ქანაობა რადიკალიზმსა და ლიბერა-
ლიზმს შორის, — რაც იმთავითვე ახასიათებდა გ. წერეთელს,
ბოლომდე დარჩა მისი შეხედულებების განმსაზღვრელ მო-
შენტად ეროვნულ საკითხში — იმ განსხვავებით, რომ 90-იან
წლებში გ. წერეთელი უფრო მეტად და უფრო „ნამდვილად“
ასხამდა წყალს ბურჟუაზიის წისქვილზე. ამ დროს გ. წერე-
თელი ქართველი ხალხის ეროვნული განთავისუფლების
იმედს, ერთი მხრივ, პროლეტარულ მოძრაობაზე ამყარებს,
მეორე მხრივ, რუსეთის მეფის მთავრობაზე. იგი თავის თავს
მარქსისტად თვლიდა. მაგრამ მაინც არ სჯეროდა, რომ ცა-
რიზმის კოლონიურ გეგმებში ქართველი ხალხის საჭიროება-
ზე ზრუნვა არ იყო „გათვალისწინებული“.

იგი წერდა, რომ ქართველმა ხალხმა უნდა იშუამდგომლოს ცარიზმის წინაშე, გააგებინოს, აუხსნას, დაუმტკიცოს ერთგულება ცარიზმს და ცარიზმიც იზრუნებს! [1] ე. ი. სწორედ ისე, როგორც ل ე ნ ი ნ ი ამბობდა 80—90-იანი წლების ლიბერალურ ნაროდნიკებზე: „მათ ისე ჰგონიათ, რომ თუ ამ მთავრობას კარგად და უფრო ალერსიანად სთხოვე, მას შეუძლია ყოველივე კარგად მოაწყოსო“ [2].

ასე ქვეითდებოდა წვრილბურჟუაზიული რუსი დემოკრატი შეუგნებელი გლეხის მარტივ, უსუსურ ფილოსოფიამდე 80—90-იან წლებში. ასევე ქვეითდებოდა 60—70-იანი წლების ქართველი განმანათლებელი — გ. წერეთელი რევოლუციურობიდან ლიბერალობამდე, თუმცა იგი მესამედასელთა ნათლიად და მათ „ერთგულ“ თანამებრძოლად ითვლებოდა. ამ დაქვეითების მიზეზი იყო იმის შეუგნებლობა, რომ „სახელმწიფოც ბურჟუაზიულ საზოგადოებაში არ შეიძლება არ იყოს კლასობრივი სახელმწიფო“.

ისტორიული განსაზღვრულობა და შეზღუდულობა განსაკუთრებით ნათლად ჩანს ერის იმ განმარტებაში, რომელსაც გ. წერეთელი აყენებდა.

მაგრამ მიუხედავად მსოფლმხედველობრივი და კლასობრივი შეზღუდულობისა, გ. წერეთლის შეხედულებანი ეროვნულ საკითხში, ამ შეხედულებათა ძირითადი შინაარსი თავის დროისათვის უდაოდ პროგრესული და რევოლუციური იყო. გ. წერეთელი ვერ ამაღლდა პროლეტარულ ინტერნაციონალიზმამდე: მან ვერ შესძლო (ნაწილობრივ არც შეეძლო იმ ისტორიულ პირობებში, რომელშიც მას მოუხდა მოღვაწეობა) ეჩვენებინა ქართველი ხალხის ეროვნული განთავისუფლების ნამდვილი გზები და საშუალებანი. მაგრამ გ. წერეთლის ეროვნულ პროგრამას და პოლიტიკას, მის შეხედულებებს ეროვნულ საკითხში, — რომელშიც ყველა თავისი ნაკლითა და მიღწევით, ძალითა და უძლურებით აისახა ქართველი ხალხის ბრძოლა ცარიზმის ეროვნულ-კოლონიური

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, მიეშველეთ ნოვოროსიელ ქართველებს, „ქვალი“, № 37, 1896 წ., გვ. 650.

[2] ე. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 1, გვ. 303 — 304.

ჩაგვრის პოლიტიკის წინააღმდეგ, — დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების შემუშავებისა და მომავალი ბრძოლებისათვის მისი მომზადების საქმეში.

გ. წერეთელი დიდი იმედით შეჰყურებდა ეროვნული თავისუფლებისათვის აღმოსავლეთის ხალხთა ბრძოლას. წინასწარმეტყველურად გაისმის 1894 წელს ჩინეთში მომხდარი ნაციონალური აჯანყების გამო მის მიერ თქმული სიტყვები: ეს აჯანყება გვიჩვენებსო, რომ „რაც დასავლეთისთვის მე-19 საუკუნე იყო, იგივე უნდა შეიქნეს მე-20 საუკუნე აღმოსავლეთისათვის" [1].

გ. წერეთელი გრძნობდა საქართველოს განთავისუფლების მოახლოვებას. იგი იმედს გამოთქვამდა, რომ პირადად მოესწრებოდა ქართველი ხალხის ეროვნულ განთავისუფლებას. 90-იანი წლების დასაწყისიდან გ. წერეთელი პროლეტარულ მოძრაობაში ეძებდა საქართველოს განთავისუფლებელ ძალას; მაგრამ, რა თქმა უნდა, მას არ შეეძლო პროლეტარული მოძრაობის პირდაპირი მიზნების შეცნობა, არ შეეძლო დაეწახა, რომ მე-20 საუკუნეში კიდევ უფრო დიდი გარდატეხა მოხდებოდა კაცობრიობის ისტორიაში, ვიდრე მე-19 საუკუნეში მოხდა.

საქართველოს ეროვნული განთავისუფლებისათვის „ყველა საშუალებით ბრძოლის" ტაქტიკამ უკვე გ. წერეთლის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მოჭამა თავისი დრო, ვერც „მესამე დასის" ოპორტუნისტებმა უშველეს საქმეს. საქართველოს ეროვნული განთავისუფლება, რაც თვითმპყრობელური და კაპიტალისტური წყობილების ხუნდებისაგან რუსეთის ხალხთა რევოლუციური განთავისუფლების შედეგად მოხდა,— სულ სხვა „დასს" და სულ სხვა საზოგადოებრივ ძალას ხვდა წილად, ვიდრე გ. წერეთელი ვარაუდობდა. თავისი ხალხის დიდ პატრიოტს კი სამარეში ჩაჰყვა სამშობლოს განთავისუფლების იმედი.

---

[1] იხ. „ყვალი", № 11, 1895 წ., გვ. 14.

თავი მესამე

გიორგი წერეთლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი

ქართველი ხალხის ეროვნული განთავისუფლების რევოლუციურ მოთხოვნასთან ერთად 60-იანი წლების ქართველმა განმანათლებლებმა წამოაყენეს დემოკრატიულ საწყისებზე საზოგადოების გარდაქმნის ფართო პოლიტიკური პროგრამა. ამ მხრით ისინი დადებითად განსხვავდებოდნენ თავიანთი წინამორბედებისაგან. „დამოუკიდებელი საქართველოს" ფეოდალურ-მონარქიული იდეა ბატონყმობის ურყევობას გულისხმობდა; 60-იანი წლების ქართველი განმანათლებლები კი ბატონყმობისა და ყველა მისი ეკონომიური, სოციალური და პოლიტიკური გამოვლინების წინააღმდეგ შეურიგებელი მებრძოლნი იყვნენ.

გ. წერეთელი თავისი დროის გამოჩენილი დემოკრატი იყო. მისი აზრით, ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ან, როგორც იგი ამბობს, „ნამდვილი ეროვნული პრინციპის მომხრეობა", „საესებით გატაცება ეროვნული პრინციპით", — ნიშნავს ყოველგვარი კავშირის გაწყვეტას ფეოდალურ-ბატონყმურ ჩამორჩენილობასთან. ამ საფუძველზე გ. წერეთელი თავიდანვე მკვეთრად დაუპირისპირდა „ფეოდალურ-მონარქიული ნაციონალიზმის" წარმომადგენლებს, რომლებსაც, მისი სიტყვით, „მარტო თავად-აზნაურო-

ბა ეგონათ ერი“... და „იმათი ეროვნული პრინციპიც მარტო თავად-აზნაურობის კეთილდღეობაში გამოიხატებოდა“. გ. წერეთელი წერდა: ისინი რომ „...ისე სავსებით ყოფილიყვნენ ეროვნული პრინციპით გატაცებულნი, მაშინ... ტირილს აღარ დაიწყებდნენ ყმების განთავისუფლებისათვის... „რაღა გვეშველება?... ხომ დავიღუპეთ, გლეხები რომ ყმებათ მოგვეშალონო?..“[1]

გ. წერეთლის, როგორც პოლიტიკური მოღვაწის, ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება სწორედ ის არის, რომ მისი ბრძოლა ქართველი ხალხის ეროვნული თავისუფლებისათვის სცილდებოდა „ვიწრო-ნაციონალური“ ბრძოლის ფარგლებს და უერთდებოდა სრულიად-რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიულ მოძრაობას „ყმების განთავისუფლებისათვის“. ამ აზრით, გ. წერეთელი დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების სახელოვანი მოწაფე და თანამებრძოლი იყო საქართველოში. ამიტომაც არის მართებული გ. წერეთლის პოლიტიკური მსოფლმხედველობის დახასიათება იმ სამი ძირითადი ნიშნით, რომლითაც ლენინი 60-იანი წლების რუსულ განმანათლებლობას ახასიათებდა.

განმანათლებლობის ეპოქაში „ყველა საზოგადოებრივი საკითხი ბატონყმობისა და მისი ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლით განისაზღვრებოდა“ [2]. გ. წერეთლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამის ცენტრალური პუნქტიც ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლა იყო.

როგორც უკვე ვთქვით, საქართველოში 1859 — 1863 წლები ბატონყმობის წინააღმდეგ იდეურ-პოლიტიკური შეტევის წლებია. პირველი იერიში ბატონყმობაზე დ. ჭონქაძემ მიიტანა. მან ჯერ კიდევ 1859 წელს თქვა: „სანამ ჩვენ ბატონის ყმანი ვართ, ჩვენში ბედნიერება არ შეიძლებაო“. ი. ჭავჭავაძემ და „საქართველოს მოამბის“ მწერლებმა გააღრმავეს და გააფართოვეს დ. ჭონქაძის მიერ დაწყებული საქმე. მათ გამოააშკარავეს ძველი საზოგადოებრივი ცხოვრების

---

[1] ბ-ნი ლალი და „ივერია“, „კვალი“, № 6, 1895 წ.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 2, გვ. 628.

მთელი სიდამპლე და მისი კრახის აუცილებლობა. რეფორმის შემდეგ ბატონყმობის ნაშთების აღმოფხვრის მიზნით გადამწყვეტი ბრძოლის წარმოება წილად ხვდა ე. წ. „ახალი ახალგაზრდობის“ ჯგუფს. ამ ჯგუფის ერთ-ერთი მეთაური გ. წერეთელი იყო.

გ. წერეთელი ბატონყმობის წინააღმდეგ ჯერ კიდევ 1862 წელს გამოვიდა. წერილი ექ. წერეთლისადმი არსებითად მის მიერ ბატონყმობის დაგმობის პირველ ცდას წარმოადგენს. მეორე წერილში — „ცისკარს“ რა აკაკანებდა?“ — გ. წერეთელი უკვე ოსტატურად აკრიტიკებს ბატონყმობის იდეურ-პოლიტიკურ ფორმებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს სტატია თავისუფალია აბსტრაქტულ-ჰუმანური და „წმინდა-ეროვნული“ საბურველისაგან: „ცისკრის“ წინააღმდეგ ლიტერატურული ბრძოლის ფორმაში ნათლად ჩანს ბატონყმობის წინააღმდეგ პოლიტიკური გალაშქრება. გ. წერეთელი პირდაპირ და გარკვევით ამბობს: „რამოდენიმე საუკუნის წინ დაარსებული საზოგადო წყობილება (ე. ი. ბატონყმობა მ. გ.) და მისგან მონაპოვარი საშუალებაც (ე. ი. „ცისკარი“. მ. გ.) ვეღარ აკმაყოფილებს ამ ცხოვრების მოთხოვნილებასა. აშკარაა, რომ საზოგადო ფორმამ განვლო თავის საუკუნე და ამის გამო ან სულ უნდა მოისპოს და ან გადაკეთდეს ახლად შემოსულ მოთხოვნილებისამებრ“[1].

მაგრამ რატომ ვეღარ აკმაყოფილებდა ფეოდალურ-ბატონყმური წყობილება — „ცხოვრების მოთხოვნილებას“? როგორი იყო გ. წერეთლის წარმოდგენით, ფეოდალურ-ბატონყმური საქართველოს სოციალ-ეკონომიური და კულტურულ-პოლიტიკური სახე? როგორ უყურებდა გ. წერეთელი საგლეხო რეფორმას? რა საშუალებაზე ამყარებდა იგი ბატონყმური მონობისაგან ხალხის გამოხსნის იმედს? — ამ კითხვებზე პასუხის გაცემით გაშუქებული იქნება გ. წერეთლის ძირითადი შეხედულებანი ბატონყმობის საკითხში.

გ. წერეთლის მხატვრული და პუბლიცისტური შემოქმედება, უმთავრესად, ბატონყმობის გაუქმების მომდევნო

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ. სრ. კრებული, ტ. I, გვ. 11.

ხანას ასახავს. იმ დროის საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრება ხასიათდება ბატონყმობის ნაშთებთან გააფთრებული ბრძოლის პროცესში ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ჩასახვითა და განვითარებით. ამიტომ გ. წერეთლის ნაწერებში ახალი, ჯერ კიდევ გაურკვეველი საზოგადოებრივი ურთიერთობის თავისებური დაცვა გადახლართულია ფეოდალიზმის ეკონომიური, სოციალური და პოლიტიკური საფუძვლების საკმაოდ მრავალმხრივ კრიტიკულ ანალიზთან. „შეუფერავი რეალისტის" შემოქმედებაში დოკუმენტალური სიზუსტითაა ასახული ბატონყმური წყობილება და მისი დამღუპველი გავლენა ქართველი ხალხის მატერიალურსა და სულიერს ცხოვრებაზე. სამართლიანად წერდა პროფ. ს. ხუნდაძე: „გ. წერეთლის ნაწერების მიხედვით შესაძლებელი არის მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიული ცხოვრების გადმოცემაო".

ბატონყმური საქართველოს ყოველმხრივს ჩამორჩენილობაზე რომ მიუთითებდა, გ. წერეთელი ამ ჩამორჩენილობას რუსეთის იმპერიაში შემავალ ხალხთა საერთო საზოგადოებრივ-ეკონომიური განუვითარებლობის კონკრეტულ გამოხატულებად თვლიდა.

საზოგადოებრივ-ეკონომიური განვითარების მხრივ იმ დროის საქართველო გ. წერეთელს რუსეთთან „დაახლოებულად" მიაჩნდა, მაგრამ საქართველოს უფრო ჩამორჩენილად თვლიდა. „ეს ორი ცხოვრება, — ამბობდა იგი, — ერთმანეთზე ძალიან დაახლოებულია, თუმცა იმას კი არ ვიტყვი, რომ ჩვენი იმათსას უდრიდეს, ან იმათი ჩვენსას არ სჯობდეს"[1].

გ. წერეთლის აზრით, საქართველოს ჩამორჩენილობა გამოიხატებოდა ნატურალური მეურნეობის სიჭარბესა და სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა განუვითარებლობაში. ტექნიკურ-ეკონომიური ჩამორჩენილობა ქვეყნის ეკონომიკას ჰკეტდა ფეოდალური სამეურნეო ურთიერთობის ხუნდებში და ხელს უშლიდა ახალ მწარმოებელ ძალთა განვითარებას. წარმოების იარაღთა უკანასკნელ სიტყვას წარმოადგენდა

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ. სრ. კრებული, ტ. I, გვ. 179.

მიწათმოქმედებაში მამაპაპური ქართული გუთანი, ხოლო „დამმუშავებელ მრეწველობაში“ — იმერული ჩიხრიხი.

ნატურალური მეურნეობის მცირედნაყოფიერების უმთავრეს მიზეზს გ. წერეთელი „ათასის წლის მომკილს ცხოვრების წესში“ ე. ი. ფეოდალურს ურთიერთობაში ეძებდა. ფეოდალური „ცხოვრების წესი“ მას ასე აქვს წარმოდგენილი: „ყმა ბატონის იმედით ცხოვრობდა, ბატონი ყმის იმედითა; დიდი და პატარა ისე იყვნენ გადაბმულნი ერთი ერთმანეთზე, რომ ყოველი კაცი სხვის იმედით ცხოვრობდა და თავის ღონეს ან სულ არ დასდევდა, და ან ზომაზე მეტს ძალას ატანდა და წელში იყო გაწყვეტილი. ამის გამო ზოგი მუდამ. შექცევაში იყო... ზოგი ცას შესჩივოდა თავის გაჩენას“ [1]. მემამულეზე ყმაგლეხის სრულს ეკონომიურსა და იურიდიულს დამოკიდებულებას და ამ საფუძველზე აღმოცენებულ ულმობელ ექსპლოატაციას გ. წერეთელი უფრო მკაფიოდ ახასიათებს სტატიაში — „შრომის მოყვარეობა დიდი ძალაა“; „ჩვენში, — ამბობს გ. წერეთელი, — სანამდის გლეხებს გაათავისუფლებდენ, ვინც შრომობდა იმას პირუტყვის სახელი ერქვა და საზოგადოებაში შინაურს პირუტყვზე მეტი პატივისცემა არ ჰქონდა. როგორც შინაურს პირუტყვს კაცი დაჰკლავს, თუ დასჭირდა, ან გაყიდის, ან დააგირავებს, ან თუ ზანტობა დაიწყო ჯოხის ცემით გაასივებს, ისე მაშინდელ მუშას კაცი ჰყიდდა, დააგირავებდა, თუ ზარმაცობას დაიწყებდა ჯოხით კანჭებს დაამტვრევდა და თუ ვინცობაა მუშა თავის პატრონს წინააღმდეგობას გამოუცხადებდა, პატრონს შეეძლო თავი გაეგდებინა, როგორც ახლა ცხვარს აგდებინებენ თავს... ამ სახით მაშინდელი საზოგადოება ორ ნაწილად გაიყოფებოდა: მუშა ხალხი (მონები) და მხედრები (ბატონები)... პირველი მეორის სარჩენათ იყო გაჩენილი და ეს იმ პირველ გვარის კაცებს ბედნიერებათ უნდა ჩაეთვალათ“ [2].

როგორც ვხედავთ, გ. წერეთელი ფეოდალიზმს თვლიდა ისეთ საზოგადოებრივ „დაწყობილებად“, რომელიც დაფუძნებული იყო ბატონის მიერ ყმაგლეხის ეკონომიურ ექსპლოა-

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ. სრ. კრებული; ტ. I, გვ. 224.

[2] „სასოფლო გაზეთი“, № 2, 1871 წ.

ტაციასა და პოლიტიკურს ჩაგვრაზე. ამ მოსაზრებას იგი საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ანალიზით ასაბუთებდა.

ქართული სოფელი რეფორმამდე და რეფორმის შემდეგ. გ. წერეთლის დახასიათებით, ორ სხვადასხვა სურათს გვაჩვენებდა: ერთ მხარეზე იყო მსხვილი მემამულური მეურნეობა, მემამულის „განიერი ეზო", რომელშიც, „ისე დღეობა როგორ ჩაიელიდა, რომ... სამი თუ ოთხი ძროხა მაინც არ დაკლულიყო, სამი თუ ოთხი საპალნე ღვინო ერთ იჯრაზე არ დალეულიყო!.." მეორე მხარეზე იყო წვრილი გლეხური მეურნეობა, გლეხის ოჯახი, „საძაგელს უსუფთაო, მყრალს მიწის სახლში, უწვიმობით შეწუხებული, მრავალნაირ ხარჯით წელმოწყვეტილი და უსწავლელობისაგან დაცემული" [1]. ერთი მხრივ — სიმდიდრე და ფუფუნება, მეორე მხრივ სიღატაკე და სისაწყლე; ერთი მხრივ, — „გაფუჭებული ქართველი თავადაზნაურობა", რომელსაც ჰამა რომ მოეწყინეზოდა, „ქუთაისის ბულვარზე" გამოვიდოდა სალაყბოდ, ხოლო შემდეგ „ლოთების პარტიად" დაეწყობოდა და რიონის პირებზე გამართავდა ხანჯლების ტრიალს, რათა „ლოთების მეორე პარტიისათვის" „მზეთუნახავი" მოეტაცნა; მეორე მხრივ, — გალატაკებული გლეხობა, რომელიც თავისი შრომით ინახავდა მუქთახორა თავადაზნაურობას.

ფეოდალური მეურნეობის ეკონომიურ საფუძვლად გ. წერეთელი თვლის მემამულის საკუთრებას მიწაზე და მიწის მუშაკზე. ამასთან მან იცის, რომ ფეოდალიზმის დროს მემამულის საკუთრება მიწის მუშაკზე განპირობებულია მემამულის მიერ მიწისა და სხვა ბუნებრივ სიმდიდრეთა მონოპოლიური მფლობელობით. გ. წერეთელი აღნიშნავს, რომ ბატონყმობის დროს მემამულეს „ყოველწლობით მრავალი მუქთი მშრომელი კაცების ნაოფლარით... ბეღლებ-მარნები ხელგაუნძრევლად ევსებოდა". „სამასის კომლის ნაჭირნახულევი ამ დიდს ოჯახში დაუშრეტელ სიმდიდრის წყაროდ

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ოქროს მარანი, „სასოფლო გაზეთი", № 12, 1872 წ.

ჰქუხდა“. ამის მიზეზად იგი თვლის — გლეხობის უმიწაწყლოდ დარჩენას მსხვილ მიწათმფლობელთა მიერ საუკეთესო მიწების დასაკუთრების გამო. „მგზავრის წერილებში“ გ. წერეთელი წერს: დადიანსა და მიტროპოლიტს (ე. ი. საერო და სამონასტრო მსხვილ მიწათმფლობელებს) „ძველიდგანვე ჩაუვლიათ ხელი ყოველი შემოსავლიანი ადგილისათვის; მთელი ეს კუთხე იმათი ყოფილა და იქ მდებარე სოფელი იმათი დღიური სარჩო შექმნილა“... უმიწაწყლო ან მცირემიწიანი გლეხი კი იძულებული ხდებოდა „ქირით ემუშავნა“, ე. ი. მემამულეთა დამოკიდებულებაში ჩავარდნილიყო. ეს მით უფრო აუცილებელი იყო, რომ გლეხური მეურნეობა ცუდად ან სრულიადაც არ იყო უზრუნველყოფილი შრომის იარაღებით და მუშა-საქონლით. „მთელ სოფელში ისეთი კაცი არ მოიძებნებოდა, — ამბობს გ. წერეთელი, — რომ ცხენი ჰყოლოდაო!“ [1]. ფეოდალური „დამოკიდებულების კვალი“ გლეხობის გაღატაკებაზე ნათლად ჩანდა. მაგრამ როგორია ეს სიღატაკე?

„უფრო ხშირად თავ-გადახდილი წნელის ქოხები, წაქცეული ღობე, ფერდმიმხმარი ძაღლები“, — აი, ბატონყმობის დროის გლეხური მეურნეობის, გლეხთა ქოხების გარეგნული სახე. კიდევ უფრო საშინელი სანახაობაა ამ ქოხების შიგნით. იქ ბატონყმური ექსპლოატაციისაგან გაღატაკებული და დაბეჩავებული ადამიანები ცხოვრობენ. გ. წერეთელი აღწერს მათ ცხოვრებას და დასძენს: „სიღარიბე მინახავს, მაგრამ ამისთანა ამბათაც არ გამიგონიაო“ [2].

გლეხური მეურნეობის განადგურების, გლეხთა გაღატაკების მიზეზად გ. წერეთელი თვლის მშრომელთა აუტანელ ექსპლოატაციას, მათს ეკონომიურ და პოლიტიკურ ჩაგვრას მემამულეების მიერ, რომლებიც სოფლად „იმ განზრახვით დაბინავებულიყვნენ, რომ მთელი ეს მიდამო კლანჭებში ჰყოლოდათ გაძაგრული და გაუკითხავად ეღოთ ხარჯი თავის სარჩენად. იმის დასახასიათებლად, თუ რაოდენ მძიმე იყო

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, რჩ. ნაწ., ტ. I, გვ. 76 — 103.
[2] იქვე, გვ. 101 — 102.

ეს ბარჯი. გ. წერეთელი აღწერს ყმაგლეხებისას მუქთახორა თავადაზნაურთა „სტუმრობას", რაც ასე გავრცელებული იყო ბატონყმურს იმერეთში.

ეს მუქთახორობა და მშრომელთა ძარცვა მიაჩნდა გ. წერეთელს მემამულეთა არსებობის ძირითად პირობად. უყურებდა იგი ღიპგადმოგდებულ ქართველ მებატონეს და ამბობდა: „ეს უნდა ყოფილიყო კარგს მოსაქმელს მიწაზედ აღმოცენილი, თორემ იმდენს ხორცს უნაყოფო ძიწა ვერ შეაბამდა..." „იმას უფრო ბევრი მუშადის გუნდები უნდა ეყლაპა თავის გლეხებისა სასუქ ინდაურსავით"[1].

აღვირახსნილი ძარცვისა და ძალადობის პირობებში ყმაგლეხის შრომის ნაყოფიერება მეტად დაბალი იყო. იგი ვერ აწარმოებდა იმდენს, რომ აუტანელი საბატონო ღალაც გადაეხადნა და საკუთარი ოჯახიც გამოეკვება. ჭარბი პროდუქტის წარმოებაზე ხომ ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. „ჩვენ გასაყიდი ვინ რა მოგვცა, — ამბობდა გალატაკებული გლეხი, — ნეტაი იმდენი მოგვცა, კუჭი გავიძღოთ, თვარა გაყიღვისაგან ღმერთმა დაგვიფაროსო".

ნატურალური მეურნეობის დაბალი შრომის ნაყოფიერების დონე მშრომელის მატერიალური დაინტერესების უქონლობით განისაზღვრებოდა. მემამულის მიწაზე ეკონომიურად და იურიდიულად მიჯაჭვული ყმაგლეხის შრომის ნაყოფიერება გაცილებით უფრო დაბალი იყო, ვიდრე ფერმერულ-კაპიტალისტური მეურნეობის თავისუფალი მუშაკისა. გ. წერეთელი გრძნობდა ბატონყმური წყობილების ამ ძირითად წინააღმდეგობას. ყმაგლეხის (მაგალითად, პეტრიელა კვესაძის) ლტოლვა „კახეთში გადავარდნისა" და ქალაქური თავისუფალი შრომისაკენ მას სწორედ ამ წინააღმდეგობის გამოხატულებად მიაჩნდა.

ცხადია, ბატონისათვის ჭაპანწყვეტას „თავისთვის მუშაობა" ერჩია ყმაგლეხს. ეს ნიშნავდა საკუთარი თავისთვის მუშაობას საკუთარ მიწაზე, მაშასადამე, მემამულის მიწაზე მიჯაჭვული გლეხის გადაქცევას დამოუკიდებელ მესაკუთრედ,

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, რჩ. ნაწ., ტ. I, გვ. 52 — 53.

მონური შრომის შეცვლას თავისუფალი „თვითმოქმედებით“. გ. წერეთელი კარგად ხედავდა ფერმერული მეურნეობის ამ უპირატესობას ბატონყმურთან შედარებით. ამიტომ ამტკიცებდა იგი: „თავისუფალი შრომა ბევრათ უფრო კეთილშობილურია ხელის გაუნძრევლობაზეო“ [1].

მემამულეები თავისუფალი შრომის სურვილის უბრალო გამოვლინებასაც კი ვერ ურიგდებოდნენ. ამიტომაც გააჭრელა ბაკურიძემ მათრახით „თავისი“ გლეხი „რაციონალური წინადადებისათვის“, დაარბია და გაანადგურა მისი ოჯახი.

გლეხების დარბევასა და განადგურებაში მემამულეებს გვერდით ედგა მეფის ხელისუფლება. გ. წერეთლის აზრით, ცარიზმის მიერ ქართველი თავადაზნაურობის ინტერესების დაცვა იყო სამაგიეროს გადახდა იმ დიდი დამსახურებისათვის, რაც ქართველ ფეოდალებს ცარიზმის წინაშე მიუძღოდათ. ეს დამსახურება, მისი აზრით, ქართველი მეფეების ღალატსა, საქართველოს სახელმწიფოებრიობის დამხობასა და ცარიზმის წინააღმდეგ აჯანყებული ქართველი გლეხების „დამშვიდებაში“ გამოიხატებოდა. გ. წერეთელმა გვაჩვენა, თუ როგორ უკავშირდებოდა და ემსახურებოდა თვითმპყრობელური ბიუროკრატია ქართველ თავადაზნაურობას გლეხობის ძარცვის საქმეში. „რუსის სამსახურში“ მყოფი „გაქნილი პოლიციელი“ — ბიუროკრატიული მმართველობის ტიპიური წარმომადგენელი — არა მარტო ასრულებდა მემამულის ნებასურვილს, არამედ პრაქტიკულ რჩევა-დარიგებასაც აძლევდა მას, თუ როგორ აჯობებდა „ურჩი“ ყმაგლეხის ციმბირში გაგზავნა და მისი საკუთრების მითვისება. ამით გ. წერეთელმა მიუთითა ცარიზმის მემამულურ კლასობრივ ბუნებაზე და მეფის ბიუროკრატიული ხელისუფლების უდიდეს როლზე ბატონყმური წყობილების დაცვის საქმეში. ცარიზმის ანტიხალხური, მემამულური კლასობრივი ბუნება უფრო ნათლად დაახასიათა გ. წერეთელმა გლეხის შემდეგი სიტყვებით: „სადაა ბატონო, მთავრობა? — „მთავრობას, ბატონო, ჩვენთვის არ მოუცლიაო“ [2].

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, რჩ. ნაწ., ტ. I, გვ. 15.
[2] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, რჩ. ნაწ., ტ. II, გვ. 72.

ბატონყმური წყობილება დამღუპველ გავლენას ახდენდა ქართველი ხალხის ცხოვრების ყოველ მხარეზე. იგი იყო საქართველოს, არა მარტო ეკონომიური ჩამორჩენილობი არამედ აგრეთვე კულტურული ჩამორჩენილობის უმთავრესი მიზეზი. ბატონყმობა ხრწნიდა ხალხის ზნეობას, რელიგიური ბურუსითა და უვიცობით აბნელებდა ადამიანის გონებას, ახშობდა ურთიერთპატივისცემის წმინდა გრძნობას. რელიგიური საწამლავით მოშხამულ უვიც ადამიანებს, განსაკუთრებით გლეხებს, მარხვის გატეხა ქვეყნის დაქცევად მიაჩნდათ.

ჩვენ უკვე ვთქვით, თუ რა უარყოფით გავლენას ახდენდა ბატონყმური აღზრდა ახალგაზრდობაზე. გ. წერეთლის დახასიათებით სკოლა ბატონყმობის დროს, — ეს იყო საპყრობილე, რომელიც ზნეობრივად და ფიზიკურად ამახინჯებდა ახალ თაობას. ბატონყმობა ამახინჯებდა ქართველი ხალხის კეთილშობილურ ისტორიულ ჩვეულებებს. ტრადიციულად იშვიათი სტუმართმოყვარე ქართველი გლეხი, მუქთახორა მებატონეთა მთელი ხროვის „ერთთვიანი სტუმრობის" გამანადგურებელი შედეგით დაშინებული, გაურბოდა სტუმრის მიღებას „რადგანაც იმავე წყალობას მოელოდა, როგორც ბატონისაგან". ბატონყმური უღლის სიმძიმე ნერგავდა ხალხში სიცრუის, ორპირობის, ძარცვა-გლეჯის მიდრეკილებას. ეს ნათლად გვაჩვენა გ. წერეთელმა წნელივით მიქნილ-მოქნილი გლახათუბნელი გლეხის მაგალითზე. ასეთივე „მიქნილ-მოქნილი" გამხდარა ბატონყმობის ზეგავლენით საეკლესიო გლეხი თონიკე კვიმატაძე. იგი წინააღმდეგი არ არის, პატარა ბატონიშვილს თავი გააჯოხინოს, ოღონდ დიდი ბატონის ნდობა დაიმსახუროს, „მაზრის უფროსის შესული ყმა იყოს". ჭირვეული ბატონიშვილი შეუბრალებლად წიწკნის წვერულვაშს მამამისის „შესულ ყმას" და ეს იმ დროს, როცა ულვაშით ვაქცაცის ღირსება ფასდებოდა. მაგრამ სხვას ვის ახსოვდა კაცის ღირსება ბატონყმურ მონობაში. რომ თონიკე კვიმატაძეს ხსომებოდა იგი. (ამ შეძლებული გლეხის დახატვით გ. წერეთელმა მიუთითა გლეხობის დიფერენციაციის პროცესზედაც, რომელიც ჩვენში ჯერ კიდევ საგლეხო რეფორ-

მამდე დაიწყო). ბატონყმური ჩამორჩენილობის ყველაზე ნათელ გამოხატულებად გ. წერეთელს ხალხის გაუნათლებლობა მიაჩნდა. 60-იან წლებში, — ამბობს გ. წერეთელი, — თვით თავადებმაც არ იცოდნენ ზოგჯერ წერა-კითხვაო. გასაგებია, რა სიბნელით იქნებოდნენ მოცულნი ხალხის ფართო მასები, თუკი გაბატონებული წოდების უმრავლესობის განათლება იმ დროს მხოლოდ „გვარის წაკითხვითა და მოწერით“ განისაზღვრებოდა.

გ. წერეთელი ბატონყმურ წყობილებას თვლიდა ქართველი ხალხის ყველა ისტორიული უბედურების მიზეზად, მათ შორის, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის მოსპობის ძირითად მიზეზად. იგი გადაჭრით უარყოფდა მის დროს გავრცელებულ შეხედულებას, თითქოს ბატონყმობა ძველ საქართველოში მამაშვილობა იყო, ხოლო თავადაზნაურობის ბატონობა მშრომელ ხალხზე — საქართველოს ბედნიერებისა და ძლიერების საფუძველი. მას სწორედ ბატონყმობა მიაჩნდა საქართველოს ძლიერების დაცემის ძირითად მიზეზად. ქართველ თავადაზნაურობაზე გ. წერეთელი წერდა: „ძველითგანვე დაწყებული ჩვენი ქვეყანა სულ ამ ბოროტი წოდების უსამართლოებით იყო დაღუპული... უზნეო თავად-აზნაურობა... ხელმძღვანელობდა მხოლოდ საკუთარი ინტერესებით და რომ თავის სამფლობელოში დამოუკიდებელი ყოფილიყო, მიდიოდა ხან სპარსელებთან, ხან ოსმალებთან, ხან სხვა ხალხთან, მოიპატიჟებდა თავის ქვეყანაში, გზას თვითონ უჩვენებდა, ალაყაფის კარებს თვითონ გაუღებდა და გაანადგურებინებდა თავის სამშობლოს. საწყალი მშრომელი გლეხების ქოხები იწეოდენ, მეფე გადავარდებოდა და მტერი ქვეყანას თელავდა“...[1] ამასთან გ. წერეთელი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ თავადაზნაურობის „საკუთარი ინტერესი“ „დაბალ ხალხზე შეუბრალებელ ბატონობასა და მშრომელი ხალხის კისერზე ჯდომაში“, ე. ი. გლეხობის აღვირახსნილ ექსპლოატაციაში გამოიხატებოდა. გლეხობის ულმობელი ჩაგვრა ფეოდალიზმის დროს იწვევდა მშრომელი მოსახლეობის მატერიალურ

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი. ამ დროის მოძრაობა, „კრებული“, № 23. 1873 წ., გვ. 230.

დაცემას; მეორე მხრივ, სსვის ხარჯზე მუქთახორული ცხოვრება გამხრწნელ გავლენას ახდენდა თვით გაბატონებული კლასის ზნეობრივ და ფიზიკურ ხასიათზე, ნერგავდა მასში „უხასიათობას, ცუდაობას, სულით სისუსტეს, ღონით სილაჩრეს". ამრიგად, — დაასკვნის გ. წერეთელი, — ბატონყმური წყობილება წარმოადგენდა საერთო-ეროვნულ უბედურებას. „ორპირიან მახვილს, რომელიც წყლულს უჩენდა და აზარალებდა როგორც დამონებულს, ისე დამმონებელს... ის იყო სენი, რომელიც უშლიდა მთელის ქვეყნის ყველა მცხოვრებლების წარმატებას"...[1].

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ გ. წერეთელი ბატონყმური წყობილების ძირითად შინაარსად თვლიდა მშრომელის ძალდატანებით მიმაგრებას მებატონეზე და ამ უკანასკნელის მიერ პირველის ეკონომიურ ექსპლოატაციას და პოლიტიკურ ჩაგვრას.

გ. წერეთელმა ფეოდალურ-ბატონყმური საქართველოს ეკონომიური, სოციალური და პოლიტიკური საფუძვლების საკმაოდ ნათელი ანალიზი მოგვცა. ამ ანალიზიდან ფეოდალური უმთავრესი დასკვნები გამომდინარეობს: ქვეყნის ეკონომიკაში ნატურალური მეურნეობის დიდი სიჭარბე და სასაქონლოფულად ურთიერთობათა განუვითარებლობა; ერთი მუქა მემამულეთა მიერ „ყოველი შემოსავლიანი ადგილის" დასაკუთრება, მაშინ როდესაც მოსახლეობის დიდი უმრავლესობა უმიწაწყლო და მცირემიწიან გლეხებს შეადგენდა; ტექნიკურ საშუალებათა (მუშა-საქონელი, შრომის იარაღები) უქონლობა განსაკუთრებით გლეხურ მეურნეობებში; მემამულეთა მიერ გლეხების ულმობელი ექსპლოატაცია. გ. წერეთელმა მიუთითა თვითმპყრობელურ-ბიუროკრატიულ ხელისუფლებაზე, როგორც მემამულურ-ბატონყმური წყობილების დამცველზე; მან შენიშნა ფეოდალური ეკონომიური წყობილების ძირითადი წინააღმდეგობა და ფერმერული მეურნეობის დიდი უპირატესობა ნატურალურთან შედარებით; დაბოლოს, გ. წერეთელმა ცხადყო, რომ ბატონყმობა წარმოადგენდა

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ. სრ. კრებ., ტ. I, გვ. 111.

ძირითად ბოროტებას, რომელიც დამღუპველ გავლენას ახდენდა ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეზე.

გ. წერეთელი ბატონყმობის საკითხს საერთო-ეროვნულ საკითხად თვლიდა. მისი აზრით, ამ უსამართლო წყობილების მოსპობაში დაინტერესებული უნდა ყოფილიყო ფეოდალური საზოგადოების ორივე უმთავრესი წოდება — თავადაზნაურობაც და გლეხობაც. მაგრამ „შეუფერავი რეალისტი" კარგად ხედავდა, რომ მემამულეები არ დათმობდნენ გაბატონებულ ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობას ან, ყოველ შემთხვევაში, შეეცდებოდნენ ძველი პრივილეგიების შენარჩუნებას. ასეც მოხდა: ქართველი თავადაზნაურობის უმრავლესობა ყმების განთავისუფლების წინააღმდეგ გამოვიდა. ბოლოს და ბოლოს, ისინი იძულებული გახდნენ „ხელმწიფე-იმპერატორის" ნებას დამორჩილებოდნენ, ე. ი. ეცნოთ ბატონყმობის ზემოდან გაუქმების აუცილებლობა, მაგრამ „არავითარ შემთხვევაში არ თანხმდებოდნენ გლეხთა მიწიანად განთავისუფლებაზე და მოითხოვდნენ, რომ რაც არ უნდა მოხდეს, ჩვენ გლეხის შრომით უზრუნველყოფილნი უნდა ვიქნეთ, რადგან ჩვენ თვითონ შრომისათვის არა ვართ გაჩენილნიო". იყო პროგრესული თავადაზნაურობისაგან შემდგარი მცირერიცხოვანი ჯგუფიც, რომელიც თავდაპირველად „გლეხების მიწიანად განთავისუფლებას და ყოველგვარი პირადი ბეგარების გაუქმებას" მოითხოვდა, მაგრამ ბოლოს, ნებით იყო, თუ ძალით, ეს ჯგუფიც უმრავლესობის თვალსაზრისს მიემხრო [1].

ამ ჯგუფის წარმომადგენლებს გ. წერეთელი თავიდანვე „მაღალ ფრაზეოლოგიაში" დებდა ბრალს, ხოლო ცოტა მოგვიანებით „ლიბერალურ ახალგაზრდობას" უწოდებდა და „თავადაზნაურობის პრინციპის" გამტარებლად თვლიდა. 1866 წელს გ. წერეთელი წერდა: „მინამ ამისთანა კაცებს სიტყვის მეტი არა ეხარჯებათ-რა, (გლეხთა) თავისუფლების, განათლების და კეთილმოქმედების წარმომადგენლები ისინი არიან. მაგრამ როდესაც მოქმედებაზე მიდგება საქმე, მაშინ-კი რა

[1] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, ბატონყმობის გაუქმება საქართველოში, გვ. 90.

მოგახსენოთ!.. როცა ცხოვრება მოითხოვს ხოლმე იმათგან ცოტაოდენ მსხვერპლსა, როცა იმათ შეემთხვევა ხოლმე საქმით ასრულება იმ აზრებისა, რასაც სიტყვით ამტკიცებდნენ, მაშინ ამისთანა კაცებს თავისი მაღალი აზრები უეცრად შეშოაცვდებათ ხოლმე; მაშინ შენი თავისუფლებაც და ხალხის თვითარსებობის სურვილიც უკან მოიდევი; ეს კაცები იმ აზრებს მაშინვე ხელიდან გააგდებენ ხოლმე და იქით გაიწევენ, სადაც კარგი და ტკბილი სამყოფია. მაშინ თუნდ მთელი ხალხიც წყალს წაუღია, იმის დარდი არაფრად აწუხებს იმათ"[1].

ამ ამონაწერიდან ჩანს, რომ 60-იანი წლების საქართველოში ფეოდალიზმის რეაქციული იდეოლოგიის გვერდით ბურჟუაზიული ლიბერალიზმიც ეძებდა ადგილს. ამასთან გ. წერეთელი 60-იან წლებში ებრძოდა ერთსაც და მეორესაც.

როგორც ამ შრომის მეორე თავში იყო ნაჩვენები, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მე-19 საუკუნეში ორ პერიოდს მოიცავს „ფეოდალურ-მონარქიულსა" (1832 — 1861 წლები) და ბურჟუაზიულ-დემოკრატიულს[2] (1861 — 1898 წლები). ქართველი ფეოდალების „ეროვნული მოძრაობა" ცარიზმთან შერიგებით დამთავრდა. ფეოდალებისაგან მეტი არც იყო მოსალოდნელი, რადგან ისინი ბატონყმობის თავგამოდებული დამცველები იყვნენ მაშინაც კი, როცა რუსეთის ფეოდალური მონარქია „გალიბერალების" გზას დაადგა, როცა, გ. წერეთლის თქმით. — „გლეხების განთავისუფლების დროშა თვით დიდმა რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ ააფრიალა".

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, რჩ. ნაწ., ტ. I, გვ. 70.

[2] რაც შეეხება 1898 წლის შემდგომ პერიოდს. ამ დროიდან ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობა ფორმალურადაც და ფაქტიურადაც უკავშირდება რუსეთის პროლეტარულ მოძრაობას. 1898 წლიდან დემოკრატიული მოძრაობა საქართველოში რევოლუციონერი მარქსისტების (ბოლშევიკების) ხელმძღვანელობით რუსეთის პროლეტარიატის ინტერნაციონალური ბრძოლის ერთ-ერთი მოწინავე რაზმი ხდება.

60-იანი წლების შემდეგ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშენი ბურჟუაზიული დემოკრატები გახდნენ. მათ („თერგდალეულებმა“ ანუ „შვილებმა“) ბრძოლა გამოუცხადეს „მამებს“. ბრძოლის უმთავრესი საკითხი არსებითად ბატონყმობასთან დამოკიდებულება იყო; „მამები“ ფეოდალიზმის შენარჩუნებას მოითხოვდნენ, „შვილებმა“ კი „ეროვნული თავისუფლების“ ფეოდალური ლოზუნგი უკუაგდეს და ბატონყმობის გაუქმების გზით დემოკრატიული წყობილების დაწესება მოითხოვეს.

მაგრამ თეითონ „თერგდალეულთა“ ჯგუფიც არ იყო ერთიანი და განუყოფელი. მკვლევართა ერთი ჯგუფის აზრით, „ახალი ახალგაზრდობის“ ჯგუფის ჩამოყალიბება 1869 წელს მოასწავებდა „თერგდალეულთა“ გათიშვას თავადაზნაურულ-ლიბერალურ და რადიკალურ-დემოკრატიულ ჯგუფებად. მკვლევართა მეორე ჯგუფი „თერგდალეულებს“ 70-იანი წლების დასასრულსა და 80-იანი წლების დასაწყისამდე ერთ ჯგუფად თვლის. ეს უკანასკნელი შეხედულება სწორია იმ თვალსაზრისით, რომ „თერგდალეულთა“ ჯგუფი 80-იანი წლების დასაწყისამდე ერთ — ეროვნულ-განმათავისუფლებელ მიმართულებას წარმოადგენდა. მაგრამ, ჩვენის აზრით, „თერგდალეულთა“ ჯგუფი თავიდანვე იყოფოდა ორ შიმდინარეობად, რომელიც ორ სხვადასხვა პოლიტიკურ პროგრამას აყენებდა.

„თერგდალეულთა“ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მიმართულება რადიკალურ-პროგრესულ და ზომიერ-პროგრესულ ფრთად იყოფოდა. პირველნიც და მეორენიც ბატონყმობის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტით გამოვიდნენ, მაგრამ ისინი განსხვავებული პროგრამით ებრძოდნენ ბატონყმურ წყობილებას. გ. წერეთლის შეხედულებათა შესწავლა საგლეხო რეფორმის საკითხში ნათლად დაგვარწმუნებს ამ დებულების სისწორეში.

როგორც ვნახეთ, ფეოდალური წყობილების საფუძვლიანი ანალიზის შემდეგ გ. წერეთელი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ბატონყმობის დროს ერთი მუჭა მემამულენი ეკონომიურად და პოლიტიკურად იმონებდნენ მოსახლეობის უდიდეს

უმრავლესობას. ასეთი მდგომარეობის შენარჩუნებას იგი დამღუპველად თვლიდა მთელი ერისათვის. ამიტომ გ. წერეთელს ბატონყმობის მოსპობა მიაჩნდა არა ერთი რომელიმე წოდების კერძო საკითხად, არამედ საერთო-ეროვნული და საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე საკითხად.

მაგრამ გ. წერეთელი კარგად ხედავდა, რომ ბატონყმობის მოსპობის საქმეში არსებითად დაინტერესებული იყო მხოლოდ მშრომელი გლეხობა, რომელიც ერის უდიდეს უმრავლესობას შეადგენდა და თავისი შრომით მთელი ერის კეთილდღეობას უზრუნველყოფდა. ამიტომ იყო, რომ გლეხები, გ. წერეთლის თქმით, „ისე მოუთმენლად მოელოდნენ (ბატონყმობის გაუქმებას), როგორც პატარა ყმაწვილი აღდგომას". ბატონყმური ძალადობით გაძარცვული გლეხი სწყევლიდა ბატონყმობას და დაუცხრომლად ილტვოდა განთავისუფლებისაკენ: „დეიქცეს, დეიწვეს, დეიღუპოს ის დრო, ბატონყმობა რომ გაჩნდა ჩვენშიო!.." — „ნეტაი ღმერთი იმ ჩემ ბატონს მომაშორებდეს, თვარა კაცი რავა მეჯობინება ქვეყანაზე... იმას რომ მოვშორდებოდე მეტი არა მინდაო!" [1].

მეორე მხრივ, გ. წერეთელმა სწორად დაახასიათა თავადაზნაურობის განწყობილება ყმების განთავისუფლების საკითხში. მისი აზრით, თავადაზნაურობისათვის გლეხთა განთავისუფლება „შემაძრწუნებელი ამბავი" იყო. თავადაზნაურობის ერთი ჯგუფი პირდაპირ გამოვიდა ყმების განთავისუფლების წინააღმდეგ. ეს ჯგუფი თავის თვალსაზრისს იმით ასაბუთებდა, რომ „თავადაზნაურთ გლეხებით უდგიათ სულიო" და მათ „რომ გლეხი არ ყავდეთ" შიმშილით მოკვდებიანო. ამ ჯგუფის წარმომადგენლებს ძალიან მცირედ მიაჩნდათ მათთვის გლეხთა პირადი განთავისუფლებისათვის დაწესებული საფასური და გლეხების „შენარჩუნებას" ამჯობინებდნენ.

თავადაზნაურობის მეორე ჯგუფს, გ. წერეთლის დახასიათებით, ცარიზმის იმედი ჰქონდა. ეს ჯგუფიც ხედავდა, რომ „ყმების განთავისუფლება უბედურებისა და დამხობის

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, რჩ. ნაწ., ტ. I, გვ. 71 — 106.

მეტს არას შეამთხვევდა კეთილშობილ წოდებას“, მაგრამ მან იცოდა, რომ თვითმპყრობელობა მემამულეთა ინტერესებს დაიცავდა, და ამიტომ წინააღმდეგი არ იყო ბატონყმობის გაუქმებისა. ამ ჯგუფის წარმომადგენლების აზრით, „გლეხების თავისუფლება კარგია“, რადგან „ხელმწიფის წყალობით“ თავადაზნაურობას „ფული სულ ბზესავით მოუვა“. ამასთან თავადაზნაურობის ეს ნაწილი უარს ამბობდა საბატონო ბეგარისა და ღალის გაუქმებაზე. გლეხებმა ბეგარა, „რომ არ მომცენ, ძალით გადავახდევინებ“, — ამბობდა გლეხთა განთავისუფლების „მომხრე“ აზნაური, — „ნეტაი დედაჩემს, თუ ბეგარაც უაძახებმა შეირჩინეს!.. ბეგარა კი არა, საუდიერო ფერდელა ღორიც რომ არ მომიყვანოს, სუნთლად ცხვირში ძმარს წავადენო“ [1]. გასაგებია, რომ ასეთი „განმათავისუფლებლებისაგან“ გლეხობისათვის მიწის მიცემაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო.

ამრიგად, გ. წერეთელმა სწორად დაახასიათა რეფორმების დროის ძირითადი სოციალური ჯგუფები: თავადაზნაურობის ერთი ნაწილი აშკარად გამოდიოდა ბატონყმობის გაუქმების წინააღმდეგ; მეორე ნაწილი გლეხთა განთავისუფლების წინააღმდეგი არ იყო, მაგრამ ცარიზმის მხარდაჭერით ძველი პრივილეგიების შენარჩუნებას ვარაუდობდა. ხალხის უდიდეს უმრავლესობას, რომელიც ნამდვილად იყო დაინტერესებული ბატონყმობის სრული მოსპობით, გლეხობა შეადგენდა.

გ. წერეთელი თავის შეხედულებებს ბატონყმობის საკითხში ქართველი ხალხის უმრავლესობის, მისი მშრომელი ნაწილის ინტერესების გამომხატველად თვლიდა. ჩვენ გვგონია, რომ გ. წერეთლის პოზიცია საქართველოში საგლეხო რეფორმის გატარების პერიოდში მართლაც შეესაბამებოდა მშრომელი ხალხის, გლეხობის განწყობილებებს. მისი შეხედულებანი გლეხთა განთავისუფლების საკითხში ნამდვილად ეხმაურებოდა გლეხობის იმ რევოლუციური ნაწილის ინტერესებს, დაუცხრომლად რომ ილტვოდა განთავისუფლე-

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, რჩ ნაწ., ტ. I, გვ. 82.

ბისაკენ. რა თქმა უნდა, საქართველოს საზოგადოებრივი ჩამორჩენილობისა და ზოგიერთი თავისებურების გამო, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ჩვენ არ გვყოლია რუსი რეოლუციონერი-დემოკრატებივით დიდი პოლიტიკური გაქანების მოღვაწენი; მაგრამ უნდა ითქვას, რომ ყველაზე გამოჩენილნი ჩერნიშევსკის ქართველი მოწაფეებიდან, რომლებმაც სცადეს მოქმედების სახელმძღვანელოდ გაეხადნათ მასწავლებლის ესთეტიკურ თეორიასთან ერთად მისი პოლიტიკური თეორიაც — გ. წერეთელი და ნ. ნიკოლაძე იყვნენ. სწორედ ამიტომ უნდა ჩაითვალოს გ. წერეთელი 60 — 70-იანი წლების საქართველოს გამოჩენილ დემოკრატად.

გ. წერეთელი საგლეხო. რეფორმის პერიოდში რევოლუციური გლეხობის პოზიციებიდან ებრძოდა ბატონყმობას. მან ტყუილად როდი გამოხვია „აზნაურის ბუნება გლეხკაცურს ტყაპუჭში“ და ისე შემოიარა მთელი დასავლეთი საქართველო 1864 წელს. ტყუილად როდი დაუარსა გ. წერეთელმა სპეციალური ორგანო „სასოფლო გაზეთი“ ქართველ გლეხებს 1868 წელს. არც ის ფაქტია შემთხვევითი, რომ გლეხებზე გ. წერეთელი ყოველთვის უდიდესი თანაგრძნობით ლაპარაკობდა.

მაგრამ გ. წერეთელი გლეხებისადმი სანტიმენტალური თანაგრძნობით და ლიბერალური კვნესა-გოდებით არ კმაყოფილდებოდა, იგი პრაქტიკულ რჩევა-დარიგებასაც აძლევდა მათ: „თქვენ ბატონებს ნუ ემსახურებით, თქვენ და თქვენი ბატონები სულ ერთი ხართო!..“ [1] უფრო მეტიც, იგი მოუწოდებდა გლეხობას თვითონ ჩარეულიყო იმ საქმეში, რომელსაც თვითმპყრობელურ-მემამულური ხელისუფლება მის დაუკითხავად წყვეტდა.

საგლეხო რეფორმის ძირითადი საკითხი მიწის საკითხი იყო. გლეხობა მიწას მოითხოვდა, მემამულური რეფორმა კი გლეხობის უმიწოდ „განთავისუფლებას“ გულისხმობდა. ამიტომ გლეხობის შეგნებულ ნაწილს არ სჯეროდა ლიბერალებისა, რომლებიც რეფორმის შემდეგ გლეხთა კეთილდღეო-

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, რჩ. ნაწ., ტ. I, გვ. 47.

ბას წინასწარმეტყველებდნენ. შეგნებულმა გლეხებმა იცოდნენ, რომ მეფის მთავრობას მათთვის არ ეცალა, ხოლო თავისუფლებაზე ლიბერალ-მემამულეთა ლაპარაკში მათივე ეგოისტური კლასობრივი ინტერესები იმალებოდა. გლეხობის შეგნებული ნაწილი პირდაპირ აცხადებდა: „ის თავისუფლება ისევ მაგენის (მემამულეების) სასარგებლო იქნებაო". „გლეხკაცს... ბედი არც ჰქონია და არც ექნება, მგონია სულ ტყუილია, ამ თავისუფლებას რომ იძახიან, ჩვენ მიდღეჩი არა გვეშველება-რაო!" [1].

გლეხობის პირით ამ შემთხვევაში თვითონ გ. წერეთელი ლაპარაკობდა. ქართველი განმანათლებლებიდან ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელმაც შეიგნო საგლეხო რეფორმის მემამულური კლასობრივი შინაარსი და რევოლუციურ-დემოკრატიული პოზიციებიდან გააკრიტიკა იგი, — გ. წერეთელი იყო.

გ. წერეთელი თვლიდა, რომ რეფორმამ ვერ გადასჭრა ძირითადი საკითხი, მიწის საკითხი. ამის გამო გლეხობა კვლავ მემამულისაგან დამოკიდებულ მდგომარეობაში დარჩა. ამავე აზრისა იყო გ. წერეთლის თანამებრძოლი და მეგობარი ნ. ნიკოლაძე, რომელმაც 1865 წელს გერცენის „კოლოკოლში" საგლეხო რეფორმას „მძარცველობისა და ყაჩაღობის, სიყალბისა და დანაშაულობის დაკანონება" უწოდა.

რა თქმა უნდა, გ. წერეთელს არ შეეძლო მეფის ცენზურას დაქვემდებარებულ პრესაში იმის თქმა, რაც ნ. ნიკოლაძემ თავისუფალ „კოლოკოლში" თქვა. კარგად არის ცნობილი მეფის ცენზურის სისასტიკე, განსაკუთრებით იმ პერიოდში, როცა „დროება" და „სასოფლო გაზეთი" გ. წერეთლის რედაქტორობით გამოდიოდა. მაგრამ ყველა საფუძველი არსებობს ვიფიქროთ, რომ გ. წერეთელი თავიდანვე მკაცრად აკრიტიკებდა მემამულურ რეფორმას.

რეფორმის პირდაპირი შეფასება გ. წერეთელმა მოგვცა 1879 წელს დაწერილ სტატიაში „სოსიკო ორბელიანის სიკვდილის გამო". ამ სტატიაში გ. წერეთელი „ბატონყმობის დაზავებას" ასე ახასიათებდა: „გლეხს დაუბრუნდა თავისუფ-

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, რჩ. ნაწ., ტ. I, გვ. 107.

ლება; მაგრამ აქაც ზნეწამხდარმა თავადაზნაურობამ ისე წაიყვანა კანცელარიებში გლეხთა განთავისუფლების საქმე. რომ მაინც ახალი მონობის ბორკილი არ შეხსნია ხალხს. ხალხი თუმცა განთავისუფლდა, მაგრამ ერთი-ორად დაბეგრდა და ამას გარდა მიწის საკუთრებაც დაეკარგა" [1]. აქედან ჩანს, რომ რეფორმის შემდეგ ხალხის „დაბეგრების" მიზეზი მემამულეთა ინტერესების დამცველი „კანცელარიები", ე. ი. თვითმპყრობელობა იყო. მემამულენი ცარიზმის ბატონობის საფუძველს შეადგენდნენ და თვითმპყრობელურ რეფორმასაც ყოველნაირად უნდა დაეცვა მათი ინტერესები. სხვა ადგილას გ. წერეთელი კონკრეტული ფაქტებით აჩვენებს, რომ რეფორმამ თუ საერთოდ გააუმჯობესა ვისიმე მდგომარეობა, უწინარეს ყოვლისა, — მემამულეებისა. გასაგებია, რომ ეს გაუმჯობესება გლეხობის სასიცოცხლო ინტერესების უგულვებელყოფისა და მათი პირდაპირი გაძარცვის ხარჯზე მოხდა. მემამულეს, რომელსაც „ჰყავდა ორას ორმოცდაათი (გლეხური) კომლი", — ამბობს გ. წერეთელი, — რეფორმის შემდეგ თვითმპყრობელური სახელმწიფო გლეხობისაგან აღებულ „ოცდაოთხი ათას ხუთას მანეთს" უხდიდა. ამას გარდა, ყოფილი ყმებისაგან მემამულეს უნდა მიეღო ნატურალური გადასახადი. გლეხური მეურნეობის შემოსავლის „მეოთხედის" რაოდენობით და ფულადი გადასახადი, რაც თვითეულ საკარმიდამო ნაკვეთზე „სამ-სამ" მანეთს შეადგენდა. „ამ ანგარიშით, — დაასკვნის გ. წერეთელი, — (მემამულეს) ახლა თითქმის მეტი ხორაგიც შემოუვიდოდა, ვიდრე ბატონობის დროს; ფულითაც ბარე რვაას მანეთამდის ერგებოდა ყოველ წლობით". ამიტომაც რეფორმის შედეგებს წინანდელი მებატონე კმაყოფილებით შეხვდა: „თუმცა პირადი უფლება და ბრძანება მომესპო ჩემ გლეხებზე", — ამბობდა იგი, — „მაგიერად ფული ვიგდე ხელში... მართალია. მებატონის უფლება ამხადეს, მაგრამ... ფულით ვინც მინდა, იმას გავიხდი ყმად... ვისაც ფულს მივცემ ყველა ჩემი ყმა არ იქნებაო?" [2].

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი. სოსიკო ორბელიანის სიკვდილის გამო, „დროება", № 10, 1879 წ.

[2] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, რჩ. ნაწ., ტ. II, გვ. 326.

ამრიგად, მემამულეების იმედი გამართლდა: თვითმპყრობელობამ დაიცვა მათი ინტერესები. თუ რეფორმის წინ მათ ყმების განთავისუფლება „შემაძრწუნებელ ამბად“ მიაჩნდათ, რეფორმის შედეგებით ისინი სავსებით დაკმაყოფილებულნი დარჩნენ. სამაგიეროდ რეფორმამ ვერ დააკმაყოფილა გლეხობა, რომელმაც არათუ ვერ მიიღო მიწა, არამედ მიწის ის მცირე ნაკვეთიც დაკარგა, რომლითაც იგი წინათ სარგებლობდა. „ხალხი ერთი-ორად დაბეგრდა“, რადგან იგი აიძულეს, ხარკი ეძლია მემამულისათვის დიდი ნატურალური და ფულადი გადასახადების სახით. ამის გამო რეფორმას შედეგად მოჰყვა არა ბატონყმობის მოსპობა, არამედ მისი შეკეთება. გ. წერეთელს ბატონყმური დამოკიდებულების სრული მოსპობა სურდა. იგი შეკეთებული ბატონყმობის წინააღმდეგაც გამოდიოდა, რადგან მისი აზრით, „ბატონი ყველა გლახაა. დეიქცა და დეიღუპა, სადაც ბატონის სახსენებელი იყოს...“ [1] ბატონყმობა მხოლოდ იმ შემთხვევაში მოისპობოდა, თუ გაუქმებული იქნებოდა მსხვილი მემამულური მიწათმფლობელობა და მიწა უსასყიდლოდ გადაეცემოდა გლეხობას. იმ შეფასებიდან, რომელსაც გ. წერეთელი რეფორმას აძლევდა, გამომდინარეობს, რომ მისი პროგრამა გლეხთა განთავისუფლების საკითხში სწორედ ამ ორ ძირითად მოთხოვნას შეიცავდა.

მაგრამ ვის და რა გზით უნდა განეხორციელებინა ეს პროგრამა?

ჩვენ ვთქვით, რომ უკვე 1863 წელს გ. წერეთელმა გარკვევით წამოაყენა ბატონყმობის მოსპობის მოთხოვნა. ამავე დროს „ჯანსაღი აზრის“ მიმდევარი „შეუფერავი რეალისტი“ წინააღმდეგი არ იყო ბატონყმობის „გადაკეთებისა“. ამასთან „გადაკეთებაში“ ივარაუდებოდა ძველი წყობილების ძირფესვიანი გარდაქმნა, იგივე „მოსპობა“, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ „გადაკეთება“ ზევიდან მოქმედებას გულისხმობდა. მაგრამ გ. წერეთელმა იცოდა, რომ თვითმპყრობელური ხელისუფლება ვერ გარდაქმნიდა ბატონყმურ წყობილებას

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, რჩ. ნაწ., ტ. II, გვ. 54.

მშრომელთა სასარგებლოდ. ამ აზრამდე გ. წერეთელი რუსეთის გამოცდილების გათვალისწინებამ მიიყვანა. „რუსეთში გლეხები გაანთავისუფლესო, — ეკითხულობთ „მგზავრის წერილებში",— მაგრამ ადგილები კი არ მიუციათო გლეხებისათვის" [1]. რაკი რუსეთში რეფორმას გლეხობის ინტერესების საწინააღმდეგო ხასიათი ჰქონდა, დიდი შორსმჭვრეტელობა არ იყო საჭირო იმის გასაგებად, რომ მისი ანტი-გლეხური ხასიათი კიდევ უფრო აშკარად უნდა გამომჟღავნებულიყო კოლონიურ საქართველოში, სადაც ქართველი ხალხის ჩაგვრის საქმეში თავადაზნაურობა ცარიზმის მტკიცე დასაყრდენს წარმოადგენდა. ამიტომ გ. წერეთელი ჯერ კიდევ საგლეხო რეფორმის წინა ხანაში უნაყოფოდ თვლიდა ბატონყმობის „ზევიდან მოსპობის" ლიბერალურ ილუზიებს. იგი იქვნეულად უყურებდა „ზევიდან გარდაქმნის" „გზის გამოცვლის" საზეიმო დაპირებათა რეალურობას არათუ ბატონყმობის მოსპობის, არამედ ჟურნალ „ცისკრის" პროგრესულ ორგანოდ გადაქცევის საქმეშიც კი.

გ. წერეთელმა იცოდა, რომ „ცისკარი" ისევე როგორც მისი წარმომშობი ფეოდალურ-ბატონყმური ცხოვრება და ამ ცხოვრების დამცველი თვითმპყრობელობა, თავს ვერ უღალატებდა, საქმით ვერ განახორციელებდა იმას, რასაც ახალი ცხოვრება მოითხოვდა, ე. ი. ვერ დააკმაყოფილებდა ერის ფუძეს — მშრომელ ხალხს. ამიტომ გ. წერეთელი „მავნებლად" თვლიდა „გზის გამოცვლის" საზეიმო დაპირებებს, რომლებიც მშრომელთა მოსატყუებლად იყო ნავარაუდევი, და მოითხოვდა მშრომელთა ექსპლოატაციისა და ჩაგვრის მიზეზის — თვითმპყრობელურ-ფეოდალური წყობილების ყოველმხრივ გამოაშკარავებას. სწორედ ეს აზრი გამოსჭვივის „ცისკრის" წინააღმდეგ მიმართული მისი სიტყვებიდან: „გზის გამოცვლა კიდევაც უფრო მავნებელია, რადგანაც ამგვარებით შეიძლება მკითხველის თვალისაგან დაიფაროს შინაგანი ეშმაკობაო" [2].

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, რჩ. ნაწ., ტ. I, გვ. 107.
[2] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ. სრ. კრ., ტ. I, გვ. 22.

ასეთ „შინაგან ეშმაკობად“ თვლიდა გ. წერეთელი საგლეხო რეფორმას. რუსეთის გამოცდილებამ იგი დაარწმუნა, რომ ალექსანდრე მეორე მხოლოდ საკუთარი ტყავის შენარჩუნების სურვილმა აიძულა — მოეწესრიგებინა ურთიერთობა ბატონებსა და ყმებს შორის; მაგრამ ეს „მოწესრიგება“ არსებითად მემამულეთა სასარგებლო აღმოჩნდა, გლეხობას კი „მონობის ბორკილი არ შეხსნია“. რეფორმის შემდეგ გლეხის მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა, იგი კიდევ უფრო „დაბეგრდა“. ეს ბუნებრივიც იყო, რადგან 60-იანი წლების დასაწყისში რუსეთსა და საქართველოში წამოჭრილი საზოგადოებრივი საკითხების ნამდვილი გადაჭრა მხოლოდ ძლევამოსილ სახალხო რევოლუციას შეეძლო. ეს მშვენივრად იცოდა დიდმა რუსმა რევოლუციონერმა-დემოკრატმა ჩერნიშევსკიმ, რომელიც ჩაშლას უსურვებდა მემამულურ რეფორმას, რათა ამ საფუძველზე რუსეთი გამოსულიყო „კლასთა აშკარა ბრძოლის გზაზე“ (ლენინი) და ძლევამოსილ სახალხო რევოლუციას სავსებით დაემსხვრია ფეოდალურ-ბატონყმური წყობილება. გ. წერეთელს, თავისი დიდი მასწავლებლის კვალდაკვალ, ესმოდა საგლეხო რეფორმის მემამულური ხასიათი და ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების დამცველთა „გზის გამოცვლის“ მშვიდობიან გეგმებს ხალხის ინტერესებისათვის საეჭვოდ და საზიანოდ თვლიდა. მაგრამ ემხრობოდა თუ არა იგი სახალხო რევოლუციის იდეას?

ის სტატიები, რომლებშიც გ. წერეთელი ამ საკითხს ეხება, სავსებით გასაგები მიზეზების გამო, პირდაპირ დაგლეჯილია ცენზურის მიერ. მაგრამ ზოგიერთ მათგანში შემონახულია საყურადღებო აზრები, რომლებიც დაგვეხმარება დასმული საკითხის შესწავლაში.

ამ მხრივ საყურადღებოა „დროებაში“ 1868 წელს დაბეჭდილი სტატია გ. წერეთლისა — „ამ დროების ფრანციის მწერალნი და იმათი თხზულებანი“.

სტატიაში გ. წერეთელი ახასიათებს 60-იანი წლების საფრანგეთის ვითარებას და დასძენს: „რითიმე უნდა გათავდეს ეს ცუდი მდგომარეობა, მაგრამ ახლანდელი დაწყობილება რომ მოისპოს, იმის მაგიერად რა უნდა დაწესდეს? ან რა ღო-

ნისძიებით უნდა მოისპოს? ნუთუ კიდევ რევოლუციითა?". ამ კითხვებზე გ. წერეთელი უპასუხებს საფრანგეთის სხვადასხვა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების შეხედულებათა გადმოცემით.

გ. წერეთელი მკვეთრად ემიჯნება სხვადასხვა ჯურის ლიბერალებს საზოგადოებრივი წყობილების პოლიტიკური ფორმის საკითხში. იგი კიცხავს კონსტიტუციურ-მონარქისტებს და ყველაზე უკეთეს პოლიტიკურ ფორმად რესპუბლიკა მიაჩნია.

მაგრამ რა გზით, რა საშუალებით უნდა დამყარდეს „ამგვარი დემოკრატიული დაწესებულება", რომ იგი „მართლაც ნაციის სასარგებლოთ წარიმართოს?"[1]

გ. წერეთელს არ სჯერა საზოგადოების გარდაქმნის რეფორმისტული გზის წარმატება თვით ისეთ ბურჟუაზიულ თავისუფლებათა მქონე ქვეყანაშიც კი, როგორიც მაშინდელი საფრანგეთი იყო. სხვადასხვა ჯურის ლიბერალურ-რეფორმისტული პროგრამების ფრანგ ავტორებზე გ. წერეთელი წერს: „თუ ჟულ-სიმონის პროგრამას არა აქვს გამოცდილებით საკუსე საფუძველი, პრევო-პარადოლიც ვერ გვიჩვენებს იმისთანა ბეჯით საფუძველს, რომელიც იყოს ხელსამძღვანელო ახალი საზოგადოების დაარსებაში.... (ამოღებულია ცენზორის მიერ. რედ.)." გასაგებია, რომ გ. წერეთელს გაცილებით უფრო მეტი საფუძველი ჰქონდა, უარეყო ზემოდან საზოგადოების რადიკალური გარდაქმნის შესაძლებლობა თვითმპყრობელურ რუსეთში. ალბათ, სწორედ ამიტომ ამოგლიჯა მეფის ცენზორმა მოტანილი ციტატის გაგრძელება მისი სტატიიდან.

მაგრამ, მეორე მხრივ, გ. წერეთელი არ ეთანხმება არც იმ პოლიტიკოსებს, რომლებიც რევოლუციას „სიხარულით მოელიან". მათ წინააღმდეგ გ. წერეთელი საბუთად იყენებს დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიულ რევოლუციათა „არადამაკმაყოფილებელ" შედეგებს. მისი აზრით, რეფორმა ან რევოლუცია თვითმიზანი კი არ არის, არამედ ისეთი საზოგადოებრივი წყობილების დაარსების საშუალება, რომელმაც უნდა მოსპოს ერთი ადამიანის (ხალხის) მიერ მეორე ადამიანის (ხალ-

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ. სრ. კრ., ტ. I, გვ. 258.

ხის) ჩაგვრა და ექსპლოატაცია და დაამყაროს „საყოველთაო კეთილდღეობა". რევოლუციებმა ევროპის ქვეყნებში ვერ გადაწყვიტეს ეს ამოცანა. „ფრანციის რევოლუციამ დაჰბადა ხალხი, რომლის მომავალი ეპვს ქვეშ არის, — ხალხი, სადაც მარტო სიმდიდრეს ჰძევს ფასი და სადაც კეთილშობილურს გრძნობას ალაგი არა აქვს..." „ვისაც ბევრი ფული აქვს, იმას მომეტებული კმაყოფილება და მომეტებული გრძნობიერი კეთილმდგომარეობა ხელში უჭირავს... ამ სახით დაარსდა სულის მომხუთავი დაწყობილება"[1]. ადამიანები ილტვიან საყოველთაო „ბედნიერებისა და სიკეთისაკენ", — ამბობს გ. წერეთელი სტატიაში — „რამდენიმე აზრი ჩვენს ცხოვრებაზე"; — უმჯობესია, თუ ეს ლტოლვა მშვიდობიანი გზით დაკმაყოფილდება, მით უმეტეს, რომ აქამდე მომხდარმა ვერც ერთმა რევოლუციამ ვერ დააკმაყოფილა ადამიანთა ეს მისწრაფება. ყველა რევოლუციამ ევროპაში ერთი უბედურება მეორეთი შესცვალა, უბედურება კი ვერ მოსპო, რადგან „თუ რამე კარგი მოაქვს, რევოლუციას, იმასაც კარგათ ვერ უდგამს ძირსა". გ. წერეთელი ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდა ფეოდალურთან შედარებით ბურჟუაზიული წყობილების პროგრესულობას, მაგრამ „საყოველთაო კეთილდღეობის" თვალსაზრისით ბურჟუაზიული რევოლუციის შედეგები „მცირედნაყოფიერად" ეჩვენებოდა. ამიტომ არ თვლიდა იგი რევოლუციას „სასიხარულო" მოვლენად.

მაგრამ გ. წერეთელი პრინციპულად წინააღმდეგი როდი იყო რევოლუციისა. მართალია, იგი წყევლის იმ „უფლებას, რომელიც რევოლუციას მიუცილებელ საჭიროებად ჰხდის", და არ ეთანხმება იმათ, ვისაც „ჰსურს მისი მოვლენა", მაგრამ ამავე დროს მას რევოლუცია განსაზღვრულ პირობებში „მისატევებელ ღონისძიებად" მიაჩნია: „რევოლუცია მაშინ არის მისატევებელი, როდესაც ხალხს სხვა ღონისძიება აღარა დარჩენია-რა, რომ ცუდი წესდებულებისაგან თავი იხსნას... მაშინ პასუხისმგებლად ქვეყანა კი არ ხდება, არამედ ის უგუნური

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ. სრ. კრ., ტ. I, გვ. 249.

უფლება, რომელიც ამის მეტს საშველს არ აძლევს ქვეყანას"[1].

ამრიგად, რევოლუცია არის „უკიდურესი საშუალება", რომელიც გამოყენებულ უნდა იქნას მაშინ, როცა რეფორმების გზით შეუძლებელი ხდება ძველი საზოგადოებრივი წყობილების გარდაქმნა.

გ. წერეთლის ამ შეხედულებიდან, მიუხედავად მისი თეორიული და კლასობრივი შეზღუდულობისა, 60-იანი წლების საქართველოს კონკრეტულ-ისტორიული პირობებისათვის რევოლუციური პრაქტიკულ-პოლიტიკური დასკვნები გამომდინარეობდა. საგლეხო რეფორმამ მემამულეებს შეუნარჩუნა ძველი პრივილეგიები. მან ვერ დააკმაყოფილა გლეხობის ინტერესები, რადგან მეფის ხელისუფლება იცავდა მემამულეებს და „არ ითვალისწინებდა" გლეხობის მოთხოვნებს. ასეთ პირობებში გლეხებს ისღა დარჩენოდათ, რომ „უკიდურესი საშუალების" გამოყენებით ეხსნათ თავი „ცუდი წესდებულებისაგან", ე. ი. რევოლუციური ბრძოლის გზით დაემხოთ თვითმპყრობელურ-ბატონყმური წყობილება.

გ. წერეთელი ქებით იხსენიებდა საფრანგეთის რევოლუციონერებს, „რომელთაც,— მისი სიტყვით,— თავი შესწირეს საზოგადო კეთილდღეობას და არ შეუშინდნენ არავითარს დაბრკოლებას. ისინი, — ამბობს გ. წერეთელი, — სწორეთ ჯვარს ეცვენ ქვეყნისათვის... ისინი თავის უმანკო ზნეობით და გონივრობით შეუდარებლად მაღლა იდგნენ მთელს საზოგადოებაზედ. იმათ ბევრი ისეთი ნათელი და ჯანმრთელი აზრი გამოსთქვეს, რომელიც მრავალს საუკუნოებს იცოცხლებს და კაცობრიობის ბედნიერების საფუძვლად შეიქნება"[2]. ამასთან გ. წერეთელი გულისტკივილით შენიშნავდა, რომ „ქვეყანამ... ვერა სცნა ვერც ისინი (რევოლუციონერები. მ. გ.) და ვერც ის ნათელი, რომელიც იმათ ქვეყნიერებას მოუტანეს. ქვეყნიერებამ მეტად თავმძიმემ, მეტად მიუნდობელმა ყველა ახალის მოვლინებისადმი უარჰყო ისინი და იმათი სწავლა

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ. სრ. კრ., ტ. I, გვ. 252 — 253.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 128.

უჭკვოთ და შემცდარათ დასახა და თავის თავი მეტად ბრძნათ გამოიხატა!“ [1]

გ. წერეთლის აზრით, რევოლუციური მოქმედება ქართველი ხალხის „ბუნებას ყველაზე მეტად ეთანხმება“, მაგრამ საქართველოში ამ „ბუნებრივი მოთხოვნილების“ „ნაპერწკალიც არ ღვივის“; ქართველი ხალხის რევოლუციურ ენერგიას მყუდროებისა და უძრაობის „სასუფეველში“ ჩასძინებია. ესეც საქართველოს ჩამორჩენილობის ერთ-ერთ გამოვლინებად მიაჩნდა გ. წერეთელს. „რამდენადაც ჩვენ დაშორებული ვართ ევროპაზედ სხვა მხრით, — ამბობს იგი, — იმდენათ ამ საქმეშიც (ლაპარაკია რევოლუციაზე. მ. გ.) დაშორებული ვართ... რამდენათაც ჩვენში სხვა ბუნების მოთხოვნილებანი არიან დაყრუებულნი და ჩამქრალნი, იმდენათ ეს მოთხოვნილება, რომელიც ყველაზე მეტად ეთანხმება ჩვენს ბუნებას და ყველაზედ უმეტესად სასიამოვნოა კაცისთვის, დაყრუებულია და თითქმის ერთი მისი ნაპერწკალიც არ ღვივის ჩვენს გულში“ [2].

ეკონომიური და პოლიტიკური ჩამორჩენილობის საფუძველზე აღმოცენებულ საზოგადოებრივ უმოქმედობას გ. წერეთელი ხელსაყრელ პირობად თვლიდა ცარიზმის ბატონობისათვის საქართველოში. ერთ წერილში იგი, ცენზურის თვალის ასახვევად, ფეოდალური უძრაობის პირობებში მყოფ საქართველოს „ქვას“ ადარებდა. მისი აზრით, თვითმპყრობელობას სურდა ამ „ქვის“ გამოყენება საშენ მასალად. „ჩემი მოძმე მათუსალები (ქართველები. მ. გ.), — ამბობს გ. წერეთელი, — ამ უკანასკნელს დროში ისე მოიკრუნჩხნენ, რომ კაკლის ხეპუპში ჩასატევი გამხდარან. ამგვარის ხეპუპით გზების მოკირწყვლაც ძალიან შნოიანი და სუფთა იქნება; ამგვარის კენჭებით მოკირწყლულს ქუჩებზედ ძალიან რბილათ უნდა ირიხინოს რესორიანმა კარეტებმა. რასაკვირველია, ამისთანა რახარუხის ხმა მაშინ ალარ იქნება, როგორც ახლა რიყის ქვებზედ არის. ერთს ახლანდელს მეცნიერთაგანს კიდეც უქა-

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ. სრ. კრ., ტ. I, გვ. 129.

დაგნია, ვითომც ის ჟამიც შორს აღარ არის, როდესაც ზემოხსენებული ქვა შენობებისათვის მოიხმარებაო?.."[1]

გ. წერეთელი თვითმპყრობელობის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის მომხრე იყო და სასტიკად გმობდა ყველა იმათ, ვინც რეფორმის შემდეგ „სასუფევლის" დამკვიდრებას უეჭველად თვლიდა. „ჩვენში ჯერ ყველანი დარწმუნებულნი არიან, — წერდა იგი 1867 წელს, — რომ ისინი სწორეთ ნეტარებენ და „სასუფეველთა ცათა" იმათ აქვე იხილეს. ამაში ეჭვი არავისა აქვს. მაშ დეე, „იოცნებონ ჩვენებმა, მერე ძილის სიზმრები საუკუნო ძილის სიზმრებად გადაექცევათ!"[2].

გ. წერეთელი თვითმპყრობელურ-ბატონყმურ წყობილებას უწოდებდა „საზიზღარ მტარვალობას", რომელიც რეფორმის შემდეგაც არსებითად უცვლელი დარჩა. იგი ხედავდა, რომ ბატონყმური ჩაგვრა და ექსპლოატაცია კვლავ ანადგურებდა მშრომელ გლეხობას, რომელიც „შიმშილსაც იტანდა და წყურვილსაც", რადგან ამას მოითხოვდა მემამულეთა ინტერესები. ამიტომ ბუნებრივია, რომ ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლი განმანათლებელი, რომელიც გლეხთა ინტერესების დამცველად გამოდიოდა, გლეხობაშივე ეძებდა ძალებს არსებული წყობილების წინააღმდეგ საბრძოლველად. მიუხედავად ცენზურის აუტანელი პირობებისა, გ. წერეთელი ახერხებდა თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ მახვილი პოლიტიკური აგიტაციის გაჩაღებას. მაგალითისათვის საკმარისია დავასახელოთ „მგზავრის წერილების" ის ადგილები, სადაც, ცენზორის თვალის ასახვევად, ბატონისა და ყმის ურთიერთობა ამბის მთხრობელისა და მისი ჯორის დამოკიდებულებითაა გადმოცემული,

შეგნებულ გლეხობას, რომელსაც რეფორმის შემდეგაც არ სჯეროდა, რომ „ბატონები ცხენებიდან ჩამოაბრძანეს და მოკლე კუდიანებზე შესვეს", ე. ი. არ სწამდა ის, რომ ბატონყმობის გაუქმებამ თავადაზნაურობის დაქვეითება და მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესება გამოიწვია, — გ. წერე-

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ. სრ. კრ., ტ. I, გვ. 29.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 129.

თელი აგრძნობინებდა „ახალი ბატონყმობის“ დამხობის აუცილებლობას რევოლუციური ბრძოლის გზით. გლეხობის ამ მცირე ნაწილს, გ. წერეთლის წარმოდგენით, შეგნებული ჰქონდა, რომ თვითმპყრობელობამ გლეხებს ძალით მოახვია თავზე მემამულეთა ინტერესების დამცველი რეფორმა: „თვალს და ყურს ატყუებენ, სულ ოინობაა, ბატონო“ [1], — ამბობდა გლეხი რეფორმაზე. სწორედ ასეთი გლეხების მისამართით წერდა გ. წერეთელი: „ქვეყანაზე ყოველთვის ასეა: როცა სიტყვა არ გავა, წნელს ხმარობენ და, თუ წნელიც ალარ იმოქმედებს, დეზებს გაჰკრავენ ხოლმე გვერდებში. მაგრამ ახლა ეს უნდა ვიკითხოთ, თვითონ ის არსება (ე. ი. გლეხობა მ. გ.) რა შვილი უნდა იყოს, რომელიც დეზებს გვერდებს აჩხვლეტინებსო?“ [2].

მაგრამ ამ დროს გლეხობის უმრავლესობა წარმოადგენდა ბნელ და გაუნათლებელ მასას. გლეხური მასების ეს შეუგნებლობა მიაჩნდა გ. წერეთელს ბატონყმობის არსებობის უმთავრეს პირობად. მისი აზრით, მებატონეთა, „ბედი ის არის, რომ საზოგადოდ ჯორები (იგულისხმება: გლეხები. მ. გ.) გაკრეჭილ და გაპარსულ კაცებსავით გულკეთილები არიან და, ერთხელვე თუ ლაგამი ამოსდე, მერე რაც უნდა შეუწყნარებელი ბატონი აჯდეს ზურგზე, მაინც ფიქრში არ მოუვათ ზურგიდან იმის გადაგდება... ალაგმულ სულიერებს იმდენად უფრო თავზარი ეცემათ ხოლმე, რამდენადაც ზედ მჯდომები უფრო უსინდისოდ ეპყრობიან“.

გ. წერეთლის დახასიათებით, რეფორმამდე „ბატონის მძლავრობით კურდღელივით დაშინებულ“ გლეხთა უმრავლესობას ბატონის დანახვაზე „შიშით სული ძერებოდა“ გლეხს „გონება დაბნელებოდა, მეხსიერება წართმეოდა; მუდამ წვალებაში და მორჩილებაში ყოფნით მორჩილების მეტი ალარა უტრიალებდა-რა თავში“. იგი იძულებული იყო მებატონის სიამოვნებისათვის უარი ეთქვა ცხოვრების მინიმალურ პირობებზე და მოთმინებით აეტანა ბატონის ცემა-ტყეპა და

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, რჩ. ნაწ., ტ. I, გვ. 41 — 107.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 42.

ყოველგვარი სხვა ძალადობა[1]. რეფორმის შემდეგ მებატონის აღვირახსნილ ძალადობას საზღვარი დაედო, თუმცა არსებითად თვითმპყრობელობამ მებატონე კვლავ მშრომელთა ექსპლოატატორად დასტოვა. მაგრამ გ. წერეთელი ხედავს, რომ, რაკი რეფორმის შემდეგ გლეხს პირდაპირ აღარ სცემდნენ, ბატონყმობის უღელქვეშ დამონებული გლეხობის უმრავლესობა, რომელსაც კლასობრივი თვითშეგნების ნატამალიც არ გააჩნდა, „თითქოს უმადლოდა“ თავის ბატონებს და, მხეცების „გულკეთილობით გაკვირვებული“, „ცდილობდა, მის კისერზე მჯდომარე ძვირფას პატრონს არა გაჭირვებოდა-რა“. ჩამორჩენილ გლეხებს ჯერ კიდევ სწამდათ, რომ „ბატონი ღვთისაგან არის! იმას უნდა ემორჩილო“... რადგან „კამბეჩის მარქენალ ხარს რქა არ შერჩება“. ამიტომ არ ესმოდათ გლეხობის ფართო მასებს რეფორმებით უკმაყოფილო „შეუფერავი რეალისტის“ მოწოდება: მემამულეებს „სამაგიერო უყაიო!“ — ე. ი. ბატონყმობა დაამხეთო! და რადგან შეუგნებელმა, როზგქვეშ დაბეჩავებულმა გლეხობამ ვერ შესძლო ამ ამოცანის გადაჭრა, გ. წერეთელი გულისტკივილით ამბობდა: „ვაი, თქვენ, დაჩაგრულნო, რამეთუ არა უწყით, თუ ვინ არის მაჭირვებელი თქვენი და ვინცა გცემთ არღანსა, იმათვე სცემთ თაყვანსა!“.

მაგრამ 60-იან წლებში გ. წერეთელი შორს იყო ლიბერალური უიმედობისაგან გლეხობის რევოლუციური უნარის შეფასების საკითხში. იგი გლეხობას ოპტიმისტურად უყურებდა. იგი ხედავდა, გლეხური მასების ჩამორჩენილობას, მაგრამ შესაძლებლად მიაჩნდა მათი კლასობრივი თვითშეგნების გამოღვიძება და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ამხედრება. შეგნებულ გლეხებს, გ. წერეთლის აზრით, „რომ უნდოდეთ, ღალატობას ყოველთვის მოახერხებენ“ და ბატონყმურ უღელს გადაიგდებენ კისრიდან[2]. სწორედ ამ საკითხში სცილდებოდა იგი ლიბერალებს.

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, რჩ. ნაწ., ტ. I, გვ. 85 — 86, 107.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 85 — 86.

გ. წერეთელი 60-იანი წლების ლიბერალებს ალექსანდრე მეორის „თანამგრძნობლებად“ თვლიდა. „მაშინ, — წერდა იგი 1899 წელს, — ლიბერალური ლექსების წერა, სანტიმენტალური თანაგრძნობის გამოცხადება გლეხებისადმი და მუშასადმი დაწინაურების ატესტატს აძლევდა ახალგაზრდას ხელში, რადგან ამ დროს გლეხების განთავისუფლების დროშა თვით დიდმა რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ ააფრიალა. ამიტომაც იმის თანამგრძნობელს ‘ყველას კარი ჰქონდა გაღებული სახელმწიფო სამსახურში“ [1].

განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ჯერ კიდევ 60-იან წლებში გ. წერეთელი სწორად აფასებდა და გმობდა ლიბერალურ შემთანხმებლობას.

ლიბერალები, გ. წერეთლის აზრით, მწუხარებით ეხმაურებოდნენ მემამულეებისა და ცარიზმის მოხელეების მიერ ჩაგრული და ექსპლოატირებული ყმაგლეხების უნუგეშო მდგომარეობას, მაგრამ, მემამულეების და მათი დამცველი მეფის მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლის ნაცვლად, ისინი მოთმინებისაკენ მოუწოდებდნენ თვით მოთმინება-დაკარგულ გლეხებსაც კი. ლიბერალები ქედს იხრიდნენ გლეხების ჩამორჩენილობისა და მთავრობის უძლეველობის წინაშე. გლეხს, რომელმაც მემამულისა და ცარიზმის მოხელის აღვირახსნილი ძალადობა მოთმინებით „აიტანა“, ლიბერალი, გ. წერეთლის გადმოცემით, ასე არიგებდა: „კარგია, რომ მაგდენი მოგითმენია; სხვა რომ ყოფილიყო შენს ადგილას, არ მოუთმენდაო, ხელს გამოიღებდაო, იასაულსაც გაჯოხავდა და ბატონსაც მიაყოლებდა. მთავრობა მძლავრია. ვინც იმის წინააღმდეგს რასმე გაბედავს, მაშინვე ციმბირში გაგზავნის; ისევე სჯობია, ჩუმად იყოს კაცი, და ბატონს შეაწყალოს თავიო“ [2]...

„ჩუმად ყოფნა“ თვითმპყრობელობასთან შერიგებას ნიშნავდა. გ. წერეთელს არ სურდა შერიგებოდა ცარიზმს. იგი მოითხოვდა „მსხვერპლის გაღებას“, ე. ი. ცარიზმთან რევოლუციურ ბრძოლას. ეს ბრძოლა, მისი აზრით, დამარცხებითაც

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, გაზეთი „ივერია“ და მისი საპოლემიკო ხასიათი, „კვალი“, № 5, 1899 წ., გვ. 75.

[2] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, რჩ. ნაწ., ტ. I, გვ. 106 — 107.

რომ დამთავრებულიყო, მაინც დიდ როლს ითამაშებდა საზოგადოების „განათლების", ხალხის პოლიტიკური თვითშეგნების შემუშავების საქმეში. რაკი „საზოგადოება ისეთს ცუდს ჯურღმულშია ჩავარდნილი, რომ ხსნა არა აქვს, — ასწავლიდა გ. წერეთელი მშვიდობისმოყვარე ლიბერალს, — იმის გამოსაფხიზლებლად საჭიროა მსხვერპლი, ისეთი მსხვერპლი, რომ იმისმა დაღუპვამ მიბნედილს გონების თვალებს ცივი წყალი დაასხას და უცბად წამოახტუნოს. ვისაც ნამდვილი სიკეთე უნდა ქვეყნისათვის, ის ამ დროს სამსხვერპლოდ უნდა ემზადებოდეს... დაე, გაგლანძლონ, შეგიძულონ, თუნდ კიდევაც განგაძეონ, განგაგდონ, შენ მაინც შენსას ნუ მოიშლი, ამხილე ცუდი, ბოროტებას წინ დაუდექი, ნუ გახრი სწორ გზას, თუნდ რომ ამან ღრუშიაც გადაგაგდოს. მერწმუნე, როცა გადავარდები, სიმართლისათვის მართლაც განგაძევებენ, შემდეგ ყველა შეკრთება, ყველას გაუნათლდება გონება, ყველა დაიწყებს ნანობას — როცა საზოგადოებაში ამისთანა გრძნობა დაიძვრის, ეს განახლების წინამორბედია და მომასწავებელი" [1]. ქართველი განმანათლებლებიდან, პირველმა, _გ. წერეთელმა ჩამოაყალიბა ხალხის კეთილდღეობისათვის თავდადებული მებრძოლის ეს რევოლუციური განაწესი. მართალია, ამ განაწესს იგი ყოველთვის თანამიმდევრად ვერ ასრულებდა, მაგრამ მისი მნიშვნელობა რომ დიდი იყო მომავალ თაობათა აღზრდის საქმეში, ეს ცხადია. ცხადია ისიც, რომ გ. წერეთლისათვის მთლად უნაყოფოდ არ ჩაუვლია მისი მასწავლებლის — ჩერნიშევსკის გმირულ მაგალითს.

რეფორმის შემდეგ ოსტატურად ვაძარცვულ გლეხობას ლიბერალები თვითმპყრობელობის ნასუფრალით დაკმაყოფილებას ურჩევდნენ და, მაშასადამე, არსებითად მემამულეთა ინტერესების დამცველებად გამოდიოდნენ. „რუსეთში გლეხები განთავისუფლესო, — უხსნიდა ლიბერალი გლეხებს, — მარა ადგილები კი არ მიუციათ გლეხებისათვის; იმათ არ ეგონათ, თუ ხემწიფე უმიწა-წყლოთ ინებებდაო გლეხის განთავისუფლებას და აბუნტდენო, გამოუსიეს ჯარები და

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, რჩ. ნაწ., ტ. I, გვ. 192.

სულ პანტასავით მირეკ-მორეკესო, მარა თუ უკმაყოფილო დარჩეთ, ხურას გაბედავთ, თვარამ უარესი დაგემართებათო"[1]. ასე აშინებდნენ ხალხს 60-იანი წლების ლიბერალები რუსეთშიც და საქართველოშიც. ამით ისინი თვითმპყრობელობის „შეურიგებელი" მტრებიდან მისი მოსამსახურენი ხდებოდნენ. ამიტომ ებრძოდა ლიბერალებს დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი ჩერნიშევსკი; ამიტომ ვერ ურიგდებოდა მათ ჩერნიშევსკის „ერთ-ერთი საინტერესო მოწაფე" — „გ. წერეთელი. „სოვრემენიკის" იდეებზე აღზრდილი გ. წერეთელი დარწმუნდა ხალხის ინტერესების შესაბამისად არსებული წყობილების მშვიდობიანი გარდაქმნის შეუძლებლობაში, დადგა გლეხობის ინტერესების გამომხატველ რევოლუციურ-დემოკრატიულ პოზიციაზე და აქედან აკრიტიკებდა ლიბერალების შემარიგებლურ ტაქტიკას. ამ კრიტიკის გამოხატულებაა ის მოსწრებული თქმა, რომლითაც დაახასიათა გ. წერეთელმა სამოციანი წლების ლიბერალიზმი: „ენა ტარტალა, საქმე პატარა, ღომი არ ეყო ხუთი კარდალა"[2].

ლიბერალი პრაქტიკული კაცია. მისი აზრით, „რაც ჩვენ დროს შეეფერება, ჩვენ .ის უნდა ვიკმაროთ". გ. წერეთელი არ ეთანხმება ასეთ შეხედულებას, რადგან ეს ნიშნავს ბრძოლაზე ხელის აღებას, „ამ ქვეყნის კეთილცხოვრებით" დაკმაყოფილებას, ე. ი. მეფის ხელისუფლებასთან შერიგებას. „როგორც რომ ეს სიტყვა გავიგონე — „ვიკმაროთო", — ამბობს გ. წერეთელი, — ჩემსა და იმის (ლიბერალს) შუა სრულებით გაწყდა კავშირის ძაფი. ის სამშვიდობო კეთილზე იყო დამდგარი, მე-კი ცხოვრების ქარიშხალში ჯერ დიდი გზა მქონდა გასავლელი. ჩემი ნავი აგორებულ ზღვაში იყო შეცურებული. ზღვის დაწყნარების იმედი არ მქონდა, მაგრამ წარმოიდგინეთ, მე ეს სულაც არ მაშინებდა, მე მხიარულად ვისწრაფოდი წინ და, თუნდ დაეღუპულიყავ, იმედი მქონდა, სიკვდილის ჟამს მხიარულება არ მოსცილდებოდა ჩემს სახეს"[3].

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, რჩ. ნაწ., ტ. I, გვ. 107.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 75.
[3] ი ქ ვ ე, გვ. 201.

რა თქმა უნდა, გ. წერეთლის ეს რევოლუციური აღფრთოვანება, რაც ყოველი რევოლუციური სიტუაციის წარმოშობისას განსაკუთრებით იჩენდა თავს, თავიდანვე ატარებდა წვრილბურჟუაზიულობის დაღს, მაგრამ ფაქტია, რომ 60-იან წლებში გ. წერეთელი, მიუხედავად მერყეობისა, მკვეთრად უპირისპირდებოდა ლიბერალებს. იგი ცდილობდა შეენარჩუნებინა ის რევოლუციურ-დემოკრატიული ხაზი, რომლისადმი ერთგულება მან პრაქტიკულად დაამტკიცა პეტერბურგში ყოფნის დროს. ამას ამტკიცებს თუნდაც ის ფაქტი, რომ გ. წერეთელი გმობდა ლიბერალებს, რომლებსაც, მისი შეხედულებით, რეფორმის წინა ხანაში „ლომკაცებად" მოჰქონდათ თავი, მაგრამ რეფორმის შემდეგ, „ახალი თაფლით" მოხიბლულნი, „ბუზებად" გადაიქცნენ. საგულისხმოა, რომ ამის მიზეზს გ. წერეთელი ჩვენი ცხოვრების ჩამორჩენილობაში ხედავდა: რევოლუციურ პეტერბურგში ქართველი ლიბერალის „ბუნება ხურდა", „ყინულმოდებულ" საქართველოს ჰავამ კი იგი გააცივა. მიუხედავად ამისა, გ. წერეთელი პირდაპირ ეუბნებოდა ლიბერალს: თუ საზოგადოებრივი უკეთმართობის წინააღმდეგ აქტიურად არ იბრძოლებ, „ერთ ხეზე რომ ნამდვილი ქურდი ჩამოახრჩონ, მეორეზე შენ იქნები ჩამოსახრჩობიო!.."[1].

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ გ. წერეთელი ბატონყმური წყობილების მოსპობის რევოლუციურ-დემოკრატიულ პროგრამას ემხრობოდა. თვითმპყრობელობის რევოლუციური დამხობის გზით მსხვილი მემამულური მ წათმფლობელობის მოსპობა და გლეხობისათვის მიწის უსასყიდლოდ გადაცემა, — ასეთია ამ პროგრამის ძირითადი შინაარსი. ტყუილად როდი იმეორებდა გ. წერეთელი „მოხერხებული და ნიჭიანი" როშფორის აზრს „თუ ახლანდელი დაწყობილების დარღვევა მიუცილებლად უნდა მოხდეს, მაშინ რაც რომ ერთსულობით და მსწრაფლად მოხდება ისა, იმდენათ უფრო ცოტა საინები იქნებაო"...[2] არც ისაა შემთხვევითი, რომ

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, რჩ. ნაწ., ტ. I, გვ. 175 — 190.

[2] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ. სრ. კრ., ტ. 1, გვ. 253.

გ. წერეთელი ამართლებდა კახეთის გლეხთა 1879 წლის აჯანყებას ცარიზმის წინააღმდეგ.

რეოლუციონერ-დემოკრატების იმედები რუსეთის გლეხურ რევოლუციაზე არ გამართლდა. გლეხთა მოძრაობის სისუსტემ და წვრილბურჟუაზიული რევოლუციურობის არათანმიმდევარმა, მერყეემა ბუნებამ პროლეტარიატის არარსებობის ვითარებაში საშუალება მისცა თვითმპყრობელურ ხელისუფლებას ბატონყმობის საკითხი გლეხობის ინტერესების საწინააღმდეგო რეფორმით „გადაეჭრა". საგლეხო რეფორმა, სავსებით გასაგები მიზეზების გამო, საქართველოში უფრო მეტად იყო მემამულური, ვიდრე რუსეთში, მაგრამ რევოლუციური ძალებიც, რომლებიც წინააღუდგებოდნენ „მძარცველობისა" და ყაჩაღობის, სიყალბისა და დანაშაულობის დაკანონებას", ჩვენში ვაცილებით უფრო სუსტნი იყვნენ, ვიდრე რუსეთში. 60-იან წლებში რუსეთის რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა იდეურადაც და ორგანიზაციულადაც უფრო მძლავრი იყო, ვიდრე საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ამის მიზეზი, უწინარეს ყოვლისა, ამ ორი ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრების პირობებშია საძიებელი. იმ დროისათვის თვითმპყრობელობას საქართველო პოლიტიკურად უკვე სავსებით დამორჩილებული ჰყავდა. მაგრამ ცარიზმის მიერ საქართველოს ეკონომიური დაპყრობის პროცესი ჯერ კიდევ დასაწყის სტადიაში იმყოფებოდა. ამიტომ ტექნიკურ-ეკონომიური განვითარების მხრივ საქართველო რუსეთზე კიდევ უფრო ჩამორჩენილ ქვეყანას წარმოადგენდა. ცხადია, ქვეყნის საზოგადოებრივ-ეკონომიურ და კულტურულ მდგომარეობას გავლენა უნდა მოეხდინა მის იდეურ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე, მაშასადამე, განმათავისუფლებელი მოძრაობის ხასიათზეც. აქედან გამომდინარეობს, რომ ჩვენში რეფორმის შემდეგ ლიბერალური მშვიდობისმოყვარეობისათვის მიტი საფუძველი არსებობდა, ვიდრე რუსეთში. ამით აიხსნება, რომ რეფორმებით უკმაყოფილო გ. წერეთელი, რომელიც ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების რევოლუციური დამხობის გზით ერის უმრავლესობის ინტერესების დაკმაყოფილებას

ემხრობოდა, იძულებული ხდებოდა იმავე დროს გლეხების მიერ მემამულეებისაგან მიწის გამოსყიდვის სარგებლიანობა ემტკიცებინა. „როგორც ამბობენ, — წერდა იგი 1867 წელს,— ბევრნი მებატონეები აპირებენო მიწის შესყიდვას გლეხებისათვის. ამაზედ უკეთესს ისინი ვერაფერს იზამენ. უეჭველია საქმე საბოლოოთ ასე უნდა გათავდეს, რომ გლეხი მიწის მეპატრონეთ უნდა გახდეს. რაც მალე მოხდება ეს საქმე, ის უკეთესია. გლეხიც და მებატონეც დაინახავენ, რომ ორივე მხარისათვის სამძიმოა ვალდებული დამოკიდებულება, და მიწის შეხსნა ორივესთვის სასარგებლო იქნება“. გ. წერეთელი ხედავს, რომ რეფორმის შემდეგაც მემამულე რჩება მუქთახორად, რომელიც „ებრძვის ისევ უწინდელს გლეხს, რომ როგორმე კიდევ იმას დასტყუოს თავისი გასაკვები“. იგი აღნიშნავს, რომ „ჯერ კიდევ დიდი ცილობა აქვთ ეწინდელს ყმებსა და ბატონებს ერთმანეთში“. ამასთან გ. წერეთელი გვაგრძნობინებს, რომ გლეხებს აქვთ საფუძველი, უკმაყოფილო იყონ „ახალი ბატონყმობით“ და ყოველნაირად დაიცვან საკუთარი ინტერესები. ამიტომ „არის მუდამ დავიდარაბა და ჩხუბი უწინდელს ყმებსა და ბატონებს შუა“ მაგრამ, რაკი ამ „დავიდარაბიდან გამოსვლა“, გლეხობის ჩამორჩენილობის გამო, ბრძოლის გზით არ მოხერხდა, გლეხების ინტერესები უნდა დავიცვათ „კეთილი ნების“ „ბეჯითს საფუძველზედ“. „ბეჯითი საფუძველი კი ის იქნება, — ამბობს გ. წერეთელი,— როდესაც მებატონეები ფულზე გადუჭრიან · გლეხებს იმათ ვალდებულებას“ [1].

პრინციპულად გ. წერეთელი მიუღებლად თვლიდა გლეხების მიერ მიწის გამოსყიდვას და ყოველგვარი ბეგარის გაუქმებას ემხრობოდა. თვითმპყრობელობამ გლეხობის ინტერესებს ანგარიში არ გაუწია. გლეხური რევოლუცია არ მოხდა. ასეთ პირობებში გ. წერეთელი, რომელსაც მხურვალედ სურდა ბატონყმური ურთიერთობის მოსპობა, იძულებული გახდა მიწის გამოსყიდვისა და ნატურალური გადასახადის ფულადი გადასახადით შეცვლის მოთხოვნით დაკმაყოფილებულიყო.

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ. სრ. კრებ., ტ. I, გვ. 112 — 262, 271.

მისი აზრით, ეს იყო ბატონყმურ ურთიერთობათა აღმოფხვრისა და გლეხობის ინტერესების დაცვის უკანასკნელი საშუალება. იდეურად გ. წერეთელი ამ შემთხვევაშიც რევოლუციურ პოზიციაზე დარჩენას ცდილობდა, რამდენადაც ბატონყმობის ნაშთების აღმოფხვრას და გლეხობის ინტერესების დაცვას მოითხოვდა. მაგრამ რევოლუციური სიტუაცია რეაქციით შეიცვალა და ხალხის ინტერესების დამცველი განმანათლებელი იძულებული გახდა ტაქტიკურად უკან დაეხია: — ისეთი საკითხები გაერჩია, რომელთა გარჩევა ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების რევოლუციური დამხობის შემთხვევაში საჭირო არ იქნებოდა. ამას შედეგად მოჰყვა „რეალური პოლიტიკის" მომხრეობა, მხოლოდ შესაძლებელი საშუალებით ბრძოლა მშრომელი ხალხის ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის. ასეთ რეალურ საშუალებად გ. წერეთელი თვლიდა განათლებას; მისი აზრით, განათლების გავრცელებას უნდა მოჰყოლოდა მშრომელთა ეკონომიური გაძლიერება და პოლიტიკური ბრძოლისუნარიანობის ამაღლება. ყოველი საზოგადოების „ძალა, — ამბობდა გ. წერეთელი, — მდაბიო ხალხია და ვერაფერი ვერ მისცემს რომელიმე ერს ისეთს ძალას, როგორსაც მისცემს განათლების გავრცელება ამ მდაბიო ხალხში" [1].

გ. წერეთელი შეუძლებლად თვლიდა საზოგადოების რადიკალურ გარდაქმნას ხალხის ფართო მასების მონაწილეობის გარეშე. მაგრამ გაუნათლებელი, ჩამორჩენილი, მატერიალურად და მორალურად დამონებული ხალხი, მისი აზრით, ვერ გარდაქმნიდა დრომოჭმულ საზოგადოებრივ ცხოვრებას, თუ თავდაპირველად თვითონ არ გარდაიქმნებოდა. გ. წერეთელი უკმაყოფილოდ ამბობდა 1867 წელს: „მთელი ხალხი ამ (ე. ი. თვითმპყრობელური. მ. გ.) მთავრობის მადლიერი იყო, მაშ უნდა ვიფიქროთ, რომ იმათი შესაფერი და მოსაწონი მთავრობაც იყო" [2]. თვითმპყრობელობისა და ბატონყმო-

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, რამდენიმე სიტყვა მდაბიო ხალხის აღზრდაზე და განათლებაზე. „დროება"; № 32, 1869 წ.

[2] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ფლიდეთელ მოხუცის ნაამბობი, „დროება", № 19, 1867 წ.

ბის არსებობის ძირითად პირობად გ. წერეთელს ხალხის ჩამორჩენილობა, მისი შეუგნებლობა, მისი სისუსტე მიაჩნდა: „ეინ გაბედავს (აჯანყებას. მ. გ.), ვის რა შეუძლია, ბატონო", — ამბობდა თვითმპყრობელურ-ბატონყმური ძალადობით შევიწროებული, ჩამორჩენილი გლეხი. გ. წერეთლის ფიქრით, ბატონყმობის გაუქმებას საყოველთაო კეთილდღეობა უნდა მოჰყოლოდა, სინამდვილეში კი ძველი „ახალმა ბატონყმობამ" შეცვალა. მისი აზრით, ეს იმიტომ მოხდა, რომ გლეხობას არ შეეძლო ძალით მოეპოვებინა ის, რასაც ფეოდალურ-მონარქიული ხელისუფლება ნებით არ იძლეოდა, და არ შეეძლო იმიტომ, რომ იგი გაუნათლებელი და შეუგნებელი იყო. მაშასადამე, დაასკვნის იგი, გონივრული საზოგადოებრივი წყობილების დასამყარებლად საჭიროა განათლების საშუალებით ხალხის თვითშეგნების გამოღვიძება.

გ. წერეთელმა ბევრი რამ გააკეთა ქართველი ხალხის განათლებისათვის. თავის დროზე იგი იყო ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მწერალი, რომელიც მარტივი, ხალხისათვის გასაგები ენით გადმოსცემდა რთულ საბუნებისმეტყველო და სამეურნეო ხასიათის მეცნიერულ ცოდნას. ეს „გამოსადეგი ცოდნა" უნდა დახმარებოდა გლეხობას მატერიალური ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში. მაგრამ ეს საკითხის ერთი მხარეა. საკითხის მეორე მხარე იმაში მდგომარეობს, რომ გ. წერეთელს განათლების გავრცელება მიაჩნდა მომავალი ბრძოლებისათვის ხალხის მოსამზადებელ საშუალებად. „ჩვენი ქვეყანა ისეა აგებული, — ამბობდა იგი, — რომ აქ უბრძოლოთ არა გარიგდება-რა. კაცი მაშინ მოიპოვებს ბედნიერებას, როდესაც ის ებრძვის თავის დამჩაგვრელს ძალას. მარტო ბრძოლა და ღვაწლი დაადგავს კაცს უკვდავების გვირგვინს". მაგრამ ბრძოლა არ გამოდიოდა, რადგან გ. წერეთელის თქმით, დამონებულ და შეუგნებელ ხალხს დაკარგული ჰქონდა თავისუფლებისათვის ბრძოლის სიყვარული, დაკარგული ჰქონდა ის, „რაც მიუცილებელ კუთვნილებად უნდა მიგვაჩნდეს და ამასთან ის (ხალხი) ვერა გრძნობს ვერაფერს... იმისათვის, რომ თავის თავს ვერ სცნობს" [1]. ამრიგად, თავის-

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ. სრ. კრებ., ტ. I, გვ. 124 — 125.

უფლების მოპოვება ბრძოლის გარეშე შეუძლებელია, საკუთარი ინტერესების შეცნობის გარეშე ბრძოლა არ გამოდის, ამიტომ საჭიროა განათლების საშუალებით „თავის თავის შეცნობა", „ბრძოლისათვის მზადება ყოველი ცხოვრების უწესოების წინააღმდეგ". ამიტომ იყო, რომ საზოგადოების გარდაქმნის იმ საშუალებებიდან, რომლებიც „მოუგონებიათ კაცობრიობის გასაბედნიერებლად", გ. წერეთელი თავის დროისათვის განათლებას თვლიდა ყველაზე საფუძვლიანად. „მხოლოდ ის აზრი არის ცხოველი და გამოსადეგი ყოვლის მხრივ, რომელიც ითხოვს ხალხის განათლებას, მხოლოდ ამ აზრის აღსრულება შეიძლება და მხოლოდ ამას შეუძლიან კაცობრიობის გაბედნიერებაც". ამიტომ იყო, რომ მეფის ბიუროკრატიულ დაწესებულებებში სამსახურს გ. წერეთელი მასწავლებლობას და ჟურნალისტობას ამჯობინებდა. ამიტომ დებდა იგი ბრალს ი. ჭავჭავაძეს „ახალგაზრდობის სახელის წახდენაში" „საქართველოს მოამბის" დახურვის გამო. გ. წერეთლის აზრით, გაზეთი არის არა მარტო მეცნიერული ცოდნის გავრცელების საშუალება, არამედ ბრძოლის იარაღიც, რამდენადაც „გაზეთი აერთებს და აკავშირებს მთელს ხალხს". ამიტომ, როცა ხალხის ჩამორჩენილობისა და დაქსაქსულობის გამო ბრძოლა ქუჩებში არ ხერხდება, ხოლო „უბრძოლოთ არა გარიგდება-რა", არსებული წყობილების წინააღმდეგ უნდა ვიბრძოლოთ არა მეფის კანცელარიებიდან, არამედ გაზეთების რედაქციებიდან. ამასთან ზოგიერთ წერილში გ. წერეთელი გულუბრყვილოდ იცავდა იმ აზრს, რომ განათლებას, მეცნიერული ცოდნის გავრცელებას თითქოს შეეძლო საზოგადოებრივი ცხოვრების რადიკალური გარდაქმნა, საყოველთაო კეთილდღეობის დამყარება, რომ ვერავითარი რევოლუცია ვერ გაათანასწორებს ადამიანებს, თუ ისინი განათლებულნი არ არიანო და სხვა. ერთ წერილში იგი წერდა. „მეცნიერების წარმატებისა და გავრცელებისთანავე კაცებს ეცვლებათ აზრი და ზნეობა, ისინი ახლა თავის გარდა სხვაზედაც ჰფიქრობენ. იმათ უნდათ ცხოვრება ისე დააწყონ, რომ თი-

თოეულ კაცს საზოგადოება ეწეოდეს და საზოგადოებას თითოეული კაცი" [1].

რა თქმა უნდა, საზოგადოებრივი წყობილების რადიკალური გარდაქმნა და საყოველთაო კეთილდღეობის დამყარება განათლების საშუალებით იდეალისტური უტოპია იყო. მაგრამ ეს უტოპია 60—70-იანი წლების საქართველოს კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში ობიექტურად ერთგვარ პროგრესულ ელემენტსაც შეიცავდა, რამდენადაც იგი გამოხატავდა მისწრაფებას — მოემზადებინათ ხალხის მასები არსებული წყობილების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ამიტომ, მიუხედავად გ. წერეთლის განმანათლებლურ-რაციონალისტური შეხედულებების თეორიული შეზღუდულობისა, მათი რეალური შინაარსი სავსებით შეესაბამებოდა „მდაბიო ხალხის" ინტერესებს. გ. წერეთელი ცდილობდა გამოეღვიძებინა ხალხის ფართო მასების რევოლუციური ენერგია და წარემართა იგი ბატონყმური ნაშთების აღმოფხვრისაკენ.

მაგრამ ფეოდალურ-ბატონყმური წყობილებისა და მისი ნაშთების რევოლუციური მოსპობითაც ვერ დამყარდებოდა ის საყოველთაო კეთილდღეობა, რომელსაც განმანათლებლები მოელოდნენ. 60-იან წლებში არც რუსეთში და, მით უფრო, არც საქართველოში არ არსებობდა მატერიალური პირობები სოციალიზმის განხორციელებისათვის. გ. წერეთლის განმანათლებლურ-სოციალისტურ შეხედულებათა რეალური (და რევოლუციურ-დემოკრატიული) შინაარსი ის იყო, რომ ბატონყმობის სრული მოსპობის შემდეგ გზა გაეხსნებოდა კაპიტალიზმის თავისუფალ, დაუბრკოლებელ განვითარებას.

„ახალი მოდის, ძველი კვდება და ტანს შორდება", — ასე ახასიათებდა გ. წერეთელი რეფორმის შემდეგდროინდელი საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას. ძველ საზოგადოებრივ ურთიერთობათა რღვევისა და ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების პროცესი პირ-

---

1 გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ერთი თვალის გადავლება კაცის ისტორიულ ცხოვრებაზედ, „დროება", № 18, 1870 წ.

ველ ხანებში ნელა მიმდინარეობდა. რეფორმის შემდეგ მემამულეთა მემკვიდრეობითი პრივილეგიები ერთგვარად შეირყა, მაგრამ თავისუფალ შრომაზე დამყარებული საზოგადოების შექმნა განუხორციელებელ ოცნებად დარჩა, რადგან თვითმპყრობელობამ აუტანელი საბატონო და სახელმწიფო გადასახადებით დატვირთული, უმიწაწყლო გლეხობა არსებითად კვლავ მემამულეებზე მიჯაჭვული დასტოვა. გლეხობის იმგვარი „განთავისუფლების“ საფუძველზე აღმოცენებული ნახევრადთავისუფალი შრომის პირობებში მშრომელის სრული მატერიალური დაინტერესების უქონლობისა და ქვეყნის ტექნიკურ-ეკონომიური ჩამორჩენილობის გამო შრომის ნაყოფიერება ჯერ კიდევ მეტად დაბალი იყო. გ. წერეთელმა ნათლად დაახასიათა რეფორმებით დაკანონებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ეს ძირითადი წყლული. გ. წერეთელი გლეხს ალაპარაკებს: „რაც დრო გადის, უფრო და უფრო დიდდება უბედურება ქვეყანაზე. სულ არა აქვს ბარაქა ჩვენს მუშაობას. ხან წყლები წალეკავს ნამუშევარს და ხან უდროვო ყინვა მოწვამს ყოველიფერს. გადასახადს არ იტყვი: ფოშტის ფული ყოველ წელიწადს მატულობს; რაც მოგვივა, იმის მეოთხედი უწინდელს ბატონს უნდა მივსცეთ; ახლა სხვა და სხვა გადასახადი, ხან შკოლებისთვის გვახდევინებენ, ხან ეკლესიისთვის... ყველა ჩვენი ჯიბის წყალობით გამოდის. ამდენი გადასახადისაგან მუშაობის ხალისი გეკარგება კაცს. რაც უნდა ბევრი იშრომოს ჩვენებურმა კაცმა, მაინც შინ არა მაგრდება-რა. მაინც გახრეკილია ჩვენი ოჯახი და მაინც... ისთევე ის სჯობია კაცმა თავი დაანებოს ყოველფერს, ცოლშვილს, სახლკარს და ისე დადიოდეს; ორიოდე ლუკმა პურს ხელიც რომ არ გაანძრიოს, მაინც ყოველთვის იშოვნის. სწორედ ცუდი დრო დადგა, ცუდი!..“ [1]

როგორც ჩანს, გ. წერეთელი მშვენივრად ხედავდა, რომ რეფორმის შემდეგ „ცუდი დროის“ დადგომის მიზეზი ბატონყმურ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ურთიერთობათა მძლავრი ნაშთები იყო. მთელი მისი იდეურ-ლიტერატურული და პრაქ-

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ხალხის ცხოვრებიდან, დროება, № 15, 1870 წ.

ტიკულ-პოლიტიკური საქმიანობაც ექით იყო მიმართული, რომ საზოგადოებრივ ცხოვრებას, რაც შეიძლება, ჩქარა დაეღწია თავი ბატონყმური ჩამორჩენილობისათვის და ახალი გზით განვითარებულიყო. „რადგან ძველის დროს მობრუნება შეუძლებელია, — ამბობდა გ. წერეთელი, — ბარემაც გამოვეთხოვოთ სამუდამოთ ყველა იმ ჩვეულებას, რაც ძველს დროს შეჰშვენოდა. ვსცნოთ, რომ თავისუფალი შრომა ბევრათ უფრო კეთილშობილურია ხელის გაუნძრეველობაზე: ის გამოსცდის კაცს, ზნეობით აამაღლებს და ცხოვრებასაც გაგვიკეთებს... დრო არის ჩვენმა საზოგადოებამ მიჰყოს ხელი... ყოველს გვარს ხელობას, ვაჭრობას და მეურნეობას“ [1].

გ. წერეთლის აზრით, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ შეიქმნა ერთგვარი პირობები საქართველოს ეკონომიური ცხოვრების გამოცოცხლებისათვის. მართალია, რეფორმის საღუძველზე გაძარცვული და უმიწაწყლოდ დატოვებული გლეხობა „მოჯამაგირეობისაკენ“ ილტვოდა, ე. ი. კვლავ მემამულისა, მევახშისა ან ვაჭრისაგან ეკონომიურ დამოკიდებულებაში ექცეოდა და ეს ხელს უშლიდა სამეურნეო საქმიანობის ფართოდ გაჩაღებას; მაგრამ პირადი, იურიდიული თავისუფლების მქონე გლეხის დამოკიდებულება რამდენიმედ შესუსტდა. თუ ბატონყმობის დროს ბატონი და ყმა „ისე იყვნენ გადაბმულნი... ერთმანეთზე, რომ ყოველი კაცი სხვისი იმედით ცხოვრობდა“, ბატონყმობის გაუქმების შემდეგ „ცხოვრების წესი განახლდა. დიდსა და პატარას უწინდელი იმედი მოაკლდა“. შრომა და საკუთარის თავის იმედით არსებობა იქცა ცხოვრების მოთხოვნილებად. რეფორმის შემდეგ „ჩვენის წარსულის გამყალბებელი მიზეზი მოიკვეთა“, გლეხს მიეცა „დიდი ხნიდან დაკარგული სიმართლე“; შრომა, სწავლა და მოხერხება დაფასდა. ამიტომ თვლიდა გ. წერეთელი „გლეხების პირადათ განთავისუფლებას“ დიდი მნიშვნელობის მოვლენად, ხოლო „განახლებულ ბატონყმობას“ „უფრო ნათელ, ღონიერ და უფრო სამართლიან ცხოვრების წყაროდ“.

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ. სრ. კრებ., ტ. I, გვ. 225

როგორც ვთქვით, მიუხედავად კაპიტალიზმის ერთგვარი განვითარებისა, საქართველოს ეკონომიური ცხოვრება 60-იან წლებშიც მეურნეობის ნატურალური ფორმების დიდი სიჭარბითა და ფეოდალ-სასაქონლო ურთიერთობათა განუვითარებლობით ხასიათდებოდა. ნატურალური გლეხური მეურნეობა ხშირ შემთხვევაში საკუთარ მოთხოვნილებასაც ვერ იკმაყოფილებდა, კაპიტალისტური მეურნეობის დამახასიათებელ დაგროვებაზე და, მაშასადამე, ფულზე ხომ ლაპარაკიც შეუძლებელი იყო. გასაგებია, რომ ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების ძირითად საშუალებად კაპიტალისტური დაგროვება, ფული, უნდა ყოფილიყო.

ფული და ფულისათვის ბრძოლა გ. წერეთელს ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ძირითად დამახასიათებელ ნიშნად მიაჩნდა. „დრო შეიცვალა, უკაპეიკოდ ვეღარავის უცხოვრია", — წერდა იგი, — „ამ სახით მიწაზე დამოკიდებული ბატონყმობა ახლა შეიცვალა ფულზე დამოკიდებულს ბატონყმობათ, სადაც ვაჭრები ხდებიან ნამდვილ ბატონებათ და უწინდელი ბატონყმანი ყველანი ვაჭრების ყურმოჭრილ ყმებათ ჰხდებიან"[1]... მაშასადამე, დაასკვნის გ. წერეთელი, ძველი ნატურალური მეურნეობა ახალ ფეოდალ-სასაქონლო მეურნეობად უნდა გარდაიქმნას, რათა „ყოველგვარის ვაჭრობის, ხელობის და მეურნეობის" განვითარება ისე წარიმართოს, „რომ ბოლოს ფული გაჩნდეს".

გ. წერეთელი ხედავს, რომ ფულზე დამოკიდებული ბატონყმობის პირობებში დაგროვების გარეშე მეურნეობის განვითარება შეუძლებელია. მაგრამ დაგროვებისათვის საჭიროა „ნაწარმოების გამრავლება", ზედმეტი პროდუქტის გაყიდვის შედეგად მიღებული ფულით მეურნეობის ტექნიკური განახლება და გაფართოება.

ასეც არიგებდა გ. წერეთელი ერის მშრომელ უმრავლესობას 1867 წელს, ერთი მუჭა მუქთახორა თავადაზნაურობას კი იგი ერის „სხეულის მომწამვლელ ნაწილად" თვლიდა და ეიმედო მომავალს უწინასწარმეტყველებდა.

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ორიოდე სიტყვა სასოფლო ბანკების თაობაზე, „სასოფლო გაზეთი", № 11, 1871 წ.

რეფორმამ თავადაზნაურობას შეუნარჩუნა ძველი პრივილეგიები. გლეხობა ნახევრადთავისუფალ დამოკიდებულებაში დარჩა. მიუხედავად ამისა, ქართველ თავადაზნაურობას, გ. წერეთლის აზრით, ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობათა არათუ მეთაურობა, არამედ მასში ქმედითი მონაწილეობის მიღებაც არ შეეძლო. ამაზე იგი ჯერ კიდევ 1868 წელს მიუთითებდა. გ. წერეთელი არც ცდებოდა. ქართველი თავადაზნაურობის დეგრადაციის პროცესი უკვე 70-იან წლებში გამოაშკარავდა. ამ დროიდან თავქფილაძეებისა და ბაკურიძეების ავლადიდებას უკვე ეუფლებოდნენ ბახვა ფულავები და პიოტრ ივანიჩ გაწერილიები. ამის მიზეზი, გ. წერეთლის აზრით, თავადაზნაურობის მუქთახორობა, გაუნათლებლობა, შფლანგველობა და მოუხერხებლობაა. როცა „დროთა ვითარებამ ისინი მშრომელი ხალხის კისრიდან გადმოასკუპა, დასვა ცარიელზე და უთხრა, აწ შენი ოფლითა და მკლავით იშრომეო,— გაფუჭებული და ღონეგამოლეული ჩვენი თავადაზნაურობა დარჩა ყოვლად უნუგეშო მდგომარეობაში: შრომა იმას არ შეუძლია, სწავლა და მოხერხება არა აქვს. ამის გამო ის თანდათან ღარიბდება, საშუალება ხელითგან ეცლება და ჰქრება იმის სახსენებელიც“.

ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობათა დასაყრდენს გ. წერეთელი „ძველითგანვე გაჭირებაში და შრომაში გაწაფულ... გონიერ, სამართლიან, მაგრამ უსამართლოებით დაჩაგრულ მუშა ხალხში“, ე. ი., უმთავრესად, გლეხობაში ეძებდა. რის მოპოვებაც „მუშა-ხალხმა“ ბრძოლით ვერ შესძლო, ის შრომით უნდა მოეპოვებინა. გ. წერეთლის აზრით, „ხალხის უმთავრეს ნაწილს“, ე. ი. მშრომელებს, გლეხობას ნახევრადდამოკიდებულ მდგომარეობაშიც შეეძლო დაუღალავი შრომითა და „თვითმოქმედებით“ სათავეში ჩასდგომოდა ახალ ცხოვრებას. გ. წერეთელი მშრომელ ხალხზე წერდა: „ამჟამად მხოლოდ ის შრომობს, ის იგებს, იმას გაუდის თავის ღონისა და გონების ძალა; მომავალიც ამ ჯანით ღონიერს ხალხზე

ტრიალებს და იმდენი ბუნებითი კარგი თვისებაც აქვს, რომ მიუცილებლათ ბურთი და მოედანი ამას დარჩება“ [1].

გ. წერეთელი თავს „ამ ქორფა ხალხის ნამდვილ შვილად და მოთავედ“ თვლიდა და მათი ინტერესების დაცვა „ქვეყნის ბედნიერებისა და მთელი ერის კეთილდღეობისათვის“ ბრძოლად მიაჩნდა, რა თქმა უნდა, იმ „ვარაუდით“, რომ ეს „მშრომელი ხალხი“ მუდამ იშრომებდა და სხვისი შრომის ექსპლოატატორი არ გახდებოდა! ასეთი უტოპიური ვარაუდისათვის 60—70-იან წლებში ერთგვარი საფუძველი არსებობდა. იმ დროს ჩვენში ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობათა კონკრეტული ფორმები და ხასიათი ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო. გლეხობის დიფერენციაციის ძლიერი პროცესი მხოლოდ იწყებოდა. ამასთან „ვაჭრობაში“ „ბურთი და მოედანი“ ხელთ ეპყრათ უცხო წარმოშობის ბურჟუაზიულ ელემენტებს, რაც კიდევ უფრო აღიზიანებდა ცარიზმის ეროვნულ-კოლონიური პოლიტიკით შეურაცხყოფილ „ეროვნულ გრძნობას“, ამიტომ გ. წერეთელი თავიდანვე აუცილებლად თვლიდა ეროვნული „ხელოსნობის, ვაჭრობისა და მეურნეობის“ განვითარებას და მის დაპირისპირებას უცხოური სავაჭრო და სავაჭრო კაპიტალისადმი. პირველ ხანებში იგი ფიქრობდა, რომ ეს განვითარება წვრილი გლეხური მეურნეობის რაციონალიზაციის გზით უნდა მომხდარიყო. რაციონალიზებული გლეხური მეურნეობის ძირითადი ელემენტი (შრომასთან ერთად) მიწა უნდა ყოფილიყო. წინანდელი ყმაგლეხი საკუთარ მიწაზე „რიგიანი შრომით და ცოტ-ცოტა მოგროვით“ დამოუკიდებელ მეურნედ უნდა გადაქცეულიყო. „დედამიწა გვასმევს, გვაჭმევს და გვაცმევს, უიმისოთ კაცის სიცოცხლე შეუძლებელია“. ამიტომ მოითხოვდა გ. წერეთელი, „გლეხი მიწის მეპატრონეთ უნდა გახდესო“. 60-იან წლებში გ. წერეთელი მიწათმოქმედებას თვლიდა ყველაზე ძირითად და ყველაზე ნაყოფიერ საქმიანობად. მაგრამ მიწა და მიწათმოქმედება, „რიგიანი შრომისა და მოგროვის“ შემთხვევაშიც ვერ გაუმჯობესებდა გლეხის მდგო-

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ამ დროის მოძრაობა, „კრებული“, № 3, 1873 წ., გვ. 230 — 231.

შარეობას მისი მეურნეობის ტექნიკურ-ეკონომიური სრულყოფის გარეშე. მეორე მხრივ, მესაკუთრე გლეხიც უნდა დაუფლებოდა „სასარგებლო“ ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერულ ცოდნას.

ასეთი გარდაქმნის შემდეგ მესაკუთრე გლეხი მწარმოებელიც იქნებოდა და გამსაღებელიც. ამიტომ ახალი ტიპის მეურნეობა, გ. წერეთლის აზრით, წარმატებით იბრძოლებდა ჩარჩ-ვაჭრებთან, რომლებიც ძარცვავდნენ გლეხობას. როცა მესაკუთრე გლეხი თვითონვე დაიწყებს „აღებმიცემობას“ და „ყოველგვარ ხელოსნობას“, ამბობდა გ. წერეთელი, — მაშინ მას შეეძლება, „შუამავალ კაცებს ღონე დაუკარგოს, ხელიდამ გამოაცალოს ვაჭრობა“. რაკი „მშრომელების ბატონები“ — ვაჭრები და მევახშენი განდევნილი იქნებიან, მესაკუთრე გლეხი სავაჭრო ურთიერთობას გააჩაღებს ისეთივე მესაკუთრე გლეხებთან, როგორიც თვითონ არის. „მშრომელებისათვის უფრო სასარგებლო იქნებოდა, — ამბობს გ. წერეთელი, — რომ თავთავიანთი საქონელი ერთმანეთში მიეყიდათ, ან გაეცვალათ; ამიტომ რომ უფრო იეფად დაუჯდებოდათ და თავის შრომა ოდნავადაც არ დაეკარგებოდათ“ [1]. როგორც შემდეგ იქნება ნაჩვენები, გ. წერეთელი „საყოველთაო კეთილდღეობის“ ინტერესებისათვის აუცილებლად თვლიდა ახალი ტიპის წვრილ-გლეხურ მეურნეობათა გაერთიანებას საწარმოო და საკრედიტო ამხანაგობათა საშუალებით. ასეთი ამხანაგობანი, რომელთა დაარსების აუცილებლობაზე სავახშო და სავაჭრო კაპიტალის წინააღმდეგ საბრძოლველად გ. წერეთელი ჯერ 1866 წელს მიუთითებდა, აამაღლებდა, მისი აზრით, გლეხური მეურნეობის წარმოების დონეს და მოაწესრიგებდა ურთიერთობას ცალკეულ მესაკუთრე გლეხებს შორის.

ამრიგად, 60-იან წლებში გ. წერეთელი გლეხური მეურნეობის რაციონალიზაციას თვლიდა ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარებისა და გლეხობის კულტურულ-მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების უმთავრეს გზად. განახლებული გლეხური მეურნეობის ძირითადი ელე-

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ. სრ. კრებ., ტ. I, გვ. 226 — 227.

მენტები მიწა, შრომა და კაპიტალი უნდა ყოფილიყო. მიწას შრომასთან ერთად ძირითადი ელემენტის როლი უნდა ეთამაშნა.

ასე ფიქრობდა გ. წერეთელი ჩამორჩენილი გლეხური მეურნეობის გარდაქმნას ახალი ტიპის მეურნეობად და მემამულეზე დამოკიდებული, გაუნათლებელი გლეხის გადაქცევას დამოუკიდებელ, კულტურულ მეურნედ. გ. წერეთელი ვარაუდობდა, რომ მის მიერ დასახული გზა გამოიყვანდა მშრომელ გლეხს ძველი ბატონყმური დამოკიდებულებიდან და ამავე დროს ააცილებდა მას „ახალი ბატონყმობის" — სავაჭრო და სავახშო კაპიტალის გამანადგურებელ გავლენას.

რა თქმა უნდა, გ. წერეთლის გეგმები პრაქტიკაში დაუძლეველ დაბრკოლებებს ხვდებოდა. სრულიად უმიწაწყლო გლეხობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მცირემიწიანი გლეხების შემოსავალიც ხშირ შემთხვევაში ვერ აუდიოდა, ერთი მხრივ, საკუთარი ოჯახის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას, ხოლო, მეორე მხრივ, აუტანელ საიჯარო ქირას. ამას გარდა, წინანდელ მებატონესთან ერთად გლეხს ძარცვავდა ახალი ბატონიც — ვაჭარი, მევახშე, სახელმწიფო. გ. წერეთელი თვითონვე წერდა: „უბედურს გლეხს ყოველთვის ეჭირება ფული: იმან უნდა გამოჰკვებოს სახლობა, გაიღოს სახაზინო ხარჯი, აძლიოს მებატონეს, (მევახშეს, ვაჭარს)" [1]. ასეთ პირობებში მიწის გამოსასყიდი ფულის დაგროვებაზე და დამოუკიდებელი რაციონალური მეურნეობის შექმნაზე გლეხს ოცნება თუ შეეძლო. უამისოდ კი გლეხური მასების მატერიალური მდგომარეობა დღითი დღე უარესდებოდა. სავაჭრო-კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებასთან ერთად წვრილგლეხურ მეურნეობათა განადგურების საფრთხეც იზრდებოდა. გ. წერეთელმა თავიდანვე შენიშნა ეს საფრთხე. იგი წერდა: „ახლა, როდესაც ჩვენი ცხოვრების წესი სულ უკუღმა გადაბრუნდა, შრომას დიდი ფასი დაედვა, ფული გახდა ყველასთვის საჭირო. ეს ვაჭრები სწორეთ ქვეყნის მატ-

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ. სრ. კრებ., ტ. I, გვ. 61.

ლებათ გადაიქცნენ, რომელნიც სარგებლობენ დროითა და ერს ტვინს სწოვენ... უწინ გლეხი ბატონის ყმა იყო და იმას აძ-ლევდა ბეგარას. ახლა კი... სომხის ან ურიის (ე. ი. ვაჭრების. Ძ. გ.) ყმათ გამხდარა და უკანასკნელ თავის პერანგსაც იმათ აძლევს" [1].

ასეთი იყო ქართველი „დროებით-ვალდებული" გლეხის მდგომარეობა. გლეხობის უმრავლესობა ისევ მემამულის მიწაზე ღვრიდა ოფლს, თუმცა გლეხობის ერთი ნაწილი ქა-ლაქისაკენ ილტვოდა და „თავისუფალ შრომაში", უმთავრესად. ვაჭრობაში ცდიდა ბედს. მაგრამ ასეთი „გლეხობის" რიცხვი 60-იან წლებში ჯერ კიდევ მცირე იყო. სავაჭრო „ბურთი და მოედანი" საქართველოში კვლავ უცხო წარმოშობის სავახ-შო და სავაჭრო კაპიტალს რჩებოდა განუყოფლად.

70-იანი წლებიდან საქართველოში უფრო სწრაფად იწყებს განვითარებას სავაჭრო კაპიტალიზმი. სამიმოსვლო გზების გაყვანამ (განსაკუთრებით ფოთი—თბილისის სარკინიგზო ხაზის გახსნამ) ბოლო მოუღო ცალკეული რაიონების ფეოდალურ კარჩაკეტილობას და ერთმანეთთან და რუსეთთან დააკავშირა ისინი. ამას შედეგად მოჰყვა ვაჭრობის გაძლიერება, როგორც რუსეთსა და დასავლეთ ევროპასთან, ისე ქვეყნის შიგნით. ბაზრები ფართოვდებოდა, სავაჭრო ცენტრების რიცხვი იზრ-დებოდა. თბილისი მთელი ამიერკავკასიის მნიშვნელოვან სა-ვაჭრო ცენტრად გადაიქცა.

სარკინიგზო მიმოსვლის დაწყებამ და ამის გამო სავაჭრო კაპიტალიზმის უფრო სწრაფმა განვითარებამ პირველ ხანებში ძლიერ დააფიქრა გ. წერეთელი: მატარებლის სარკმლებიდან მხოლოდ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა კაპიტალისტები („ფრანცუზები ვართო თუ ინგლისელები") იყურებოდნენ. მათ გ. წერეთელი ქართველი ხალხის, გლეხობის მძარცველებად თვლიდა. ჯერ კიდევ რკინიგზის გახსნამდე გ. წერეთელი წი-ნასწარმეტყველებდა: „როცა რკინის გზა გაიმართება და უც-ხო ქვეყნის ფულიანი მოვაჭრეები შემოვლენ ჩვენში... ჩვენს ხალხს თავისი სამკვიდრო სრულიად გაუსხლტება ხელიდან...

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ჩვენი ხალხის მდგომარეობა, „სასოფლო გა-ზეთი", № 15, 1871 წ.

ერს, გარდა თავის ხელებისა, სამკვიდრებელი თავის ცოლ-შვილის სარჩენათ სხვა არა ექნება-რა“, „პროლეტარიატში ჩაცვივდება და შიმშილით მოკვდებაო“.

გ. წერეთელი არ უჯერებდა „ახალი დროის ქადაგთ“, რომელნიც საეკლესიო კაპიტალიზმის განვითარებაში ქართველი ხალხის ბედნიერების წყაროს ხედავდნენ.

კაპიტალიზმს გ. წერეთელი უმთავრესად გლეხური მეურნეობის, წვრილი წარმოების, ხელოსნების, ქირაზე მომუშავე „მდაბალი ხალხის“ „მომაკვდინებელ სენად“ თვლიდა. „ფოთიდგან ქუთაისამდის რკინის გზა გაიხსნა თუ არა — უმტკიცებდა გ. წერეთელი „ახალ მღალადებელთ“, — ჩარვადრობა და საქონლის ქირა გაუქმდა. მდაბალს ხალხს ერთი სარჩენი წყარო კიდევ დაუშრა... გვეგონა, რაც ჩარვადრობის მოსპობით გვეზიანა, ნამუშევრის რიგიანი ფასით შეგვემატებოდა; მაგრამ დახე უბედურებას. საზღვარგარეთიდგან იმდენი სარჩო მოვიდა, ისე იაფად, რომ იმ ფასათ ჩვენი ნამუშევრის გაყიდვას, ღორებს შევაკამოთ, ის გვირჩევნია“ [1].

მეორე წერილში გ. წერეთელი ასეთი მგრძნობიარე სიტყვებით მიმართავდა გლეხობას: „შენ, ჩემო სოფლელო მკითხველო... იქნებ ისევ ისე ძველ ფეოდალიან ასი წლის მუხასავით სდგეხარ უძრავათ კანგამოუცვლელი და ელი, როდის ამოვარდება ის საშინელი ქარი, რომელიც... ძირიანად მოგთხრის, როგორც ძველ ღონე გამოლეულ არსებას, რომ შენი ნაკელით გაანაყოფიეროს ნიადაგი სულ სხვანაირ შთამომავლობისათვის. ვაი ჩვენს მოსწრებას. მართლაც, და, ჩემო მკითხველო, შენ ისევ იმ ქერქში ხარ, რომელშიაც წინათვე მინახავ-ხარ... გესმის რკინის გზის წივილი და არ იცი, რა მოაქვს შენთვის, ავი თუ კარგი... უყურებ ამ საკვირველს მანქანას განცვიფრებით და ჯერ კიდევ ვერ მოგისაზრებია, რომ მაგან... უკანასკნელი სარჩენი ლუკმა ხელიდან გამოგაცალა... (წინათ) ყანებს თუ გოლვა წაგიხდენდა... ხარ-ურემს მაინც

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, საამხანაგო ბანკები, იმათი მნიშვნელობა და დაწყობილება. „კრებული“, № 8 — 9, გვ. 30, 1872 წ.

გაგზავნილი ქირაზე და იმის შემოსავლით თითო-ოროლა კაპეიკი მაინც დაგრჩებოდა თავის გასაკვებად"...[1]

მაგრამ გ. წერეთელი გლეხობას, წვრილმწარმოებლებს, დაქირავებულ „მდაბალ ხალხს" რეაქციული წვრილი ბურჟუას პოზიციებიდან როდი იცავდა. მან მწარედ დაიტირა ქართველი გლეხობის უნუგეშო მდგომარეობა, მაგრამ ჩამორჩენილი წვრილი წარმოების დაღუპვას როდი ნაღვლობდა. მისთვის უცხო იყო წვრილბურჟუაზიული წუწუნი და კაპიტალიზმის ცარიელი ლანძღვა-თრევა. გ. წერეთელი აღიარებდა: „ჩვენ ძალიან ღარიბები ვართ, ადამის წლის მოგონილი იარაღებით ვჩიჩქნით მიწას... და ბოლოს ზეცას შევცქერით. ცუდს ამიდს... ისეთი გავლენა აქვს ჩვენზე, როგორც ბუზზე ნამიანს დღეს. ის უეჭველად ან უნდა მოკვდეს და ან დაძაბუნებული სხვა ცხოველის კერძი უნდა გახდეს". „წაეიდა ხარკამეჩის ალლო, ჩარვადრობას და ნავით ქირის ღებას სიკვდილის დღე დაუდგათ". და ეს იმიტომ, რომ დრო შეიცვალა, ნატურალური მეურნეობა მხარს ვერ უსწორებს ახალ ვითარებას, „ძველი უცბათ იჩაგრება, ახალი სწრაფად წინ მიდის... ამ ჩქარ მსვლელობაში ბედნიერი ის არის, ვინც მალე იცვლის კანს... სცნობს ამ ახალს გარემოებას და თანაზიარი ხდება საზოგადო მოძრაობაში".

გ. წერეთელმა სცნო „ახალი გარემოება", დადგა მის მხარეზე, აღიარა ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობათა პროგრესულობა, რაც შემდეგი სიტყვებით გამოხატა: „ვინ სულელი იქნება შენს ხარკამეჩებზე დაუდოს თავის ქირა და ატაროს ერთი თვე, მაშინ როდესაც რკინის გზის მატარებელი რამდენსამე საათს, ან ორ დღეს ვინც უნდა იყოს, სულ სახლკარიანა და თავის საქონლიანა კავკასიის ერთი კიდიდგან მეორე კიდემდის გადაგიტანს"[2]. ამით აიხსნება, რომ, თუ, ერთი მხრივ, გ. წერეთელი რკინიგზას ქართველი გლეხობის გალა-

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ოქროს მარანი. „სასოფლო გაზეთი", № 12, 1872 წ.

[2] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, საამხანაგო ბანკები... „კრებული", № 8—9, 1872 წ.

ტაკების მიზეზად თვლიდა, მეორე მხრივ, აღფრთოვანებით ამბობდა: „მაშ გაუმარჯოს ცეცხლის ეტლს, გაუმარჯოსო!"

გ. წერეთელი მშრომელთა ხსნის ერთადერთ საშუალებად საქართველოს სამრეწველო განვითარებას თვლიდა. რაკი „ჩარვადრობას სიკვდილის დღე დაუდგა", რაკი „შვიდუღლიანი ქართული გუთანით" მიწის დამუშავება მცირედნაყოფიერია, რაკი ქვეყნის ტექნიკურ-ეკონომიური ჩამორჩენილობის გამო წარმოშობილი სილატაკე, სიმშილი და ავადმყოფობა „ჰკლავს იმერლებს ბუზებსავით", მაშასადამე, საჭიროა საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნა ახალ მოთხოვნილებათა მიხედვით. გ. წერეთელი მიმართავდა გაღატაკებულ ქართველ გლეხობას: „არ ამოწყდები, აბა, რა დაგემართება! მაგას (სიღარიბეს) მწუხარება ვერას უშველის. ჟამი იცვალა, სხვა ჰავა დადგა, ამ დროს გაჩერება არ ვარგა. როგორც დრო მოითხოვს, უნდა ეცადო, იმას შეათვისო შენი ცხოვრება, თორემ უამისოთ შენც ხელი უნდა აიღო სიცოცხლეზე" [1]. -

დრო სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყოველმხრივ განვითარებას მოითხოვდა. გ. წერეთელიც მოუწოდებდა „მდაბალ ხალხს", სათაეში ჩასდგომოდა ქვეყნის ტექნიკურ-ეკონომიური განვითარების საქმეს: დაუფლებოდა „საუკეთესო იარაღებს, ყოველნაირ ხელობას, დიდ მეცნიერებას", შეეცვალა ქართული გუთანი მექანიზებული სასოფლო-სამეურნეო მანქანებით, იმერული ჩიხრიხი—ევროპული ფაბრიკებით.

მაგრამ ქვეყნის ტექნიკურ-ეკონომიური განვითარებისათვის ფული იყო საჭირო. ფულის შოვნის მთავარი წყარო, გ. წერეთლის აზრით, ვაჭრობა უნდა გამხდარიყო.

საკუთარ მიწაზე „რიგიანი შრომითა და მოგროვით" ფულის შოვნის, წარმოების განვითარების და ამ გზით წვრილ მწარმოებელთა დამოუკიდებლობის დაცვა არარეალური გამოდგა, რადგან მემამულეების, „კაპიტალისტებისა" და ცარიზმის მიერ გაძარცვულ გლეხობას არც მიწა ჰქონდა, ვერც ფულს შოულობდა. გაღატაკებული გლეხობა „საშოვრებისა-

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ. სრ. კრებ., ტ. I, გვ. 198.

ქენ“ დაიძრა. ბატონყმობის გაუქმებას და სამიმოსვლო გზების განვითარებას გ. წერეთელი სწორედ იმიტომ თვლიდა პროგრესულ მოვლენად, რომ გლეხმა „თვალი გამოახილა; გურულმა გლეხმა უშვერ ამაყობას თავი დაანება და კურტანი მოიდვა ზურგზე. იმერელმა გლეხმა კუდაბზიკობას... მთვრალობას თავი დაანება და გასწია ქალაქს სავაჭროთ“ [1].

„ქალაქს სავაჭროთ“ წასულ გლეხობას „მათი ნამდვილი შვილი და მოთავე“ — გ. წერეთელიც თან გაჰყვა. იგი ფიქრობდა, რომ 70-იან წლებში მშრომელთა უმთავრესი საქმიანობა ვაჭრობა უნდა ყოფილიყო, რადგან მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა „ახალი ბატონყმობის“ ძირითადი ელემენტის — ფულის შოვნა და მისი საშუალებით სამრეწველო და სასოფლო წარმოების განვითარება. თუ წინათ მიწას ფული უნდა წარმოეშვა, ახლა, გ. წერეთლის აზრით, ფული უნდა გახდეს უმთავრესი ფაქტორი ქვეყნის ყოველმხრივი განვითარების საქმეში. ამიტომ თუ წინათ გ. წერეთელი უმიწაწყლო გლეხის მიწის მესაკუთრედ გადაქცევას მოითხოვდა, ახლა იგი მიწასთან „მტკიცედ დაკავშირებას“ ნაკლად თვლის. რადგან ეს, მისი აზრით, ხელს უშლის გლეხს „ფულის შოვნაში“.

გ. წერეთლის აზრით, ძველი დროიდანვე „მხვნელ-მთესველი“ ქართველი ხალხის განვითარებლობამ სავაჭრო და სამრეწველო საქმიანობაში გამოიწვია უცხოური სავახშო და სავაჭრო კაპიტალის გაბატონება საქართველოში. რაკი აღმოსავლეთ საქართველოს ხალხმა რუსეთთან საქართველოს შეერთებით მოპოვებული მშვიდობიანობის შემდეგ „მიჰყო ხელი... უწინდელს ხვნა-თესვას და ჩაძვრა თავის გომებში“, ხოლო „იმერეთის ხალხი (უგზოობის გამო) გადაკარგული იყო მთას იქით“, — გაღატაკებულ, მაგრამ ვაჭრობაში განვითარებულ, „უცხო ქვეყნიდგან გადმოვარდნილ“ „სომეხსა და სხვა ტომის ხალხს დიდი ჯიბრი არ დასჭირდებოდათ, რომ მოკლე ხანს თითო-ოროლა ქართველი მიკიტანი გამოეგდოთ ტფილისის... (საქართველოს ამ ბურჯის და ალაყაფის კარების) ვაჭ-

---

[1] გ. წ ერ ე თ ე ლ ი, ამ დროის მოძრაობა, „კრებული“, № 13, გვ. 214, 1873 წ.

რობის მოედნიდამ და თვითონ ჩაეგდოთ ხელში მთელი ქვეყნის წარმოება“ [1]. ჩამორჩენილი და განუვითარებელი მიწათმოქმედება გ. წერეთელს მეტად ცუდ იარაღად მიაჩნდა „ამ ახირებულს უფარხმალო ბრძოლაში“. მისი აზრით, საჭირო იყო ვაჭრობის განვითარება და ამ საფუძველზე სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღორძინება. რკინიგზის მნიშვნელობას „საქართველოს ერის საკუთილდღეოდ“ გ. წერეთელი სწორედ იმაში ხედავდა, რომ მან გააძლიერა „სავაჭრო მოძრაობა“, ბოლო მოუღო ფეოდალურ კარჩაკეტილობას, ერთმანეთთან და სხვა ქვეყნებთან დააკავშირა საქართველოს სხვადასხვა რაიონები, აღებმიცემობაში ჩაითრია ქართველი გლეხობა და, ამრიგად, შექმნა წინაპირობები ქვეყნის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების გამოცოცხლებისათვის, და ამ გზით უცხო სავაჭრო და სავახშო კაპიტალთან წარმატებითი ბრძოლისათვის.

„ამ სასტიკსა და დიდებულ ბრძოლაში“ გ. წერეთელი იმედს მშრომელ ხალხზე ამყარებდა. თავადაზნაურობას შრომა არ შეეძლო. ამიტომ მას „ჩვენი ქვეყნის მომავალი ბედნიერების“ მშენებლობაში მეთაურობა უნდა დაეთმო წინათ ფეოდალური ძალადობით გაწამებული „მშრომელი ერისათვის“. 70-იანი წლების საქართველოში ამ „მშრომელ ერს“ შეადგენდნენ უმთავრესად „საშოვარზე“ გასული უმიწაწყლო გლეხები, რომლებიც ქალაქურ თავისუფალ შრომაში — ვაჭრობაში სცდიდნენ ბედს, რაკი მემამულის მიწაზე ნახევრადმონური შრომით სიღატაკიდან ვერ გამოდიოდნენ. ისინი წვრილ ვაჭრებად იქცნენ და, ამრიგად, თავისუფალ სავაჭრო მეტოქეობაში წვალება არჩიეს მემამულესთან უთანასწორო ბრძოლაში დაღუპვას. როგორც ვთქვით, გ. წერეთელი ამ ახალი სოციალური ფენების „ნამდვილ შვილად და მოთავედ“ თვლიდა თავს და განვითარების პროცესში მყოფი კაპიტალიზმის რაობასაც მათი პოზიციებიდან აფასებდა.

ასე გადაიქცა გ. წერეთელი სოფლის წვრილი ბურჟუაზიის, გლეხობის განწყობილებათა გამომხატველიდან ქალაქის

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ამ დროის მოძრაობა, „ქრებული“, № 13, გვ. 222, 1873 წ.

წვრილი ბურჟუაზიის ინტერესების გამომხატველად. მაგრამ გლეხობის ინტერესების დაცვა მას არც ახლა მიუტოვებია. უფულო გლეხის მიწაზე მიმაგრებას და ადამისდროინდელი საწარმოო იარაღებით „მიწის ჩიჩქნას“ გ. წერეთელი საზიანოდ თვლიდა, მაგრამ რაკი გლეხი „ქალაქს სავაჭროდ“ წავიდოდა, ფულს შეიძენდა, დამოუკიდებელი რაციონალური მეურნეობის პატრონიც გახდებოდა. გ. წერეთლის თქმით, გლეხი სწორედ იმიტომ იწყებდა „წვრილმან ვაჭრობას“, რომ „მიწა შეეძინა და უკეთ შეემუშავებინა“. მეორე მხრივ, ქალაქში „ახალ აღორძინებული წვრილი ვაჭრობა-მრეწველობაც“ ფულს საჭიროებდა. ამიტომ ვაჭრობაში ჩაბმა გ. წერეთელს ერთნაირად მისაღებად მიაჩნდა, როგორც სოფლის, ისე ქალაქის წვრილი მწარმოებლებისათვის. ამ საფუძველზე ყოველმხრივ განვითარდებოდა საქართველოს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოება, რაც გამოიწვევდა, ერთი მხრივ, მსხვილი მემამულური მეურნეობის ისედაც შერყეული ძლიერების კიდევ უფრო შერყევას და საბოლოო ანგარიშით, მის მოსპობას, ხოლო, მეორე მხრივ, უცხო კაპიტალის ბატონობის შესუსტებას და, ბოლოს და ბოლოს, მის განდევნას საქართველოდან. ამიტომ ამბობდა გ. წერეთელი 1873 წელს: ვაჭრობის განვითარება და ამის გამო „თავადაზნაურობის დასუსტება, დაქვეითება, და მუშა ხალხის სულის ჩადგმა, იმისი წინ წამოწევა“ „მთელი ერის კეთილდღეობისათვის დიდად საანუგეშო ნიშანი არისო“ [1].

ამრიგად, ჩასახვისა და განვითარების პროცესში მყოფ ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობათა დადებითი მნიშვნელობა, გ. წერეთლის აზრით, იმაში მდგომარეობდა, რომ, „რაკი თავისუფალი შრომა გაბატონდა, განვითარება იწყო ფულმაც“, როგორც ტექნიკურ-ეკონომიური პროგრესის საშუალებამ; ფულის წინაშე ყოველივე ფეოდალურ-რაინდული უპირატესობა მოისპო“ და, მაშასადამე, შეიქმნა პირობები თავადაზნაურული წოდების თანდათანობითი მოსპობისა და ამ საფუძველზე „მშრომელი წოდების“ გაძლიერებისათვის. თავად-

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ამ დროის მოძრაობა, კრებული, № 3, გვ. 231, 1873 წ.

აზნაურობამ, მისი აზრით, დაღუპა საქართველო, ხელში ჩაუგდო იგი ცარიზმს; „მშრომელ წოდებას“ უნდა ეხსნა საქართველო, უნდა გაეთავისუფლებინა ქართველი ხალხი ცარიზმის ეროვნულ-კოლონიური ჩაგვრისაგან.

60 — 70-იან წლებში გ. წერეთელი ვერ ხედავდა და, ნაწილობრივ, არც შეეძლო დაენახა, ახალი სოციალური ფენების დაპირისპირება ერის მშრომელი უმრავლესობისადმი, რადგან იმ დროს ისინი თვითონ წარმოადგენდნენ „მშრომელ ელემენტებს“, რომლებიც უმთავრესად გლეხობიდან გამოდიოდნენ. მაგრამ გ. წერეთელი იმთავითვე კარგად ხედავდა მშრომელთა დაპირისპირებას არა მარტო მუქთახორა თავადაზნაურობის, არამედ უცხოური ბურჟუაზიისადმიც. ამავე დროს მან კარგად იცოდა, რომ ევროპის ქვეყნებში ეს „მშრომელი წოდება“ ფეოდალიზმის განადგურების შემდეგ გადაიქცა გაბატონებულ ბურჟუაზიულ კლასად, „რომელსაც თავისი შეეძინა ფული და ეს ძალმომრეკი იარაღი გაეხადნა თავის უფლების და უპირატესობის ქვაკუთხეღად“. ამიტომ გ. წერეთელი თავიდანვე გრძნობდა „ფულზე დამოკიდებული ბატონყმობის“ პირობებში ერის ერთი ნაწილის გამდიდრების, ხოლო მეორე უდიდესი ნაწილის გაღატაკების საშიშროებას. 1866 წელს იგი წერდა: „ჩვენში კეთდებიან რამდენიმე ფულის მქონებელნი პირნი მრავლის შრომით და მოღვაწეობით; ეს წესი თუ არ შეიცვალა, დიდს ზარალს მისცემს ყველას, ხალხს გააღარიბებს. ახლავე ვხედავთ, რომ ამ სიღარიბის გზაზედ ვდგევართ, და რამდენსამე დროს შემდეგ უეჭველად პროლეტარიატში ჩავცვივით“ [1].

ამ მიზეზით ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობა გ. წერეთლისათვის იდეალი კი არ არის, არამედ გზა — იდეალური წყობილებისაკენ. გ. წერეთელი ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობას პროგრესულად თვლის ფეოდალიზმთან შედარებით, მაგრამ მიუღებლად — საყოველთაო კეთილდღეობის თვალსაზრისით; ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობა, „ახალი დროის მამლის ყივილი საქართველოში“ და მის მიერ წარმო-

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ. სრ. კრებული, ტ. I, გვ. 61.

შობილი ახალი საზოგადოებრივი ძალები პროგრესულნი არიან, რამდენადაც მათ ქვეყანა გამოჰყავთ ფეოდალური ჩამორჩენილობიდან ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების ფართო გზაზე. ამიტომ გ. წერეთელი არაფერს ცუდს არ ხედავს იმაში, რომ ყოფილმა ყმაგლეხმა — გაწერელიამ მუქთახორა ფეოდალს — ბაკურიძეს „ცხოვრების საძირკველი სულ ერთბაშად გამოაცალა და საუკუნოებით მომდინარე დიდებული გვარის ყოფა-ცხოვრება მტვრად აქცია". ეს არის ფეოდალური ჩამორჩენილობის მოსპობა, რითაც „საქართველოს განუახლდა ძველიდგანვე დაკარგული სასოება — ხელმეორედ გამხდარიყო კაცობრიობის განათლების გზათ და ხიდათ". ამ აზრით ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარებას საქართველოში გ. წერეთელი დადებითად თვლიდა „მთელი ქართველი ერისათვის".

მაგრამ სინამდვილეში საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება რეფორმის შემდეგ „მთელი ერის" სასარგებლოდ როდი წარიმართა. გ. წერეთელი ხედავს, რომ ძველი ბატონის ადგილი ახალმა დაიკავა, მაგრამ ერთი მუქა მდიდართა ბატონობა ერის უმრავლესობაზე არ მოსპობილა. ბაკურიძენი და თავქფილაძენი დაიღუპნენ, მაგრამ მათი „მემკვიდრენი" გაწერილიები და ფულავები გაბატონდნენ. ბატონი-ბურჟუა პირველ ხანებში, ბატონ მემამულეზე უფრო გულუხვია: იგი „საყანეს" „სამეხუთედოთ" იძლევა, ტყის მასალას — „ნახევარ ფასად", სკოლას — „უფასოდ", მაშინ როდესაც მემამულე მიწას „სამესამედოთაც" არავის აძლევდა, ტყით სარგებლობის დროს გლეხს პირდაპირ ძარცვავდა, ხოლო განათლებას თავისთვისაც ზედმეტად თვლიდა და გლეხებისთვის, — მით უფრო. მაგრამ ბახვა ფულავას მაგალითზე გ. წერეთელმა ნათლად აჩვენა რომ მემამულედ გადაქცეული ვაჭარი ფეოდალზე უფრო ულმობელი ექსპლოატატორი უნდა გამხდარიყო. ესეც არ იყოს, საყოველთაო კეთილდღეობისათვის მებრძოლი განმანათლებლის აზრით, „ბატონი ყველა გლახაა", რადგან „როდესაც ერთის მხრით მდიდრები არიან და მეორეს მხრით

ღარიბები, ცხოვრების ძიებაში პირველნი ყოველთვის მოგებულნი არიან“ [1].

ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობა „ახალი ბატონყმობაა“. გ. წერეთლის აზრით, ამ „ახალი ბატონყმობის“ ძირითადი ნაკლია მისი ანარქიულობა, პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების შეურიგებლობა, რაც არსებობისათვის გააფთრებულ ბრძოლად იქცევა. „ახალი ბატონყმობის“ დროს „ცხოვრება არის დაუწყნარებელი ბრძოლა“ არსებობისათვის, ლუკმაპურისათვის, ფულისათვის. აქ ადამიანი „თუღა სცოცხლობს, მხოლოდ იმისთვის, რომ ნიადაგ სიკვდილს გრძნობდეს“ [2]. გ. წერეთელი არ უარყოფს რომ ფულისათვის ბრძოლა პროგრესულია იმდენად, რამდენადაც იგი არღვევს ფეოდალურ უმოქმედობას. მაგრამ ფული ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის პირობებში ძალმომრეობის იარაღია გამდიდრებული უმცირესობის ხელში გაღატაკებული უმრავლესობის დასამონებლად. ამასთან გამდიდრებისათვის რეფორმის შემდეგდროინდელ საქართველოში ყველა საშუალება ნებადართულია: ფარული და აშკარა ძარცვა, მკვლელობა და ყოველგვარი სხვა ძალადობა, ღალატი და სიყალბე, ქურდობა და მექრთამეობა. ამიტომ „ქვეყანაზე არც სამართალია, არც ცოდვა და არც მადლი... ოღონდ ძალი მოიპოვე ან ფულისა, ან მთავრობის განმაელობისა და მაშინ, რაც უნდა მოიქმედო, შენს ნამოქმედარს უსამართლობის კვალი არ დააჩნდება. თურმე ცოდვა და მადლი დაჩაგრულებისა, ღარიბებისა და ულონოებისათვის ყოფილა მოგონილი იმ განზრახვით, რომ ისინი ამა სოფლის ძლიერმა, მდიდარმა და გავლენის მექონე კაცებმა კიდევ უფრო ხელში ჩაიგდონ და თავიანთ კეთილმდგომარეობის მსხვერპლად გახადონ“ [3].

ამ სიტყვებით დაიმშვიდა გული უმწეო ადამიანის მკვლელმა დამნაშავემ, როცა იგი გაეცნო „თბილისის დიდკაცობის

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, მიმოული რუსეთისაკენ. „დროება“, № 43, 1869 წ.

[2] ი ქ ვ ე, № 49, 1869 წ.

[3] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, რჩ. ნაწერები, ტ. I, გვ. 365.

ცხოვრებას", სადაც „ზოგს ცოლის მკვლელობა ბრალდებოდა, ზოგს ყალბი ფულების მოჭრა, ზოგს ყალბი ანდერძით აურაცხელი ქონების მითვისება, ზოგს საიდუმლო მკვლელობა, რომლის გამო უბრალო კაცები დაუსჯიათ, თვით მკვლელებს კი საპატიო ადგილი ეჭირათ დღეს საზოგადოებაში". და ყოველივე ეს ხდებოდა ფულისათვის, სიმდიდრისათვის, რომელიც ადამიანთა კეთილდღეობის საშუალებიდან ბურჟუაზიულ საზოგადოებაში უბედურების მიზეზად გადაქცეულა. ფულისათვის ადამიანი მზადაა დამნაშავეს მკვლელობის ჩადენაში დაეხმაროს. ფულის მოგების წყურვილმა „დაჩაგრულების ვექილი" მჩაგვრელად გადააქცია. ფულის მოგების მიზნით კეთილი გამომძიებელიც კარიერისტი გახდა. ფულისათვის სუსტი ძლიერს ფეხქვეშ ეგება; ფულის მოგების გიჟური ლტოლვით შეპყრობილმა ადამიანმა მისი გამზრდელი ბიძაშვილიც აღარ დაინდო; ასე გადააგვარა ადამიანები „ფულზე დამოკიდებულმა ბატონყმობამ". ეს გადაგვარება უფრო მეტად იგრძნობა საზოგადოების „უმაღლეს წოდებაში", სადაც არ არის „არავითარი რწმუნება აღარც სიყვარულზე, აღარც გულახდილ მეგობრობაზე, გარდა პატივის მოყვარეობისა", რომელიც აღმოცენებულია „შეგინებულის წმინდა გრძნობის გულისთვის შურისძიებაზე". ფუქსავატ, უზნეო ატმოსფეროში აღზრდილი და შეურაცხყოფილი ადამიანი ლანძღავდა მშობლიურ ხალხს, მის ენას, მის კულტურას, თუმცა ხალხი, რა თქმა უნდა, არაფერ შუაში იყო. საყოველთაო ზნედაცემულობის გარემოცვაში მყოფ ადამიანს არ სჯეროდა ზნეობრივი სიწმინდის არსებობა და, საზოგადოებაზე გულაყრილი, გულგატეხილი და გაბოროტებული, თვითონაც გარყვნილების მორევში იძირებოდა. ამ აზრს გ. წერეთელი ვალიდასა და გულქანის ცხოვრების გადმოცემით ასაბუთებს. ბურჟუაზიულად გადაგვარებული არისტოკრატიული წრეების აზრით, „ქალია ტკბილეულობა კაცისათვის გაჩენილი", ხოლო „წმინდა ქორწინება სიყვარულის ყვავილს უცბად აჭკნობს და აქრობს". „ცოლქმრობა და ნამდვილი სიყვარული შორიშორს არის ერთმანეთზე. ქალისათვის ქმარი სახელია და ზნეობის ფარი. ამ მდგომარეობაში იგი მითია ბედნიერი,

რომ... მასა აქვს უზრუნველი მატერიალური მდგომარეობა და თვითონ კი, როგორც მას ესიამოვნება, ისე უნდა მორთოს თავისი ცხოვრება" [1]. ასეთი ზნეობრივი გაკვეთილების შემდეგ რაღა გასაკვირია, თუ „ვალიდამ ამოირეცხა გული სიყვარულზე" და ზნეობა „გამოუსადეგარ ნივთივით" გადააგდო. „ტრფიალებაში ის ეძებდა რაიმე ნივთიერს სარგებლობას. მისთვის სულერთი იყო პატიოსანი კაცი, გინდ ავაზაკი, მექრთამე, მრუში, ხაზინის ქურდი და სამართლის დამარღვეველი, მხცოვანი, გინდ ჭაბუკი, ოღონდ იგი მისი ნების მორჩილი ყოფილიყო და, რასაც დაასაქმებდა, აესრულებინა" [2]. ეს სავსებით ბუნებრივი იყო იქ, სადაც პატიოსანი ქალის არსებობა „განათლებულ" კაპიტან-ადიუტანტს ვერასგზით ვერ წარმოედგინა. ხოლო „სოვდაგრის მეუღლე" — ზნედაკარგული, მაგრამ მთავარმართებლებთან დაახლოებული, ქალების ბედს ასე შენატროდა: „ნეტა მისთანა ჩემი ქალი გამოვიდოდეს, ახლანდელ დროში ჩინი და ფულია ყველაფერი... ვინც ამ გზაზე წინ მიდის, მარტო ის არის ყველასაგან მოწონებული და პატივცემული... ახლა ყოფაქცევას ვინღა აქცევს ყურადღებას, საქმე ის არის დიდკაცობაში პატივისცემა დაიმსახურო". „სადღაა ახლა ზნეობა? რის ზნეობა, რა ზნეობა?.. რავაც გინდა, ისე მოიქეცი ოღონდ კაი ცხოვრება გქონდეს და თავი არ დაიგლახავო" [3].

გაბურჟუების გზაზე შემდგარი საზოგადოების მორალური გახრწნის უმთავრეს მიზეზად გ. წერეთელი სიმდიდრისათვის ვააფთრებულ ბრძოლას მიიჩნევდა: „ისეთი დრო დადგა, — ამბობს იგი, — რომ კაცის ღირსება მხოლოდ სახელმწიფო ჯამაგირის (ფულის) ადლით განიზომებოდაო". ასე გადაიქცა ადამიანის პირადი ღირსება საცვლელ ღირებულებად კაპიტალიზმის პირვანდელი დაგროვებისდროინდელ საქართველოში. ასე გადაიქცა „საზოგადოება მგლების ხროვად", ხოლო

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, რჩ. ნაწერები, ტ. I, გვ. 384.
[2] ი ქ ე ე, გვ. 385.
[3] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, რჩ. ნაწ., ტ. II, გვ. 459 — 465.

ქვეყანა ჯოჯოხეთად", „საცა კაცი კაცსა სჭამდა და ვინც მოერეოდა, ცხოვრებაც იმისი იყო" [1].

ასეთ ძალმომრეობას ემყარებოდა რეფორმის შემდეგ-დროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრება. ახალაღორძინებულ ბურჟუაზიულ ფენებში მეტოქეობა თანდათან უფრო მწვავე ხასიათს ღებულობდა, მაგრამ ბრძოლა ბატონობისათვის უმთავრესად მომაკვდავ ფეოდალიზმსა და მზარდ კაპიტალიზმს შორის მიმდინარეობდა. თვითმპყრობელობის მფარველობის ქვეშ მყოფი ფეოდალიზმი უბრძოლველად არ თმობდა ასპარეზს, მაგრამ „შრომითა და მოხერხებით" გამდიდრებული ჩარჩ-ვაჭრები დღითი დღე ავიწროვებდნენ ბრწყინვალე თავადებს. თავქფილაძეებისა და ბაკურიძეების მამულები თანდათან გადადიოდა მათ ხელში, ხოლო ძველი პრივილეგიური წოდების ცალკეული წარმომადგენლები, — ბანკებიც რომ ვეღარ „შველოდათ", — უმწეო ქალების სისხლით სვრიდნენ ოდესღაც ქებულ მამაპაპეულ ხანჯალს. თვითმპყრობელურ-ბიუროკრატიული წყობილება ყოველმხრივ იცავდა ძირმომპალი ფეოდალიზმის ამ გადაგვარებულ რაინდებს.

გ. წერეთელს მსხვილი მემამულური მიწათმფლობელობის არსებობა და ცარიზმის მიერ მისი დაცვა მიაჩნდა ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობათა თავისუფალი განვითარების დამაბრკოლებელ მიზეზად. „უწინდელი ბებატონეების სიმრავლე" და „ათასნაირი ხარჯი და გადასახადები" ხელს უშლიდნენ „აღებმიცემობას". ამიტომ გ. წერეთელი საკვლევით კანონიერად თვლიდა ახალი საზოგადოებრივი ძალების ბრძოლას ფეოდალური წოდების წინააღმდეგ. იგი მხარს უჭერდა ფელავებს და გაწერილიებს, როგორც „მშრომელ" ადამიანებს, რომლებიც ანადგურებდნენ ფეოდალურ საკუთრებას. მაგრამ შეცდომა იქნებოდა გ. წერეთლის გამოცხადება, სავაჭრო-კაპიტალისტურ ურთიერთობათა მეხოტბედ და ჩარჩ-ვაჭრების ინტერესების დამცველად.

გ. წერეთელს მხურვალედ სურდა ბატონყმობის ნაშთების აღმოფხვრა, ე. ი. ფეოდალური წარმოების წესის და მისგან

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, რჩ. ნაწ., ტ. I, გვ. 372.

გამომდინარე ყოველმხრივი ჩამორჩენილობის მოსპობა. იგი ფიქრობდა, რომ ვაჭრობის განვითარებას უნდა მოემზადებინა წინაპირობები საქართველოში სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობისათვის. როგორც ჩანს, „შეუფერავი რეალისტი“ ამ შემთხვევაში სწორად ითვალისწინებდა განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების ისტორიულ გამოცდილებას. მართალია, სადაც ვაჭრობას „უპირატესი ადგილი უკავია, იქ მოძველებული ურთიერთობაა გაბატონებული“, მაგრამ საგაჭრო კაპიტალის „არსებობა და განსაზღვრულ სიმაღლემდე განვითარება შეადგენს ისტორიულ წინამძღვარს კაპიტალისტური წარმოების წესის განვითარებისათვის“... „თავდაპირველად ვაჭრობა წინაპირობა იყო ამქრული და სოფლურ-ოჯახური მრეწველობისა და ფეოდალური მიწათმოქმედების გადასაქცევად კაპიტალისტურ საწარმოდ“[1].. მაშასადამე, გ. წერეთელი არ ცდებოდა, თუ გასული საუკუნის 70-იან წლებში ვაჭრობას თვლიდა ფეოდალური საქართველოს ტექნიკურ-ეკონომიური განვითარების წინაპირობად.

მარქსი ამბობდა, რომ ფეოდალური ჩამორჩენილობიდან გამოსელა ვაჭრობის გზით ორგვარად შეიძლება მოხდეს: „წვრილი მწარმოებელი იქცევა ვაჭრად და კაპიტალისტად“, „ანდა ვაჭარი დაეუფლება უშუალოდ წარმოებას“. პირველს შემთხვევაში საქმე გვაქვს „ნამდვილი რევოლუციის მომხდენ გზასთან“ საზოგადოებრივს განვითარებაში. მაგრამ ასეთი განვითარება გულისხმობს ვაჭრობის დამორჩილებას განვითარებული წარმოებისადმი, მის გადაქცევას „პროდუქტიული კაპიტალის აგენტად“. სწორედ ასეთებს წარმოადგენდნენ თავის დროზე ინგლისელი ვაჭრები, რომლებმაც ინდოეთში რევოლუციური როლი შეასრულეს, რამდენადაც იქ ფეოდალიზმის ეკონომიური საფუძვლების შეცვლა გამოიწვიეს.

„წინაალმდეგ ინგლისის ვაჭრობისა, — ამბობს მარქსი, — რუსეთის ვაჭრობა, პირიქით ხელუხლებელს სტოვებს აზიური

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, I, გვ. 284 — 285, 293.

წარმოების ეკონომიურ საფუძველს“ [1]. ეს იმის გამო ხდებოდა, რომ, რაც უფრო განუვითარებელი იყო წარმოება რუსეთში და მით უფრო, საქართველოში, ფეოდალი ქონება მით უფრო გროვდებოდა ვაჭრების ხელში. ვაჭარი უშუალოდ ეუფლებოდა წარმოებას, მეურნეობას; მაგრამ წარმოების ჩამორჩენილობის პირობებში სავაჭრო კაპიტალის განვითარება საკმარისი არაა იმისათვის, რომ ერთი წარმოების წესის მეორეში გადასვლა გამოიწვიოს. 70-იანი წლების საქართველოში სავაჭრო კაპიტალი ანგრევდა და ანადგურებდა ფეოდალურ საკუთრებას. იგი აიძულებდა საკუთრება-დაკარგულ წვრილ-ბურჟუაზიულ-გლეხურ ფენებს გამოსულიყვნენ ნატურალური მეურნეობის კარჩაკეტილობიდან. ამდენად სავაჭრო კაპიტალიზმის განვითარებას, როგორც კაპიტალისტური წარმოების განვითარების წინაპირობას, პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ იგი კონსერვატიულიც იყო, რამდენადაც მემამულის საკუთრებას დაუფლებული ვაჭარი ფეოდალური წარმოების წესის გადატრიალებას კი არ ახდენდა, არამედ ინახავდა და ინარჩუნებდა მას, როგორც თავისი არსებობის პირობას. ფეოდალური წარმოების წესის შენარჩუნება ნიშნავდა კაპიტალისტური წარმოების წესისა და, მაშასადამე, ქვეყნის ტექნიკურ-ეკონომიური განვითარებისათვის ძირითად დაბრკოლებათა შენარჩუნებას. ამრიგად, პიოტრ ივანიჩ გაწერილია ამზადებდა წინაპირობებს კაპიტალისტური წარმოების განვითარებისათვის, რამდენადაც იგი ძირს უთხრიდა ფეოდალურ საკუთრებას, მაგრამ იგივე გაწერილია აბრკოლებდა ამ განვითარებას, რამდენადაც ფეოდალის საკუთრებას ეუფლებოდა და ფეოდალურ წარმოების წესს ხელუხლებელს ტოვებდა. ამასთან „წარმოების წესში გადატრიალების მოუხდენლად იგი (ვაჭარი) მხოლოდ აუარესებს უშუალო მწარმოებელთა მდგომარეობას, აქცევს მათ დაქირავებულ მუშებად და პროლეტარებად უფრო ცუდ პირობებში, ვიდრე უშუალოდ კაპიტალისადმი დაქვემდებარებული მუშები არიან, და მათ ზედ-

---

1 კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, I, გვ. 291.

მეტ ღირებულებას მიითვისებს ძველი წარმოების წესის საფუძველზე"[1].

ჩვენ ვნახეთ, რომ გ. წერეთელი ვაჭრების გაძლიერებაში გლეხების „პროლეტარიატში ჩაცვენის" საფრთხეს ხედავდა. „ეს სენი მთელს ხალხშია გავრცელებულიო", — ამბობდა იგი. სხვა ადგილას გ. წერეთელი სავაჭრო-კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებას ასე ახასიათებდა: „თითქოს უფრო შშვიდობიანობაა... მაგრამ ძლიერი კაცი ახლა უფრო სჩაგრავს საწყალ კაცს, ვინამც უწინ. ყველას გვგონია, მყუდროებაა, მაგრამ ამ მყუდროებაში ღარიბი კაცი თან და თან იჩაგრება და წყალს მიაქვს! იღუპება, მაგრამ წყნარად, გაუგებრათ"... ამის გამო „ძალაუნებურათ შიმშილით უნდა გავწყდეთო"[2].

ცხადია, გლეხობის გალატაკებისა და შიმშილით გაწყვეტის მიზეზი ამ შემთხვევაში სავაჭრო და სავახშო კაპიტალის მძარცველური ხასიათი იყო. ოდესღაც ბატონისაგან დევნილმა, მაგრამ დროთა ვითარებაში საკუთარი შრომითა და მოხერხებით „კარგად ჩასუქებულ-ჩამრგვალებულმა" პიოტრ ივანიჩ გაწერილიამ, რაკი „ღორის ძაგარიეით მსხვილი და სქელი თმა" „ინგლისური შლაპით" დაიფარა, — ძველი მებატონე „გადააყენა", მაგრამ, როგორც მისი „მემკვიდრე", კვლავ ძველი წარმოების წესის საფუძველზე „ახლებურად" განაგრძობდა გლეხობის ექსპლოატაციას. ბახვა ფულავაც, ოდესღაც „თაკშიშველი და ფეხშიშველი" გლეხის ბიჭი, რაკი დროთა ვითარებამ „ერთი თავადისეულის" პატრონი გახადა, მშრომელი და მოხერხებული ადამიანიდან გადაიქცა „თმაგაშლილ, ულვაშებაბუძგულ, დიდ-მუცელა და თვალებ-გადმობლანცულ" „ლოთ-ჩარჩად" — უსინდისო ექსპლოატატორად, რომელიც „კანონიერად სთვლიდა, ყოველი მისი მოვალე თავის ლუკმათ გაეხადნა... ტყავი გაეძრო" და „თუ კი ვინმე ჩაუვარდებოდა ხელში, განკითხვა აღარ იყო". ასეთი დახასიათებიდან ბუნებრივად გამომდინარეობს, რომ გ. წერეთელი გმობდა ვაჭრებს, როგორც „ღარიბი კაცის" მჩაგვრელებს და ექსპლოა-

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, I, გვ. 292.

[2] გ. წერეთელი, ზემოთის სამართალი, „დროება", № 42, 1873 წ.

ტატორებს, რომლებიც იმის მაგივრად, რომ „ხელი შეეწყოთ“ საქართველოში სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებისათვის, „სწორედ ქვეყნის მატლებად გადაიქცნენ... და ერს ტვინს სწოვენ“ [1].

გ. წერეთლის ვარაუდით, რეფორმის შემდეგ გლეხობის ჩაბმას ვაჭრობაში უნდა გამოეწვია ბატონყმობის ნაშთების აღმოფხვრა, ფეოდალური წარმოების წესის დაშლა, სამრეწველო, და სასოფლო-სამეურნეო „სახალხო წარმოების“ ყოველმხრივი განვითარება და ამ საფუძველზე ისეთი საზოგადოებრივი წყობილების შექმნა, რომელიც სხვისი შრომის ექსპლოატაციაზე არ იქნებოდა დამყარებული, ე. ი. უზრუნველყოფდა „მთელი ერის კეთილდღეობას“. მაგრამ გ. წერეთლის უტოპიური ვარაუდი არ გამართლდა და არც შეიძლებოდა გამართლებულიყო: „მთელი გლეხობის“, „მთელი ერის“ მაგივრად მხოლოდ რამდენიმე „მშრომელი და მოხერხებული“ ელემენტი გაძლიერდა და „მთელ გლეხობაზე“ გაბატონდა. „რეფორმამ... მიგვიყვანა მხოლოდ იქამდე,—წერდა ლენინი,—რომ „პატრიარქალური ზარმაციდან“ მივიღეთ შედარებით ენერგიული, მოძრავი, ცივილიზაციის ელფერით შემოსილი მტაცებელი. მიგვიყვანა მხოლოდ მტაცებლობის ფორმის შეცვლამდე, ისევე, როგორც სათანადო დიდმა რეფორმებმა დასავლეთ ევროპაში“ [2].

რა თქმა უნდა, ვაჭრობის როლისა და მნიშვნელობის მარქსისტულ-ლენინური ახსნა გ. წერეთლისაგან. თუ მეტი არა, შეუძლებლის მოთხოვნა იქნებოდა. ცხადია, გ. წერეთელმა ვერ შეიცნო, მეცნიერულად ვერ ახსნა სავაჭრო-კაპიტალისტურ ურთიერთობათა ნამდვილი ბუნება. იგი ფიქრობდა, რომ, თუ ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობანი, ახალი საზოგადოებრივი ძალები თავისუფლად, დაუბრკოლებ-

---

[1] რაც შეეხება, ვაჭარ ნიკოლაი ნიკიფოროვიჩს, მისი დასახვა გ. წერეთლის იდეალად გაუგებრობაზეა აღმოცენებული. გ. წერეთელი თავისი ხალხის დიდი პატრიოტი იყო და მას არ შეეძლო იდეალად გაეხადნა საქართველოს დამპყრობი, როგორიც არ უნდა ყოფილიყო ეს უკანასკნელი. (იხ. გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, რჩ. ნაწ., ტ. II, გვ. 524 — 526).

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 1, გვ. 448.

ლად განვითარდებოდნენ, ე. ი. თუ მათ წინააღმდეგობას არ გაუწევდნენ მუქთახორა, გადაგვარებული თავადაზნაურნი, — მაშინ ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობა დაკარგავდა ექსპლოატატორულ ხასიათს და ტექნიკურ-ეკონომიურად განვითარებული მეურნეობის მფლობელი-მესაკუთრენი, ამხანაგობაში გაერთიანებულნი, უზრუნველყოფდნენ საყოველთაო კეთილდღეობის დამყარებას. ეს გულუბრყვილო, უტოპიური შეხედულებაა, რომელიც წვრილბურჟუაზიული საკუთრების სრულ გაუგებრობაზეა აღმოცენებული. მაგრამ, მიუხედავად ამ უტოპიურობისა, „შეუფერავი რეალისტი" შესანიშნავად გრძნობდა და ხედავდა თავისი დროის სინამდვილეს. ამიტომ არაფერი გასაკვირი არ არის იმაში, რომ განმანათლებელმა, რომელსაც გულწრფელად სწამდა და სწადდა ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების საფუძველზე საყოველთაო კეთილდღეობის დამყარება, ჯერ საჯაროდ დასაჯა და მერე გადაასახლა ექსპლოატატორი ბახვა ფულავა, ხოლო მისი ტყუპის ცალი — გაწერილია მოთმინება-დაკარგულ „გლეხს" ააკუწინა[1].

ეს იმას ნიშნავს, რომ გ. წერეთელი უარყოფდა ბატონყმობის გაუქმების შემდეგ განვითარებულ სავაჭრო-კაპიტალისტურ ურთიერთობას, რამდენადაც მისი არსებობის ძირითად პირობას ხალხის ფართო მასების ექსპლოატაცია და ჩაგვრა წარმოადგენდა.

მაგრამ როგორი იყო გ. წერეთლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეალები? როგორი უნდა ყოფილიყო, მისი შეხედულებით, „გონივრული" საზოგადოების ეკონომიური და პოლიტიკური საფუძვლები?

მოკლედ თუ ვიტყვით, გ. წერეთელი „გონივრულად" თვლიდა ისეთ საზოგადოებრივ წყობილებას, რომელიც ყველა მშრომელ ადამიანს დააკმაყოფილებდა. ასეთი წყობილების ეკონომიური საფუძველი კოლექტიური შრომა და კერძო

---

[1] თუმცა გ. წერეთელი უსამართლობად თვლიდა, რომ ფულავას ცარიზმი ასახლებდა, ხოლო გაწერილია ძველი ფეოდალის მარჯვენა ხელმა — მამასახლისმა მოჰკლა.

საკუთრება უნდა ყოფილიყო, ხოლო პოლიტიკური საფუძველი — არჩევითი ხელისუფლება.

„ახალი ახალგაზრდობის“ ჯგუფის ეკონომიურ პროგრამას რომ ახასიათებდა, გ. წერეთელი წერდა: „პოლიტიკო-ეკონომიურ შეხედულებაში ის („ახალი ახალგაზრდობის“ ჯგუფი, მაშასადამე, გ. წერეთელიც. მ. გ.) ემხრობოდა პოლიტიკო-ეკონომისტის მილლის თეორიას, მაგრამ ცხოვრებაში ეს პროგრესულ-დემოკრატიული დასი ბურჟუაზიასა და მუშა ხალხს შორის გამწვავებული ბრძოლის დროს უფრო იმ თეორიას ადგა, რომ სახელმწიფო კანონმდებლობითი ძალა უნდა შეერიოს ამ ბრძოლაში მუშათა კლასის სასარგებლოთ, რომ მან ალაგმოს ძალმომრეობა ბურჟუაზიისაო“ [1].

ამრიგად, გ. წერეთელი ემხრობა ჯ. სტ. მილის ეკონომიურ თეორიას, მაკრამ დგას უფრო იმ თეორიის „თვალსაზრისზე“, რომელიც მოითხოვს სახელმწიფო ხელისუფლების მეშვეობით „ბურჟუაზიის ძალმომრეობის ალაგმვას მუშათა კლასის სასარგებლოდ“. ამავე თეორიას ემხრობოდა დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატი — ჩერნიშევსკი, რომელმაც „გვაჩვენა ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის გაკოტრება“ (მარქსი) და ამავე დროს წამოაყენა იდეა რევოლუციური „საზოგადოებრივი ხელისუფლების“ ჩარევის გზით მშრომელთა ინტერესების დაცვისა.

ჩვენ ვცადეთ გვეჩვენებინა, რომ გ. წერეთლის შეხედულებებს საგლეხო რეფორმის საკითხში ნათლად ატყვია ჩერნიშევსკის შეხედულებათა გავლენა. იგივე უნდა ითქვას, გ. წერეთლის შეხედულებაზე სასურველი საზოგადოების ეკონომიური და პოლიტიკური საფუძვლების შესახებ.

გ. წერეთლის შეხედულებათა ცენტრალური პუნქტი მთელი ერის კეთილდღეობის იდეაა. ამ იდეას გ. წერეთელი მუდმივად უკავშირებს პირადი კეთილდღეობის ინტერესს. საზოგადოებრივი კეთილდღეობა, მისი აზრით, პიროვნებათა კეთილდღეობის ჯამია. „როდესაც... ყოველი კაცი წარმატებაშია,

---

[1] ბ. წ ე რ ე თ ე ლ ი, კიტა აბაშიძე და ჩვენი ახალგაზრდობა, „ქვალი“, № 46, 1897 წ.

მაშინ მთელი ხალხიც უფრო მდიდარია, მიტომ რომ საზოგადო საჭიროებისათვის ყოველი კაცი უფრო ბევრს ფულს გამოიღებს" [1]. მაგრამ ყოველგვარი პირადი ინტერესები როდი შეადგენს საზოგადოებრივ. კეთილდღეობას. „ვინც არ მუშაობს, ის საზოგადოებას არაფერს აძლევს... უსაქმური კაცი იმისთანაეე იარას დაჰბადებს ხალხის ცხოვრებაში, როგორც ტანში საწამლავი". ასეთ „საწამლავად" თვლის გ. წერეთელი თავადაზნაურობას, რომელიც სხვისი შრომით „ირჩენს თავს". ამრიგად, ერის საზოგადოებრივი კეთილდღეობის საფუძველს გ. წერეთელი კერძო ინტერესებში ხედავს, მაგრამ არა მუქთახორათა, არამედ მშრომელთა კერძო ინტერესებში. „ფრანციაში და ანგლიაში, — ამბობს გ. წერეთელი, — თუმცა ბევრი სიმდიდრეა, ბევრი ფაბრიკები, ქარხნები და სხვა, მაგრამ მდიდარ ქვეყნებად მაინც არ ჩაირიცხებიან, რადგან მდაბიო ხალხი არ არის შეძლებული"... „ყოველი სახელმწიფოს ძალა მდაბიო ხალხია", მშრომელებია, რომელთა პირადი კეთილდღეობა ქმნის ერის საზოგადოებრივს კეთილდღეობას, რადგან ისინი ყოველთვის ერის უმრავლესობას შეადგენენ. ცალკეულ მშრომელთა კერძო ინტერესები საზოგადოების საერთო ინტერესის ნაწილია. ამიტომ, თუ გაბატონებული უმცირესობის ინტერესები ეწინააღმდეგება საზოგადოების საერთო ინტერესს, მშრომელი უმრავლესობის ინტერესები, პირიქით, სრულს თანხმობაშია საზოგადოების ყველა მშრომელის საერთო ინტერესებთან: „თუ მამულისადმი... სამსახური ყოვლის საზოგადოების წევრის ჭეშმარიტ მოვალეობათ გახდებოდა", მაშინ საზოგადოება განვითარდებოდა პრინციპით: „ყოველი გვამი საზოგადოების შესაწევნელად უნდა ცხოვრობდეს და საზოგადოება თითოეულის გვამის საკეთილდღეოთ" [2]. ამ პრინციპზე უნდა ყოფილიყო დაფუძნებული „მშრომელთა საზოგადოება". რარიგ უტოპიურიც არ უნდა იყოს გ. წერეთლის შეხედულება სასურველი საზოგადოებრივი წყობილების საკითხში, მისი განხილვა ნათელს გახდის, რომ 60—70-იან წლებ-

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ. სრ. კრებ., ტ. I, გვ. 103.

[2] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, რამდენიმე სიტყვა მდაბიო ხალხის აღზრდაზე და განათლებაზე, „დროება", № 32, 1869 წ.

ში იგი ერის მშრომელი უმრავლესობის ინტერესების გამომხატველად გამოდიოდა.

საზოგადოების ძლიერების საფუძველი, გ. წერეთლის აზრით, სიმდიდრეა. სიმდიდრე შრომის საგნობრივი ფორმაა, სახმარი საგნებია, უწინარეს ყოვლისა. სიმდიდრეს „არც ოქრო შეადგენს და არც თეთრი, არამედ ნივთები (სანთელი, სახლი, შეშა, პური და სხვა). ფული მხოლოდ ამ ნივთების გაცვლა-გამოცვლის გამაადვილებელია. როგორათაც თეთრითა და ქაღალდის ფულით ვყიდულობთ ჩვენ ნივთებსა, ისე შეგვიძლიან რომ ეს ნივთები იმავე ნიშნებითაც ვიყიდოთ, რომელნიც გვაჩვენებენ შრომის რაოდენობას საათობით" [1].

სიმდიდრე შრომით მოიპოვება. „შრომა არის ყოველი ხალხის გამამდიდრებელი და მხოლოდ იმ ხალხის ცხოვრება არის უკეთესი და დიდებული, სადაც ყოველი კაცი მხოლოდ თავის შრომით და მოგებით ცხოვრობს" [2]. ამ თვალსაზრისით გ. წერეთელი არადამაკმაყოფილებლად თვლის ყველა დროისა და ხალხის საზოგადოებრივ წყობილებას, კაპიტალიზმის გამოუკლებლად, რომლებიც სხვისი შრომის ექსპლოატაციაზე იყო დამყარებული. „არცერთ... სახელმწიფოში შრომა არ ფასობდა, — ამბობს იგი, — ვინც შეძლებული იყო, იმას შრომა საზიზღრად მიაჩნდა... მუშა ხალხს კი ამ უსაქმო ბატონის რჩენილი წელი ჰქონდა მოწყვეტილი".

რაკი ძველი (კაპიტალიზმის წინადროინდელი) საზოგადოებანი მშრომელებად და არამშრომელებად, „პატრონებად და მონებად" იყოფოდნენ, — ამბობს გ. წერეთელი, — „სიმდიდრე და უფლებაც უსწორმასწოროდ იყო განაწილებული: ყველა სიმდიდრე და უფლება მარტო უმაღლესი წოდების კაცების ხელში იყო". ფეოდალიზმის ეპოქაში გაბატონებულ წოდებას უფლება „ბოროტად უხმარია" და ამის გამო „უბრალო ხალხი ძლიერ შეწუხებული ყოფილა... ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადასახლების ნება არ ჰქონია, თითქმის თავისე-

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ერთი თვალის გადაველება კაცის ისტორიულს ცხოვრებაზე, „დროება" № 22, 1870 წ.

[2] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, შრომის მოყვარეობა დიდი ძალაა, „სასოფლო გაზეთი", № I, 1871 წ.

ბურს ტანისამოსსაც ვერ ჩაიცვამდა, არ შეეძლო, რომ მართებლობისა და ბატონების უნებურად ცოლი შეერთო, ან მოელხინა“ [1]. კაპიტალიზმის დროს პიროვნება განთავისუფლდა, კაპიტალიზმი „დამჯდარი დემოკრატია არის“, რადგან აქ აღარ არის „ეკლესია, აზნაურობა, სანიადაგო მხედრობა და ადმინისტრაციული უმცროს-უფროსობა“. კაპიტალიზმმა დიდი ნაბიჯი გადადგა წინ ფეოდალიზმთან შედარებით, რამდენადაც მან მოსპო ფეოდალური „უმცროს-უფროსობა“ და კანონის წინაშე ყველას თანასწორობა დაადგინა. მაგრამ გ. წერეთლის აზრით, ეს ჯერ კიდევ არ არის „ნამდვილი ზნეობითი და სოციალური თანასწორობა“: „დამჯდარი დემოკრატიის“ ეპოქაში საზოგადოების ყველა წევრს აქვს უფლება — გამდიდრდეს, განათლდეს და „მემამულე“ გახდეს, „მაგრამ ჩვენ ვხედავთ, — ამბობს გ. წერეთელი, — რომ ნამდვილ ცხოვრებაში ბევრი ვერ სარგებლობს ამ უფლებით“ [2]... და, საბოლოო აბაგარიშით, უმცირესობა მდიდრდება, უმრავლესობა ღარიბდება, პირველი ფლობს ყოველგვარ სიმდიდრეს, მათ შორის, წარმოების ძირითად საშუალებებს — მიწას, ფულს (კაპიტალს), მეორე — მხოლოდ შრომას. ასე მოხდა, მაგალითად, საფრანგეთში, სადაც „მთელი სახელმწიფო უფლება... მდიდარ მოქალაქობას, ვაჭრულ წოდებას“ ჩაუვარდა ხელში. ამ სახით, საზოგადოება კაპიტალიზმის დროსაც კვლავ ნაწილდება მშრომელებად და არა მშრომელებად, დაჩაგრულ უმრავლესობად და გაბატონებულ უმცირესობად. ამიტომ კაპიტალისტური წყობილების პირობებშიც ვერ ხორციელდება პრინციპი: „თითოეულ კაცს საზოგადოება ეწეოდეს. და საზოგადოებას თითოეული კაცი“. ფეოდალიზმთან შედარებით კაპიტალიზმმა დიდი ნაბიჯი გადადგა წინ ყოველმხრივ და, განსაკუთრებით, ტექნიკურ-ეკონომიურად. „ცეცხლის გემებისა და რკინის გზების გამოგონებამ ძალიან გააადვილა მისვლა-მოსვლა, შეგვეწია სიმდიდრისა და აზრების გაცვლა-გამოცვლაში, მაშასადამე, მეცნიერების გავრცელებაშიაც“. „ეხლანდელ დროში არა თუ მდიდრები,

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ერთი თვალის გადაკლება..., „დროება“, № 17, 1870 წ.

[2] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, გორას მანი, „დროება“, № 19, 1870 წ.

ღარიბებიც უკეთ ცხოვრობენ, ვინემ ათასი წლის წინათ“ [1]. მაგრამ ვ. წერეთელი მიუღებლად თვლის საზოგადოების დაყოფას მდიდრებად და ღარიბებად, რადგან, სადაც მდიდარია, იქ ღარიბი ყოველთვის მისი მონა ხდება. ეს კი „ადამიანის ბუნებას“ ეწინააღმდეგება. ამიტომ უარყოფს იგი თავისი დროის ევროპისა და ამერიკის კაპიტალისტურ საზოგადოებრივ წყობილებას, სადაც დიდი უმრავლესობის გაღატაკების ხარჯზე უმნიშვნელო უმცირესობა მდიდრდება.

მაგრამ ხომ არ არის მშრომელთა სიღატაკის მიზეზი ხალხის გამრავლება? სულაც არა! მალთუსის თეორიას, რომელიც როგორც ცნობილია, მშრომელთა მასობრივ გაღატაკებას კაპიტალიზმის დროს მოსახლეობის გამრავლებით ხსნიდა, ვ. წერეთელი გადაჭრით უკუაგდებს: „ხალხი ახლა უწინდელზე უფრო მრავლდება, (მაგრამ) კიდევ უფრო მატულობს ცხოვრების საშუალებაო“ [2]...

ვ. წერეთლის აზრით, კაპიტალიზმის დროს მშრომელთა მასობრივი გაღატაკების მიზეზი მოსახლეობის გამრავლება კი არ არის, არამედ ის, რომ საზოგადოების ტექნიკურ-ეკონომიური პროგრესი მიემართება მშრომელთა უმრავლესობის საკუთრების არმქონე ნაწილის ინტერესების საწინააღმდეგოდ. „დასავლეთ ევროპაში და ამერიკაში“... „მუშა ხალხი“ ღატაკდება „იმისათვის, რომ იქ გლეხებს არა აქვთ მამულები“, ე. ი. არა აქვთ წარმოების საშუალებანი. მშრომელი ხალხის გაღატაკებას იწვევს წარმოების მუშაკსა და წარმოების საშუალებებს შორის არსებული გათიშვა. წარმოების სამი ძირითადი ელემენტიდან მიწა და კაპიტალი (ფული) ეკუთვნის არამშრომელებს, მშრომელთა მფლობელობაში კი „საკუთარი ხელებილა“ რჩება. ასეთ პირობებში მშრომელი იძულებული ხდება დაქირავებულ მუშად, პროლეტარად იქცეს. მუშის „ოფლით შეძენილი, ყოველი იმისგან ნაშრომი სხვებს (კაპიტალისტებს. მ. გ.) მიაქვთ, — ამბობს ვ. წერეთელი, — ამის გამო უფრო

---

[1] ვ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ერთი თვალის გადაველება..., „დროება“, № 22, 1870 წ.

[2] ი ქ ვ ე.

გაძლიერდა ევროპაში პროლეტარიატი, ანუ უკიდურესი სიღარიბე" [1]... გ. წერეთელი ფიქრობს, რომ ეს „უკიდურესი სიღარიბე" არ გაჩნდება და საზოგადოების ტექნიკურ-ეკონომიური პროგრესიც „მთელი ერის", ე. ი. მშრომელი უმრავლესობის სასარგებლოდ წარიმართება, თუ ბოლო მოეღება წარმოების საშუალებებსა და წარმოების მუშაკს შორის არსებულ გათიშვას გონივრული „საზოგადოებრივი წყობილების დაარსების გზით"... ვინ იცის. — ამბობს გ. წერეთელი, — რამდენ საშუალებებს მოვიპოვებთ შემდგომში, როცა ჩვენ წვიმის კანონებს გამოვიკვლევთ და როცა დარისა და ავდრის წინასწარმეტყველება შეგვეძლება... მაშინ კაცს. რასაკვირველია, უკეთესი ცხოვრება ექნება, თუ კი საზოგადოებას უფრო გონივრული" [2]... (ამოღებულია ცენზორის მიერ. მ. გ.) დაწყობილება მიეცემაო. გ. წერეთლის აზრით. „უფრო გონივრული საზოგადოებრივი დაწყობილება" იქნება. თუ მშრომელი არა მარტო მიწის. არამედ კაპიტალის (ფულის) მესაკუთრეც თვითონვე გახდება. აქამდე არსებულ ყველა საზოგადოებაში წარმოების ძირითადი ელემენტები გათიშული იყო: მიწა მემამულეს ეკუთვნოდა, კაპიტალი — ბურჟუებს, შრომა — მშრომელებს. იდეალურ წყობილებას მათთან შედარებით ის უპირატესობა ექნება, რომ წარმოების სამივე ძირითადი ელემენტი — მიწა, შრომა და კაპიტალი ერთ პირში შეერთდება. ასეთი შეერთება შესაძლებელს გახდის წარმოების ტექნიკურ-ეკონომიურს განვითარებას, აამაღლებს მშრომელის მატერიალურ დაინტერესებას და, მაშასადამე, შრომის ნაყოფიერებას. ამასთან იგი ხელს შეუშლის საზოგადოების დანაწილებას მდიდრებად და ღარიბებად, მოსპობს გაღატაკების მიზეზს.

იდეალური წყობილების ქვაკუთხედს შრომა შეადგენს. „ქვეყანა მხოლოდ მაშინ გამდიდრდება. — ამბობს გ. წერეთელი, — როცა ყოველი კაცი საქმობს, მუშაობს". შრომა ორგვარია: სასარგებლო და უსარგებლო. ამის მიხედვით

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ. სრ. კრებ., ტ. I, გვ. 61.

[2] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ერთი თვალის გადაელება..., „დროება", № 22, 1870 წ.

შრომით შექმნილი „ნივთებიც“ ორ ჯგუფად იყოფა: სასარგებლო ნივთებია — „პური, ტანისამოსი, სწავლება და სხვა“; უსარგებლო ნივთებია — ალმასი, მარგალიტი, „უხეიროდ“ დაწერილი წიგნები, ვაჭრის მონაგები და სხვა. „მხოლოდ ზოგიერთებისათვის“, ე. ი. მდიდრებისათვის გამოსადეგი, უსარგებლო, ფუფუნების საგნების დამზადებას გ. წერეთელი მავნებლად თვლის „მაშინ, როდესაც მრავალს სასმელ-ხაჭმელი აკლია“ [1].

ამრიგად, იდეალური წყობილების ქვაკუთხედი შრომაა, მაგრამ არა ყოველგვარი, არამედ მხოლოდ საზოგადოებრივად (ე. ი. მშრომელი უმრავლესობისათვის) სასარგებლო შრომა. საზოგადოებაში „ყველა ნამდვილად სასარგებლო შრომაში უნდა იყოს გართული. — ამბობს გ. წერეთელი. — და თუ კაცი სრულიად უსარგებლო საქმეზედ სდგას... მაშინ ეს საქმე ქვეყნის დანაკლისი იქნება, ამიტომ რომ მუშა თავის შრომის დროს ნამდვილად სასარგებლო ნივთების ხარჯვას მოითხოვს“ [2].

გ. წერეთლის იდეალური საზოგადოების ყველა წევრი მწარმოებელი და მესაკუთრეა. მასში დაქირავებული მუშები არ არიან. ამიტომ აქ კაპიტალი სხვისი შრომის ექსპლოატაციის შედეგი და სხვა ადამიანთა დამონების იარაღი კი არ არის, არამედ ადამიანის შრომის განსაზღვრული რაოდენობის ფულადი ფორმაა, რომელიც ხმარდება შრომის ნაყოფიერების ამაღლების საქმეს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყოველმხრივი განვითარებისა და ვაუმჯობესების გზით. გ. წერეთლის აზრით, საზოგადოება არასოდეს არ დაიყოფა მდიდრებად და ღარიბებად, მჩაგვრელებად და ჩაგრულებად, თუ „ცხოვრების უმთავრესი პრინციპი“ იქნება: „შრომა საკუთარი თავის სარჩენად“, და არსებობისათვის გაჟეთრებული ბრძოლის ადგილს „შეჯიბრება“ დაიკავებს. მისი თქმით, ეს პრინციპი მოქმედებდა ფინიკიაში, სადაც

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ერთი თვალის გადაყლაბა..., „დროება“, № 22, 1870.

[2] ი ქ ვ ე.

„მთელი ხალხი მხოლოდ იმას ცდილობდა, რომ თავისი მოხერხებით და ჯაფით მოემკოს საკუთარი ღონისძიება. ამის გამო ფინიკიელებში თავდაპირველად არ იყვნენ არც პატრონები, არც მონები, იქ ყოველი კაცი თავის საცხოვრებლად მუშაობდა"...[1] ამასთან ფინიკიაში ერთი მშრომელის მისწრაფება პირადი კეთილდღეობისაკენ, მისი კერძო ინტერესი არ ეწინააღმდეგებოდა დანარჩენი მშრომელების ასეთსაეე მისწრაფებებს, მათს ასეთსავე კერძო ინტერესებს, რადგან არსებობისათვის უგუნური ბრძოლის ნაცვლად, რაც კაპიტალისტური საზოგადოების მამოძრავებელი ძალაა, ფინიკიელ მშრომელთა პირადი და საზოგადოებრივი კეთილდღეობა ემყარებოდა ურთიერთშორის გონივრულ „შეჯიბრებას".

„შეჯიბრება", გ. წერეთლის აზრით, მეტოქეობის, არსებობისათვის ბრძოლის გონივრული ფორმაა. იგი იდეალურ საზოგადოებაში ემორჩილება ურთიერთსარგებლიანობის უფრო ზოგად პრინციპს: „ჩვენც შევიძინოთ და სხვებსაც შევძინოთ". სწორედ ამ პრინციპის განმახორციელებელნი უნდა ყოფილიყვნენ ის ამხანაგობანი, რომელთა დაარსება, გ. წერეთლის აზრით, არა მარტო სიღარიბიდან გამოიყვანდა მშრომელ ხალხს, არამედ კიდეეაც მოსპობდა „უკიდურესი სიღარიბის, ანუ პროლეტარიატის" გამომწვეე მიზეზებს.

ამხანაგობაში უნდა გაერთიანებულიყვნენ მესაკუთრენი, რომელნიც თავიანთ საკუთრებას ან საკუთრების ნაწილს საერთო სარგებლობაში გადასცემდნენ. ამხანაგობა ერთსა და იმავე დროს მწარმოებელიც იქნებოდა, მომხმარებელიც და გაცვლელებელიც. „ჩვენ უნდა შევეწიოთ მშრომელ ხალხს, — წერდა გ. წერეთელი 1879 წელს, — ჩვენ უნდა ვეცადოთ, თვითონ მშრომელი და მაწარმოებელი ხალხი თვითონვე აღებ-მიმცემი, თვითონვე ვაჭარი და თვით ნაწარმოების გამსაღებელიც გახდეს"[2]. შრომის ის პროდუქტები, რომლებიც საჭირო არ იქნებოდა ამხანაგობის წევრთა მოთხოვნილების

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, შრომის მოყვარეობა დიდი ძალაა, „სასოფლო გაზეთი", № 2, 1871 წ.

[2] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ჩვენ და ჩვენი „დროება", „დროება", № 16, 1879 წ.

დასაკმაყოფილებლად, ამხანაგობასვე უნდა გაეყიდნა და შემოსავალი ცალკეულ წევრებზე გაენაწილებინა. გ. წერეთელი არაფერს ამბობს წარმოების საშუალებათა მფლობელობის ხასიათზე ამხანაგობაში, მაგრამ ცხადია, რომ იგი გულისხმობდა წარმოების საშუალებათა დატოვებას კერძო მესაკუთრის მფლობელობაში. ამხანაგობის წევრებს დააკავშირებდა საერთო შრომა და საერთო სავაჭრო-საკრედიტო დაწესებულებანი, სადაც მათ თავიანთი საკუთრება ან საკუთრების ნაწილი ჰქონდათ გაერთიანებული. მაშასადამე, გ. წერეთლის ამხანაგობა წარმოადგენდა კერძო მესაკუთრეთა შეერთებას კოლექტივში ორგანიზებულ მშრომელებად. „მხოლოდ ამგვარად შეიძლება კეთილდღეობის გავრცელება ხალხში; — ამბობს გ. წერეთელი, — თუ არ ამხანაგობით არაფერი არ მოუხერხდება-რა. მართალია, ასში — ორასში ერთი გამდიდრდება, მაგრამ გამდიდრდება ყოვლის უსამართლობით. მაგრამ საზოგადოებას რა? საზოგადოება მხოლოდ ღარიბდება. ზრეობიო ეცემა“ [1].

ამრიგად, მცირეოდენ რჩეულთა კეთილდღეობის ნაცვლად მთელი ერის კეთილდღეობის უზრუნველყოფა, — აი, რა არის, გ. წერეთლის აზრით, კოლექტიურ შრომაზე დაფუძნებული ამხანაგობის ერთი უმთავრესი უპირატესობა. ამხანაგობის მეორე უპირატესობა ის არის, რომ მასში შეერთებულია წვრილი მესაკუთრის გულმოდგინეობა მსხვილი მეურნეობის ხელსაყრელობასთან: ძალა ერთობაშია. „შეერთებულს შრომას ყოველთვის უფრო ბევრი ნაყოფი მოაქვს, ვიდრე განცალკევებულს“ [2]... დაბოლოს, ამხანაგობის „მთელი ძალა, — გ. წერეთლის აზრით, — იმაში მდგომარეობს“, რომ იგი მშრომელებს იხსნის კონკურენციისაგან. „მუშებმა გაიგეს — ამბობს გ. წერეთელი, — რომ როცა მუშაობდენ და მოქმედებდენ ცალ-ცალკე, ისინი მხოლოთ უნებურათ აცლიდნენ ხელიდან ერთმანეთს სამუშაო ფასს. და ამ სახით ერთმანეთს ღუპავდნენ, როდესაც რომ თუ ისინი იმუშავებ-

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ. სრ. კრებ., ტ. I, გვ. 62.

[2] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ოქროს მარანი. „სასოფლო გაზეთი“, № 12, 1872 წ.

ლნენ ერთად, საერთოდ შეინახავენ ნაშოვარს, მაშინ ისინი გააკეთებენ... ამხანაგობებს, ყველანი ერთნაირად ისარგებლებენ თავისი ნამუშევარით და არ მისცემენ ნებას სხვას, რომელიც იმათში არ ურევია, რომ იმათი შრომით ჯიბე გაისუქონ" [1].

გ. წერეთლის აზრით. „იდეალური" საზოგადოება უნდა შესდგებოდეს სულ ღონიერი, გონიერი და შრომის-მოყვარე ხალხთაგან". ასეთი მშრომელი და განათლებული ადამიანები უნდა ყოფილიყვნენ ბატონ-პატრონნი იმ საზოგადოებისა, სადაც აღარ იქნებოდა არც „დავა. აღარც ავაზაკობა. აღარც ქურდობა და კაცის კვლა" და „ყოველი (კაცი) სიიაფეში და სიკმაყოფილეში იცხოვრებდა". ერთ ადრინდელ ლექსში გ. წერეთელი ამ „ნაძებნ. მაგრამ ვერნახულ" თანასწორობის საძიებლის ასე ახასიათებდა:

„იქ ერიც სხვანაირია; ერთი მეორის ძმა არი,
ჩვენთვის მხოლოდ სიზმარია მათი ცხოვრება ნარნარი,
არც გლახაა, არც მდიდარი, იქ ყველა თანასწორია,
თოფ-ზარბაზნის ხმა არ არი. კაცს სვედა არ მორევია" [2].

ასევე დახატა გ. წერეთელმა მომავალი საზოგადოება „ღვთისწყალობაში".

ცხადია, ასეთ იდეალურ ეკონომიურ თანასწორობაზე დამყარებულ საზოგადოებას შესაფერი პოლიტიკური წყობილებაც უნდა ჰქონოდა.

„ახალი ახალგაზრდობის" ჯგუფის შეხედულებანი პოლიტიკური წყობილების საკითხში გ. წერეთელმა ასე ჩამოაყალიბა: „საზოგადოებრივ განვითარებაში ეს დასი (მაშასადამე, გ. წერეთელიც. მ. გ.) უარს ჰყოფდა როგორც თავადაზნაურობას. ისე დაბალი ხალხის განკერძოებით ყოფნას. მან წამოაყენა ნამდვილი ერი, რომელშიც თანასწორი უფლებით

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, რამდენათ სარფა აქვს შეერთებით ცხოვრებას და მუშაობას, „სას. გაზეთი", № 9. 1872 წ.

[2] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, უცხო მხარე, „დროება", № 16, 1869 წ. საგულისხმოა, რომ ასეთ იდეალურ თანასწორობას ხედავდა გ. წერეთელი საქართველოს მთიანეთში შემორჩენილ თემური წყობილების ნაშთებში. მისი აზრით, მთამ შემოინახა „ძველი თავისუფლების მოყვარეობისა და თანასწორობის გრძნობა". აქ არ არიან ბატონები და მონები (ყმები).

შედიოდნენ ყველა წოდებები, არც ერთისაკენ სასწორს არ ხრიდა, ხოლო დემოკრატიული, წოდებათა განურჩეველად, საზოგადო წესწყობილება მიაჩნდა ასეთი ერის შესაფერად" [1].

გ. წერეთელი „ნამდვილ ერად" მშრომელებს (ხელოსნებს, გლეხებს და, განსაზღვრული აზრით, ვაჭრებს) სთვლიდა. მაშასადამე, მომავალ დემოკრატიულ წყობილებაში „თანასწორი უფლებით" მხოლოდ მშრომელები შევიდოდნენ. თავადაზნაურობა, როგორც არამშრომელი წოდება, გ. წერეთელს ერის წარმომადგენლად არ მიაჩნდა. ამიტომ მის „მშრომელთა საზოგადოებაში" თავადაზნაურობისათვის ადგილი არც რჩებოდა. მაგრამ გ. წერეთელი წინააღმდეგი არ იყო დემოკრატიულ წყობილებაში „თავადაზნაურობაც" ყოფილიყო მშრომელთა გვერდით, — მხოლოდ „თანასწორი უფლებით", ე. ი. იმ პირობით, თუ თავადაზნაურობა „ხელს აიღებდა" მშრომელი ხალხის ექსპლოატაციასა და ჩაგვრაზე და თვითონაც მშრომელ წოდებად „გადაიქცეოდა". „გაფუჭებული" ქართველი თავადაზნაურობის ასეთი გარდაქმნა გ. წერეთელს არარეალურად ეჩვენებოდა; სწორედ ამიტომ „შეუფერავმა რეალისტმა" არსებითად გამორიცხა თავადაზნაურობა მომავალი დემოკრატიული საზოგადოებიდან.

გ. წერეთელი ოცნებობდა ისეთ საზოგადოებრივ წყობილებაზე, სადაც აღარ იქნებოდა ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრა და ექსპლოატაცია. მისი აზრით, მხოლოდ ასეთ წყობილებას შეეძლო ქართველი ხალხის გაძლიერება და გაბედნიერება. „ოჰ, რა ბედნიერი, და ძლიერი ვიქნებოდით! ოჰ, რა ერთსულობა გვექნებოდა, — რომ ჩვენში ერთს კაცს მეორე კაცის დაჩაგვრა არ შესძლებოდაო!" [2] — წერდა იგი 1866 წელს.

გონივრული საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილების საფუძველი პიროვნების თავისუფლება უნდა ყოფილიყო.

ყველა მშრომელი თვითონ არის თავის ბატონი, მათ არც მოხელენი აწუხებენ. „თურმე ამიტომაც ცხოვრობენ აქ ასე კეთილმდგომარეობით", — დასძენს გ. წერეთელი. (იხ. რჩ. ნაწ., ტ. II. გვ. 66).

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, კიტა აბაშიძე და ჩვენი ახალგაზრდობა, „ქვალი", № 46, გვ. 816, 1897 წ.

[2] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ. სრ. კრებ., ტ. I, გვ. 31.

გ. წერეთლის აზრით, საზოგადოებრივი პროგრესის მამოძრავებელი ძალა კერძო ინტერესებში მდგომარეობს, საყოველთაო კეთილდღეობა პირად კეთილდღეობათა ჯამია. ამიტომ გასაგებია, რომ ასეთი შეხედულების სისწორეში დარწმუნებულ, მთელი ერის კეთილდღეობისათვის მებრძოლ განმანათლებელს პიროვნების სრულს თავისუფლებაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი წყობილება უნდა მიეჩნია იდეალად. მისი თქმით, „სიმართლე სუფევს“ მხოლოდ იქ, სადაც „ყველას თავის მოძრაობა აქვს“, სადაც „არ არის არავითარი შეკიწროვება“ და „კაცს ხელშძ უპყრია თავისი ბედი და თავისი კეთილმოქმედება“. ამიტომ ამბობდა გ. წერეთელი: „რასაკვირველია, ყველა კერძო პირს უნდა შეეძლოს თავისუფლათ გამოსთქვას თავისი აზრიო“... შეიძლება, კერძო პირთა მოსაზრებანი ერთმანეთსაც ეწინააღმდეგებოდნენ, მაგრამ გ. წერეთელი ამაში არაფერს ცუდს არ ხედავს, რადგან „წინააღმდეგ აზრებში... უფრო აშკარად დაინახება“ ის აზრი, „რომელიც ყველაზე ჭეშმარიტია“!

გ. წერეთელი პოლიტიკურ თავისუფლებას ისეთსავე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ადამიანის (ხალხის) ცხოვრებაში, როგორც „ჰაერსა და პურს“. მისი აზრით, თავისუფლება არის ის ძალა, „რომელიც ატრიალებს (ადამიანთა და ხალხთა) სიცოცხლის ჩარხს“... „სადაც თავისუფლება არ არის, იქ სიცოცხლე არ არის, — ამბობს იგი, — რომელს ხალხსაც სრული თავისუფლება არ ჰქონია, იმას თავის დღეში ვერა გაუკეთებია-რა ქვეყნისათვის; მაგრამ რომელი ხალხიც მომეტებულათ თავისუფალი ყოფილა, ის მომეტებულათ განათლებული, ბედნიერი, სამართლიანი და მოსიყვარულე ყოფილა“ [1].

ეროვნული პროგრესის საფუძველი ცალკეულ პიროვნებათა თავისუფალი განვითარებაა. მაგრამ თუ ეს განვითარება „ერთი — მეორის პატივისცემის“ საფუძველზე არ წარიმართა, ცალკეულ პიროვნებათა ინტერესების დაპირისპირება დაასუსტებს, დაშლის საზოგადოებას. სწორედ ასეთი ანარქიულობა მიაჩნდა გ. წერეთელს ბურჟუაზიული წყობილების

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ. სრ. კრებ., ტ. I, გვ. 126.

ძირითად წყლულად. მისი აზრით, იდეალური წყობილება იქნება იქ, „საცა ყოველი კაცი სხვის სიმართლეს (უფლებას) იმდენათ პატივსა სცემს, რამდენადაც თავისას, საცა ყოველი გვამი იმას ცდილობს, ისე შემოისაზღვროს თავისი ნება, რომ მეტის მოთხოვნილებით სხვისი ნება არ დაჩაგროს, სხვისი ღირსება არ დაამციროს“ [1].

მაგრამ მმართველობის რომელი ფორმა უკეთესია იდეალური საზოგადოების ამ ძირითადი პრინციპის განსახორციელებლად: მონარქიული თუ რესპუბლიკურ-დემოკრატიული?

გ. წერეთელი, როგორც მხურვალე დამცველი განათლებისა, ზოგჯერ იმ აზრს იცავდა, რომ უვიცი, გაუნათლებელი ხალხი საუკეთესო საზოგადოებრივი წყობილებითაც ვერ ისარგებლებსო.

ამით გ. წერეთელი ხალხის განათლების აუცილებლობას ამტკიცებდა. მაგრამ სწორი არ იქნებოდა იმის თქმა, თითქოს იგი არ ანსხვავებდა მონარქიულისაგან რესპუბლიკურ-დემოკრატიულ მმართველობას. გავარჩიოთ ეს საკითხი უფრო დაწვრილებით.

სახელმწიფო ხელისუფლება, გ. წერეთლის აზრით, ეროვნული პროგრესის მეთაური უნდა იყოს. ეროვნული პროგრესი კერძო ინტერესთა თავისუფალი განვითარების გარეშე შეუძლებელია.

გ. წერეთლის აზრით, თვითმპყრობელური წყობილების დროს ეროვნული პროგრესი „მეფის მოწყალებაზეა დამოკიდებული“, „ქვეყნის გამგეობაში და კანონმდებლობაში თვითმპყრობელ მეფეს და მის დაახლოებულ მაღალ წოდებას გარდა სხვას ხელი“ არა აქვს. საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დიდ მნიშვნელობას გ. წერეთელი იმაში ხედავდა, რომ მან მოსპო „ფეოდალური წესწყობილება, რომელსაც განუსაზღვრელი უფლებით მეფე უდგა თავში, თავადაზნაურობა შუაში და დაბალი გლეხი-მუშაკი ძირს ჰყავდათ მოქცეული“. მაგრამ მას ბურჟუაზიულ-რესპუბლიკური წყობილებაც არ აკმაყოფილებს: „ამორჩევითი წესწყობილება... უმჯობესი შეიქმნა ხალხისათვის, ვიდრე მემკვიდრეობი-

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ. სრ. კრებ., ტ. I, გვ. 178.

თი; რესპუბლიკის პრეზიდენტობამ აჯობა გარეშეუსაზღვრელს თვითმპყრობელს“. მაგრამ „ახლა მთელი სახელმწიფო უფლება ხელში ჩაუვარდა ვაჭრულ წოდებას“ [1]. „აქედან გამოვიდა ის, — ამბობს გ. წერეთელი მეორე წერილში, — რომ, როცა ხალხმა თავისუფლება მოითხოვა სახელმწიფოში, როდესაც მან ძველი წყობილება, როგორც უვარგი, შესცვალა ახალზედ, თითქმის მთელი ერთი საუკუნე განვლო მუდამ ტანჯვაში, ბოლოს კი მაინც ჩავარდა იმგვარ ზოგად წყობილების ჭანგებში, რომელიც ბევრით არ გაერჩევა პირველს“ [2].

ამ სტრიქონებს გ. წერეთელი 1863 წელს წერდა. მას, როგორც ვხედავთ, უკვე მაშინ ხალხის ინტერესების თვალსაზრისით მიუღებლად მიაჩნდა არათუ თვითმპყრობელური მმართველობა, არამედ „ბურჟუაზიულ ნიადაგზე დადგენილი“ რესპუბლიკური წყობილებაც. მაგრამ თუ საფრანგეთს ბურჟუაზიულ რესპუბლიკას გ. წერეთელი ხალხის უმრავლესობის საწინააღმდეგო წყობილებად თვლიდა, გასაგებია, რომ იგი რუსეთის თვითმპყრობელურ-ძემამულური ბიუროკრატიის შეურიგებელი მტერი უნდა ყოფილიყო. ზღაპრულ მოთხრობაში „ფლიდეთელ მოხუცის ნაამბობი“, რომელიც 1867 წელს გამოქვეყნდა, გ. წერეთელი ახასიათებდა ცარიზმის ბიუროკრატიულ მმართველობას საქართველოში, როგორც ქართველი თავადაზნაურობის („დიდმუცლიანების“, „ყლაპიების“) შეუზღუდველი ბატონობის დამცველს ქართველ გლეხობაზე („უგებ-უცნებებზე“). გ. წერეთელი პირდაპირ ამბობდა, რომ თვითმპყრობელობასთან დაკავშირებული თავადაზნაურობა არა მარტო ეკონომიურად ძარცვავდა გლეხობას, არამედ პოლიტიკურადაც იმონებდა მას; „მთელი სახელმწიფო უფლება“ საქართველოში თავადაზნაურობისა და მეფის ბიუროკრატიის ხელში იყო, გლეხები მართვა-გამგეობის საქმეში „ვერ გაერეოდნენო“ [3].

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, სადი კარმო და კაზიმირ პერიე. „ქვალი“, № 29, 1894 წ.

[2] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ. სრ. კრებ., ტ. I, გვ. 14.

[3] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ფლიდეთელ მოხუცის ნაამბობი, „დროება“, № 19, 1867 წ.

ცარიზმი განასახიერებდა გაბატონებული წოდების თავადაზნაურობის ყოვლის შემძლეობას და გლეხობის უუფლებობას. მაგრამ „თუ რომელიმე წოდებას მთელი უფლება ჰქონია, უთუოდ ბოროტად უსმარია, — ამბობს გ. წერეთელი, — საცა მთელი უფლება ერთი წოდების ხელში იყო. უბრალო ხალხი ძლიერ შეწუხებული ყოფილა"...

გ. წერეთელი საუკეთესოდ თვლის ისეთ წყობილებას, სადაც „უმთავრესი უფლება ხალხს აქეს მიმკვიდრებული"; მისი აზრით, „პოლიტიკური ცხოვრების ოქროს საუკუნე" არის იქ, სადაც „უფლება და ხალხი ჯერ ისევ ერთმანეთში არიან ერეულნი". გ. წერეთელი რეაქციულად თვლის რესპუბლიკურ რომში „საიმპერატორო ტახტის დაწესებას" და აქებს დემოკრატიულ რესპუბლიკას, სადაც, მისი აზრით, მოქალაქენი „ყველა თავის საქმეს თვითონ განაგებდნენ, თვითონ აწესებდნენ კანონებს, თვითონ ირჩევდნენ მმართველ და მოსამართლე კაცებს" [1]... საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილების ყველა სხვა ფორმასთან შედარებით დემოკრატიული რესპუბლიკის უპირატესობა, გ. წერეთლის აზრით, ის არის, რომ ასეთი მმართველობის დროს, ჯერ ერთი, ყველა მონაწილეობს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და, მეორეც, იგი არა მარტო იცავს მოქალაქეთა თავისუფლებას და თანასწორობას, არამედ კიდევაც ზრდის ადამიანებს საზოგადოებისათვის თავდადებული შრომისა და ბრძოლის სულისკვეთებით. ასეთ ორგანიზაციად მიაჩნდა გ. წერეთელს ათინის რესპუბლიკა. „ძველ დროში, — წერდა იგი, — ათინის რესპუბლიკაში უმთავრესი უფლება ხალხს ჰქონდა მიმკვიდრებული; ამისათვის არა სხვა ქვეყნის სახელმწიფოებს ისე საჭიროდ არ დაუნახავთ ხალხის განათლება, როგორც საბერძნეთის სახელმწიფოს. რამდენადაც უფრო გონიერი და ზნეობით სრული იქნებოდა იქ ხალხი, იმდენათ სახელმწიფოს სჯული და დაწყობილება უფრო სრული და კეთილმდგომარეობის მომცემი იქნებოდა ყოვლის მოქალაქისათვის" [2]...

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ერთი თვალის გადაულება... „დროება". № 18, 1870 წ.

[2] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ. სრ. კრებ.. ტ. 1, გვ. 46.

მრავალეროვანი სახელმწიფოს „კარგად-დაწყობილი“ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია გ. წერეთელს ასე ჰქონდა წარმოდგენილი: სახელმწიფო შესდგება რამდენიმე რესპუბლიკისაგან; თვითეულ რესპუბლიკაში „რამდენიმე თემია, თემში ყველა თანასწორია, ყველას ერთნაირი უფლება აქვს. ადგილობრივი საქმის განსჯაში მართებლობა სრულიად არ ერევა“ [1].

ასე გამოიყურება გ. წერეთლის „მშრომელთა საზოგადოება“. ასეთია მისი „იდეალური საზოგადოების“ ეკონომიური და პოლიტიკური საფუძვლები.

როგორც ვნახეთ, გ. წერეთლის ეკონომიურ შეხედულებებში წვრილი წარმოების დაცვა გადახლართულია წარმოების მსხვილი „სოციალისტური“ ორგანიზაციის მოწყობის გეგმებთან, თუმცა გ. წერეთელი სოციალისტურ წყობილებას შორეული მომავლის საქმედ თვლიდა. „მრავალი წელიწადები გავა, — ამბობდა იგი, — მინამ კაცობრიობა ნათლად დაინახავს, რომ ერთმანეთის ცარცვაში, ერთმანეთის ჩაგვრაში, ერთმანეთის ჩაყლაპაში და ჩანთქვაში არ არის ბედნიერების წყარო“ [2].

„რეალური პოლიტიკოსის“ იშვიათი ალღოს მეშვეობით და საქართველოს ეროვნული განთავისუფლების აუცილებლობის ზეგავლენით გ. წერეთელი გასცდა წვრილბურჟუაზიულ-ნაროდნიკული სოციალიზმის ფარგლებს, რამდენადაც მან სცნო კაპიტალიზმის პროგრესულობა. მაგრამ კაპიტალიზმს გ. წერეთელი მშრომელთა თვალით უყურებდა. ჩვენ ვნახეთ, რომ 60—70-იან წლებში გ. წერეთელი ქალაქისა და სოფლის წვრილი ბურჟუაზიის დაცვის მიზნით აყენებდა ქვეყნის ეკონომიური გარდაქმნის პროგრამას. მაგრამ ის, ვინც 60—70-იან წლებში მშრომელთა ინტერესების დაცვას კისრულობდა, დემოკრატიც იყო და სოციალისტიც. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ მისი შეხედულებანი წვრილბურჟუაზიული სოციალიზმის

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, „ერთი თვალის გადაკლება.... „დროება“, № 22, 1870 წ.

[2] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ. სრ. კრებ., ტ. I, გვ. 123.

დაღს ატარებს. როცა „ყოველი სოციალისტი იყო პოეტი და ყოველი პოეტი — სოციალისტი“, როცა „დემოკრატიზმი და სოციალიზმი ერთ გაუთიშველ განუყოფელ მთელს წარმოადგენდა“ [1] — ცხადია, გ. წერეთლის დემოკრატიული პროგრამა ამავე დროს „სოციალისტურიც“ უნდა ყოფილიყო. გ. წერეთლის სოციალიზმი უტოპიური ხასიათისაა, რადგან 60 — 70-იან წლებში რუსეთისა და საქართველოს განვითარება სოციალისტური გზით გამორიცხული იყო. მისი სოციალიზმი უდრის „პროტესტსა და ბრძოლას მშრომელის ექსპლოატაციის წინააღმდეგ, ბრძოლას მიმართულს ამ ექსპლოატაციის სრული მოსპობისაკენ“ [2]...

ისევე, როგორც ყველა სოციალისტ-უტოპისტი, გ. წერეთელი თავის ეკონომიურ შეხედულებებს აფუძნებდა შრომითი ღირებულების თეორიის ძირითად დებულებაზე: შრომა ქმნის ყველაფერს. აქედან იგი დაასკვნიდა, რომ შრომის პროდუქტი მშრომელებს უნდა ეკუთვნოდესო. ამრიგად, საკუთრების უფლება, გ. წერეთლის აზრით, ეს არის უფლება მშრომელისა მისი შრომით შექმნილ პროდუქტზე. გ. წერეთელი ფიქრობს, რომ მშრომელ-მესაკუთრეთა საზოგადოებაში, სადაც საკუთრების უფლება მხოლოდ მშრომელს ეკუთვნის, არ შეიძლება იყოს და არც იქნება მსხვილი მემამულურ-ბურჟუაზიული საკუთრება, რადგან ყველა მშრომელი თავის ნაშრომს მიითვისებს. ასეთი იყო გ. წერეთლის წვრილბურჟუაზიულ-უტოპიური სოციალიზმის თეორიული საფუძველი.

მაგრამ პროლეტარიატის დიქტატურის არ არსებობის დროს წვრილი სასაქონლო წარმოების ბაზაზე წარმოშობილი წვრილბურჟუაზიული საკუთრება წარმოადგენს ნიადაგს, რომელზედაც, კაპიტალისტურ წარმოებით ურთიერთობათა განვითარების პირობებში, იზრდება მსხვილი ბურჟუაზიული საკუთრება, რადგან მარტივი სასაქონლო წარმოებისა და მსხვილი კაპიტალისტური წარმოების საფუძველი ერთი და იგივეა — კერძო საკუთრება წარმოების საშუალებებზე. გ. წე-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. I, გვ. 318.
[2] იქვე, გვ. 319.

რეალურს არ ესმოდა ეს. ამიტომ მან, პრუდონისა არ იყოს, არც ის იცოდა, რომ „...წვრილი წარმოება წარმოშობს კაპიტალიზმს და ბურჟუაზიას განუწყვეტლივ, ყოველდღიურად, ყოველ საათობით, სტიქიურად და მასობრივი მასშტაბით“ [1].

მაგრამ, თუ გ. წერეთლის „მშრომელთა საზოგადოებაში“ მშრომელი მესაკუთრის ადგილს, საბოლოო ანგარიშით, ბურჟუა — მესაკუთრე დაიჭერდა, ცხადია, ეკონომიურად გაბატონებული ბურჟუაზია პოლიტიკურადაც გაბატონდებოდა მათზე, ვინც გაპროლეტარდა. აქედან გამომდინარეობს, რომ გ. წერეთლის შეხედულებანი პიროვნების თავისუფლებისა და საყოველთაო პოლიტიკური თანასწორობის შესახებ 60 — 70-იანი წლების საქართველოს პირობებში გამოხატავდა მისწრაფებას ბურჟუაზიული პიროვნების განთავისუფლებისა და ბურჟუაზიული თანასწორობის დაკანონებისაკენ. ამიტომ გ. წერეთლის იდეალი — ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის — განხორციელდებოდა პრინციპში: — ყველა და ყველაფერი ბურჟუაზიისათვის.

ამრიგად, გ. წერეთლის „მშრომელთა საზოგადოება“ არსებითად გაიდეალებული ბურჟუაზიულ-დემოკრატიული საზოგადოებაა. გ. წერეთლის ეკონომიური და პოლიტიკური პროგრამის განხორციელება 60-იან წლებში გამოიწვევდა ბატონყმობის ნაშთების აღმოფხვრას და ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გზით ქვეყნის განვითარების დაჩქარებას. მაშასადამე, წარსულის მიმართ გ. წერეთლის საზოგადოებრივი-პოლიტიკური შეხედულებანი არსებითად პროგრესულ-რევოლუციური შინაარსისაა.

მაგრამ გ. წერეთელს, ისევე როგორც მის დიდ მასწავლებელს, — ჩერნიშევსკის და, საერთოდ, ყველა სოციალისტ-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 8 — 9 („შემთხვევითი ოდი იყო, რომ ქართველი წვრილბურჟუაზიულ-გლეხური მასების ინტერესების გამომხატველი გ. წერეთელი საფრანგეთის წვრილი ბურჟუაზიის ცნობილ ideologს — პრუდონს ასე ახასიათებდა: „პრუდონი იყო სვეტი დაბალი და გაჭირვებული ხალხისა. პრუდონმა მთელი თავისი ტონე სულ იმას მოახმარა, რომ როგორმე დაჩაგრული ხალხის ცხოვრება წარმატებაშ-შეეყვანა“).

უტოპისტს, გულწრფელად სწამდა, რომ ბატონყმობისა და მისი ნაშთების მოსპობის შემდეგ გონივრულად მოწყობილი მშრომელ-მესაკუთრეთა საზოგადოება აიცდენდა კაპიტალიზმს და „პროლეტარიატში ჩაცვენას". წვრილბურჟუაზიული პოლიტიკოსის ეს უტოპიური ოცნება კაპიტალიზმის ნამდვილი ბუნების სრულს გაუგებრობაზე იყო აღმოცენებული. 60-70-იან წლებში ახალ წარმოებით ურთიერთობათა, ახალ საზოგადოებრივ ძალთა წინააღმდეგობრივი ხასიათი კიდევ არ იყო ნათლად გამომჟღავნებული. მეორე მხრივ, როგორც უკვე ვთქვით, გ. წერეთელს არ ესმოდა მარტივი სასაქონლო წარმოების ბუნებაც. ამიტომ „შეუფერავ რეალისტს" შეგნებული არ ჰქონდა, რომ მისი იდეალური მშრომელი-მესაკუთრე, რომელსაც უნდა აეცდინა კაპიტალიზმი და „პროლეტარიატის წყლული" ქართველი ხალხისათვის, თვითონვე წარმოშობდა კაპიტალიზმს და იწვევდა „პროლეტარიატში ჩაცვენას". მაშასადამე, აწმყოს მიმართ გ. წერეთლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი სოციალისტურ-უტოპისტური ფორმით.

მაგრამ უტოპიურ ფორმაში თავის დროისათვის მოწინავე, პროგრესულ-რევოლუციური შინაარსის პროგრამა ეხვეოდა. როგორც ვნახეთ, 70-იან წლებში გ. წერეთელმა არა მარტო დააყენა კაპიტალიზმთან დამოკიდებულების საკითხი, — არამედ თავისებურად კიდევაც გადაწყვიტა იგი. ფულზე დამოკიდებული ბატონყმობის წინააღმდეგ ფულის საშუალებით პრძოლა და სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყოველმხრივი განვითარება, რასაც იმ დროს გ. წერეთელი გადაუდებელ ამოცანად სახავდა, ხელს შეუწყობდა კაპიტალიზმის სწრაფ განვითარებას. იმ დროს ვაჭრობა-მრეწველობის განვითარების აუცილებლობის აღიარებით გ. წერეთელმა თვითონ გამოუთხარა ძირი თავისსავე სოციალისტურ ოცნებას საყოველთაო კეთილდღეობაზე. ისევე, როგორც 70-იანი წლების რუსი რევოლუციური ნაროდნიკი, გ. წერეთელიც გლეხობაზე, საერთოდ, წვრილბურჟუაზიაზე დაყრდნობას მოითხოვდა და ობიექტურად ბატონყმური ნაშთების არსებობით წვრილბურჟუაზიულ-გლეხური ფენების უკმაყო-

ფილებას და პროტესტს გამოხატავდა. მაგრამ, თუ „კაპიტალიზმის წინააღმდეგ თავისი რომანტიკული, წვრილბურჟუაზიული თვალსაზრისით მებრძოლი ნაროდნიკი უკუაგდებს ყოველგვარ ისტორიულ რეალიზმს, კაპიტალიზმის ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე ს ყოველთვის უპირისპირებს ჰ ო რ ე ბ ს წინაკაპიტალისტური წესების შესახებ“ [1], — გ. წერეთელი, პირიქით, „ნამდვილი, შეუფერავი რეალისტია“, ულმობელი მტერია „წინაკაპიტალისტური ჰორებისა“, მკაცრად გმობს შაებნელი წარსულის უსუსურ მემკვიდრეობას, მხურვალედ სწამს ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობათა პროგრესულობა და მათ განვითარებაში ხედავს ბატონყმობის ნაშთების აღმოფხვრისა და უცხოეთის კაპიტალიზმზე გამარჯვების ძირითად პირობას. მაგრამ გ. წერეთლის ეკონომიური და პოლიტიკური პროგრამის განხორციელება ვერ გადააქცევდა საქართველოს საყოველთაო კეთილდღეობის სამოთხედ: ამხანაგური მეურნეობის მოწყობა, სასოფლო ბანკების დაარსება, იაფი კრედიტის მიცემა გლეხებისათვის, მეურნეობის ტექნიკური გაუმჯობესება, — რასაც გ. წერეთლის პროგრამა შეიცავდა, — რა თქმა უნდა, საყოველთაო კეთილდღეობას ვერ დაამყარებდა; ყველა ამ ღონისძიებას „უმნიშვნელო უმცირესობის, წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენლები“ (ლენინი) გამოიყენებდნენ, ისიც იმ პირობით, თუ მათ ინტერესებს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ხელისუფლება დაიცავდა ადგილობრივ მემამულეთა და უცხოური მსხვილი ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში. გ. წერეთელიც არსებითად ასეთი ხელისუფლებისათვის იბრძოდა, თუმცა თავისი დროის ჩამორჩენილობა მას განსაზღვრულ საფუძველს აძლევდა, ეოცნებნა წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების არსებობის პირობებში „კოოპერაციული სოციალიზმის“ განხორციელებაზე.

ლენინი ამბობდა, რომ კაპიტალისტური სახელმწიფოს პირობებში კოოპერაცია არის კოლექტიური კაპიტალისტური დაწესებულება. ეს იმას ნიშნავს, რომ კლასობრივი მტრების გარდაქმნა კლასობრივ თანამშრომლებად მოსახლეობის უბრა-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 2, გვ. 644.

ლო კოოპერირების გზით, ე. ი. კაპიტალისტური წყობილების გარდაქმნა კოოპერაციულ-სოციალისტურ წყობილებად მშვიდობიანი გზით, უტოპიაა. 60 — 70-იანი წლების საქართველოს პირობებისათვის გ. წერეთლის „სოციალისტურ“ გეგმებში რეალური მხოლოდ ის იყო, რომ მათი განხორციელება უფრო სწრაფად განავითარებდა კაპიტალიზმს და ქვეყანას გამოიყვანდა ბურჟუაზიასთან პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ფართო გზაზე. გ. წერეთელი ვერ ხედავდა კაპიტალიზმის ამ „ნამდვილად პროგრესულ რევოლუციურ მხარეებს“. (ლენინი). პროლეტარიატის წარმოშობა მას უდიდეს ეროვნულ უბედურებად მიაჩნდა. ამიტომ იბრძოდა იგი „კაპიტალიზმის წინააღმდეგ“. მაგრამ ისტორიის ირონია, ლენინის სიტყვით თუ ვიტყვით, იმაში მდგომარეობდა, რომ „კაპიტალიზმთან საბრძოლველად“ სოციალისტ-უტოპისტი აყენებდა ისეთ პროგრამას, რომლის სრული განხორციელება უფრო დააჩქარებდა კაპიტალიზმის განვითარებას.

გ. წერეთლის ტიპის პოლიტიკოსებზე ლენინი წერდა: „ისინი სუბიექტურად სოციალისტები არიან, იმიტომ რომ მასების ჩაგვრისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგი არიან. მაგრამ ჩამორჩენილი, სამიწათმოქმედო ნახევრადფეოდალური ქვეყნის ობიექტური პირობები დღის წესრიგში აყენებენ... ამ ჩაგვრისა და ამ ექსპლოატაციის მხოლოდ ერთ გარკვეულ, ისტორიულად თავისებურ სახეს, სახელდობრ. ფეოდალიზმს. ფეოდალიზმი ემყარებოდა სამიწათმოქმედო ყოფაცხოვრებისა და ნატურალური მეურნეობის ბატონობას,... გლეხის ფეოდალური ექსპლოატაციის წყარო იყო მისი მიჯაჭვა მიწაზე ამა თუ იმ ფორმით; ამ ექსპლოატაციის პოლიტიკური გამომხატველები იყვნენ ფეოდალები... და აი, თურმე... დემოკრატის სუბიექტურ-სოციალისტური მისწრაფებებიდან და პროგრამებიდან სინამდვილეში გამოდის... მარტოოდენ ფეოდალური ექსპლოატაციის მოსპობის პროგრამა“ [1].

მაგრამ მარტოოდენ ფეოდალური ექსპლოატაციის მოსპობისათვის ბრძოლა სავსებით თავსდება ბურჟუაზიული დემო-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 18. გვ. 190 — 191.

კრატიზმის ჩარჩოებში. გ. წერეთელს გულწრფელად სურდა ყოველგვარი ექსპლოატაციის მოსპობა, მაგრამ მისი პროგრამის განხორციელება არსებითად მხოლოდ ფეოდალური ექსპლოატაციის კაპიტალისტური ექსპლოატაციით შეცვლას მოასწავებდა.

ეს ასეც უნდა ყოფილიყო 60—70-იან წლებში, როცა საქართველოს ეკონომიური და პოლიტიკური ჩამორჩენილობის გამო ახალ წარმოებით ურთიერთობათა შეურიგებელი წინააღმდეგობანი ნათლად არ ჩანდა, პროლეტარიატი ჯერ კიდევ „წმინდა-ევროპულ წყლულს" წარმოადგენდა, ხოლო წერილბურჟუაზიული ფენები, რომლებიდანაც უძლიერესნი შემდეგში ბურჟუაზიულ კლასად ჩამოყალიბდნენ, „მშრომელი" ღარიბებისაგან, უმთავრესად, გლეხებისაგან წარმოიშობოდნენ. როგორც ვნახეთ, გ. წერეთელი 60—70-იან წლებში სწორედ ამ „მშრომელ წოდებაზე" ამყარებდა საქართველოს ეროვნული და სოციალური აღორძინების იმედს.

80—90-იან წლებში რუსეთში ახალი საზოგადოებრივი ვითარება შეიქმნა. მიუხედავად ალექსანდრე მესამის რეაქციული „კონტრრეფორმებისა", ქვეყანა მტკიცედ მიემართებოდა კაპიტალისტური განვითარების გზით. ცარიზმი ცდილობდა პატრიარქალურ სოფელს დაყრდნობოდა, მაგრამ ამავე დროს იგი იძულებული იყო დაეცვა სამრეწველო ბურჟუაზია. ამით ცარიზმი ობიექტურად ხელს უწყობდა კაპიტალიზმის განვითარებას რუსეთში. კაპიტალიზმის განვითარების შესაბამისად რუსეთის ფეოდალური მონარქია ბურჟუაზიულ მონარქიად იქცეოდა. ამ მოვლენამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რუსული რევოლუციური ნაროდნიკობის გალიბერალების საქმეში. მაგრამ ნაროდნიკების ვადაგვარების უმთავრესი მიზეზი, როგორც ლენინი გვასწავლის, მათ მიერ კაპიტალიზმის განვითარების შედეგად წოდებათა კლასობრივი დიფერენციაციისა და ბურჟუაზიული სახელმწიფოს როლის და მნიშვნელობის სრული გაუგებრობა იყო.

თავის განთქმულ შრომაში — „რანი არიან ხალხის მეგობრები და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ" — ლენინი რევოლუციური ნაროდნიკობის ლიბერა-

ლურად გადაგვარებას ასე ახასიათებდა: „პოლიტიკური პროგ-რამიდან, რომელიც ნავარაუდევია საიმისოდ, რომ გ ლ ე ხ ობ ა ა ა მ ხ ე დ რ ო ს სოციალისტური რევოლუციის მოსახდენად თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს ს ა ფ უ ძ ვ ლ ე ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ — წარმოიშვა პროგრამა, რომლის მიზანია გლეხობის მდგომარეობის შეკეთება, „გაუმჯობესება“ ისე, რომ შ ე ნ ა რ ჩ უ ნ ე ბ უ ლ იქ ნ ა ს თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს ს ა ფ უ ძ ვ ლ ე ბ ი“. ნაროდოელების ბრძოლა მთავრობის წინააღმდეგ „ეს ცეა რადიკალების ბრძოლად პოლიტიკური თავისუფლებისათვის“ [1].

იმავე შრომაში ლენინმა დაადგინა ლიბერალური ნაროდნიკობის პოლიტიკური პროგრამის კლასობრივი შინაარსი. მან მიუთითა, რომ ნაროდნიკების ლიბერალური პროგრამა „მხოლოდ რადიკალური ბურჟუაზიული დემოკრატიის ინტერესებს გამოხატავს“, რომ, სახელდობრ, იგი „გამოხატავს წვრილი ბურჟუაზიის, ე. ი. სწორედ იმ კლასის ინტერესებს, რომელსაც ეს ექსპლოატატორული წესწყობილება ემყარება“. ასეთ დასკვნამდე მივიდა ლენინი „წვრილბურჟუაზიული გლეხობის რადიკალურ-დემოკრატიული წარმომადგენლების“ — ლიბერალური ნაროდნიკების პროგრამის განხილვის შემდეგ. ეს პროგრამა მიზნად ისახავდა გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესებას გლეხური მეურნეობის ტექნიკურ-ეკონომიური გარდაქმნის, ამხანაგობების, საგლეხო ბანკების, საერთო საწყობების დაარსების და სხვა ლიბერალური საშუალებებით.

როგორც ვნახეთ, 70-იან წლებში გ. წერეთელი ასეთივე ლიბერალურ პროგრამას აყენებდა გლეხობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. ამიტომაც ვთვლით ჩვენ უკვე 70-იანი წლებიდან გ. წერეთელს რადიკალური ბურჟუაზიული დემოკრატიის, სახელდობრ, წვრილი ბურჟუაზიის ინტერესების გამომხატველად.

60-იან წლებში, საგლეხო რეფორმის გატარების პერიოდში გ. წერეთელი თვითმპყრობელურ-ბატონყმური წყობილების რევოლუციური დამხობის „უკიდურეს“ მოთხოვნას ასე

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 1. გვ. 309 — 325.

თუ ისე ემხრობოდა. მას მაშინ სურდა აემხედრებინა ხალხი არსებული საზოგადოებრივი ცხოვრების გადასაკეთებლად. ამიტომ გმობდა იგი ლიბერალიზმს და რევოლუციურ პოზიციაზე გამაგრებას ცდილობდა. მაგრამ მან ვერ გაიგო ლიბერალიზმის ნამდვილი ბუნება, მეცნიერულად ვერ ახსნა იგი. მან ვერც რევოლუციური ძალები დაინახა: ჩამორჩენილი გლეხობა ბრძოლისათვის მოუმზადებელი აღმოჩნდა, პროლეტარიატი არ ჩანდა. ნაროდოვოლცების ტერორისტულ ბრძოლას ხალხის მასების გარეშე გ. წერეთელი შეცდომად თვლიდა. ამ მიზეზების გამო იგი თვითონვე გადაიქცა ლიბერალად, რომელიც არსებული წყობილების ნიადაგზე ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებით კმაყოფილდებოდა. სწორედ ამას უწოდებდა ლენინი „წვრილბურჟუაზიული გლეხობის რადიკალურ-დემოკრატიულ წარმომადგენლობას“.

მაგრამ თუ 60 – 70-იან წლებში კიდევ არსებობდა საფუძველი ოცნებისათვის ამხანაგობაში გაერთიანებული წვრილბურჟუაზიული გლეხობის, „მშრომელი წოდების“ სოციალისტური გარდაქმნის შესაძლებლობაზე, „თუ, — როგორც ლენინი ამბობს, — ეს ილუზია შესაწყნარებელი და ბუნებრივიც კი იყო 60-იან და 70-იან წლებში, როცა ჯერ კიდევ ასე ცოტა მოიპოვებოდა შედარებით ზუსტი ცნობები სოფლის ეკონომიკაზე, როცა სოფლის დაშლის პროცესი ჯერ კიდევ არ იყო ასე მკაფიოდ გამოაშკარავებული“ [1], — 80 — 90-იან წლებში კაპიტალიზმის საბოლოოდ განმტკიცებამ გააქარწყლა ეს ილუზია. ამ პერიოდში საქართველო და ამიერკავკასია რუსეთის კაპიტალიზმმა საბოლოოდ ჩაითრია „საქონლის მსოფლიო ბრუნვაში“, შეარყია „მისი ადგილობრივი თავისებურებანი — ძველი პატრიარქალური კარჩაკეტილობის ნაშთები“, შექმნა „ბაზარი თავის ფაბრიკებისათვის“. (ლენინი). ამას შედეგად მოჰყვა „მშრომელი წოდების“ — გლეხობის დაშლა, მისგან პროლეტარული და ბურჟუაზიული კლასების გამოყოფა. ამ დროიდან ქართველი ბურჟუაზია, ან, როგორც გ. წერეთელი ამბობს, „საქართველოს ერის ერთი ნაწილი — საშუალო

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 1, გვ. 298.

„ლასი ფულის მაძიებელთა“, უკვე გარკვევით უპირისპირდება არა მარტო თავადაზნაურობას, არამედ აგრეთვე ქალაქისა და სოფლის პროლეტარებს. საზოგადოების კლასობრივ დიფერენციაციას და პროლეტარული მოძრაობის წარმოშობას ენდა მოჰყოლოდა ბურჟუაზიული დემოკრატიზმისაგან პროლეტარული სოციალიზმის გამოყოფა. მართალია, 1893 წელს დაარსებული პირველი ქართული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის „მესამე დასის“ მემარჯვენე ფრთამ ვერ შესძლო კავშირის საესებით გაწყვეტა ბურჟუაზიულ დემოკრატიზმთან, მაგრამ, როგორც ლენინმა უკვე 1894 წელს დაამტკიცა, 90-იანი წლების ახალი საზოგადოებრივი ვითარება მოითხოვდა „დემოკრატების იდეებთან ს ა ვ ს ე ბ ი თ დ ა ს ა ბ ო ლ ო ო დ კავშირის გაწყვეტის გარდუვალობას და აუცილებელ საჭიროებას“. ამ დროს „საზოგადოებრივი განვითარების ის ხანა, როცა დემოკრატიზმი და სოციალიზმი ერთ გაუთიშველ, განუყოფელ მთელს წარმოადგენდა“, საბოლოოდ ჩაბარდა წარსულს, რადგან უკვე ფაქტი გახდა „ხარისხობრივი განსხვავება დემოკრატებისა და სოციალისტების იდეებს შორის“ [1].

ამრიგად, საზოგადოებრივი ვითარება რადიკალურად შეიცვალა. ეს კი შეხედულებათა რადიკალურ შეცვლას მოითხოვდა. მაგრამ გ. წერეთელი, თუმცა გრძნობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარ რადიკალურ ცვლილებებს, არსებითად კვლავ ძველ, განმანათლებლურ პოზიციაზე დარჩა. ვერ ვიტყვით, რომ მას ახლაც არ სურდა მშრომელთა ინტერესების გამომხატველი ყოფილიყო. მაგრამ მაშინ, როცა „მშრომელი წოდება“ უკვე გარკვევით გაითიშა ბურჟუაზიად და პროლეტარიატად, მშრომელთა ინტერესების გამოხატვა, მათი დაცვა ნიშნავდა მტკიცედ დადგომას პროლეტარიატის მხარეზე, შეურიგებელი პროლეტარულ-ინტერნაციონალური ბრძოლის წარმოებას არა მარტო ფეოდალიზმის ნაშთების, არამედ აგრეთვე კაპიტალიზმის დასამხობად. ერთი სიტყვით, 90-იან წლებში საჭირო იყო „გულუბრყვილო დემოკრატიზმის“ გარდაქმნა სოციალ-დემოკრატიზმად, პროლეტარულ სოციალიზმად.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 1, 318.

ცხადია, გ. წერეთელმა ეს ვერ შესძლო და არც შეეძლო. მას ახლაც ძველებურად ებრალებოდა ჩაგრული ღარიბები, მათ შორის, პროლეტარები, მაგრამ მან ვერც ახლა შეიგნო პროლეტარიატის მსოფლიო-ისტორიული როლი ჩაგრულთა განთავისუფლების საქმეში. ფეოდალიზმის ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლის მეთაურად გ. წერეთელი ახლაც ბურჟუაზიას თვლიდა. მას არ ესმოდა, რომ ცარიზმის ყალთაში გამოზრდილი ქართველი ბურჟუაზია რევოლუციური კლასის აჩრდილი თუ ყოფილა. საგულისხმოა, რომ იგი, საესებით დარწმუნებული თავის „სიმართლეში“, 90-იან წლებშიც გულუბრყვილოდ ამტკიცებდა ქართველი ბურჟუაზიის დაცვის აუცილებლობას. როგორც ცნობილია, ალ. წულუკიძის შეკითხვაზე: — „მითხარით, როგორ მოვათავსოთ ერთად: ერთის მხრივ, ცნობილი მეცნიერის (ე. ი. მარქსის. მ. გ.) სწავლა კლასიურ ანტაგონიზმზე, რომლის მომხრეთ თქვენ თავს სახავთ, და მეორეს მხრივ, თქვენივე მფარველობითი კილო ახლათ აღორძინებული ვაჭარ-მრეწველის კლასის შესახებო“ [1] — გ. წერეთელმა უპასუხა: „აქ არ არის არავითარი წინააღმდეგობა. ძველი. დროგადასულ წყობილების წინააღმდეგ ახალ წყობილებას რომ ვიცავდე, ეს ეწინააღმდეგება კი არა ეთანხმება თვით „მოძღვრებასო“ [2]. ისევე, როგორც ორი ათეული წლის წინათ, გ. წერეთელი ახლაც ფეოდალიზმის ნაშთებს თვლიდა ბოროტების ერთადერთ მიზეზად. ამ ნაშთების აღმოფხვრა და „ახალი წყობილების“ დამყარება, მისი აზრით, მხოლოდ ბურჟუაზიას შეეძლო. ამიტომ მოითხოვდა იგი „ჩვილი და განუვითარებელი ჩვენებური ბურჟუაზიის“ გაძლიერებას. მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ გ. წერეთლის შეხედულებანი 90-იან წლებში ეხმაურებოდა ლიბერალური ბურჟუაზიის ინტერესებს.

საგულისხმოა ისიც, რომ განმანათლებელი, რომელიც 60-იან წლებში თვითმპყრობელობის რევოლუციურ დამხობას. მართალია, „უკიდურეს“, მაგრამ ხალხის განთავისუფლებისა-

---

[1] ა. წ უ ლ უ კ ი ძ ე, თხზ., გვ. 20.

[2] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, პასუხი, „ქვალი“, № 16, 1899 წ.

ოვის საჭირო ღონისძიებად თვლიდა, 90-იან წლებში თავს იმით ინუგეშებდა, რომ იგიც ისეთივე „სამეურნეო მოკლევადით გამსესხებელი ბანკების დაარსებას (მოითხოვდა), როგორსაც ახლა (90-იან წლებში) თვით რუსეთის მართებლობა აფუძნებს მეურნეობისა და მრეწველობის ხელის გასამართავად“ [1].

გაბურჟუების გზაზე დამდგარი ფეოდალური მონარქიისა და ოდესღაც მის წინააღმდეგ მებრძოლი განმანათლებლის „სამეურნეო“ პროგრამათა დამთხვევა შემთხვევითი როდი.. როგორც ვთქვით, ცარიზმი იძულებული იყო ანგარიში გაეწია ლიბერალური ბურჟუაზიისათვის და თვითონაც ნახევრადბურჟუაზიულ ბიუროკრატიად გადაქცეულიყო. ამიტომ იგი ობიექტურად ხელს უწყობდა ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარებას. გ. წერეთლის სამოღვაწეო პროგრამა არც 90-იან წლებში და არც მანამდე არაფერს საშიშს არ შეიცავდა ბურჟუაზიული ურთიერთობისათვის. პირიქით, მისი პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობდა არსებულ ბურჟუაზიულ ურთიერთობათა განვითარებას, მათ გაწმენდას ფეოდალიზმის ნაშთებისაგან. მაგრამ ეს, საბოლოო ანგარიშით, იმას ნიშნავს, რომ გ. წერეთლის პროგრამა ლიბერალური, ე. ი. ბურჟუაზიისათვის სასარგებლო პროგრამა იყო. გ. წერეთელმა თვითონაც იცოდა ეს; იგი აღიარებდა, რომ ბანკები და იაფი კრედიტი ვერ მოსპობდა ბურჟუაზიულ საზოგადოებრივ ურთიერთობას, მაგრამ იგი ასეთ მიზანს არც ისახავდა. „შეუფერავი რეალისტი“ კაპიტალიზმის მოსპობას შორეულ ამოცანად თვლიდა. იგი მოითხოვდა არსებული წყობილების ნიადაგზე წვრილი ბურჟუაზიის მდგომარეობის გაუმჯობესებას და ამისათვის, მისი აზრით, საუკეთესო საშუალება იყო სასოფლო ბანკები, იაფი კრედიტი, შეერთებული კაპიტალი და სხვა ამგვარები. ერთ წერილში გ. წერეთელი პირდაპირ წერდა: „განა იაფი კრედიტი პოლიტიკო-ეკონომიურს განვითარებას იმისათვის მოუგონია, რომ ეკონომიური უსამართლობა რადიკალურათ მოსპოს; განა ეს იარაღი მხოლოდ იმის-

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი. სიმონიძეს, „ქვალი“, № 37. 1894 წ.

თვის არ შემოუღიათ, რომ ებრძოლოს ძვირ კრედიტს, სისხლის მწუწნავ მევახშეებს, რომ შეჩერებული და დაბალ საფეხურზე დამდგარი აღებმიცემობის წარმოება განათავისუფლოს მათ კლანჭებისაგან და დააყენოს წარმატების გზაზე?.. დღეს ქართლ-კახელი მიწის მუშები და მეპატრონეები კერძო მევახშისაგან დამხრჩვალი არიან, იმათ მანეთში მანეთს სარგებელს ახდევინებენ. ჩვენ ვურჩევთ ამისთანა მევახშეების ხელში დატყვევებულ სამეურნეო და სამრეწველო წარმოებას, შეერთებული კაპიტალის ძალით იბრძოლოს და ვაწვდენთ მათ იაფ კრედიტს ამის გულისათვის... მაშ ის უკეთესი იქნება, რომ მევახშეების ხელში დავარჩინოთ მთელი საქართველოს წარმოება და მიწაწყალი?..“ [1]

ამრიგად, გ. წერეთლის პროგრამა, რომელიც 90-იან წლებში არსებითად ლიბერალურ-ბურჟუაზიული შინაარსისა იყო. კვლავ წვრილბურჟუაზიულ-დემოკრატიულ სამოსელში ეხვეოდა. ეს, უწინარეს ყოვლისა, იმით აიხსნება, რომ ოდესღაც მშრომელთა ინტერესების გამომხატველ განმანათლებელს სუბიექტურად არც ახლა სურდა ეღალატნა თავისი ძველი რწმენისათვის; მეორე მხრივ, 90-იან წლებში გ. წერეთლის პროგრამის წვრილბურჟუაზიულ-დემოკრატიულ სამოსელში გამოწყობის მიზეზი საქართველოში კაპიტალიზმის განვითარების ერთ ძირითად თავისებურებაშია საძიებელი: როგორც ცნობილია, კაპიტალიზმის განვითარებამ ჩვენში უმთავრესად უცხოური მსხვილი ბურჟუაზიის გაბატონება გამოიწვია. მიუხედავად კაპიტალიზმის საგრძნობი განვითარებისა, ქართველი ბურჟუაზია 90-იან წლებში და მის შემდეგაც „წვრილ, ჯერ კიდევ მოუმაგრებელ კლასს წარმოადგენდა“. გ. წერეთელი უცხოური ბურჟუაზიის ბატონობისაგან, საქართველოს განთავისუფლების მისიას ქართველ ბურჟუაზიას აკისრებდა და, ცხადია, მისი პროგრამაც, რაკი იგი ამ „წვრილი, ჯერ კიდევ მოუმაგრებელი კლასის“ გაძლიერებისათვის იყო ნავარაუდევი, წვრილბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ფორმაში უნდა გამოწყობილიყო.

---

[1] „ქვალი“, № 12, 1895 წ.

საერთოდ, გ. წერეთელსა და მის პროგრამაზე შეიძლება იგივე ითქვას, რასაც მარქსი და ენგელსი ამბობდნენ გერმანიის დემოკრატიულ წვრილ ბურჟუებზე 1850 წელს. „კომუნისტების კავშირისადმი ცეკას მიმართვაში“ მარქსი და ენგელსი წერდნენ: „დემოკრატიულ წვრილ ბურჟუებს სრულიადაც არ სურთ, რასაკვირველია, მთელ საზოგადოებაში გადატრიალება მოახდინონ რევოლუციური პროლეტარების სასარგებლოდ. ისინი მიისწრაფიან საზოგადოებრივი წყობილების ისეთი ცვლილებისადმი, რომელიც მათთვის შეძლებისამებრ უფრო ასატანს და გამოსადეგს გახდის არსებულ საზოგადოებას. — ამიტომ ისინი მოითხოვენ, უწინარეს ყოვლისა სახელმწიფო ხარჯების შემცირებას ბიუროკრატიის შეზღუდვის გზით და მთავარი გადასახადების გადატანას მსხვილ მემამულეებსა და ბურჟუებზე. შემდეგ, ისინი მოითხოვენ წვრილ კაპიტალზე მსხვილი კაპიტალის წნევის მოსპობას სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებების შექმნისა და მევახშეობის წინააღმდეგ გამოცემული კანონების გზით, რის მეოხებით მათთვის და გლეხებისათვის შესაძლებელი გახდება სესხის მიღება არა კაპიტალისტებისაგან, არამედ სახელმწიფოსაგან, და ამასთან უფრო შეღავათიანი პირობებით. ისინი მოითხოვენ, შემდეგ, ბურჟუაზიულ საკუთრებით ურთიერთობათა შემოღებას სოფლად ფეოდალიზმის სრული მოსპობის გზით. ყველა ამის ცხოვრებაში გასატარებლად მათ ესაჭიროებათ დემოკრატიული სახელმწიფო წყობილება, — იქნება იგი კონსტიტუციური, თუ რესპუბლიკური, რომელიც მათ და მათ მოკავშირეებს — გლეხებს — მისცემდა უმრავლესობას, და დემოკრატიული თემური წყობილება, რომელიც მათ ხელში მისცემდა უშუალო კონტროლს სათემო საკუთრებაზე და მთელ რიგ ფუნქციებს, რომლებსაც ახლა ბიუროკრატები ასრულებენ. კაპიტალის ბატონობას და სწრაფ გადიდებას, მათი აზრით, წინააღმდეგობა უნდა გაეწიოს ნაწილობრივ მემკვიდრეობის უფლების შეზღუდვის გზით, ნაწილობრივაც სახელმწიფოსათვის, რაც შეიძლება მრავალრიცხოვან სამუშაოთა გადაცემით“ [1].

---

1 კ. მარქსი და ფრ. ენგელსი, რჩ. ნაწ., ტ. 1, გვ. 103.

ცხადია, რომ ამგვარ წვრილბურჟუაზიულ-დემოკრატიულ პროგრამაში არაფერი სოციალისტური არ არის. მიუხედავად ამისა, გერმანელი დემოკრატიული წვრილი ბურჟუები თავს „წითლებად" და „სოციალურ დემოკრატებად" თვლიდნენ, თუმცა მათ მიზანს, მარქსისა და ენგელსის სიტყვებით რომ ვთქვათ, მხოლოდ „მსხვილი კაპიტალის მიერ წვრილი კაპიტალის, მსხვილი ბურჟუაზიის მიერ, წვრილი ბურჟუაზიის ჩაგერის მოსპობა" შეადგენდა.

იგივე უნდა ითქვას გ. წერეთელზე. მას არასოდეს არ დაუყენებია და 90-იან წლებამდე არც შეეძლო დაეყენებინა საქართველოში კაპიტალიზმის რევოლუციური დამხობის საკითხი. იგი მოითხოვდა ქართველი წვრილი ბურჟუაზიის დაცვას უცხოური მსხვილი ბურჟუაზიისა და ადგილობრივი მემამულეებისაგან. მას სურდა, ისე გარდაქმნილიყო საზოგადოებრივი წყობილება, რომ იგი ასატანი გამხდარიყო წვრილი ბურჟუაზიისათვის. რაც შეეხება პროლეტარებს, მათთვის გ. წერეთელს არსებითად მხოლოდ ის სურდა, რომ მათ ჰქონოდათ უფრო უზრუნველყოფილი არსებობა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ საზოგადოებაში.

როგორც ვხედავთ, გ. წერეთლის შეხედულებებში პროლეტარული სოციალიზმის ნასახიც არ არის. მიუხედავად ამისა, იგი თავს ეროვნულ სოციალისტად, მარქსიზმის მომხრედ და „მესამედასელთა" თანამებრძოლად თვლიდა.

გ. წერეთლის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებებში რომ არაფერი მარქსისტული არ არის, არასოდეს არ ყოფილა და არც შეიძლებოდა ყოფილიყო, — ეს უეჭველია. ზემოთ ჩვენ ეცადეთ გვეჩვენებინა ისიც, რომ გ. წერეთლის ეროვნულ-სოციალისტური პროგრამის სოციალური შინაარსი არსებითად რადიკალური ბურჟუაზიული დემოკრატიის — წვრილი ბურჟუაზიის ინტერესებს გამოხატავდა. სწორედ ეს გარემოება — რადიკალური ბურჟუაზიული დემოკრატიის წარმომადგენლობა აძლევდა გ. წერეთელს საფუძველს, თავი „მესამედასელთა" წინამორბედად და თანამებრძოლად გამოეცხადებინა.

60 — 70-იანი წლების მოღვაწეთა ნაწილმა 80 90-იან წლებში ზომიერ-პროგრესულ, რადიკალურ-პროგრესულ და ნაროდნიკულ პარტიათა წარმომადგენლებმა — საბოლოოდ იწყეს ხელის აღება პოლიტიკურ რადიკალიზმზე, ზოგიერთი მათგანი კი აშკარა შოვინისტურ ბანაკში აღმოჩნდა. გ. წერეთელი ცდილობდა გამიჯნოდა თავადაზნაურულ-ბურჟუაზიული ინტელიგენციის აშკარა შოვინისტურ მიმდინარეობებს და პოლიტიკური რადიკალიზმის ძველი პოზიცია შეენარჩუნებინა. უწინარეს ყოვლისა, ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ 60 - - 70-იანი წლების ქართველ მოღვაწეთა უმრავლესობა გააფთრებით ეკვეთა „მესამედასელებს", ხოლო გ. წერეთელი აღფრთოვანებით მიეგება მათ გამოსვლას საზოგადოებრივს ასპარეზზე, როგორც „შესანიშნავს მოვლენას"; მან, „მესამედასელებთან" დაკავშირება აუცილებლად მიიჩნია ყველა იმისათვის, ვინც ქართველი ხალხის კეთილდღეობისათვის იღწვოდა. გ. წერეთელი, პირველი, თვითონ დაუკავშირდა ნოე ჟორდანიას ჯგუფს და მასთან ერთად იბრძოდა თავადაზნაურულ-ბურჟუაზიული ინტელიგენციის აშკარა შოვინისტურ მიმდინარეობათა წინააღმდეგ.

გ. წერეთელი თვლიდა, რომ მისი დაკავშირება ჟორდანიას ჯგუფთან „იდეების, პრინციპების" ერთიანობას ემყარებოდა. „არც ერთი მუხლი იმათი („მესამედასელების") პროგრამისა, — წერდა იგი, — არ ეწინააღმდეგებოდა იმ აზრებს, რომელიც გამოარკვია ბ-ნ წერეთელმა ნინოშვილის კუბოს წინაშე წარმოთქმულს სიტყვაში" [1].

თავის მხრივ, ნ. ჟორდანია და ზოგიერთი სხვა „მესამედასელიც" გ. წერეთელს „თავის კაცად" თვლიდა, ე. ი. აღიარებდა, რომ „მესამედასელთა" კავშირი გ. წერეთელთან შეხედულებათა გარკვეულ ერთიანობაზე იყო აღმოცენებული.

მაგრამ ნამდვილად რომელ შეხედულებათა ერთიანობაზეა ამ შემთხვევაში ლაპარაკი?

---

[1] იხ. მისი წერილი; „ეგნატე ინგოროყვას 'გასვენება'", „ქვალა", № 21, 1894 წ.

ზემოთ ნაჩვენები იყო, რომ, გ. წერეთლის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროგრამაში არასოდეს არაფერი მარქსისტული არ ყოფილა. მაშასადამე, თუ ჟორდანიას ჯგუფს გააჩნდა რაიმე მარქსისტული, ეს გ. წერეთელთან კავშირის საფუძვლად ვერ გამოდგებოდა. მაგრამ საქმე ისაა, რომ ჟორდანიას ჯგუფიც არ წარმოადგენდა რევოლუციურ-მარქსისტულ მიმდინარეობას.

6. ჟორდანიას ჯგუფი აღიარებდა საზოგადოების კლასებად დანაწილებას და კლასობრივი ბრძოლის იდეას, მაგრამ იგი არასოდეს არ მისულა კლასთა ბრძოლის მარქსისტულ გაგებამდე, რადგან უარყოფდა პროლეტარიატის დიქტატურის იდეას.

იგი აღიარებდა კაპიტალიზმის განვითარების აუცილებლობას და პროგრესულობას, მაგრამ უარყოფდა პროლეტარული რევოლუციის გზით კაპიტალიზმის დამხობის შესაძლებლობას.

ამრიგად, „მესამე დასის" ოპორტუნისტული, ლეგალურ-მარქსისტული მიმდინარეობა ამახინჯებდა მარქსიზმს და უგუებდა მას ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ინტერესებს.

ცხადია, ასეთი „მარქსიზმი" მისაღები იქნებოდა პროგრესული ბურჟუაზიის ყველა წარმომადგენლისათვის. კერძოდ, კაპიტალისტური განვითარებისა და ბურჟუაზიული ნაციონალიზმის ინტერესებისადმი შეგუებული „მარქსიზმის" მიღება არ გაუჭირდებოდა რადიკალურ-ბურჟუაზიული დემოკრატიის ისეთ თავისებურ წარმომადგენელსაც, როგორიც გ. წერეთელი იყო.

გ. წერეთელი აღიარებდა საზოგადოების კლასებად დანაწილებისა და კლასთა ბრძოლის არსებობას ყველა დროისა და ხალხის საზოგადოებრივ-პოლიტიკურს ცხოვრებაში, მაგრამ მას აქედან არასოდეს არ გამოუტანია პირდაპირი რევოლუციური დასკვნები. იგი ჩაგრული „მშრომელი წოდების" ბრძოლას უმორჩილებდა ჩაგრული ხალხის ეროვნული ბრძოლის ინტერესებს. აქედან გამომდინარეობს, რომ გ. წერეთელი, ისევე როგორც არც ერთი სხვა ბურჟუაზიული მოაზროვ-

ნე, არასოდეს არ მისულა კლასთა ბრძოლის მარქსისტულ გაგებამდე.

გ. წერეთელი სცნობდა კაპიტალიზმის პროგრესულობას და იცავდა საქართველოს კაპიტალისტური განვითარების აუცილებლობას, მაგრამ მას არასოდეს არ დაუყენებია კაპიტალიზმის რევოლუციური დამხობის საკითხი. მისი აზრით, კაპიტალიზმის განვითარებას უნდა შეექმნა პირობები საქართველოს ეკონომიური და პოლიტიკური გაძლიერებისათვის, რასაც თავის მხრივ, საქართველოს ეროვნული განთავისუფლების საქმე უნდა დაეჩქარებინა. ამასთან იგი არ იცნობდა პროლეტარიატს და არ ესმოდა მისი მსოფლიო-ისტორიული როლი ჩაგრულთა განთავისუფლების საქმეში. აქედან გამომდინარეობს, რომ გ. წერეთელი არასოდეს არ მისულა კაპიტალიზმის პროგრესულობის მარქსისტულ გაგებამდე.

გ. წერეთელი პრინციპულად წინააღმდეგი არ იყო რევოლუციისა, მაგრამ, როგორც ეს ამ ნაშრომიდან ჩანს და როგორც ჯერ კიდევ 1901 წელს აღუნიშნავს ერთ ინგლისურ გაზეთს, „ის (გ. წერეთელი) მხურვალე მომხრე იყო პროგრესის, რომელიც წარმოებს უფრო თანდათანი განვითარებით, ვინემ რევოლუციით“ [1]. აქედან, ცხადია, თუ გ. წერეთლის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროგრამაში რატომ იცვლებოდა წარამარა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ პოლიტიკური ბრძოლა კულტურულ-ეკონომიური „თვითმოქმედებით“.

მაგრამ ასეთ შეხედულებებს 90-იან წლებში ყველა ლიბერალურ-ბურჟუაზიული პროგრესისტი ემხრობოდა. „მესამედასელებს“ კი მხოლოდ გ. წერეთელი დაუკავშირდა. როგორც ვთქვით, ამის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ გ. წერეთელი 90-იან წლებშიც ცდილობდა, რადიკალურ-ბურჟუაზიულ დემოკრატად, წვრილი ბურჟუაზიის ინტერესების გამომხატველად დარჩენილიყო.

ჟორდანიას ოპორტუნისტული ჯგუფისა გ. წერეთელს განსაკუთრებით ის მოსწონდა, რომ იგი გამოდიოდა არა პროლეტარიატის, არამედ ქართველი ერის უმრავლესობის. ე. ი.

---

[1] „ქვალი“, № 17, 1900 წ.

წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის სახელით. გ. წერეთლის აზრით, 90-იანი წლების საქართველოში არსებული ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობა (ზომიერ-პროგრესული, რადიკალურ-პროგრესული, ნაროდნიკული) „ცალკერძ“ მიმდინარეობას წარმოადგენდა. იგი „მესამე-დასელთა“ დიდ დამსახურებად სწორედ იმას თვლის, რომ ისინი ბრძოლას უცხადებენ ყველა „ცალკერძ“ პოლიტიკურ მიმდინარეობას, „მზად არიან ძაძით-შემოსილნი ემსახურონ ხალხს და ეცადონ მის გამოფხიზლებას“ [1]. „კვალი“, — დასძენდა გ. წერეთელი, — დიდი აღტაცებით მიეგება „მესამე დასს“, რომელმაც უარყო წოდებათა განკერძოებაო.

მკვლევარნი მიუთითებენ, რომ ჟორდანიას ჯგუფისათვის „ხალხს“ შეადგენდა — წვრილი ვაჭრები, წვრილი აზნაურები, მრეწველები, ხელოსნები, მოხელეები, ინტელიგენცია, მესაკუთრე-გლეხები, პროლეტარული ელემენტები, — ე. ი. უმთავრესად ქალაქისა და სოფლის წვრილბურჟუაზიული ფენები, რომლებსაც გ. წერეთელი „მშრომელ წოდებას“ უწოდებდა და რომელთა ინტერესების დამცველად იგი თავს უკვე 70-იანი წლებიდან თვლიდა. ნ. ჟორდანია გ. წერეთელს 90-იან წლებშიც ამ „მშრომელი წოდების“ დამცველად თვლიდა; თავის მხრივ, გ. წერეთელიც ჟორდანიას და მის ჯგუფს ერის მშრომელი უმრავლესობის წარმომადგენლად ასაღებდა; — აი, რა „საფუძველზე“ დაუკავშირდნენ ისინი ერთმანეთს!

1894 წელს გ. წერეთელი წერდა: „არავისთვის ახალი ამბავი არ არის, რომ ერის კეთილმდგომარეობა ამ მშრომელ, დაბალ წოდებაზეა დამყარებული: ის ასაზრდოებს მთელი ერის ტანს და თუ ის დაჭიანებულია, მაშინ მთელი ერის სიცოცხლეც საშიშარს მდგომარეობაშია ჩავარდნილი. ნინოშვილმა ცხადად გვაჩვენა, რომ თუ გვინდა ჩვენი ერი შევიკავოთო გადაგვარებისაგან, აი, ამ წოდებას უნდა ვუშველოთო, ავამაღლოთ ის ზნეობრივად და გონებრივად, ავაშოროთ მას „მოსე მწერლისთანა“ და „ტარიელისთანა“ კაცებიო

---

[1] „კვალი“, № 21, 1894 წ.

ამ სახით მან გაუკვალა ჭეშმარიტი გზა მესამე დასს ახალ-თაობისას ხალხში მოქმედებისათვის“ [1].

ამ ამონაწერიდან ნათლად ჩანს, რომ გ. წერეთელი უფრო თავის შეხედულებებს გადმოსცემს, ვიდრე ნინოშვილისას. მსხვილი სავაჭრო და სავახშო კაპიტალისა და მსხვილი მიწათ-მფლობელებისაგან წვრილი ბურჟუაზიის დაცვა ამ უკანასკნელის ეკონომიური გაძლიერებისა და კულტურულ-პოლიტიკური გათვითცნობიერების საშუალებით და ამ საფუძველზე ქართველი ხალხის განთავისუფლება ეროვნული და „კლასობრივი“ ჩაგვრისაგან, — აი, ის „ჭეშმარიტი გზა“, რომელიც გ. წერეთელმა ჯერ კიდევ 70-იანი წლების დასაწყისში „აღმოაჩინა“ და 90-იან წლებში ჟორდანიას ჯგუფს შესთავაზა, როგორც „საერთო მოქმედების“ საფუძველი. ნ. ჟორდანიამ და ზოგიერთმა სხვა „მესამედასელმაც“, რომლებიც თავს მთელი ქართველი ხალხის წარმომადგენლად ასაღებდნენ, მიიღო გ. წერეთლის წინადადება. სწორედ ამიტომ აცხადებდა გ. წერეთელი ქართველი ერის უმრავლესობის, „მშრომელი წოდების“ ინტერესების გამომხატველად. ერთი მხრივ, „ბ-ნ წერეთელს“ და, მეორე მხრივ, „მესამედასელ“ ოპორტუნისტებს. თავის მხრივ, ჟორდანია და მისი ჯგუფის ზოგიერთი სხვა წარმომადგენელიც ვალში არ რჩებოდა გ. წერეთელს და მას ქართველი ხალხის „მოხუც ექიმად“ აცხადებდა. ნანეიშვილის (ნალის) გაოცებაზე იმის გამო, რომ გ. წერეთელი „ბებერი ახალგაზრდა“ გახდა, ე. ი. „მესამედასელებს“ მიემხრო, — ერთი მესამედასელი უპასუხებდა: „დიალ, ეს ძლიერ უკვირს ბ-ნ ნა-ლს, მაგრამ ვარწმუნებთ, რომ აქ საკვირველი არაფერია: „მესამე დასს“ დაუნახავს თუ არა, რომ ჩვენი „ძველი მოღვაწეები“... პირს არიდებს ხალხს (ჩვენ აქ „ხალხს“ განურჩევლათ წოდებისა ვხმარობთ) და რაღაც წოდებრივ ინტერესებს იფარავს, უარი უყვია ძველი მოღვაწეების ასეთი მოქმედება და რაზმად დაწყობილა, რომ ხალხში შეიტანოს განათლება, ხალხს გვერდით უდგეს ჭირსა და ლხინში, უექიმოს, წამოაყენოს; მაგრამ ამ დროს ამ სნეუ-

---

[1] „კვალი“, № 21, 1894 წ.

ლის სარეცელთან დაუნახავს მოხუცი ექიმი, რომელიც მამა-შვილურის მზრუნველობით უვლის, ულოლიავებს სნეულს.. რა თქმა უნდა, ასეთი გარემოება „მესამე დასსაც" ესიამოვნებოდა და ძმურს ხელს მიცემდა ასეთ ექიმს და მისთვის სულერთი იყო, გიორგი იქნებოდა ის, თუ თვითონ ნა-ლი. აქ აზრების შეთანხმებაში გახლავთ საქმე და არა წლოვანებაში" [1].

გ. წერეთელთან „აზრების შეთანხმებაზე" გარკვევით მიუთითებდა ნ. ჟორდანიაც. იგი არც სტყუოდა. ამის საბუთია, თუნდაც, ის ფაქტი, რომ ჟორდანია და გ. წერეთელი ეთანხმებოდნენ და, საჭიროების შემთხვევაში, თავგამოდებით იცავდნენ ერთმანეთს (მაგალითად, ქუთაისის ბანკის საკითხში, „ივერიის" მწერლების წინააღმდეგ ბრძოლაში და სხვა). მაგრამ არსებობს სხვა საბუთებიც, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ჟორდანია გ. წერეთელს თავის თანამებრძოლად და თანამოაზრედ თვლიდა.

ჟორდანიას თქმით, „მესამედასელებს" გ. წერეთელთან „ეროვნული პრინციპის შინაარსი აკავშირებდა".

ამიტომ თვლიდა ნოე ჟორდანია გ. წერეთელს თავის თანამოაზრედ. ამის შემდეგ რა გასაკვირია, თუ იგი უკრიტიკოდ ღებულობდა გ. წერეთლის ბურჟუაზიულ შეხედულებას ქართველი ერის გაძლიერებისათვის ყოველგვარი საშუალების გამოყენების მიზანშეწონილობაზე.

გ. წერეთლისა და ნ. ჟორდანიას „აზრთა შეთანხმება" შემთხვევითი ხასიათის როდი იყო. როგორც ვიცით, გ. წერეთლის (და საერთოდ ქართული განმანათლებლობის) პოლიტიკური მსოფლმხედველობის ძირითადი პრინციპები პატრიოტიზმი, დემოკრატიზმი და „სოციალიზმია". დამოუკიდებელი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული საქართველო,—აი, ამ პრინციპების არსებითი შინაარსი. ცნობილია, რომ ჟორდანიას ოპორტუნისტული ჯგუფი ვერასოდეს ვერ გასცდა ამ მოთხოვნას. 1910 წელს ჟორდანია თვითონვე აღიარებდა, რომ მისი ჯგუფის დროშაზე ეწერა: „ბრძოლა კულტურისათვის...

---

[1] „ქვალი", № 48, 1894 წ.

დემოკრატიისათვის... სოციალ-დემოკრატიისათვის", ე. ი. იგივე დამოუკიდებელი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული საქართველოს მოთხოვნა, მაგრამ იმ არსებითი განსხვავებით, რომ ეს მოთხოვნა ბატონყმობისა და მისი ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლის ეპოქაში (მე-19 საუკუნის 60 — 70 წლებში) რევოლუციური იყო, ხოლო კაპიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეპოქაში — რეფორმისტული. ნ. ჟორდანიას არასოდეს არ ესმოდა მარქსისტული დიალექტიკა. სწორედ ამიტომ იგი 90-იან წლებში ტყვედ უვარდებოდა 60 — 70-იანი წლების განმანათლებელს — გ. წერეთელს.

ტყუილად როდი უარყოფდა ნ. ჟორდანია გავრცელებულ შეხედულებას, თითქოს გ. წერეთელმა „თავისი საეკონომიო აზრები მხოლოდ სულ ბოლო წლებში შეითვისა და ისიც ახალგაზრდათა გავლენითო". ამ აზრს იგი „ყოველივე სიმართლეს მოკლებულად" აცხადებდა; მას საბუთად გამოჰქონდა გ. წერეთლის მოთხრობა „ღვთისწყალობა", რომელშიც, როგორც ვთქვით, გაიდეალებული ბურჟუაზიულ-დემოკრატიული საზოგადოების უტოპიური სურათია დახატული. იქნებ, ამით ჟორდანიას იმის თქმა სურდა, რომ გ. წერეთელი 60—70-იანი წლების ქართული განმანათლებლობის ერთ-ერთი წარმომადგენელი — თვითონვე ახდენდა გავლენას ლეგალურ-მარქსისტულ „ახალგაზრდებზე", მაგრამ, როგორც ჩანს, ამის პირდაპირ აღიარებას ჟორდანია გაურბოდა: ალბათ, რცხვენოდა ახლებურად განათლებულ „მარქსისტს" ძველი განმანათლებლის მოწაფეობა.

მაგრამ ფაქტები ამტკიცებენ, რომ „ძველი პროგრესული დასის განმგრძობი" — ჟორდანია, რომელიც მარქსისტულ სამოსელში ეხვეოდა, არა მარტო მთელ რიგ ძირითად საკითხებში ეთანხმებოდა ქართველ განმანათლებლებს, კერძოდ, გ. წერეთელს [1], არამედ ზოგჯერ პირდაპირ იწერდა მათგან,

---

[1] ალ. წულუკიძის შეკითხვა გ. წერეთლისადმი, რომელიც ზემოთ იყო მოტანილი, ჟორდანიასაც საკუთარი ეხებოდა. ჟორდანიამ საჯაროდ განაცხადა, რომ საკუთარი იზიარებდა გ. წერეთლის იმ შეხედულებებს, რომლებსაც წულუკიძე აკრიტიკებდა.

კერძოდ, გ. წერეთლისაგან[1]. სამართლიანად წერდა მიხა ცხაკაია: ჟორდანიას შეხედულებანი, გ. წერეთლის „შორს-მჭვრეტელობით, სრულებით არ იქნებოდა შეურიგებელი, არა ოპორტუნისტული, ჭეშმარიტი რეეოლუციონური მარქსისტული მოძღვრება, არამედ უფრო მეტად ნაციონალ-დემოკრატიული... აქ ნ. ჟორდანიამ, როგორც ჩვენი (მარქსისტული) მოძრაობის მომხრემ, კი არ გაიმარჯვა ნაციონალ-დემოკრატზე. გ. წერეთელზე, არამედ ამ უკანასკნელმა მასზე, ე. ი. ნ. ჟორდანიაზე".

მაშასადამე, გ. წერეთელს ჰქონდა ერთგვარი საფუძველი, ქართველი ლეგალური მარქსისტები თავის პოლიტიკურ მემკვიდრეებად ჩაეთვალა. 1897 წელს გ. წერეთელი იგონებდა, რომ მან (გ. წერეთელმა) პირველმა მიუთითა „კაპიტალისტური წარმოების" დროს ვაჭრობის გზით წვრილი ბურჟუაზიის გაძლიერებაზე, როგორც ფეოდალური წოდების დასუსტებისა და უცხოური ბურჟუაზიის განდევნის ძირითად საშუალებაზე. „ამის შემდეგ, — განაგრძობს გ. წერეთელი, — რა გასაკვირია, რომ იმავე მეორე დასის... წარმომადგენელმა (ე. ი. გ. წერეთელმა. მ. გ.) პირველათ აიღო ალღო სალიტერატურო ასპარეზზე მესამე დასის მოვლენისა: არც ის არის გასაკვირი, რომ მეორე დასის წარმომადგენელმა თავის ნამდვილ მემკვიდრეს — მესამე დასის წარმომადგენლებს — გადუშალოს ვრცლად თავის ორგანოს ფურცლები... ბ. კიტა აბაშიძეს რომ კარგად ჰქონოდა შესწავლილი წარსული მოძრაობა ჩვენი ლიტერატურისა, უეჭველად უფრო სამართლიანად გამოთქვამდა თავის აზრს. ის იმას კი არ იტყოდა, რომ „გ. წერეთელი მესამე დასელებმა მოარჯულესო", არამედ გ. წერეთელი, როგორც წარმომადგენელი მეორე და-

[1] მაგალითად: „ცვალის" № 1-ში, 1901 წელს, ჟორდანია წერდა: „ერთი სიტყვით, ჩვენი ერის დაბალი ნაწილების თანდათანი გაცნობიერება და მით ამათი (ე. ი. მრეწველის, მუშის და სხვა) ამაღლება, მისი ბადალი ნაწილების გავლენის მოკლება და, მესამეთ, ინტელიგენციის უჯარო სარდლობა და მით მისი უფერულობა, — აი, რაც გვიჩვენებს გასული წელი". ეს დასკვნა თითქმის გადმოწერილია გ. წერეთლის სტატიიდან „ამ დროის მოძრაობა".

სის კულტურული თაობისა, მოელოდა მესამე დასს და კი-
დეც მოუვიდაო“ [1].

მაგრამ, გ. წერეთლისა და ქართველი ლეგალური მარქსის-
ტების შეხედულებებს შორის საგრძნობი განსხვავებაც იყო.
ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს მათ თეორიულ შეხედულე-
ბებში. ცხადია, არც მათი პოლიტიკური შეხედულებანი იყო
სავსებით ერთნაირი.

ზოგიერთი „მესამედასელი“ (მაგ. ნინოშვილი, ჯიბლაძე
და სხვები) ასე თუ ისე ცდილობდა გამიჯნოდა გ. წერეთელს.
ამას გარდა, გ. წერეთელის პრაქტიკულ-პოლიტიკური პროგ-
რამა 90-იან წლებში უფრო ნათლად გამოხატავდა ლტოლვას
ლიბერალური ბურჟუაზიისაკენ. ამასვე ვერ ვიტყვით მესამე
დასელებზე, თუმცა გ. წერეთლის მოწოდებას ეროვ-
ნული ბურჟუაზიის გაძლიერებისაკენ ნ. ჟორდანია უბ-
რალო „შრომის დაყოფად“ თვლიდა და არა „მესამედასე-
ლებსა“ და გ. წერეთელს შორის არსებულ „აზრთა წინააღ-
მდეგობად“. ჟორდანიასგან გ. წერეთელს ყველაზე მეტად
ეროვნული-პოლიტიკური შეხედულებანი აშორებდა. ჟორდა-
ნია თავიდანვე ანტისომხურ პოზიციაზე იდგა, გ. წერეთელი
კი, როგორც ვიცით, ქართველთა და სომეხთა მეგობრობას
ორივე ხალხის ბედნიერების ძირითად პირობად თვლიდა.

ამრიგად, გ. წერეთელი „მესამედასელი“ არ ყოფილა. მან
მხოლოდ პოლიტიკური კავშირი შეკრა ჟორდანიას ჯგუფთან.
ეს კავშირი პოლიტიკურ პროგრამათა გარკვეული მსგავსების
ნიადაგზე აღმოცენდა. სოციალურად გ. წერეთლის კავშირი
„მესამედასელებთან“ გამოხატავდა „წვრილი, ჯერ კიდევ
მოუმაგრებელი ქართველი ბურჟუაზიის“ რადიკალურ-დემო-
კრატიული წარმომადგენლის შეთანხმებას პროლეტარული
ელფერის წვრილბურჟუაზიულ-დემოკრატიულ მიმდინარეო-
ბასთან.

გ. წერეთლის კავშირს ჟორდანიას ჯგუფთან ერთგვარი
დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა მარქსიზმის გავრცელები-

---

[1]. გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, კიტა აბაშიძე და ჩვენი ახალგაზრდობა, „კვალი“,
№ 46, 1897 წ.

სათვის საქართველოში: გაზეთი „კვალი“, რომელიც გ. წერეთელმა დაარსა და 1897 წლამდე მისივე რედაქტორობით გამოდიოდა, არსებითად უკვე 1894 წლიდან ქართველ ლეგალურ მარქსისტთა თავშესაფარი გახდა. ესეც არ იყოს, გ. წერეთლის გადასვლა „მესამედასელთა“ მხარეზე და მისი ბრძოლა თავადაზნაურულ-ბურჟუაზიული ინტელიგენციის აშკარა შოვინისტურ მიმდინარეობათა წინააღმდეგ ნათლად მოწმობდა „ძველი თაობის“ მოღვაწეთა დაშლას და დაძაბუნებას, რაც რეაქციულ იდეებთან მებრძოლ, რევოლუციურად განწყობილ ახალგაზრდობას ერთგვარ მხნეობას მატებდა.

ერთი სიტყვით, გ. წერეთლის მოღვაწეობის დადებითი მნიშვნელობა 90-იან წლებში იმაში გამოიხატა, რომ იგი არ დადგა აშკარა რეაქციულ-შოვინისტურ პოზიციაზე და შეძლებისდაგვარად ხელს უწყობდა პროგრესულ ძალებს რეაქციული ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამდენად მის პოლიტიკურ კავშირს „მესამედასელებთან“ გარკვეული მნიშვნელობა აქვს მისი ბიოგრაფიისთვისაც: სიქაბუკიდან (1861 წ.) სიკვდილამდე (1900 წ.) გ. წერეთელი დაუცხრომლად ილტეოდა პროგრესული ძალებისაკენ.

მაგრამ ახალ საზოგადოებრივ ვითარებაში გ. წერეთელმა, ისევე როგორც ვერცერთმა ქართველმა განმანათლებელმა, ვერ შეძლო შეხედულებათა რადიკალური შეცვლა კლასობრივი ბრძოლის ახალი პირობების შესაბამისად. მისი პოლიტიკური პროგრამა 90-იან წლებში მხოლოდ იმდენად იყო პროგრესული, რამდენადაც მისი განხორციელება გაწმენდდა არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობას ფეოდალიზმის ნაშთებისაგან და ამით პროლეტარიატს გაუადვილებდა ბრძოლას თვითმპყრობელურ-კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგ. მაგრამ ეს პროგრამა რეაქციულიც იყო, რამდენადაც იგი სოციალისტური ფრაზებით ინიღბებოდა და ხალხის „დასაცავად“ შეურიგებელის შერიგებას ცდილობდა. სწორედ ამ რეაქციულობისათვის ამხილა გ. წერეთელი რევოლუციურმა მარქსისტმა — ალ. წულუკიძემ. და ეს გასაგებიცაა: რუსეთსა და საქართველოში 90-იანი წლებიდან ხალ-

ხის ინტერესების ნამდვილი დამცველები პროლეტარულ-რევოლუციური მარქსისტები — ლენინელები იყვნენ.

აქედან გამომდინარეობს, რომ გ. წერეთლის გადახრაზე მარქსიზმისაკენ ლაპარაკიც არ ღირს. ქართველი ლეგალური მარქსისტები თვითონ იხრებოდნენ გ. წერეთლისაკენ, რამდენადაც ისინი კმაყოფილდებოდნენ განმანათლებლური მემკვიდრეობის გულუბრყვილო დემოკრატიზმით. „მესამედასელების“ პოლიტიკური კავშირი 60 — 70-იანი წლების განმანათლებელთან აღმოცენდა წვრილბურჟუაზიული კლასობრივი შინაარსის ეროვნული დემოკრატიზმის ნიადაგზე და არა პროლეტარულ-მარქსისტული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ჟორდანიას ჯგუფმა უბრალოდ შესცვალა და გააგრძელა წინათაობათა საქმე ახალ საზოგადოებრივ პირობებში, რადგან მან მთელი თავისი ნაკლოვანებანი შეითვისა და შეისისხლხორცა ქართული განმანათლებლობის ეროვნული, დემოკრატიული და „სოციალისტური“ იდეები. ე. ი. ვერ შესძლო ამ იდეების კრიტიკულ-რევოლუციური ათვისება, ვერ მოახდინა რევოლუციური გადატრიალება ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურს აზროვნებაში.

„მესამე დასის“ შიგნით 1898 წელს ჩაისახა და ჩამოყალიბდა რევოლუციური მარქსისტული ჯგუფი — ალექსანდრე წულუკიძე, ლადო კეცხოველი, იოსებ სტალინი. ეს იყო „მესამე დასის“ რევოლუციურ-მარქსისტული ინტერნაციონალისტური ფრთა, რომელიც მტკიცედ იბრძოდა „მესამე დასის“ ოპორტუნისტული ფრთის წინააღმდეგ ლენინური „ისკრის“ პრინციპებისათვის.

ქართველი პროლეტარების, ქართველი მშრომელი ხალხის ბრძოლა კლასობრივი და ეროვნული განთავისუფლებისათვის „მესამე დასის“ რევოლუციურ-მარქსისტულმა ჯგუფმა დაუკავშირა რუსეთის პროლეტარიატის ბრძოლას თვითმპყრობელურ-კაპიტალისტური წყობილების დასამხობად. მარქსიზმ-ლენინიზმის აშკარა და ფარულ მტრებთან, მათ შორის წვრილბურჟუაზიულ რევოლუციურობასთან, შეურიგებელ ბრძოლაში ქართველმა რევოლუციურმა მარქსისტებმა დასა-

ხეს და დაასაბუთეს ქართველი პროლეტარიატის და ყველა მშრომელის განთავისუფლების მეცნიერული გზები და რევოლუციური საშუალებანი. ამით მათ უდიდესი რევოლუციური გადატრიალება მოახდინეს ქართულს საზოგადოებრივ-პოლიტიკურს აზროვნებაში. ამიტომ სწორედ ისინი არიან ნამდვილი მემკვიდრენი განმანათლებლობის ჯანსაღი, რევოლუციური ტრადიციებისა.

გ. წერეთელს არ ესმოდა რევოლუციური მარქსიზმი, ამიტომ იგი არც ქართველი რევოლუციური მარქსისტების შეხედულებებს იზიარებდა.

მაგრამ ობიექტურად, სხვა ქართველ განმანათლებლებთან ერთად, გ. წერეთელმაც თავისი წვლილი შეიტანა ჩვენში რევოლუციური ახალგაზრდობის აღზრდისა და რევოლუციური მარქსიზმის აღმოცენება — დამკვიდრებისათვის გზის გაწმენდის, იდეურ-პოლიტიკური ნიადაგის მომზადების საქმეში. განმანათლებლების ბრძოლას ხალხის განთავისუფლებისათვის, ბრძოლას თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ 60 — 70-იან წლებში პირდაპირი შედეგები არ მოჰყოლია. მაგრამ ამ ბრძოლამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ხალხის გამოღვიძების,-მისი კლასობრივი და ეროვნული თვითშეგნების შემუშავების, მომავალი ბრძოლებისათვის მისი მომზადების საქმეში.

„თავის თავის შეცნობა", „ბრძოლისათვის მზადება ყოველ ცხოვრების უწესოების წინააღმდეგ", პროგრესულ ძალებთან დაკავშირება ხალხის გასათავისუფლებლად ეროვნული და კლასობრივი ჩაგვრისაგან, — ამ მიზანს ემსახურებოდა გ. წერეთელი მთელი ორმოცი წლის მანძილზე.

თავი მეოთხე

გიორგი ნერეთლის ფილოსოფიური შეხედულებანი

გამოჩენილი ქართველი პატრიოტი და დემოკრატი გიორგი წერეთელი თავის დროის მოწინავე მოაზროვნეც იყო. მისი ფილოსოფიური ნააზრევი განუყრელ კავშირშია მისსავე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებებთან.

მაგრამ შეიძლება თუ არა ლაპარაკი დამოუკიდებელი ფილოსოფიური აზრის არსებობაზე საქართველოში მე-19 საუკუნის 60 — 70-იან წლებში? ამ კითხვაზე ქართული ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია საბოლოო ანგარიშით უარყოფითად უპასუხებდა. მაგალითად, ა. ჯორჯაძე წერდა, რომ ქართველი განმანათლებლები კი არ მსჯელობდნენ, არამედ მხოლოდ საქართველოს გარეთ შემუშავებულ ფორმულებს იზეპირებდნენ; რომ „ჩვენში არავითარი თეორიული ტრადიციები არ არსებობდა და ამიტომ ახალი აზრების შეთვისებაც დოგმატური უნდა ყოფილიყო“; რომ „აზრის სამეფოში ჩვენ აქ არავითარ ორიგინალობას არ ვხედავთ“; რომ ქართველი განმანათლებლების ნააზრევი ფილოსოფია და მეცნიერება კი არ არის, არამედ „მომენტის შესაფერი პუბლიცისტიკა“ და „პრაქტიკული მოქმედების ლოზუნგია“ [1].

რა თქმა უნდა, ქართველი განმანათლებლები, უწინარეს ყოვლისა, მწერლები და პოლიტიკოსები იყვნენ და არა ფი-

---

[1] ა. ჯ ო რ ჯ ა ძ ე. თხზ., წ. 5 1914 წ., გვ. 105 — 110.

ლოსოფოსები, მაგრამ აქედან იმ დასკვნის გამოტანა, თითქოს მათი ლიტერატურული და პოლიტიკური შეხედულებანი მოკლებულნი იყვნენ ფილოსოფიურ საფუძვლებს, რომ მათ დროს საქართველოში დამოუკიდებელი ფილოსოფიური აზრი არ არსებობდა, — დიდი შეცდომაა. ამ შეცდომის წყაროა სრული გაუგებრობა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული მოწინავე ფილოსოფიური აზრის თავისებურებებისა, რომლებიც, ჩვენი აზრით, სამი ყველაზე ძირითადი ნიშნით მაინც უნდა დახასიათდეს.

ჯერ-ერთი, მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული მოწინავე ფილოსოფიური აზრის დამახასიათებელია ის, რომ იგი არ იფარგლებოდა საკუთრივ ფილოსოფიის წმინდა — თეორიული სფეროთი და უმთავრესად ვითარდებოდა პრაქტიკულ ცხოვრებასთან უფრო ახლოს მყოფი ხელოვნების თეორიისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერული ცოდნის სახით.

მეორეც, მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული მოწინავე ფილოსოფიური აზრის დამახასიათებელია ის, რომ მისი შესწავლის საგანი იყო არა განყენებული, ცხოვრებას მოწყვეტილი აბსოლუტური იდეა და „იდეალური" მოვლენები, არამედ ბუნებისა და საზოგადოების რეალური ცხოვრება.

დაბოლოს, მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული მოწინავე ფილოსოფიური აზრის დამახასიათებელია, ის, რომ იგი ნავარაუდევი იყო მშრომელთა ფართო მასების, განათლებას მოკლებული „მდაბიო ხალხის" ინტერესების დასაცავად

ეს თავისებურებანი და ხასიათი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული მოწინავე ფილოსოფიური აზრისა განპირობებული იყო იმით, რომ იგი იქმნებოდა და ვითარდებოდა ცარიზმისა და ბატონყმობის წინააღმდეგ ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ვითარებაში. მაშინდელი ქართული მოწინავე ფილოსოფიური აზრი ცდილობდა დაკავშირებოდა ხალხის ცხოვრებასა და ბრძოლას, შეეიარაღებინა ხალხის მასები ბუნებისა და საზოგადოების

პრაქტიკული გარდაქმნის ცოდნით. ამიტომაც გმობდნენ ქართველი განმანათლებლები იდეალისტური ფილოსოფიის განყენებულ, ბუნდოვან მსჯელობას ყოფიერების ზოგად საწყისებზე. ამიტომაც ვერ ვსცდებით მათ ნაწერებში სრული ფილოსოფიურ ტერმინოლოგიასაც კი, თავი რომ დავანებოთ ისტორიულად ცნობილი ყველა ფილოსოფიური საკითხის დაყენებას და გადაწყვეტას. მაგრამ ამ საფუძველზე მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში თავისთავადი ფილოსოფიური აზრის არსებობის უარყოფა, რაც სავსებით დაძლეული დღესაც არ არის ქართული საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზრის ისტორიის შეუსწავლელობის გამო, — უნდა ჩაითვალოს სიყალბედ, რომლის წყაროა არა მარტო ქართველი განმანათლებლების ფილოსოფიური აზრის თავისებურებათა ზემოაღნიშნული გაუგებრობა, არამედ მაშინდელი საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების პირობების უცოდინარობაც. ისტორიის გაყალბებაა იმის მტკიცებაც, თითქოს საქართველოში არავითარი თეორიული (ფილოსოფიური) ტრადიციები არ არსებობდა. მართალია, ჩვენ, სამწუხაროდ, ახლაც ცოტა ვიცით ქართული ფილოსოფიის ისტორიული განვითარების შესახებ, მაგრამ ისიც, რაც ვიცით, ცხადყოფს, რომ ფილოსოფიას ქართველი ხალხის კულტურის ისტორიაში ყოველთვის საპატიო ადგილი სჭერია, ხოლო ზოგჯერ მისი კეთილისმყოფელი გავლენა საქართველოს ფარგლებსაც კი გასცილებია. ამაზე მიუთითებს, მაგალითად, რუსული საზოგადოებრივი აზრის ცნობილი მკვლევარი ო. ვ. ტრახტენბერგი, რომელიც წერს: „მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ მოსკოვიდან ძველთაგანვე მიდიოდნენ (დამაკავშირებელი) ძაფები საქართველოსა და სომხეთში. ამ ფაქტის ხვედრითი წონის განსაზღვრისას არ უნდა დავივიწყოთ, რომ იქ, ამიერკავკასიაში, ფაქიზად ინახებოდა და ინერგებოდა ანტიური განათლების თესლი. კერძოდ, უნდა გვახსოვდეს XI — XIII საუკუნეების ქართული ფილოსოფიისა და ლიტერატურის უდიდესი აღმავლობა, რომელიც დაკავშირებულია იოანე პეტრიწის

სახელთან და განსაკუთრებით შოთა რუსთაველის გენიასთან" [1].

აღარაფერს ვამბობთ 60-იანი წლების ქართველი განმანათლებლების უფრო ახლობელ წინამორბედებზე, რომლებზედაც ამ შრომის პირველ თავში გვქონდა ლაპარაკი და რომელთა ლიტერატურულ-ფილოსოფიური აზრის სახელოვანი ტრადიციები აითვისეს და თავისი დროის ახალი პირობების მიხედვით განავითარეს ქართველმა სამოციანელებმა.

ასეთია ზოგიერთი ზოგადი მოსაზრება, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ფილოსოფიური აზრის შესწავლის დროს, ამ ზოგად მოსაზრებათა ფართო დასაბუთება მოითხოვს 60-იანი წლების ქართველი მოაზროვნეების (ი. ჭავჭავაძის, ნ. ნიკოლაძის, ი. გოგებაშვილის და სხვების) ფილოსოფიურ შეხედულებათა მეცნიერულ ანალიზს. ჩვენი მიზანი კი ამ შემთხვევაში მხოლოდ ის არის, რომ ვაჩვენოთ ზემოხსენებულ მოსაზრებათა სისწორე გასული საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ერთ-ერთი გამოჩენილი მოაზროვნის გ. წერეთლის ფილოსოფიურ შეხედულებათა ანალიზის საფუძველზე. ამისათვის კი აუცილებელია, უწინარეს ყოვლისა, გ. წერეთლის, ფილოსოფიური ნააზრევის სისტემატური დალაგება (მით უფრო, რომ ასეთი დალაგება სრული სახით მოცემული არ ყოფილა არც თვითონ გ. წერეთლის და არც მის მკვლევართა მიერ) და შემდეგ აგრეთვე მისი შინაარსის შეფასება. ამ ამოცანის გადაჭრა დაწყებული უნდა იქნას გ. წერეთლის შეხედულებათა განხილვით ფილოსოფიის რაობისა და საგნის შესახებ.

ქართველი განმანათლებლებიდან გ. წერეთელი ყველაზე მტრულად იყო განწყობილი ბუნდოვანი, ცხოვრებას მოწყვეტილი ფილოსოფიური თეორიებისა და სქემებისადმი. იგი თვლიდა, რომ ფილოსოფიის ანუ, როგორც თვითონ ამბობს, „ნამდვილი სწავლის" საგანი უნდა იყოს არა განყენებული წმინდა იდეების შესწავლა, არამედ რეალური ცხოვრების,

---

1 იხ. Из истории русской философии, стр. 73.

ბუნებისა და საზოგადოების მეცნიერული გამოკვლევა. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ წინააღმდეგ იმ მოაზროვნეებისა, რომლებიც ხელოვნების ნაწარმოებში, მაგალითად, ბარათაშვილის პოეზიაში ამქვეყნიური ცხოვრებით აუხსნელ „ირაციონალურ მოტივებს“ ხედავდნენ, გ. წერეთელი ხელოვნების ნაწარმოების, კერძოდ, ბარათაშვილის პოეზიის ღირსებას იმის მიხედვით აფასებდა, თუ რამდენად უწყობდა იგი ხელს მეცნიერების დამკვიდრებას და ცხოვრების გაუმჯობესებას. „იმისი სიცოცხლე, — წერდა იგი ბარათაშვილზე, — ამ ცხოვრების გაუმჯობესებისათვის ყოფილა შეწირული. ის ნამდვილის სწავლის გულისთვის სდევნის უწყალოთ... გულდამპალ და უნაყოფო მეცნიერებას... ის ეძებს ჭეშმარიტს სწავლას და სდევნის ტიკსავით გაბერილს ფილოსოფოსებს. რათ ღირს ერთი იმისი მოსწრებული დაცინება ჩვენი პლატონ ფილოსოფოსისაო“ [1].

მაგრამ რას გულისხმობს გ. წერეთელი „ჭეშმარიტს სწავლაში“? ამ კითხვაზე გ. წერეთელმა პასუხი გასცა წერილში „მოლეშოტი“. ამ წერილიდან ჩანს, რომ გ. წერეთელი „ჭეშმარიტ სწავლად“ არ თვლიდა და მტრულად ეკიდებოდა იდეალისტურ ფილოსოფიას, კერძოდ, პლატონის ფილოსოფიას, რომლის „მასალად იყო უკვდავი სული, ცხოვრება და საქმე, რომელთა ურთიერთშორისი დამოკიდებულების განხილვა და გამოძიება შეადგენდა მთელს ქრისტიანულის ფილოსოფიის შინაარსს“[2]. ამავე წერილიდან ჩანს, რომ გ. წერეთელი „ჭეშმარიტ სწავლად“ თვლიდა და ემხრობოდა ფოიერბახის, ბიუხნერის, ფოხტის და სხვების მატერიალისტურ ფილოსოფიას ან, როგორც იგი ამბობს, „ახალი ფილოსოფიისა და ანტროპოლოგიის მეცნიერებას“. გ. წერეთლის აზრით, ამ ახალი ფილოსოფიის საგანი იყო შესწავლა მუდმივად არსებული მატერიისა და მასთან თანდაყოლილი ძალისა, „რომელნიც ერთმანეთის ზემოქმედებით წარმოშობენ ყოველის ტანისა და გვარის ცხოვრებას და არსებას — სულიერსა და უსულოს“.

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ერთი უგბილმ, „დროება“, № 36, 1873 წ.

[2] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, მოლეშოტი, „ქვალი“, № 25, 1893 წ.

ამრიგად; გ. წერეთელი ფილოსოფიის საგნად მიიჩნევდა ბუნებისა და საზოგადოების მეცნიერულ შესწავლას და გმობდა „უკვდავი სულის“ შემსწავლელ იდეალისტურ ფილოსოფიას, როგორც „უკანდახევას მეცნიერების გზაზე“ და დაბრუნებას „საშუალო საუკუნეების უმეცრებისაკენ“. „გერმანიის მეტაფიზიკებისა და რუსეთის რეაქციონურ სლავიანოფილების“ იდეალისტური ფილოსოფიის მომხრეობა, — წერდა იგი, — „წარმატების გზაზე სიარული კი არ არის, არამედ უკანდახევა, ანუ გონების რეაქცია, როგორც მეცნიერები იტყვიან“ [1].

ამით აიხსნება, სხვათა შორის ის ფაქტიც, რომ გ. წერეთელი გმობდა იდეალისტ ლეიბნიცის „უნაყოფო მეტაფიზიკურ თეორიას“ ენის წარმოშობის შესახებ და ემხრობოდა გრიმის, ბუსლაევის, შლეიხერის და მილერის მოძღვრებას „სიტყვათა ძირების წარმოშობის მატერიალური წყაროების შესახებ“. „ყველა ძირი, — ამბობდა გ. წერეთელი, — გამოხატავს რომელიმე მატერიალურ ცნებას; განყენებული ცნებები და სიტყვები წარმოიშვნენ მატერიალური ძირებისაგან. ყველა სიტყვას საფუძვლად უდევს მატერიალური ძირები, რომლებიც გამოხატავენ ფიზიკური ქვეყნის საგნების რაიმე ატრიბუტს“ [2]. ეს დებულება, შეიძლება, სავსებით სწორიც არ იყოს, მაგრამ ერთი ცხადია: წინააღმდეგ იდეალიზმისა, გ. წერეთელი მატერიალისტურ მოძღვრებას აღიარებდა.

ამას კიდევ უფრო ნათლად ადასტურებს გ. წერეთლის შეხედულებანი ბუნებისა და საზოგადოების რაობისა და მათი განვითარების ზოგად ანონზომიერებათა შესახებ. ბუნებას გ. წერეთელი უწოდებს „ყველაფერს, რასაც ვხედავთ: ცა, მზე, მთვარე, ვარსკვლავები, მიწა, ზღვა, მდინარე, მთა, ტყე, ცხოველები და ადამიანთა ნათესაობა სულ ერთიანათ „ბუნებაა“ [3]. სწორედ ეს „ბუნება“ ანუ „მატერია და მასთან თანდაყოლილი ძალა“ მიაჩნია გ. წერეთელს ყველა მატერიალური და

---

[1] „ცისარი“, № 7, 1894 წ.

[2] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი. Первая грузинская лекция. „Обзор“, № 466. 1880 г.

[3] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი. საუკეთესო ცოდნა, 1888 წ., გვ. 15.

სულიერი მოვლენის საწყისად. ბუნების და აგრეთვე საზოგადოების „ცხოვრება, — ამბობს იგი, — არის გამუდმებული ცვლა სიკვდილისა და სიცოცხლისა. ყოველი სიკვდილი ბადებს ახალს სიცოცხლეს და ყოველ სიცოცხლეს თან მოაქვს სიკვდილი, ესე იგი ცხოვრების გადაცვლა. მატერია იცვლება და არ ისპობა. მაშასადამე, ბუნება და ქვეყნიერება არის ერთი განუწყვეტელი ბაწარი ცხოვრებისა, საცა ყოველი წარმოებული, შემდგარი ან გაჩენილი არსება იცვლება. მაშასადამე. ყოველი კერძო ცხოვრება ცვალებადია; მაგრამ მისი მშარმოებელი ძალა და მატერია კი უკვდავნი არიან, იგინი არც ჩნდებიან, არც მოისპობიან, იგინი ყოფილან, არიან და იქნებიან უკუნითი უკუნისამდე“ [1].

ამრიგად, ბუნება, გ. წერეთლის წარმოდგენით, მატერიალურია და მატერიალური ბუნება არის ყველა საგნისა და მოვლენის საფუძველი. მაგრამ როგორ წარმოიქმნება მატერიისაგან მრავალფეროვანი საგნები და მოვლენები? ხომ არ არის ბუნებაში რაიმე არამატერიალური, რაც ქმნის ამ მრავალფეროვანებას?

გ. წერეთელი უარყოფს რაიმე არამატერიალური, ზებუნებრივი ძალის არსებობას ბუნებაში, რადგან მთელი ბუნება მატერიის შემცველია. ბუნება უსასრულოა დროშიც და სივრცეშიც. ბუნებაში, მისი თქმით, „ოდნავ ალაგიც არ იპოება ცარიელი. ყოველი ალაგი რასმე სხეულს უჭირავს უსა-უოდ. და საცა ცარიელი ალაგები. გგონია იქ ყველგან ერთნაირი წმინდა და გამჭვირვალე სხეულია... აი ამ უხილავს სხეულს დაუჭერია ბუნებაში ყველა ცარიელი ალაგები“.

ამიტომ, გ. წერეთლის აზრით. ბუნებაში ყველაფერი არსებობს და იქმნება თვითონ უსასრულო „ბუნების კანონის ძალით“, რომელსაც რბილიქრული ხასიათი აქვს. ყველა საგნისა და მოვლენის წარმოშობას და გარდაქმნას „თავისი რიგი და კანონი აქვს, რომელსაც თვითონ ბუნება მოითხოვს და აჩვენებს. მაგალითად, კაცმა რაც უნდა ბევრი ეცადოს, აქლემზედ დიდი ვერ გაიზრდება და ორას წელიწადს ვერ გას-

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, მოლეშოტი, „ქვალი“, № 25, 1893 წ.

ძლებს, — ამისთანა წესია ბუნებაში და ვერც ვერავინ შეცვლის მას".

ეს იმიტომ, რომ „ბუნებას თავისი კანონები აქვს. იმას ერთ წამსაც არ შეუძლიან გადაახტეს ამ თავის კანონებსა" [1], რომ „ქვეყანაზედ არაფერი არ ხდება უმიზეზოთ და შემთხვევით. იმას მართავენ მტკიცე და შეუცვლელი კანონები" [2]. ამასთან ბუნება, რომელიც თვითონვე არის თავის თავის მიზეზი, მოკლებულია რაიმე მიზანდასახულობას. „ბუნების ძალა, — ამბობს გ. წერეთელი, — კვლას გაჰყოლია, ის არ კითხულობს, ვინ რისთვის კვდება".

ამრიგად, ბუნება, გ. წერეთლის წარმოდგენით, მატერიალურია, ხოლო მისი განვითარების კანონზომიერებანი — ობიექტური. ამ კანონზომიერებიდან გ. წერეთელი მიუთითებს, უწინარეს ყოვლისა, საყოველთაო კავშირის და ურთიერთგანპირობებულობის არსებობაზე ბუნების საგნებსა და მოვლენებს შორის. ეს კავშირი, მისი პუბლიცისტური წერილების თანახმად, თავს იჩენს სამყაროს ერთიანობაში, რომელიც შექმნილია უმცირესი მატერიალური ნაწილების — ატომების და უმარტივესი სხეულების — ელემენტების ურთიერთკავშირებით. „ყოველი სხეული, — ამბობს გ. წერეთელი, — თუნდ თვალში ჩავარდნაც იყოს, შემდგარია ატომებისაგან, ისე როგორც სახლია აშენებული აგურებისაგან". ატომებისაგან შემდგარი მარტივი სხეულები ანუ ელემენტები კი ქმნიან რთულ სხეულებს, რომლებიც ბუნებრივ ან ხელოვნურ სხეულებად ნაწილდებიან. „ძველ დროში მეცნიერებს ეგონათ, თითქოს ყველა ბუნების სხეულები მხოლოდ ოთხი ელემენტისაგან არის შემდგარიო: ჰაერისაგან, წყლისა, მიწისა და ცეცხლისაგან... ახლა ქიმიის მეცნიერებიდგან შეგვიძლია ნამდვილად შევიტყოთ, რომ მარტივი სხეულები არამცთუ ოთხი, სამოცზე მეტიც არიან" [3] მაშასადამე, ბუნების ერთიანობის საფუძვლად გ. წერეთელი ქიმიურ ელემენტთა ურთი-

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, საუკეთესო ცოდნა, გვ. 19, 17, 27, 78.
[2] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ. სრ. კრებ., ტ. I, გვ. 107.
[3] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, საუკეთესო ცოდნა, გვ. 17, 31, 32.

ერთკავშირს მიიჩნევდა. მაგრამ იგი საგანთა და მოვლენათა ურთიერთკავშირის აღიარებასთან ერთად აღიარებდა მათს ურთიერთგანპირობებულობასაც. „ცხოვრებაში, — ამბობს გ. წერეთელი, — ურთიერთდამოკიდებულებაა ერთი ერთმანეთისაგან: ერთი მეორეს ასაზრდოებს და ჰკვებავს, მეორე — მესამეს, მესამე — მეოთხეს. თუ პირველი საზრდო მოისპო, მაშინ მეორეც მოისპობა, მეორისაგან მესამეც, მესამისაგან მეოთხეც და სხვა"... მაგალითად, „წყალი რომ არ იყოს, არც მცენარე... იქნება; თუ მცენარე არ იქნება, არც ცხოველი და ფრინველი... არ იქნება; თუ ცხოველი და ფრინველი არ იქნება, მაშინ არც კაცი იქნება"[1]. საგნებსა და მოვლენებს შორის საყოველთაო კავშირის არსებობას გ. წერეთელი ასაბუთებდა ენერგიის მუდმივობისა და გარდაქმნის კანონზე მითითებითაც: რაკი მატერიისა და მოძრაობის ერთი ფორმა მეორე ფორმად გარდაიქმნება, „რაკი ქვეყანაზე არაფერი არ იკარგება; თუნდ პაწაწინა ბუსუსიც იყოს", მაშასადამე, საგნებსა და მოვლენებს შორის განუყრელი კავშირი არსებულაო.

ბუნების განვითარების კანონზომიერებებიდან გ. წერეთელი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა საგანთა და მოვლენათა საყოველთაო მოძრაობისა, ცვლილებისა და განვითარების კანონს. ერთარსი ბუნების მრავალფეროვანების ძირითად მიზეზად გ. წერეთელი სწორედ მოძრაობასა და განვითარებას თვლიდა. „ის მრავალგვარი ძალები, — წერდა იგი, — რომელნიც ათასნაირ ბუნების მოვლინებაში გვეჩვენებიან სხვადასხვა სახეთ, სულ ერთი და იგივე ბუნების ძალისაგან არის წარმომდგარი და ამ ძალას ეწოდება ნივთიერების მოძრაობა"[2]. ამიტომ, გ. წერეთლის აზრით, ცხოვრება არის გამუდმებული ცვლა სიკვდილისა და სიცოცხლისა. ამასთან, მიუხედავად საგანთა და მოვლენათა მუდმივი ცვლილებისა და განვითარებისა, ისინი კი არ ისპობიან, არამედ განახლდებიან, ამიტომ მუდმივ ნგრევა-შენებაში მყოფი ბუნება მარად ახალია. „თუმცა ყოველი არსება იცვლება, — ამბობს გ. წერე-

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ. სრ. კრებული, ტ. I, გვ. 311.
[2] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, მოლეშოტი, „ქვალი", № 25, 1893 წ.

თელი, — ერთი კვდება მეორე იბადება, მაგრამ საზოგადოდ ბუნება არაოდეს არც ბერდება, არც კვდება, ყოველთვის ახალი და მშვენიერია". „ეს იმასა ჰგავს, რომ ტბაში ერთი მდინარე შედიოდეს და მეორე გადიოდეს. ამით ტბას არცა რა მოაკლდება რა და არც მოემატება [1].

ამრიგად, ბუნება, გ. წერეთლის წარმოდგენით, განუწყვეტელი მოძრაობისა და განვითარების მდგომარეობაში იმყოფება. ამიტომ არის, რომ „სადაც უნდა გაიხედო... ყოველ წამს ერთი ნივთიდგან მეორე კეთდება; ეს კიდევ სხვას გააკეთებს და ამ მიყოლებას დასასრული არა აქვს... ეს გაუთავებელი მუშაობა, ძველი ნაწილების შეცვლა ახალზე", — ბუნების ზოგადი კანონია.

მაგრამ როგორ მიმდინარეობს ძველისაგან ახლის წარმოშობის ეს დაუსრულებელი პროცესი, რა გზით ხდება განვითარება?

გ. წერეთელი ამ კითხვაზედაც საინტერესო პასუხს იძლევა. მან იცის, რომ განვითარების პროცესში ძველისაგან ახლის წარმოშობა ხდება რაოდენობრივ ცვლილებათა თვისობრივ ცვლილებებში გადასვლის გზით. მაშასადამე, იგი იცნობს რაოდენობიდან თვისობრიობაში გადასვლის კანონს. „როცა ორი ან სამი ჰაერგვარი, — წერს გ. წერეთელი, — რამდენსაც ბუნება ითხოვს, იმდენი შეერევიან ერთმანეთს, იმათგან კეთდება ახალი მაგარი ან თხელი სხეული. მაშინ ჰაერგვარები თითქოს სადღაც გადაიმალენო და იმათგან სულ სხვა სხეული გაკეთდაო. ამისთანა საკვირველი და გასაოცებელი კანონია ბუნებაში" [2]. ამასთან გ. წერეთელმა იცის, რომ ახალი თვისობრიობა მხოლოდ მაშინ წარმოიშობა, როცა ერთმანეთთან დაკავშირების უნარის მქონე რაოდენობანი ერთდებიან და ისიც ბუნების მიერ განსაზღვრული ზომით, რადგან საგნებსა და მოვლენებს შორის თვისობრივი განსხვავების მიზეზია საგანში ელემენტთა რაოდენობისა და მათი განლაგების წესის სხვადასხვაობა. გ. წერეთელი ამის დასასაბუთებლად

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, საუკეთესო ცოდნა, გვ. 38—58.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 78—28.

ამბობს: „ბუზი სპილოს ოდენი თავის დღეში არ გახდება და ჯინჯარი, რაც უნდა რწყო და უარო, ხეთ ვერ გადაიქცევაო“[1]. მაშასადამე, ყოველი გარკვეული თვისობრიობა რაოდენობრივი ცვლილებების გზით მხოლოდ გარკვეულ თვისობრიობას წარმოშობს და არა ყოველგვარ თვისობრიობას.

ამრიგად, ბუნების განვითარება, გ. წერეთლის წარმოდგენით, რაოდენობრივ ცვლილებათა თვისობრივ ცვლილებებში გადასვლის გზით ხდება. მაგრამ რა არის განვითარების მიზეზი, სხვანაირად რომ ვთქვათ, აღიარებდა თუ არა გ. წერეთელი წინააღმდეგობათა ერთიანობას და ბრძოლას განვითარების წყაროდ?

ეს საკითხი გ. წერეთელს ვრცლად არ განუმარტავს, მაგრამ მისი ცალკეული გამონათქვამები გვაფიქრებინებს, რომ იგი უახლოვდებოდა ამ საკითხის სწორ გადაწყვეტას. მაგალითად, „მგზავრის წერილებში“ გ. წერეთელი ამბობს, რომ ბუნების კანონია მისი „მრავალგვაროვნება“, ე. ი. ბუნებაში სხვადასხვა ურთიერთსაწინააღმდეგო ელემენტების არსებობა, რომელთა შორის მუდმივი ბრძოლა წარმოებს. ამასთან, მისი აზრით, „მხოლოდ მრავალგვაროვნებას მოაქვს ერთმანეთის განახლება, წინწაყენება...“ [2]. საერთოდ, ბუნებისა და საზოგადოების მთელ ისტორიას გ. წერეთელი თვლის ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ძალის, „ბნელისა და ნათლის“ ბრძოლის გამოვლინებად. მისი თქმით, „ყოველ სულდგმულსა, ყოველ საგანსა, ამ ორი ძალის კვალი აჩნია“[3]. გ. წერეთელი კიდევ უფრო ნათლად გამოთქვამს თავის აზრს სტატიაში „ცისკარს რა აკაკანებდა?“ იგი ამბობს: „საზოგადოების ცხოვრებაში, როგორც სულდგმულთ მოქმედებაში, მუდამ იპოვებიან სხვადასხვა ერთი ერთმანეთის წინააღმდეგი ელემენტები: მაშასადამე, მათში ყოველთვის უნდა სუფევდეს მუდმივი ბრძოლა, რადგანაც განსვენება სიკვდილის წესია“. სწორედ ეს წინააღმდეგობა და ბრძოლა მიაჩნდა გ. წერეთელს არა

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, საუკეთესო ცოდნა, გვ. 57.
[2] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, რჩ. ნაწერები, ტ. I, გვ. 185.
[3] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, არანკა, 1876 წ, გვ. 4.

მარტო ბუნების, არამედ საზოგადოების განვითარების პირობადაც. „მთელი კაცობრიობის ცხოვრება, — წერს იგი, — თავისთავად არც ძველდება და არც წარმავალია; ძველდება მხოლოდ მისგან გამონაკვლევი ფორმა, მისგან შემუშავებული საზოგადო წყობილება, რომელიც იმ დროში ამ ცხოვრების მოთხოვნილებას მხოლოდ აკმაყოფილებდა ...ცხოვრებას მხოლოდ თავის ნიშნი სისრულეში მოჰყავს... აღიძვრის თუ არა ცხოვრებაში იმდენი ძალა, რომ საკმაო იქნება ახალ საშუალების მოსაპოვნელად და ძველი ფორმის გადასაგდებად, იმავე წამს ცხოვრების წინმსვლელობაც დაიძვრის და ატყდება გამწარებული ბრძოლა ძველი წყობილებისა და ახალ მოთხოვნილებას შუა“ [1]. რაც შეეხება აზროვნებას, მისი განვითარების უმთავრეს პირობადაც გ. წერეთელი საწინააღმდეგო აზრთა დაპირისპირებას და ბრძოლას თვლის. სტატიაში „ამ დროის მოძრაობა“ გ. წერეთელი წერს: „რამდენათაც გაცხარებით და მძვინვარეთ იბრძვიან ორი მოდავე პირი ანუ მხარე ერთმანეთთან, იმდენად უფრო ცხადათ და ღრმათ ჩნდება ორთავეს ბაასში და ლაპარაკში, სად არის ან რომელია უფრო წინწამყენებელი გარემოება საერთო ცხოვრებისა. საზოგადო ცხოვრების თვალიც იმას აღირჩევს, იმ გზას გაჰყვება და ამით უფრო ჩქარი და დიდი კეთილმდგომარეობაც ეძლევა ხოლმე“[2]. სხვა ადგილას იგი ამბობდა: „აზრების შეტაკება ჭეშმარიტებას დაბადებსო“.

ასეთია გ. წერეთლის შეხედულებანი ბუნების რაობისა და მისი განვითარების ზოგად კანონზომიერებათა შესახებ. მაგრამ შეიძლება თუ არა ამ კანონზომიერებათა შეცნობა და მათი გამოყენება ადამიანის და ადამიანთა საზოგადოების გარდაქმნისათვის? ამ საკითხის ვრცელი ფილოსოფიური დასაბუთება გ. წერეთელს არ მოუცია, მაგრამ მთელი მისი პრაქტიკული მოღვაწეობა და ცალკეული თეორიული მოსაზრებანი ნათლად მოწმობენ, რომ გ. წერეთელი აღიარებდა ბუნებისა და მისი კანონების შეცნობის და პრაქტიკული გ-

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ. სრ. კრებული, ტ. I, გვ. 16 — 11.

[2] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ამ დროის მოძრაობა, „კრებული“ № 3, 1873 წ.

მოყენების შესაძლებლობას. ამას ამტკიცებს, უწინარეს ყოველისა, ის ფაქტი, რომ გ. წერეთელი გადაჭრით ებრძოდა და გმობდა იმ იდეალისტ ფილოსოფოსებს, რომლებიც, გ. წერეთლის თქმით, ამტკიცებდნენ: „ჭეშმარიტების თავისუფალ ძიებისაგან მაინც არა გამოდის რა, რადგან თვალყური და სხვა გრძნობები მუდამ გვატყუებენო. რაც უნდა ეცადო ჭეშმარიტებას მაინც ვერ შეიტყობო; ბევრია ქვეყანაზე კაცის ჭკუის მიუწვდომელი და ამისთვის კაცი გონების უძლურებას უნდა დაემორჩილოს და თავი მოიხაროსო: აქედან ცხადია, რომ თუ... (ამ) აზრს გავყეევით ისევ საშუალო საუკუნეების უმეცრებაში უნდა ჩავვარდეთ. „ასევე გმობდა გ. წერეთელი სკეპტიკური ფილოსოფიის ქადაგებას: „ბოროტს არ უნდა ეწინააღმდეგოთ. ახლანდელი ევროპის სწავლა განათლებას კაცისათვის უბედურების მეტი არა მოაქვს-რაო... გამოდის, — ამბობს გ. წერეთელი, — რომ ავაზაკმა მართალი კაცი რომ გაცარცვოს, ამ უკანასკნელმა ხელი არ უნდა გამოიღოს, ერთმა ერმა მეორე რომ დაჩაგროს და გაანადგუროს. ამან წინააღმდეგობა არ უნდა გაუწიოს...“ [1].

ცხადია, რომ ასეთი აზრების გამომთქმელი აღიარებდა ბუნების შეცნობისა და მის კანონზომიერებათა პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობას. ამასთან გ. წერეთელმა იცოდა, რომ „მთელს ბუნებას ერთის თვალის გადავლებით ვერ დავინახავთ და ეს კაცისაგან არც შესაძლებელია“. (ე. ი. ერთბაშად ბუნების აბსოლუტურად სრული შემეცნება შეუძლებელია). ამასვე ამბობდა გ. წერეთელი ერთ თავზს ლექციაში: მეცნიერების ამოცანაა „ჭეშმარიტების მონახვა“, მაგრამ მეცნიერება უძლურია სავსებით მიაღწიოს ამ მთავარი ამოცანის გადაწყვეტას, — ხოლო რაკი შესაძლებლობა არა აქვს სავსებით განახორციელოს თავისი მისწრაფება, იგი ამ ამოცანის მხოლოდ დაახლოებითი შესრულებით კმაყოფილდებაო“ [2]. მაშასადამე, გ. წერეთელი შემეცნებას თელის არა უეცარ აქტად, არამედ ისტორიულ პროცესად, რომელიც

---

[1] იხ. „ქვალი“, № 7, 1894 წ.

[2] Г. Церетели, Лекции в кружке г. г. А. Пальм и Ерицова. „Тифлисский вестник“, № 38, 1878 г.

არცოდნიდან და მცირე ცოდნიდან უფრო სრული ცოდნისაკენ მიემართება. „სოფლის დასაბამითგან... არავინ არა იცოდა რა,—ამბობდა გ. წერეთელი,—მაგრ მ.. რადგან ბუნებ მ ..ა ეს აზრი და გონება თან დაატანა... ყოველივე მალე გაიცნო, სადამდისაც აზრი და გონება მიუწვდებოდა". პირველყოფილმა ადამიანებმა „ძალიან ცოტა იცოდენ... (მაგრამ) ასე ცოტა ცოდნა ხომ ვერ დაარჩენდათ? მართლაც, პირველ კაცს ჯერ კიდევ ბევრი ჰქონდა შეუტყობელი და რადგან უამისოთ რიგიანად ცხოვრება არ მოხერხდებოდა, ამისთვის კაცის გონება არ ისვენებდა, ყოველთვის ფიქრში და გამოძიებაში იყო. მარიალია, პირველს შემთხვევაში... იმისი გონება და სწავლა მძიმედ სდგამდა წინ ნაბიჯს, მაგრამ — კაცი თუ დაუკვირდებოდა, მაშინაც შენიშნავდა გონების გაუმჯობესებას: შთამომავლობა უფრო ჭკვიანი და გონებიანი იბადებოდა". „ამგვარი ჩხრეკით, ძიებით და ფიქრით ბოლოს წარმოსდგა მრავალგვარი სწავლა ანუ მეცნიერება" [1].

ამ ამონაწერიდან ჩანს, რომ გ. წერეთელი შემეცნების წარმოშობისა და განვითარების წყაროდ თვლიდა, ერთი მხრივ, პრაქტიკულ საჭიროებას, რაც სწორია, ხოლო, მეორე მხრივ, — ადამიანის თანდაყოლილ აზროვნებას, რაც შეცდომაა. ეს შეცდომა გარდუვალიც იყო იმ მოაზროვნისათვის, რომელიც ამბობდა: „თვით ცხოვრება და მისი მოვლენა იგივე აზრი და იდეა არისო". მაშასადამე, გ. წერეთელმა ბოლომდე სწორად ვერ გაიგო ვერც აზრის თვისობრივი განსხვავება არსისაგან და ვერც პრაქტიკის როლი შემეცნების პროცესში.

და მაინც, მიუხედავად ცალკეული შეცდომებისა, გ. წერეთელი ბუნების შემეცნების ძირითად საკითხებს არსებითად სწორად აყენებდა. გ. წერეთელმა იცოდა, რომ სუბიექტური აზრი და ობიექტური სამყარო ერთსა და იმავე კანონებს ექვემდებარებიან, რომ აზრში არაფერი არ არის ისეთი, რაც ობიექტური სამყაროს ასახვა არ იყოს, რადგან „ბუნების კანონებს, როგორც ყოველ სხეულზე, ისე ჩვენზე აქვს მო-

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, საუკეთესო ცოდნა, გვ. 78.

ქმედება". უწინარეს ყოვლისა, სწორედ ამ გაგებით ამბობდა იგი: ცხოვრება და აზრი ერთი და იგივეაო. მართალია, როგორც ზემოთ ითქვა, გ. წერეთელმა ბოლომდე სწორად ვერ გაიგო აზრისა და არსის თავისებურებანი, მაგრამ იგი ცდილობდა სწორად გადაეწყვიტა ეს საკითხი, რამდენადაც აზრისა და შეგრძნების საფუძვლად მატერიალურ სინამდვილეს თვლიდა. „ჩვენის ფიქრით, — ამბობს გ. წერეთელი, — გრძნობა აღიძვრის, როდესაც კაცის გონებაზედ მოქმედებს გარემო მღგომარეობა, როდესაც კაცის გულში აღძრავს რომელიმე აზრს თავად ცხოვრება და გარეგანი ქვეყნის ზემოქმედება"[1].

შემეცნება, გ. წერეთლის აზრით, ისევე ხანგრძლივია, როგორც შემეცნების სუბიექტის — ადამიანის ისტორია. ამაზე ამბობდა გ. წერეთელი: „ბევრი იყო იმისთანა, რაც ჩვენს წინაპრებს არ სცოდნიათ და ჩვენ ახლა ხელისგულივით ვიცით. ბევრია იმისთანა, რაც ჩვენ არ ვიცით, და ჩვენს შთამომავლობას ეცოდინებაო".

შემეცნების პროცესის დასაწყისად, გ. წერეთელი შეგრძნებას თვლიდა. შეგრძნება და გრძნობათა ხუთი ორგანო აქვს, არა მარტო ადამიანს, არამედ ცხოველსაც. თანაც ზოგიერთ ცხოველს (მაგალითად, არწივს) გრძნობათა ზოგიერთი ორგანო უფრო მახვილიც აქვს, ვიდრე ადამიანს. მაგრამ ადამიანის უპირატესობა ცხოველთან შედარებით, გ. წერეთლის აზრით, ის არის, რომ მისი შემეცნებისათვის დამახასიათებელია გრძნობათა ორგანოების მეშვეობით გარემოსაგან მიღებულ გრძნობად შთაბეჭდილებათა განზოგადება — აბსტრაქტული აზროვნება. სწორედ აბსტრაქტული აზროვნება აყენებს ადამიანს პირველ ადგილზე და ყველა ცხოველზე მაღლა ბუნებაში, სწორედ აბსტრაქტული აზროვნება ხდის ადამიანს „ბუნების მეფედ", მიუხედავად იმისა, რომ ჩანასახის სახით აზროვნება ცხოველებსაც აქვთ. განსხვავებით ცხოველისაგან „კაცი ისეთებს იგებს, — ამბობს გ. წერეთელი, — რომ არც თვალით დანახვა, არც ყურით გაგონება, არც ხელით შეხება

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ. სრ. კრებული, გვ. 8.

არ შეიძლება იმათი. ჩვენ, მაგალითად, გვესმის რა არის პატიოსნება, ან რა არის უპატიოსნობა, ბოროტება, სიმტყუვნე, გაუმაძღრობა, გულკეთილობა, სიყვარული, სიძულვილი, შეგობრობა, ჩხუბი, მტრობა“ [1]. ამ განყენებული, ცნებების შექმნა (და საერთოდ აბსტრაქტული აზროვნება, როგორც შემეცნების პროცესის უმნიშვნელოვანესი საფეხური) მიაჩნდა გ. წერეთელს ცხოველისაგან ადამიანის განსხვავების ძირითად ნიშნად. ამასთან, მართალია, გ. წერეთელმა ვერ გაიგო, რომ ადამიანი „იარაღის მკეთებელი ცხოველია“, რომ ცხოველისაგან ადამიანი, უწინარეს ყოვლისა, სწორედ შრომის იარაღების წარმოებით განსხვავდება, მაგრამ მისი დროის ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის ისიც დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა, რომ გ. წერეთელმა სცადა სწორად დაეყენებინა შემეცნების ზოგიერთი საკითხი და დაესაბუთებინა, რომ ადამიანის აზროვნების, მისი სულიერი ცხოვრების წყარო ფიზიკური სამყარო არის. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ თავისი დროის გონებრივი ცხოვრების ჩამორჩენილობის გამო გ. წერეთელი იძულებული იყო ერთგვარად გაეზვიადებინა გონების როლი ბუნებისა და განსაკუთრებით საზოგადოების შემეცნებისა და გარდაქმნის საქმეში. ამის გამოხატულებაა მისი თქმა: „ერთი წათელი მრწამს მხოლოდ ქვეყნად; ეს არს ნათელი კაცთ გონებისაო“ [2].

ასეთია გ. წერეთლის შეხედულებანი ბუნების რაობის, მისი განვითარების ზოგიერთი ძირითადი კანონზომიერების და ამ კანონზომიერებათა შემეცნების გზების შესახებ. ასეთია, მოკლედ რომ ვთქვათ, ბუნების ფილოსოფია გ. წერეთლისა. ეს ფილოსოფია უდაოდ მატერიალისტურია თავის საფუძვლებში, თუმცა იგი ჯერ კიდევ არ არის დასრულებული ფილოსოფიური მატერიალიზმი. ამ დებულების ნათელსაყოფად მარტო იმის გათვალისწინებაც იკმარებდა, რომ გ. წერეთელს არასოდეს არ დაუყენებია ფილოსოფიის ძირითადი საკითხი: ყოფიერებაა პირველადი თუ ცნობიერება? იგი ემყა-

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, საუკეთესო ცოდნა, გვ. 76.

[2] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, მწუხარე-დედა.

რებოდა თავისი დროის ბუნებისმეცნიერების მონაპოვრებს და თავისთავად საგულისხმო რამედ მიაჩნდა ის, რომ ყოფიერება პირველადია, ხოლო ცნობიერება მეორადი. ბუნებისმეტყველებამ კი მე-19 საუკუნეში - და განსაკუთრებით 60 — 70-იან წლებში, მართლაც, უდიდესი გამარჯვებანი მოიპოვა: უჯრედის აღმოჩენამ და ჯერ კიდევ ლომონოსოვის მიერ მიგნებული ენერგიის მუდმივობისა და გარდაქმნის კანონის დასაბუთებამ, დარვინის ევოლუციურმა თეორიამ და სეჩენოვის, ტიმირიაზევის, პავლოვის, მენდელეევის და სხვების აღმოჩენებმა ლახვარი ჩასცეს რელიგიურ წარმოდგენებს სამყაროს შესახებ და წარმოშვეს ბუნების განვითარების მეცნიერული ახსნის შესაძლებლობა. სწორედ ბუნებისმეტყველების ამ უდიდეს მონაპოვრებს ემყარებოდა მე-19 საუკუნის რუსული მატერიალისტური ფილოსოფია მისი ორი განშტოების — რევოლუციურ-განმათავისუფლებელი (გერცენი, ბელინსკი, ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, პისარევი) და საბუნებისმეტყველო — მეცნიერული აზროვნების სახით (სეჩენოვი, მენდელეევი, ტიმირიაზევი და სხვები). ამასვე ემყარებოდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი და საბუნებისმეტყველო-მეცნიერული აზროვნება, კერძოდ, გ. წერეთლის ფილოსოფიური შეხედულებანი. ამით აიხსნება გ. წერეთლის ბუნების ფილოსოფიის ის ძირითადი თავისებურება, რომ მისი ფილოსოფია გარეგნულად არც კი არის ფილოსოფია ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით, არამედ ეს არის მისი დროის საბუნებისმეტყველო მეცნიერული ცოდნა, განზოგადებული ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პრაქტიკული ამოცანების შესაბამისად. ეს ცოდნა შეიცავს არა მარტო სამყაროს მატერიალისტურ ახსნას, არამედ დიალექტიკური აზროვნების ჩანასახებსაც, თუმცა მასში არც მატერიალიზმს და არც, განსაკუთრებით, დიალექტიკას, რა თქმა უნდა, დასრულებული მეცნიერული სახე არა აქვთ. ამას მოწმობს არა მარტო ის, რომ გ. წერეთელს არათუ არ გადაუწყვეტია, არც კი დაუყენებია ფილოსოფიური მატერიალიზმის ბევრი არსებითი საკითხი, არამედ — ისიც, რომ მისი დია-

ლექტიკური აზროვნება ჯერ კიდევ ჩანასახის სახით გამოიყურება მეტაფიზიკური აზროვნების გარსიდან. გარეგნულად თუ შევხედავთ საქმეს, გ. წერეთელი თითქმის „სავსებით" დიალექტიკურად აზროვნებს, მაგრამ საკმარისია უბრალოდ გადავიხედოთ ამ გარეგნულ ელფერს იქით და მეტაფიზიკოსი თავს ველარ დაიმალავს. მაგალითად, გარეგნულად გ. წერეთელი განვითარებას აღიარებს, მაგრამ არსებითად მან ვერ დასძლია განვითარების მეტაფიზიკური თვალსაზრისი, რადგან უმთავრესად მას განვითარება ესმის არა როგორც ახლის წარმოშობა, არამედ როგორც უბრალო განმეორება განახლებული ძველისა. ამიტომ არის, რომ იგი, მართალია, აღიარებს მცენარეთა და ცხოველთა ძველი ჯიშების განახლებისა და გაუმჯობესების შესაძლებლობას, მაგრამ შეუძლებლად მიაჩნია თვისობრივად სრულიად ახალი ჯიშების მიღება და ძირითადად იმ აზრს იცავს, რომ „თუ გვსურს... მცენარე ან ცხოველი დაიბადოს, ჯერ უნდა იყოს ქვეყანაზე ამისთანა მცენარე, ან ცხოველი, რომ იმათგან დაიბადონ ისინი". მართალია, ამ დებულებით გ. წერეთელს სურდა იმ მატერიალისტური აზრის დასაბუთება, რომ „თავისთავად, ე. ი. უდედმამოთ არც ცხოველს, არც მცენარეს გაჩენა არ შეუძლია"[1] — მაგრამ იგი ვერ ხედავდა, რომ მისი მეტაფიზიკური მატერიალიზმი ამ შემთხვევაში იდეალიზმამდე მიდიოდა. მართლაც, თუ ორგანულის წარმოშობა მხოლოდ ორგანულს შეუძლია, ორგანული ბუნება კი მუდმივად არ არსებულა, მაშინ ორგანულის თავდაპირველი მიზეზი ღმერთი უნდა ყოთილიყო, ხოლო ორგანული სახეობაც იმდენი უნდა იყოს, რამდენიც ღმერთმა შექმნა. ასე მიდიოდა ძველი მეტაფიზიკა იდეალიზმისაკენ. ამას ვერ ასცდა საბოლოო ანგარიშით გ. წერეთელიც. ამისი უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ გ. წერეთლის ფილოსოფია იყო არა დიალექტიკაზე დაყრდნობილი დასრულებული მატერიალიზმი, არამედ მისი დროის საბუნებისმეტყველო-მეცნიერული ცოდნა, განზოგადებული ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პრაქტიკული

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, საუკეთესო ცოდნა, გვ. 60.

ამოცანების შესაბამისად. ამას კიდევ უფრო ნათლად დაგვანახვებს გ. წერეთლის შეხედულებათა გაცნობა ადამიანის შესახებ.

ადამიანი, გ. წერეთელის თქმით, „ბუნების ნაწილს შეადგენს". ბუნებისა და ადამიანის არსებობა და განვითარება ერთსა დ იმავე კანონებს ემორჩილება. ამიტომ ბუნების კანონების შეცნობით იგი თავისთავსაც შეიცნობს, ხოლო ეს შეუძლებელია საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა გარეშე. „მე ვამტკიცებ სწავლის საჭიროებას. — ამბობს გ. წერეთელი, — და მინდა ჩემს სიტყვებს შესაფერი სისრულე ჰქონდეს. რა არის სწავლა? სწავლა არის ბუნების კანონების ცოდნა. სწავლა არის გამოკვლევა იმისა, თუ რა მიზეზებიდან რა შედეგი წარმოსდგება; თუ რა კანონები ჰმართავენ სხვადასხვა მოვლენებს. მაშასადამე, თუ კაცი ნამდვილად ნასწავლი და განათლებულია, იმან იცის (რამდენადაც ეხლა ამის ცოდნა შეიძლება) ბუნების კანონები; მაშასადამე, იმასა აქვს ბუნების ცოდნა და რადგანაც თვითონაც ბუნების ნაწილს შეადგენს, იმასა აქვს თავის თავის ცნობაც... კარგათა სცნობს თავის სიცოცხლის კანონებს და თავის მოთხოვნილებებს... (რომელთა შესწავლით) ის მიაღწევს იმ ნათელს და მაღალ თავისცნობამდის, საიდგანაც დაინახავს პირველს მზის სხივებს, რომელიც მომავალში აღმოუბრწყინდება ახალს ქვეყნიერებას, სადაც ბონებას, სიმართლეს და სიკეთეს დაუსუფევებია" [1].

მაგრამ რაში მდგომარეობს ეს კანონები და მოთხოვნილებანი, რომლებიც, გ. წერეთლის აზრით, განსაზღვრავენ ადამიანის არსებობას?

ამ კითხვაზე გ. წერეთელმა ყველაზე სრული პასუხი გასცა თავის შესანიშნავ სტატიაში „რამდენიმე აზრი ჩვენს ცხოვრებაზედ". სანამ ამ პასუხს გავეცნობოდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ბუნების არსებობისა და განვითარების იმ ზოგად კანონზომიერებებს, რომლებზედაც ზემოთ იყო ლაპარაკი, გ. წერეთელი მიიჩნევდა ადამიანის ორგანიზმის არსებობისა და განვითარების კანონზომიერებებადაც. იგი ხედავდა

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ. კრებული, ტ. 1, გვ. 130.

მაგალითად, რომ მუდმივი განვითარება და ამ საფუძველზე აღმოცენებული წინააღმდეგობა ძველსა და ახალს შორის ყოველი ორგანიზმის და, კერძოდ, ადამიანის ორგანიზმის განვითარების კანონია. „ყოველი კაცის სხეული, — ამბობს გ. წერეთელი, — სულ მუდამ იცვლის ძველ უჯრედებს ახალზე" [1]. „ამ საზით ყოველს საათს და ყოველს წამს არის ტანს შიგნით გაუსხლეტელი მუშაობა: ახალი მოდის, ძველი ,ვდება და ტანს შორდება". ამ წინააღმდეგობრივი პროცესის შეწყვეტისთანავე სიცოცხლეც წყდებაო.

ამრიგად, ადამიანის, როგორც ბუნების ნაწილის, არსებობისა და განვითარების კანონები, გ. წერეთლის წარმოდგენით, ისეთივეა, როგორიცაა მთელი ბუნების არსებობისა და განვითარების კანონები. მაგრამ ცნება „ადამიანობას" განსაზღვრავს არა ის, რაც ადამიანს ბუნებასთან აკავშირებს, არამედ ის, რაც მას ბუნებისაგან, თუნდაც ორგანული ბუნებისაგანაც, განასხვავებს. მაგალითად, ადამიანის არსებობის პირველი პირობა საზრდოს მიღებაა, მაგრამ იგი პირველი პირობაა აგრეთვე ყოველი ცოცხალი არსებისათვის და ამიტომ ადამიანობის ცნების განმსაზღვრელად არ შეიძლება ჩაითვალოს. მაშასადამე, „ადამიანობას" არ ამოსწურავს გარეგანი, ხორციელი, სხეულებრივი ან მატერიალური ცხოვრება, რითაც ადამიანი ამა თუ იმ ზომით — ენათესავება არა მარტო ორგანულ, არამედ არაორგანულ ბუნებასაც კი. „ადამიანობის" განმსაზღვრელია მისი შინაგანი სულიერი ცხოვრება, რადგან ყველაზე მეტად ეს განასხვავებს მას დანარჩენი ბუნებისაგან. რა თქმა უნდა, გ. წერეთელი იმას არ ამბობს, რომ „გარეგანიც საჭირო არ იყოს, მაგრამ იმდენათ საჭიროა ეს ჩვენი აზრისათვის, რამდენათაც საჭმელი ჩვენი სხეულისათვის. ჩემი სხეული ცოცხლობს თავისი შინაგანის ძალით, მაგრამ უსაჭმელოთ მაინც არ შეიძლება იმის სიცოცხლე" [2]. მაშასადამე, გ. წერეთელმა იცის, რომ შინაგანი სულიერი ცხოვრება, ისევე არ არსებობს გარეგანი ხორციელი ცხოვრების გარეშე, როგორც სულ-

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, საუკეთესო ცოდნა, გვ. 58.

[2] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ. სრ. კრებული, ტ. I, გვ. 101 — 121.

სხეულის გარეშე. თავისი დიდი მასწავლებლის ჩერნიშევსკის კვალდაკვალ, გ. წერეთელი ადამიანს თვლიდა მატერიალურისა და სულიერის ერთიანობად, ხოლო ამ ერთიანობაში პირველს მეორის არსებობის აუცილებელ პირობად მიიჩნევდა. მაგრამ ამასთან მას სულიერი ცხოვრება ანუ აზროვნება მიაჩნდა იმ ძირითად ნიშნად, რაც განვითარებული სახით მხოლოდ ადამიანს ახასიათებს და ამიტომ „ადამიანობის" ცნებასაც განსაზღვრავს, ან როგორც გიორგი წერეთელი ამბობს, ადამიანის „სიცოცხლის დედაარსს" წარმოადგენს „არა მარტო ხორციეთა ცოცხალ არს კაცი, არამედ სულითაც... გონებითი არსებობა არსებითს პურზედაც საჭიროა ჩვენთვისო", — წერდა იგი [1].

ახლა ვნახოთ, როგორია, გ. წერეთლის აზრით, ადამიანის ამ „გონებითი არსებობის", „სულიერი მხარის" ანუ მისი „სიცოცხლის უმთავრესი კანონები".

სტატიაში „რამდენიმე აზრი ჩვენს ცხოვრებაზედ" გ. წერეთელი ამბობს, რომ ადამიანის სიცოცხლის უმთავრესი კანონია თავისმოყვარეობის ანუ თავდაცვის გრძნობა. ეს გრძნობა „მთელი სიცოცხლის დედაკანონია" და წარმოშობილია მატერიალურ საფუძველზე. იგი დამახასიათებელია მთელი ორგანული ბუნებისათვის და მით უფრო ძლიერად იჩენს თავს, რაც უფრო განვითარებულია ორგანიზმი. თვითონ ადამიანებშიც ეს კანონი საზოგადოების ისტორიული განვითარების შესაბამისად იცვლებოდა და ხან კაციჭამიობაში იჩენდა თავს, ხან სისხლისმღვრელ ომებში. შემდეგ ადამიანმა ბუნდოვნად იგრძნო, „რომ თავის დაცვისათვის და ბედნიერებისათვის იმან სხვასთან მშვიდობიანად უნდა იცხოვროს, რომ ის კაცს კი არ უნდა ებრძოლოს, არამედ ბ უ ნ ე ბ ა ს .... მაგრამ... ჯერ კაცობრიობა ვერ მიხვდა და დიდხანაც ვერ მიხვდება, რომ ვინც სხვასა ჰყლაპავს, იმას სხვანიც ჩაჰყლაპავენ. მაშასადამე, ჩვენ ვხედავთ რომ კაცობრიობას სრულებით არ ეყურება, თუ რაში მდგომარეობს თავის დაცვა, ერთი ხალხი მეორესა სცარცვავს, ატყავებს,

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, მიმოხილვა, „კვალი", № 1, 1893 წ.

თავისუფლებას, ენას და ხალხობას აკარგვინებს და ჰგონია, რომ ამით ის თავის ბუნების კანონს აღსრულებს. არა ის მტერია თავის თავისა, ის თავის თავის მკვლელია... ასე ძლიერია ბუნების კანონი!" [1].

ამასთან ეს კანონი, გ. წერეთლის აზრით ყოველთვის როდი იმოქმედებს. იგი მოქმედებს მაშინ, როცა „ქვეყანაზედ მეფობს ძალადობა" და ერთი ხალხი ანგარიშს არ უწევს სხვა ხალხთა თავმოყვარეობისა და თავდაცვის გრძნობას, რაც იწვევს დაჩაგრული ხალხების დრტვინვას", — მაგრამ „უგუნური ძალის სუფევა" არ არის საუკუნო, იმას აქვს ბოლო"; ხოლო როცა ძალადობას ბოლო მოეღება და განთავისუფლებული ხალხები თანამშრომლობის საფუძველზე ააგებენ თავიანთ ურთიერთობას, — მაშინ მათ შორის გააფთრებული ბრძოლის კანონი ადგილს დაუთმობს ურთიერთდახმარებისა და მეგობრობის კანონს. მანამდე კი „უბრძოლოდ არა გარიგდება რა (და) კაციც მაშინ მოიპოვებს ბედნიერებას, როცა ის ებრძვის თავის დამჩაგვრელ ძალას"[2]. ამასთან გ. წერეთელი უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ გასული საუკუნის 60-იან წლებში მთელ ქართველ ხალხს ჯერ კიდევ არ ჰქონდა შეგნებული „თავდაცვის სასიცოცხლო კანონი" და ჯერ კიდევ არ აწარმოებდა ერთობლივ ბრძოლას „მჩაგვრელი ძალის", ე. ი. ცარიზმის წინააღმდეგ.

ასეთია გ. წერეთლის შეხედულებანი „ადამიანის სიცოცხლის ერთ-ერთი უმთავრესი კანონის" შესახებ.

ძნელი არ არის იმის დანახვა, რომ გ. წერეთელი თეორიულად ცდებოდა, რამდენადაც დარვინის მიერ ორგანულ ბუნებაში აღმოჩენილ კანონს: — „ცხოვრება არისო ბრძოლა სულდგმულთ შორის საზრდოსათვის", — პირდაპირ ავრცელებდა საზოგადოებაზე და ამბობდა: „ჩვენი ცხოვრება დაუწყვეტელი ბრძოლაა არსებობისათვის"[3]. ამით იგი მისდა უნებურად მარადიულად აცხადებდა კლასობრივ და ეროვ-

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ. სრ. კრებული, ტ. I, გვ. 123.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 124.

[3] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, მიმოვლა რუსეთისაკენ, „დროება", № 43, 1869 წ.

ნულ ბრძოლას. მაგრამ ამ მცდარი თეორიული წანამძღვრიდან გ. წერეთელს, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, თავისი დროისათვის პროგრესული და რევოლუციური პრაქტიკულ-პოლიტიკური დასკვნა გამოჰქონდა. იგი ადამიანის თავის დაცვის აუცილებლობის კანონზე დაყრდნობით თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ქართველი ხალხის ეროვნულ-რევოლუციური ბრძოლის აუცილებლობას ასაბუთებდა.

იგივე უნდა ითქვას „სიცოცხლის მეორე უმთავრესი კანონის", ადამიანის ბუნების მეორე მთავარი მოთხოვნილების — თავისუფლების შესახებ. სიცოცხლე, გ. წერეთლის აზრით, თავისუფლებაა. „სადაც თავისუფლება არ არის, იქ სიცოცხლეც არ არის, რადგან სიცოცხლე ყოველს მოქმედებას თ ა ვ ი ს უ ფ ლ ა დ აღმოშობს თავის შინაგანის და არა გარეგანი ძალით" [1]. ამასთან უნდა ითქვას, რომ თავისუფლება გ. წერეთლისათვის უფრო პოლიტიკური ცნებაა, ვიდრე ფილოსოფიური. ამიტომაც იყო განხილული თავისუფლების გ. წერეთლისეული გაგება მის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებებთან [2]. აქ მხოლოდ ის უნდა დავუმატოთ, რომ ადამიანთა თავისუფლების საქმით განხორციელება გ. წერეთელს შეუძლებლად მიაჩნდა თანასწორობის გარეშე. ამას მოწმობს გ. წერეთლის უბის წიგნაკში აღმოჩენილი ერთი ჩანაწერი: „ყველანი თანასწორნი უნდა იყვნენ, — ჩაუწერია გ. წერეთელს, — ...არის ჭეშმარიტება, რომელიც გწამს, რომელსაც მუდამ ხედავ, როგორც სინათლეს. მათ შორის მთავარია თანასწორობა... არის აგრეთვე თავისუფლება და ძმობა... (მაგრამ) ძმობა ოცნებაა, შინაარსსმოკლებული გრძნობაა... ადამიანს თვისებად არა აქვს შეიძულოს ის, ვისაც არ იცნობს. მაგრამ არც მისი თვისებაა — ეს უცნობი შეიყვაროს. ძმობაზე ვერაფერს ააგებს, თავისუფლებაზე ხომ მით უფრო. ეს ცნება მეტისმეტი შეფარდებითი ცნებაა საზოგა-

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ. სრ. კრებული, ტ. I, გვ. 122.
[2] იხ. ამ შრომის 174-ე გვერდი.

დოებაში... თანასწორობა მუდამ შეიცავს აზრს, თავისუფლება და ძმობა კი მხოლოდ სიტყვებია“ [1].

ამასთან, ცხადია, გ. წერეთელმა ვერ გაიგო თანასწორობის ნამდვილი შინაარსი, რაც როგორც ცნობილია, პროლეტარული რევოლუციის მოხდენისა და კომუნიზმის აშენების გზით კლასების მოსპობაში მდგომარეობს.

მაშასადამე, გ. წერეთელმა ვერ გაიგო ვერც ის, თუ როგორ უნდა განხორციელებულიყო საყოველთაო თანასწორობა, ანუ, მისი ტერმინოლოგია რომ ვიხმაროთ, როგორ უნდა დაკმაყოფილებულიყო ბედნიერებისაკენ მისწრაფების ადამიანური მოთხოვნილება, რომელსაც იგი სიცოცხლის ერთ-ერთ მთავარ კანონად თვლიდა. „ყველა კაცს ბედნიერება ჰსურს თავის თავისათვის, — ამბობს გ. წერეთელი, — და მუდამ იმას ელტვის, რომ კარგა იცხოვროს; მაგრამ რა რიგათ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს ეს წადილი და თვითონ ცხოვრება!... კაცს მართლაცა აქვს ჩანერგილი ბუნებაში ბედნიერების ძებნა და ეს მოთხოვნილება ღრმა და აღმოუფხვრელია. მაგრამ კაცობრიობა ჯერ იქამდის არ მისულა, რომ თავის მოთხოვნილებები დააკმაყოფილოს“ [2].

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ადამიანთა საყოველთაო ბედნიერების დამყარების ძირითად საშუალებად გ. წერეთელი განათლებას თვლიდა. აქ ყველაზე ნათლად იჩინა თავი მისი საზოგადოების ფილოსოფიის იდეალისტურმა ხასიათმა.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა, რომ გ. წერეთლის, თუნდაც, საზოგადოების ფილოსოფიაში მხოლოდ იდეალიზმი დაგვენახა. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ქართველი განმანათლებლებიდან გ. წერეთელმა ყველაზე მეტად სცადა რიგ საზოგადოებრივ მოვლენათა მატერიალისტური ახსნა. რა თქმა უნდა, ეს ცდა საბოლოო ანგარიშით მარცხით დამთავრდა და გ. წერეთელი ისტორიის დარგში საერთოდ იდეალიზმს ვერ გასცდა. მაგრამ ეს ცდა თავისთავად მეტად საგუ-

---

[1] იხ. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახ. მუზეუმის ფონდი — 386. (გ. წერეთლის უბის წიგნაკები).

[2] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ. სრ. კრებული, ტ. I, გვ. 127.

ლისხმოა, რადგან იგი გვიჩვენებს, რომ გასული საუკუნის 60—70-იანი წლებიდან ქართული საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზრი, მართალია, ნელა, ხელისფათურით (და შეცდომებით), მაგრამ მაინც შეუპოვრად მიდიოდა დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმისაკენ.

ამ საკითხის საბოლოო გარკვევის საქმეში ერთგვარ წვლილს შეიტანს გ. წერეთლის შეხედულებათა განხილვა საზოგადოებასა და საზოგადოებრივს მოვლენებზე.

გ. წერეთლის საზოგადოებრივ-ისტორიულ შეხედულებათა გადმოცემა იმის აღნიშვნით უნდა დავიწყოთ, რომ გ. წერეთელი სავსებით იზიარებდა მარქსამდელ მოაზროვნეთა ცნობილ დებულებას საზოგადოება ადამიანთა ჯგუფია, ხოლო საზოგადოების თვისებები ამ ჯგუფში შემავალი ადამიანების ინდივიდუალურ თვისებათა ჯამიაო [1]. ამიტომ ადამიანზე რომ ლაპარაკობს, გ. წერეთელს მხედველობაში აქვს მთელი ის საზოგადოება, რომლის წევრიცაა ადამიანი და, პირიქით. ამ აზრით ხელმძღვანელობდა გ. წერეთელი საზოგადოებრივ-ისტორიულ მოვლენების შესწავლის დროს.

რაც შეეხება ისტორიულ მოვლენათა შესწავლის მეთოდს, რომელსაც გ. წერეთელი იყენებდა, მას, თვითონ გ. წერეთელი ისტორიულ-შედარებით ანუ ევოლუციურ მეთოდს უწოდებდა[2]. ფ. მახარაძეც ადასტურებს, რომ „ისტორიულ კვლევა-ძიებაში გ. წერეთელი თავიდანვე ევოლუციონურ შეხედულებას ადგა“ („გ. წერეთელი, როგორც ისტორიკოსი და არქეოლოგი“, „კვალი“, № 3, 1900 წ.). ეს მეთოდი გ. წერეთელს მეცნიერული კვლევის „ბეჯით“ საშუალებად მიაჩნდა, წინააღმდეგ „მეტაფიზიკური, განყენებული, უნიადაგო მჭერმეტყველებისა“, „რომელსაც რეალურს მეცნიერებასთან არაფერი საერთო არა აქვს“. მეტაფიზიკური, ე. ი. იდეალისტური მეთოდი, გ. წერეთლის თქმით, ზერელედ იხილავს მოვლენებს, „ხან აქეთ უტრიალებს მას, ხან

---

1 იხ., მაგალითად, ნ. ჩერნიშევსკი, რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, გვ. 255.

2 იხ. მისი წიგნი: „ჩვენი ძველი გმირები“, 1898 წ., გვ. 111.

იქით, მაგრამ მისი ნამდვილი შემოქმედი ძალა კი ვერ უჩვენებია“ [1]. ისტორიული მეთოდის უპირატესობა კი, მისი აზრით, სწორედ ის არის, რომ იგი იკვლევს საზოგადოებრივ მოვლენათა განმსაზღვრელ მიზეზს.

საზოგადოების შესწავლაში მეცნიერული ანუ ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენების ძირითადი მოთხოვნები გ. წერეთელმა ჩამოაყალიბა სტატიაში „წარსული წლის პოლიტიკა“. იგი წერს: „ყოველი პოლიტიკური შემთხვევის გასაგებათ საჭიროა იმის სათავის ცოდნა, რა ძირითადმა მიზეზმა გამოიწვია ის, როგორი პოლიტიკური ვითარება დააარსა მან, რა შედეგი მოჰყვა მას, წინ წადგა ფეხი, თუ უკან დაიხია იმის გამო კაცობრიობის განვითარებამ. როცა ამგვარათ განიხილება პოლიტიკური მოძრაობა, მაშინ იგია მეცნიერულ ნიადაგზე დაფუძნებულიო...“ [2].

ამრიგად, საზოგადოებრივ-ისტორიულ მოვლენათა შესწავლაში გ. წერეთელი მთავარ ამოცანად თვლიდა მათი განმსაზღვრელი მიზეზის გამორკვევას. მაგრამ რა არის გ. წერეთლის აზრით საზოგადოებრივ მოვლენათა განმსაზღვრელი მიზეზი?

ამ საკითხის გადაწყვეტისას გ. წერეთელი ადამიანზე და ადამიანთა საზოგადოებაზე საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დასკვნებს ავრცელებდა და ამტკიცებდა, რომ საზოგადოებრივ მოვლენათა განმსაზღვრელი მიზეზი თვით მისივე ცხოვრების გარემოებანი არისო. ცნობილ სტატიაში — „რა უნდა გამოეტანა მსმენელს უფ. ი. თარხნიშვილის ლექციებიდან“ — გ. წერეთელი წერდა: „ყოველი სხეულის მოძრაობა და მოქმედება გარეშე მყოფ გარემოებებზეა დამოკიდებული... კაცის მოქმედებაში და მოძრაობაში(ც) იმის საკუთარი ნება არ არსობს... [3] კაცის მოძრაობა და მოქმედება იმ

---

[1] იხ. „კვალი“, № 7, 1894 წ.

[2] იხ. „კვალი“, № 2, 1899 წ.

[3] ე. ი. არსებითი, განმსაზღვრელი არ არისო. გ. წერეთელი აქ არ არკვევს ადამიანის ნებისყოფის თავისუფლების საკითხს. მას მხოლოდ იმის დამტკიცება სურს, რომ ადამიანის ნებასურვილი, უწინარეს ყოვლისა, მის გარეშე მყოფი მიზეზებით არის განსაზღვრული. რაც შეეხება ადამია-

გარემოებებზეა დამოკიდებული, რომელნიც ადამიანს გარს არტყიან, რომელნიც კაცის გარეშე იმყოფებიან“ [1].

ამრიგად, ადამიანისა და ადამიანთა საზოგადოების არსებობისა და განვითარების განმსაზღვრელია საზოგადოების ცხოვრების გარემოებები ანუ პირობები. მაგრამ რას გულისხმობს გ. წერეთელი საზოგადოების ცხოვრების პირობების ცნებაში?

საზოგადოების ცხოვრების პირობების ცნებაში გ. წერეთელი გულისხმობს, უწინარეს ყოვლისა, გეოგრაფიულ გარემოს. მას „გაცვეთილ ჭეშმარიტებად“ მიაჩნია ის აზრი, რომ „არა თუ ცალ-ცალკე აღებულნი პირნი ეკუთვნიან მიწასა, არამედ მთელი საზოგადოებისა და მთელი ხალხების ცხოვრებაც ისეა... მოწყობილი, როგორს მოწყობილობასაც ითხოვს იმათი საცხოვრებელი ნიადაგი და როგორი ბუნებაც იმათ გარშემო ახვევია, მიწის ნიადაგი და გარემო მყოფი ბუნება ძალიან მოქმედობს კაცის მთელ აგებულებაზედ... აძლევს კაცს თავისებურს ხასიათს... ამასთან ყველა ისტორიული შემთხვევა..., უმეტესობით, ქვეყნის გეოგრაფიულ მდებარეობაზედ არის დამოკიდებული“.

ამ მხრივ დამახასიათებელია გ. წერეთლის აზრი ქართველთა და იმერელთა ხასიათის შესახებ. იგი ფიქრობდა. რომ ქართველის ხასიათის სიდინჯე და იმერელის ხასიათის სიმკვირცხლე აიხსნება იმერეთისა და ქართლის ბუნებრივი პირობებით. ქართველი ვაკე, ნაყოფიერ მიწაზე ცხოვრობს, ძნელადმოსანელებელი ხორბლეულით იკვებება, მძიმე ჰაერით სუნთქავს და ყოველივე ეს მისი სისხლის მოძრაობას ანელებს. იმერელი კი მთაგორიან, მცირედ ნაყოფიერ მიწაზე ცხოვრობს, ადვილადმოსანელებელი ღომით იკვებება, სუფთა ჰაერით სუნთქავს და ყოველივე ეს მის სისხლს სწრაფად

ნის ნებისყოფის თავისუფლებას, იგი მას სხვა წერილებში განიხილავს და ამასთან სრულებითაც არ უარყოფს ‘ ადამიანის თავისუფლებას — შეიცნოს და გავლენა მოახდინოს გარემოზე, — როგორც ეს ჩანს სიცოცხლის ზემოთ განხილული გ. წერეთლისეული გაგებიდან.

[1] იხ. „დროება“, № 45, 1871 წ.

ამოძრავებსო. ეს არის მიზეზი, გ. წერეთლის აზრით, ქართლელისა და იმერელის ხასიათის განსხვავებისა, ხოლო მათი ხასიათის განსხვავება იწვევს მათი საქმიანობის განსხვავებას: იმერელი ვაჭრობს, ქართლელი მიწას ამუშავებს [1].

ამ ვულგარულ-მატერიალისტურ შეხედულებათა მცდარობა გ. წერეთლის სიცოცხლეშივე გამომჟღავნდა, როცა საზოგადოებრივმა პრაქტიკამ, კაპიტალისტურმა წარმოებამ თავის ორბიტში ჩაითრია საქართველოს ყველა კუთხე.

ამრიგად, ადამიანთა საზოგადოება გ. წერეთლის აზრით, ბუნების ნაწილია და ამიტომ მისი არსებობა და განვითარება, უწინარეს ყოვლისა ბუნებრივ პირობებზე, გეოგრაფიულ გარემოზე არის დამოკიდებული. მაგრამ საზოგადოება როდი არის ბუნების პასიური პროდუქტი, რომელიც სავსებით ემონება მის ზეგავლენას. პირიქით, საზოგადოება აქტიურ ზემოქმედებას ახდენს ბუნებაზე და ცვლის მას: გაჰყავს არხები უდაბნოების მოსარწყავად, ამდიდრებს ნიადაგს, სცვლის ჰავას და სხვა. „სასარგებლო შრომა კაცისა, — ამბობს გ. წერეთელი, — დედამიწის... სახეს ძალიან სცვლის... კაცს თავის შრომითა და ძალით დედამიწის ზურგზედ ბევრი ცვლილება მოუხდენია... კაცის ხელოვნებას და ძალას შეუძლიან გააკეთოს და გაამშვენიეროს ბუნება თავის სასარგებლოდ“ [2].

საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის გეოგრაფიულ გარემოს გ. წერეთელი დიდ როლს ანიჭებდა, მაგრამ იგი გეოგრაფიულ გარემოს ან სხვა რომელიმე ფაქტორს არ თვლიდა საზოგადოების განვითარების ერთადერთ პირობად. მართალია, მექანისტურ შეხედულებათა გავლენით გ. წერეთელი ზოგჯერ ადამიანს და ადამიანთა საზოგადოებას მანქანას ადარებდა, მაგრამ მან კარგად იცოდა, რომ „ადამიანი და ხალხი მაშინა კი არაა, რომელსაც ხშირათ მარტო ერთი მანქელით დააბრუნებს და აამუშავებს კაცი. ხალხის ცხოვრება ისეთი რთული რამაა, იმის დატრიალებას იმდენი

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ამ დროის მოძრაობა, „კრებული“, № 3, 1873 წ., გვ. 218 — 224.

[2] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ. სრ. კრებული, ტ. I. გვ. 194 — 195.

სხვადასხვა ჯახრაკები, მანჭვლები და ჩაქუჩები სჭირია და სატკივრებს იმდენნაირი წამლები, რომ მხოლოთ იმას, ვისაც ამ რთული ცხოვრების გაგება არა აქვს, შეუძლია სთქვას, რომ ხალხის ცხოვრებისა გაუმჯობესებისათვის მხოლოთ ერთი რომელიმე საგანი საკმაროაო“ [1].

ცხადია, ამ აზრის გამომთქმელი საზოგადოების არსებობის ერთადერთ პირობად მხოლოდ ერთ საგანს ვერ მიიჩნევდა. და მართლაც, გეოგრაფიულ გარემოსთან ერთად გ. წერეთელი საზოგადოების ცხოვრების პირობებში გულისხმობდა მოსახლეობის რაოდენობას და ნიჭიერებას. ამ საკითხის ვრცელი განხილვა მას არ მოუცია, მაგრამ ზოგიერთი ხალხის ჩამორჩენილობის მიზეზად, როგორც ზემოთ ითქვა, გ. წერეთელი უნიჭობას თვლიდა, ხოლო მე-19 საუკუნეში ქართველი ხალხის ჩამორჩენილობას და ცარიზმის კოლონიად გადაქცევას, იგი ქართველი ხალხის სიმცირით ხსნიდა [2].

უფრო ვრცლად გაარკვია გ. წერეთელმა საზოგადოების ცხოვრების პირობების შემდეგი შემადგენელი ნაწილი, რომელსაც იგი „სხვადასხვანაირ დაწყობილებას და ცხოვრების წესს“ უწოდებდა. „ერის ცხოვრებასაც თავისი კარგი და ცუდი ამიდი აქვს, — ამბობდა გ. წერეთელი, — ეს ამიდია იმისი სხვადასხვანაირი დაწყობილება და ცხოვრების წესი. ამაებს ყველას ჩვენ ვეძახით ერის ცხოვრების გარემოებებს“ [3].

გ. წერეთლის პუბლიცისტური წერილები მცირე შესაძლებლობას იძლევა, გამორკვეულ იქნას, თუ რას გულისხმობდა გ. წერეთელი ამ „სხვადასხვანაირ დაწყობილებაში“. მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ ცნებაში გ. წერეთელი გულისხმობდა საზოგადოების სხვადასხვანაირ ეკონომიურ წყობილებას. ეს მით უფრო საფიქრებელია, რომ „ცხოვრების წესში“ გ. წერეთელი გულისხმობს წარმოების

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, რა გვეჭირვებაᲐ, „კრებული“, № 5. 1871 წ.

[2] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ. სრ. კრებული, გვ. 126.

[3] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, საამხანაგო ბანკები, იმათი მნიშვნელობა და დაწყობილება, „კრებული“, № 8—9, გვ. 301, 1872 წ.

იარაღებს და მათი გამოყენების ცოდნას მატერიალური დოვლათის დასამზადებლად. იგი ხედავს, რომ ადამიანთა საზოგადოება არ არსებობს წარმოების გარეშე, ხოლო წარმოება — წარმოების მცოდნე ადამიანებისა და წარმოების იარაღების გარეშე. მაგრამ ამასთან იგი არც კი აყენებს საკითხს წარმოებით ურთიერთობათა შესახებ. ისე გამოდის, რომ, გ. წერეთლის აზრით, წარმოების იარაღების მქონე ადამიანთა მოქმედება განსაზღვრავს საზოგადოების ყოფნა-არყოფნას დამოუკიდებლად იმისაგან, თუ როგორ წარმოებით ურთიერთობაში იმყოფებიან ისინი. გ. წერეთელი ხედავდა რომ მძლავრი მანქანების მქონე მწარმოებლებთან, რომლებიც დღეში ოცი დღისას ხნავენ, შვიდუღლიანი ქართული გუთნის მქონე მწარმოებლებს აღარ დაედგომებათ. მაგრამ მან, როგორც ჩანს, არ იცოდა, რომ ახალ წარმოების იარაღებს, უფრო ზუსტად, ახალ მწარმოებელ ძალებს შეესაბამება ახალი წარმოებითი ურთიერთობა, რომელიც ხელს უწყობს მწარმოებელ ძალთა განვითარებას. მან არც ის იცოდა, რომ მწარმოებელი ძალები წარმოებით ურთიერთობათა მეშვეობით განსაზღვრავენ საზოგადოების ხასიათს. ამიტომ უცხო კაპიტალის მიერ საქართველოს დამონების თავიდან ასაცილებლად გ. წერეთელი იმას კი არ ამბობს ფეოდალური წარმოებითი ურთიერთობის ნაშთები აღმოვფხვრათ, როგორც დაბრკოლება მწარმოებელ ძალთა განვითარებისათვის, — არამედ — „საერო და სასოფლო ბანკები გვიშველიანო". მართალია, გასული საუკუნის 60 — 70-იან წლებში ბანკების დაარსებისა და წარმოების განვითარების მოთხოვნა ფეოდალური წარმოებითი ურთიერთობის კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობით შეცვლის მოთხოვნას ნიშნავდა, მაგრამ მაშინ გ. წერეთელს ეს კიდევ არ ჰქონდა შეგნებული. მხოლოდ შემდეგში, 90-იან წლებში, მიხვდა გ. წერეთელი, რომ „ჩვენი საადგილმამულო ბანკები ერთი იმ კაპიტალისტურ დაწესებულებათაგანია, რომელიც შეუნიშნავათ აცლის ხელიდან ერს მიწაწყალს და ჰხდის ნელნელა... პროლეტარათ" [1]; მაგრამ გ. წერეთელმა ვერც

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, „ქვალის" ორი წლის ნაღვაწი. „ქვალი", № 1, 1895.

მაშინ გაიგო მეცნიერული მოძღვრება ამ „კაპიტალისტური დაწესებულებების“ და, საერთოდ, კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობის შესახებ.

მიუხედავად ამისა, გ. წერეთლის მიერ „ეკონომიური“ ცხოვრების მიჩნევა საზოგადოების არსებობისა და განვითარების ერთ-ერთ განმსაზღვრელ პირობად თავისთავად მაინც ფრიად საყურადღებოა, თუმცა საზოგადოების ეკონომიური მდგომარეობა, გ. წერეთლის აზრით, საზოგადოებრივ ცნობიერებაზეა დამოკიდებული. ამიტომ ამტკიცებდა იგი: „ჩვენი ერის ეკონომიურად განთავისუფლება თვით ჩვენს ცნობიერს მეცადინეობაზეა დამოკიდებული, ჩვენვე შეგვიძლია საერთო ძალით ვიხსნათ თავი სხვისი ვალისა და ვახშისაგანო“ [1]. ამიტომ მიიჩნევდა იგი განათლებას ყველაზე მთავარ, განმსაზღვრელ პირობად საზოგადოების ცხოვრების პირობების სისტემაში და ამბობდა: სანამ ხალხი არ განათლდება, ვერც გეოგრაფიული გარემო, ვერც მოსახლეობის რაოდენობა და ვერც საზოგადოებრივი წყობილების შეცვლა საზოგადოებას სარგებლობას ვერ მოუტანსო.

აქედან გამომდინარეობს, რომ გ. წერეთელი იდეალიზმს ვერ გასცდა საზოგადოების ახსნის საქმეში, მიუხედავად იმისა, რომ მან სცადა საზოგადოებაზედაც გაევრცელებინა ბუნების საბუნებისმეტყველო-მეცნიერული ახსნა. მან მიუთითა საზოგადოების განვითარების მთავარ მატერიალურ პირობებზე, მაგრამ ვერ გაიგო ეს პირობები და პროგრესის ძირითად ფაქტორად საზოგადოების სულიერი ცხოვრება მიიჩნია. მან ვერ გაიგო, რომ საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობების სისტემაში გადამწყვეტი ძალა არის მატერიალური დოვლათის წარმოების წესი, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების მთელს ფიზიონომიას, მის ყველა სულიერ მოთხოვნილებას. მაშასადამე, გ. წერეთლის მიერ საზოგადოების იდეალისტურად ახსნის მთავარი მიზეზი ის არის, რომ მან ვერ გაიგო წარმოების წესის განმსაზღვრელი როლი საზოგადოების განვითარებაში. მაგრამ ამის

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, „ქვალის“ ორი წლის ნაღვაწი. „ქვალი“, № 1, 1895 წ.

გაგება არც შეეძლო განმანათლებელს და ბუნებისმეტყველ-მატერიალისტს იქ და მაშინ, სადაც და როდესაც ისტორიას უმთავრესად თვლიდნენ ადამიანის ბუნების უცვლელი კანონებისა და გამოჩენილ პიროვნებათა ნებასურვილის განხორციელებად. რა თქმა უნდა, გ. წერეთელმაც მძიმე ხარკი გადაუხადა თავისი დროის ჩამორჩენილობას და ისტორიული იდეალიზმის გავლენის ქვეშ მოექცა, მაგრამ იგი სავსებით არ დამორჩილებია ამ გავლენას და იძლეოდა რიგი საზოგადოებრივ-ისტორიული მოვლენების მატერიალისტურ ახსნას.

მაგალითად, სუბიექტივისტურ-იდეალისტური სოციოლოგიის საწინააღმდეგოდ, გ. წერეთელი ამტკიცებდა, რომ ყოველი ისტორიული მოვლენა ცხოვრების პირობებით განისაზღვრება და რომ ისტორია არის არა ცალკეულ გამოჩენილ პიროვნებათა ნება-სურვილის განხორციელება, არამედ ობიექტური პროცესი. „როდესაც ცხოვრებაში ახალი მოთხოვნილება დაიბადება, — წერდა გ. წერეთელი, — მიუცილებლათ მას, ადრე თუ გვიან, შესაფერი მისი გამომთქმელი იარაღიც თან მოჰყვება... ცხოვრების პროგრესი, წარმატება ყოველთვის თვითონ გაიკვალავს ხოლმე თავის გზას და ვინც ამ გზას (ბრძოლით) მიყვება... მიუცილებლათ ახალი ცხოვრებაც მისკენ იზამს პირს“ [1]. „ახალი აზრი ჩნდება ახალი მოძრაობის ნიშნად საზოგადოებაში“ [2]. ამიტომ პიროვნების როლი ისტორიაში, გ. წერეთლის აზრით, იმით განისაზღვრება, თუ რამდენად სწორად შეიცნობს იგი საზოგადოებრივი მოძრაობის მოთხოვნილებებსა და საკუთარი კლასის ინტერესებს. „ყოველი კაცი, — ამბობს გ. წერეთელი, — და განსაკუთრებით ის, ვინც გარემოების ძალით საზოგადოების მეთაურათ გამხდარა, ყველაზე პირველათ შვილია თავისი ერის და საზოგადოებისა... იმას შესისხლხორცებული უნდა ჰქონდეს ამ საზოგადოების გულისწადილი, ამ საზოგადოების, ანუ კლასის ინტერესები. ის მაშინ ხდება და მხოლოდ მაშინ მისი დროშის მატარებელი, როდესაც თავის საზოგადოების ანუ

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, „კვალის“ ორი წლის ნაღვაწი, „კვალი“, № 1, 1895 წ.

[2] იხ. „კვალი“, № 24, 1894 წ.

რომელიმე კლასის გულისწადილს, მის ინტერესებს სრულათ შეიგნებს და ამ ინტერესებისათვის დაიწყებს ბრძოლას, მას ექომაგება. ასე ყოფილა ყოველ დროს, ასეა მთელ განათლებულ ქვეყნებში, ასეა ჩვენშიც. ყოველი საზოგადო მოღვაწე მხოლოდ მაშინ მოიმკის საზოგადოების სიმპატიას და მაშინ შეიკრებს გავლენის ძალას, როცა ის ხდება ნამდვილი გამომეტყველი და წარმომადგენელი საზოგადოების, ანუ რომელიმე კლასის ინტერესისა" [1]. პიროვნების როლის ამ მატერიალისტური გაგების საფუძველზე განიხილავდა გ. წერეთელი საზოგადოების ისტორიას. ამიტომ საზოგადოების ისტორია, მისი აზრით, არის არა მეფეთა და მხედართმთავართა ისტორია, არამედ უბრალო ადამიანების, ხალხის მასების ისტორია. „...განა ერის ან კაცობრიობის ისტორიის ცოდნა მისი მეფეების ნომენკლატურის ცოდნას შეადგენს"? — კითხულობდა გ. წერეთელი და უპასუხებდა: „ერთი დრო იყო, როცა ისტორია მარტო მეფეთა და მთავართა ტახტზე ასვლა-ჩამოსვლის ამბავი ეგონათ; ყოველდღიური ცხოვრება, ავი და კარგი უბრალო ადამიანისა, მისი ჭირი და ლხინი ჩრდილში იყო მიყენებული... დრონი იცვალნენ და შეხედულებაც ისტორიაზე მასთან ერთად შეიცვალა" [2]. — ისტორიის საგანია „ერის ფესვებისა და ძირების ცხოვრების მიმდინარეობა".

კიდევ უფრო საინტერესოა, რომ ისტორიული მოვლენების შესასწავლად გ. წერეთელი იყენებდა ზემოთ განხილულ დებულებას, რომლის მიხედვით საზოგადოების არსებობასა და განვითარებას მისი ცხოვრების პირობები, მათ შორის, ეკონომიური მდგომარეობა და ეკონომიური წყობილება განსაზღვრავს. ამას მოწმობს, მაგალითად, ის ფაქტი, რომ მისი ერთ-ერთი ბიოგრაფის გადმოცემით, გ. წერეთელმა „სულ ხშირათ იცოდა ხოლმე... თქმა: სანამ ჩვენი ხალხი ქონებრივად ცოტა არ მომჯობინდება, სურვილიც რომ დაებადოს მაინც ვერ დაწინაურდება გონებრივადო". ან კიდევ: წინაალ-

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ქუთაისის საადგილმამულო ბანკი და ინტელიგენტთა პარტიები, „კვალი", № 11, 1899 წ.

[2] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, მატიანე, „კვალი", № 12, 1899 წ.

მდეგ იმ იდეალისტებისა, რომლებიც 90-იანი წლების საქართველოში ყაჩაღობის გავრცელებას ადამიანის ბოროტი ბუნებით ხსნიდნენ, გ. წერეთელი ამტკიცებდა: ყაჩაღობის გავრცელების მიზეზი ადამიანის ბოროტი ბუნება კი არ არის, არამედ ის, რომ „ჩვენი ქვეყანა თანდათან უფრო ვარდება ეკონომიურ კრიზისში... მისი ნივთიერი მდგომარეობა თანდათან ვიწროვდება... მაშინ, როდესაც მისი ცხოვრების მოთხოვნილება კიდევ უფრო იზრდებაო“ [1].

სხვა ადგილას გ. წერეთელი კიდევ უფრო ნათლად ამბობდა: „მტაცებლების არსებობა თვითონ საზოგადო წყობილების ბრალია და არა ადამიანის სიბოროტისა“ [2]. მაგალითად,— ამბობს გ. წერეთელი წერილში „ჩვენ და ჩვენი „დროება“, — ხალხის ჩაგვრისა და ექსპლოატაციის მიზეზი სომეხი ვაჭრების ადამიანური ბუნება კი არ არის, არამედ ექსპლოატატორული წყობილება. „ამისთანა ბოროტებაში სომხობა და სომხის ხალხის თვისება კი არ არის დამნაშავე. საზოგადოთ ვაჭრობის წესსა აქვს ამაში დანაშაული“.

მოელენათა ამ მატერიალისტური გაგებიდან გ. წერეთელს რევოლუციური პრაქტიკული დასკვნაც გამოჰქონდა. „მაშ ჩვენი მეცადინეობა იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ შიმშილი და სისაწყლე მოვსპოთ; ადამიანის ცხოვრება ისე უნდა იყოს გამართული, რომ, როდესაც ერთი კაცი მილიონების პატრონია, მაშინ მეორე ისეთ მდგომარეობაში არ უნდა იყოს, რომ შიმშილით კვდებოდეს. მიეცით მშიერს პური, შიშველს ტანისამოსი, დააკმაყოფილეთ იმის ყოველი კაცობრიული მოთხოვნილება და დარწმუნებული იყავით, ქვეყანაში ისე გაძვირდება ცუდკაცობა, როგორც ახლა კარგი საქმეებია გაძვირებული და ეს... მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც ჩვენი ცხოვრება უფრო სამართლიანათ იქნება გამარ-

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ცუდი ნიშნები მომავლისა, „კვალი“, № 38, 1897 წ.

[2] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, რა უნდა გამოეტანა მსმენელს უფ. ი. თარხნიშვილის ლექციებიდან, „დროება“ № 45, 1871 წ.

თული და როდესაც ღარიბის შრომით მდიდარი არ ისარგებლებს“ [1].

ძველი მონათმფლობელური და ფეოდალური სახელმწიფოების (მაგალითად, რომის, სპარსეთის და საქართველოს) დალუპვის მიზეზადაც გ. წერეთელი ექსპლოატატორული თვითმპყრობელური წყობილების გაბატონებას თვლიდა. „მილიონი უქმათ მჭამელი ხალხი აწვა კისერზე დაბალს მიწის მუშა ხალხს და მატლისავით სწოვდა იმის ცხოვრების ღონისძიებას... სამშობლოო? — მეტყვით, მაგრამ ის რა სამშობლოა, საცა კაცი წვალების მეტს არას ჰგრძნობს? მდაბალი ხალხი, რომელიც სახელმწიფოს ძირია, წელგაწყვეტილი იყო... მაშ უმთავრესი მიზეზი სპარსეთის სახელმწიფოს დაცემისა იყო მისი დამპალი სახელმწიფო დაწყობილება... ფარნაოზ მეფემ ეს სახელმწიფო დაწყობილება შემოიტანა საქართველოს ქვეყანაში... უფრო ამითი აიხსნება ის ისტორიული ფაქტი, რომ ფარნაოზ მეფიდგან მოკიდებული ჩვენ დრომდის საქართველოს ერს უცხო ქვეყნის მონობიდან თითქმის თავი ველარ დაულწევია...“ [2].

ამ არცთუ სავსებით სწორი მსჯელობიდან ჩანს, რომ გ. წერეთელი უკვე კაპიტალიზმის წინადროინდელი საზოგადოების ძირითად ნიშნად თვლიდა კლასებად დაყოფას, რაც ქონებრივი უთანასწორობის საფუძველზე იყო აღმოცენებული. ამასთან გ. წერეთელი მუდამ ნათლად აღნიშნავდა, რომ კლასებს შორის მუდმივი ბრძოლა მიმდინარეობდა. ფეოდალიზმის დროს „ყველა თითოეულს ებრძოდა და თითოეული ყველას“; კაპიტალიზმის დროსაც „ყოველგან გამწვავებული ბრძოლაა მეზობელი მეზობელს არ ზოგავს. წრე წრეს, წოდება წოდებას“... [3]; ხოლო რაც შეეხება კლასთა ბრძოლას საქართველოში, გ. წერეთელი თვლიდა, რომ საქართველოს ისტორია ძველთაგანვე კლასთა ბრძოლის ისტორია იყო. იგი

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, რა უნდა გამოეტანა მსმენელს უფ. ი. თარხნიშვილის ლექციებიდან, „დროება“, № 45, 1871 წ.

[2] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება ძველისძველად, „კრებული“, № 4, 1871 წ., გვ. 109—110.

[3] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, მატიანე, „კვალი“, № 23, 1893 წ.

გადაჭრით ებრძოდა ყველას, ვინც აცხადებდა: — საქართველოში კლასთა ბრძოლაზე, „მდიდრებზე და ღარიბებზე ლაპარაკი უქმი სიტყვებიაო“, — და ამხელდა „შემცდარ შეხედულებას წოდებრივ დამოკიდებულებაზე, თითქოს ჩვენში ბატონსა და ყმებს შორის არავითარი დაშორება, სამდურავი და გამწვავება არ არსებობსო“. მოსაზრება ჩატეხილი ხიდის გამთელებისა და წოდებრივი განკერძოების შესახებ, — ამბობდა გ. წერეთელი,—მხოლოდ „კეთილშობილურის გულისწადილის ნაყოფია და არა ნამდვილი ცხოვრების სურათი. ამას ჰქვია ტენდენცია და ამ ტენდენციას თუნდაც კეთილშობილურიც დაარქვათ, თუ ასეთი რამ თვით ცხოვრებაში არ არის, გამოდის უბრალო თავის მოტყუება...“ [1].

ამრიგად, მართალია, გ. წერეთელი ვერ გასცდა კლასთა ბრძოლის ლიბერალურ გაგებას, რადგან მას კლასთა ბრძოლის აღიარება არ მიუყვანია პროლეტარიატის დიქტატურის აღიარებამდე, მაგრამ იგი კლასთა ბრძოლას თვლიდა კლასობრივ საზოგადოებათა ძირითად ნიშნად.

ამასთან, გ. წერეთელი არა მარტო აღიარებდა კლასთა ბრძოლის თეორიას, არამედ კიდევაც ცდილობდა გამოეყენებინა იგი საზოგადოებრივი მოვლენების შესწავლაში, განსაკუთრებით 90-იან წლებში. ამ დროის საქართველოს რიგი საზოგადოებრივი მოვლენების (მაგალითად, ბანკების გარშემო ატეხილი ბრძოლის) განმსაზღვრელ მიზეზად გ. წერეთელს მიაჩნდა წინააღმდეგობა და ბრძოლა ბურჟუაზიასა და თავადაზნაურობას შორის. „კლასთა ბრძოლა... და მათი ინტერესების შეტაკება, — ამბობდა გ. წერეთელი, — არის მიზეზი ყოველი ახლანდელი საზოგადოებრივი მოვლენისა, სხვა არაფერი...“ [2].

გ. წერეთელი კლასთა ბრძოლის გამწვავებას თვლიდა იმის მთავარ მიზეზადაც, რომ მე-19 საუკუნის ბოლოს დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიულ წრეებში მოდად იქცა იდეალისტური ფილოსოფია. აგნოსტიკურ-იდეალისტური „მიმარ-

---

[1] „კვალი“, № 5, 1894 წ.

[2] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ქუთაისის საადგილმამულო ბანკი და ინტელიგენტთა პარტიები, „კვალი“, № 5, 1894 წ

თულება, — წერდა გ. წერეთელი, — არსებობს ევროპის ბურჟუაზიაშიც, რომელსაც ღარიბ მუშათა წოდების მუქარამ ძილი დაუფრთხო. იმან შეპყვირა ღიპგადმოგდებულ ბურჟუაზიას საზარელი ხმით: როგორც თქვენ თავადაზნაურობა შეუბრალებლათ გაჟლიტეთ და მათი ყოფაცხოვრებით მუცლები დაისივეთო პირველი რევოლუციის დროს, ჩვენც ისე გიზამთ, თუ ჩვენი ნაოფლარი, რომლითაც თქვენ გამდიდრებულხართ, უკან არ დაგვიბრუნეთო... აქ ევროპის შეძლებულ საზოგადოებას იმ ურწმუნო კაცის ამბავი მოუვიდა, რომელსაც თავს ავაზაკი დაეცა და მოკვლას ემუქრებოდა. იმასაც ახლა, ამ საშიშარ მდგომარეობაში მოჰგონებია ღმერთი და პირჯვრის წერას მოჰყოლია. ევროპის ბურჟუაზიასაც ასე მოუვიდა, როცა ჩვენს დროში იდეალურ ფილოსოფიას ხელი მიჰყო, მაგრამ ეს ხომ წარმატების გზაზე სიარული არ არის... „მოამბე" ამ გზას თუ დაადგა, მალე შეჰყოფს თავს ძველ მამაპაპის უმეცრების საბუდარში" [1].

კლასთა ბრძოლის თეორიის გამოყენებამ შესაძლებლობა მისცა გ. წერეთელს რამდენიმედ სწორად დაეხასიათებინა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს უმთავრესი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობანი და პარტიული ბრძოლა მათ შორის. ცნობილ სტატიაში „კვალის" ორი წლის ნაღვაწი, გ. წერეთელი წერდა, რომ საქართველოში „პარტიულ ბრძოლას ისეთივე ნიადაგი ბოუპოვებია, როგორც ევროპაში"... ამ ბრძოლაში, გ. წერეთლის აზრით, მონაწილეობდა სამი პარტია ანუ დასი, რომელთაგან პირველი დასი თავადაზნაურობის ინტერესებს გამოხატავდა, მეორე დასი — გლეხობის ინტერესებს, ხოლო მესამე დასი — „მთელი საქართველოს ერის ინტერესებს განურჩევლად წოდებისა". დასებად დაყოფა გ. წერეთელს რამდენიმედ სხვაგვარად აქვს წარმოდგენილი სტატიაში „კიტა აბაშიძე და ჩვენი ახალგაზრდობა". ამ სტატიაში გ. წერეთელი პირველ დასში აერთიანებს არა მარტო იმ მოღვაწეებს, რომლებიც თავს იყრიდნენ ჯერ „საქართველოს მოამბის", ხოლო შემდეგ

---

[1] „კვალი", № 7, 1894 წ.

„ივერიის“ გარშემო, არამედ ქართველ ნაროდნიკებსაც, რომლებიც მისი აზრით, 90-იან წლებში „სრულებით გაიქნენ პირველი დასის წყალში“. იქვე გ. წერეთელი მეორე დასს აკუთვნებდა იმ მოღვაწეებს, რომლებიც ჯერ „დროების“ გარშემო იყრიდნენ თავს, შემდეგ კი „კვალში“ მონაწილეობდნენ მესამე დასის წარმომადგენლებთან ერთად. აბასთან გ. წერეთელი თვლიდა, რომ პირველი და მეორე დასი ჯერ კიდევ 60-იან წლებში წარმოიშვაო.

ეს შეხედულება, ისევე როგორც საერთოდ გ. წერეთლის მიერ მოცემული კლასიფიკაცია მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულებებისა, როგორც ზოგიერთი მკვლევარი სამართლიანად აღნიშნავს, დაზუსტებას მოითხოვს. მაგალითად, სინამდვილეს არ შეესაბამება ის აზრი, თითქოს ქართველი პროგრესული ინტელიგენციის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მიმართულება უკვე 60—70-იან წლებში დამოუკიდებელ პარტიებად ანუ დასებად ნაწილდებოდა. მართალია, უკვე 60 — 70-იან წლებში ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში გარკვევით შეინიშნება ზომიერ-პროგრესული, რადიკალურ-პროგრესული და ნაროდნიკულ-ბუნტარული მიმდინარეობანი, მაგრამ ეს მიმდინარეობანი იმ დროს არსებითად ერთიან (ფორმით) ეროვნულ-განმათავისუფლებელ და (შინაარსით) ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ მიმართულებას წარმოადგენდნენ და გადაჭრით უპირისპირდებოდნენ რეაქციულ ფეოდალურ-მონარქიულ ნაციონალიზმს. ეს იმით აიხსნება, რომ 60 — 70-იან წლებში თავადაზნაურობისა და გლეხობის დაშლისა და გარდაქმნის პროცესი მხოლოდ იწყებოდა, ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ ცოტად თუ ბევრად ჩამოყალიბებული, დამთავრებული კლასობრივი სახე, საზოგადოების ძირითად წინააღმდეგობად კვლავ რჩებოდა წინააღმდეგობა თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის და ამიტომ საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის მთავარი მამოძრავებელი ძალა იყო კლასობრივი ბრძოლა თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის. ამ ბრძოლაში 60 — 70-იანი

წლების საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მიმართულების სამივე ძირითადი მიმდინარეობა — ზომიერ-პროგრესულიც, რადიკალურ-პროგრესულიც და ნაროდნიკულ-ბუნტარულიც — მეტ-ნაკლებად გლეხობს, ხალხის უმრავლესობის მხარეზე იდგა თავადაზნაურთა წინააღმდეგ და მათი ეროვნულ-პოლიტიკური და ესთეტიკურ-ფილოსოფიური შეხედულებანიც ამა თუ იმ ზომით ხალხის უმრავლესობის განწყობილებებს ასახავდა.

მაგრამ 80 — 90-იან წლებში ვითარება ძირეულად შეიცვალა. უკვე 60 — 70 წლებში დაწყებული პროცესი წოდებათა დაშლისა უაღრესად გაძლიერდა, კლასობრივი ბრძოლის ასპარეზზე ახალი კლასები — ბურჟუაზია და პროლეტარიატი გამოვიდნენ, საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითადი წინააღმდეგობა ხდებოდა წინააღმდეგობა ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის, ხოლო საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის მამოძრავებელი ძალა — კლასობრივი ბრძოლა ამ ორ კლასს შორის. ასეთმა ვითარებამ განსაზღვრა ერთიანი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მიმართულების დაშლა 80 — 90-იან წლებში და ძირითადად სამი დამოუკიდებელი პარტიის ანუ დასის წარმოშობა: პირველი ანუ ზომიერ-პროგრესული დასისა — ი. ჭავჭავაძის მეთაურობით, მეორე ანუ რადიკალურ-პროგრესული დასისა — გ. წერეთლისა და ნ. ნიკოლაძის მეთაურობით და მესამე ანუ მარქსისტული დასისა — ეგ. ნინოშვილისა და ნ. ჟორდანიას მეთაურობით. ამასთან მესამე დასი, მიუხედავად ნ. ჟორდანიას შეხედულებათა ნაციონალისტური და ოპორტუნისტული ხასიათისა, 90-იან წლებში არსებითად რევოლუციურ როლს ასრულებდა. ხოლო პირველი და მეორე დასების თითქმის ყველა წარმომადგენელი უმთავრესად ლიბერალურ შეხედულებებს იცავდა. გამონაკლისი იყო, თითქმის მხოლოდ გ. წერეთელი, რომელიც, რომ ორიც ვიცით, მესამე დასელებს დაუკავშირდა და მათთან ერთად (თუმცა არსებითად ბურჟუაზიული პოზიციებიდან) იბრძოდა თავადაზნაურულ-ბურჟუაზიული ინტელიგენციის წინააღმდეგ.

აი ზოგიერთი ზოგადი მოსაზრება, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია დასების საკითხის გ. წერეთლისეული

გაგების გადმოცემის დროს. ამ მოსაზრებათა ვრცელი დასაბუთება ცალკე შრომის საგანი უნდა გახდეს. აქ ეს საკითხი განხილული იქნა იმის საჩვენებლად, რომ გ. წერეთელი ცდილობდა გამოეყენებინა კლასთა ბრძოლის თეორია რიგ საზოგადოებრივ მოვლენათა შესწავლის დროს. და ეს არც იყო შემთხვევითი, რადგან „შეუფერავი რეალისტი" არა მარტო კარგად გრძნობდა მისი დროის მაჯისცემას, არამედ საკმაოდ კარგადაც იცნობდა მარქსისტულ მოძღვრებას კლასთა ბრძოლის შესახებ. როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, გ. წერეთელი მარქსისტი არასოდეს არ ყოფილა, მაგრამ 90-იან წლებში მარქსიზმის ცოდნას და მის გამოყენებას საზოგადოებრივი მოვლენების შესწავლაში იგი სასახელო საქმედ თვლიდა. მაგალითად, ერთ წერილში იგი წერდა: „მერე და ეს (მარქსიზმის ცოდნა და მისი გამოყენება საზოგადოების შესწავლაში მ. გ.) გასაკიცხავია?.. მარქსის თეორიას... პოლიტიკურ-ეკონომიურ მეცნიერებაში იგივე ადგილი უჭირავს, რაც დარვინის თეორიას ბუნებისმეცნიერებაში და ბიოლოგიაში. ეს არის უკანასკნელი მეცნიერული დასკვნა პოლიტიკურ-ეკონომიაში და სოციოლოგიაში"[1].

ამ აზრის გამომოქმელსე ერთგვარი გავლენა უსათუოდ უნდა მოეხდინა კლასთა ბრძოლის მარქსისტულ თეორიას. ამასთან ცხადია, რომ გ. წერეთლის ფილოსოფიურ შეხედულებათა უმთავრესი წყარო იყო მარქსამდელი მატერიალისტური ფილოსოფია და საბუნებისმეტყველო მეცნიერება, უწინარეს ყოვლისა კი, მე-19 საუკუნის რუსეთის რევოლუციურ-მატერიალისტური და საბუნებისმეტყველო-მეცნიერული აზროვნება. ამით აიხსნება, კერძოდ, ის ფაქტი, რომ გ. წერეთლის ფილოსოფია არის არა განყენებული მსჯელობა ყოფიერების ზოგად საწყისებზე, არამედ მისი დროის საბუნებისმეტყველო-მეცნიერული ცოდნა, განზოგადებული ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პრაქტიკული ამოცანების შესაბამისად. გ. წერეთელს კარგად

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, გაზეთი „ივერია"—და მისი საპოლემიკო ხასიათი, „კვალი", № 5, 1899 წ.

ჰქონდა შეგნებული მისი დიდი მასწავლებლის ჩერნიშევსკის ცნობილი დებულება იმის შესახებ, რომ „ფილოსოფიის იმ ნაწილის საფუძველი, რომელიც განიხილავს საკითხებს ადამიანის შესახებ, ისევ სწორედ საბუნებისმეტყველო მეცნიერებანია, როგორც მისი მეორე ნაწილისათვისაც, რომელიც გარეგანი ბუნების საკითხებს განიხილავს"; რომ ამავე დროს „თეორიულ საკითხთა მნიშვნელოვანება დამოკიდებულია სინამდვილესთან მათი ურთიერთობისაგან... ჩვენთან, ჩვენში, ჩვენს ირგვლივ, — აი სად უნდა ვეძიოთ საკითხებიც და მათი გადაწყვეტაც" [1].

და გ. წერეთელიც ეძებდა და წყვეტდა იმ თეორიულ საკითხებს, რომელთა გადაწყვეტას მოითხოვდა ქართველი ხალხის ეროვნული განთავისუფლების ინტერესები. ამ ინტერესების დაცვა გ. წერეთლის აზრით, შეუძლებელი იყო ხალხის მიერ მათი შეცნობის გარეშე, რელიგიურ ცრუმორწმუნეობას დამონებული ხალხის მასების აღზრდის გარეშე, საბუნებისმეტყველო ცოდნის გავრცელების გარეშე, რადგან „ბუნებისმეცნიერება პირველი საშუალებაა, რომ კაცს და აგრეთვე ხალხს დააკარგვინოს ცრუმორწმუნეობა" [2]. და გ. წერეთელიც ავრცელებდა ხალხში ეროვნულ-განმათავისუფლებელ და საბუნებისმეტყველო-მეცნიერულ ცოდნას. ამიტომ მისი ფილოსოფია არის, ბელინსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, არა „იდუმალი და ცხოვრებისათვის უცხო ცოდნა... არა მწიგნობრული ფილოსოფია, რომელიც მხოლოდ თავს იცნობს და პატივს სცემს მხოლოდ საკუთარ ინტერესებს, არა ფილოსოფია გულცივი და გულგრილი სამყაროს მიმართ, რომლის შემეცნებაც მის შინაარსს შეადგენს", არამედ ცხოვრების ფილოსოფია [3], მისი დროის მეცნიერება ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონების შესახებ. ამაში მდგო-

---

1 ნ. გ. ჩერნიშევსკი, რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, გვ. 24 — 28.

2 გ. წერეთელი, თხზ. სრ. კრებული, ტ. I, გვ. 85.

3 ბ. ბელინსკი, რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, გვ. 479.

მარეობს გ. წერეთლის ფილოსოფიის ძირითადი შინაარსი. ამიტომ ვამბობთ ჩვენ, რომ გ. წერეთლის ფილოსოფია არის საბუნებისმეტყველო-მეცნიერული ცოდნა ანუ საბუნებისმეტყველო-მეცნიერული მატერიალიზმი, განზოგადებული და გამოყენებული მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პრაქტიკული ამოცანების შესაბამისად.

რაც შეეხება იმას, რომ გ. წერეთელი ქებით იხსენიებდა ვულგარულ მატერიალისტებს და თითქმის ვულგარულ-მატერიალისტურადაც აყენებდა ზოგიერთ საკითხს (მაგალითად, ყოფიერებისა და ცნობიერების ან, როგორც იგი ამბობს, ცხოვრებისა და აზროვნების იგივეობის საკითხს), —ეს, ჩემი აზრით, ჯერ კიდევ არ კმარა იმის დასამტკიცებლად, რომ გ. წერეთლის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა ვულგარულ-მატერიალისტური ხასიათისაა. ეს საბუთები საკმარისი არაა ორი გარემოების გამო: ჯერ-ერთი, გ. წერეთლის ფილოსოფიის უმთავრესი შინაარსი ვულგარულ-მატერიალისტური არ არის და, მეორეც გ. წერეთლის მსოფლმხედველობის ის ცალკეული მომენტებიც, რომლებიც ვულგარულ-მატერიალისტურ ელფერს ატარებენ, ჩამორჩენილობიდან პროგრესისაკენ ნაბიჯის გადადგმა იყო გასული საუკუნის 60—70-იანი წლების საქართველოში, სადაც რელიგია და იდეალიზმი სულს უხუთავდა მშრომელთა ფართო მასებს; მაშინ როდესაც დასავლეთ ევროპაში ვულგარული მატერიალიზმი უკანგადადგმული ნაბიჯი იყო, რადგან იქ გასული საუკუნის 40-იან წლებში წარმოიშვა და შემდეგ გამარჯვებიდან გამარჯვებამდე მიდიოდა ყველაზე სრული და ყველაზე მოწინავე მსოფლმხედველობა—დიალექტიკური მატერიალიზმი. ამ გარემოებათა დავიწყება გ. წერეთლის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის შეფასების დროს შეცდომა იქნებოდა; ხოლო თუ ეს გარემოებანი გათვალისწინებული იქნება, მაშინ არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ გ. წერეთლის ფილოსოფიამ, მისმა საბუნებისმეტყველო-მეცნიერულმა მატერიალიზმმა, გა-

სული საუკუნის 60 — 70-იანი წლების საქართველოს მთელ მატერიალისტურ აზროვნებასთან ერთად, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჩვენში მარქსისტული ფილოსოფიის ათვისებისა და გამარჯვებისათვის პირობების მომზადების საქმეში.

ასეთია გ. წერეთლის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის ძირითადი საკითხები.

თავი მეხუთე

გიორგი წერეთლის ესთეტიკური შეხედულებანი

გ. წერეთლის ესთეტიკური შეხედულებანი მჭიდროდ არის დაკავშირებული მის ფილოსოფიურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებებთან. უფრო მეტიც: გ. წერეთლის ესთეტიკური თეორიის ძირითადი თავისებურებანი განსაზღვრულია მისი საბუნებისმეტყველო-მატერიალისტური და დემოკრატიული მსოფლმხედველობის შინაარსით. აქედან გამომდინარეობს, რომ გ. წერეთლის ესთეტიკური შეხედულებების, კერძოდ, მისი მხატვრულ-შემოქმედებითი მეთოდის თავისებურებათა შესწავლა ყოვლად შეუძლებელია მისი ფილოსოფიური და პოლიტიკური მსოფლმხედველობის შესწავლის გარეშე. სწორედ ამ გარემოების გაუთვალისწინებლობა უნდა ჩაითვალოს უმთავრეს მიზეზად იმისა, რომ დღემდე სათანადოდ არ არის ახსნილი და გაგებული გ. წერეთლის მხატვრულ-შემოქმედებითი მეთოდის არსებითი თავისებურებანი, რომლებიც განსაზღვრავენ ამ გამოჩენილი ბელეტრისტის ადგილს ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, თითქოს გ. წერეთლის ესთეტიკურ შეხედულებათა შესწავლის საქმეში არაფერი იყოს გაკეთებული. პირიქით. არც ერთი მხარე გ. წერეთლის მოღვაწეობისა ისეთი ფართო და ხანგრძლივი კვლევაძიების

საგანი არ ყოფილა, როგორც მისი მხატვრული შემოქმედება. ამ ხანგრძლივი კვლევაძიების პროცესში ჩამოყალიბდა გ. წერეთლის მხატვრული შემოქმედების და მისი შემოქმედებითი მეთოდის ორი ურთიერთსაწინააღმდეგო გაგება: ერთნი (მაგალითად, კ. აბაშიძე, რომელიც გ. წერეთლის შემოქმედებას არამეცნიერული შედარებით-ევოლუციური მეთოდით იკვლევდა) გ. წერეთელს ნატურალისტად აცხადებდნენ; მეორენი გ. წერეთელს რეალისტად თვლიან. მაგრამ არც ერთი ეს თვალსაზრისი სათანადოდ დასაბუთებული არ არის. მაგალითად, კ. აბაშიძემ, მართალია, მიუთითა გ. წერეთლის მხატვრული შემოქმედების თავისებურებაზე, მაგრამ გ. წერეთლისადმი მტრულად განწყობილმა და, რაც მთავარია, არამეცნიერული მსოფლმხედველობის მქონე კრიტიკოსმა ვერ ახსნა ეს თავისებურება. კ. აბაშიძის „ლიტერატურულ გემოვნებას“ არ აკმაყოფილებდა გ. წერეთლის „რეალისტური ანუ ნატურალისტური“ მხატვრული შემოქმედება, რომელშიც, თვითონ კ. აბაშიძის დახასიათებით, ასახულია არა „მრავალფერი სინამდვილე, რომელიც შეიცავს მთელ მსოფლიოს“ და „რომლის შექმნა და განმარტება შეუძლია ღვთაებას და ღვთის მსგავს გენიოს მწერალს“, არამედ „უგემური ყოველდღიურობა“, „უფერული ყოველდღიური ცხოვრება საშუალო კაცისა ან ეროვნულ-სოციალური თავისუფლების იდეები“, რომლებსაც „უთუოდ ყოველ ქუჩაზედ, ყოველ ნაბიჯზედ წააწყდებოდით იმ ხანაშიო“[1]. ამასთან, კ. აბაშიძის აზრით, გ. წერეთელი „გადაგვარებულის რეალიზმისა და უფერულის ნატურალიზმის“ სკოლას უნდა მიეკუთვნოს იმიტომ, რომ მისი მხატვრული ნიჭიერება ვითომ მოისუსტებდა.

რაღა თქმა უნდა, რომ კ. აბაშიძის ეს აზრი, მართლაც, იმდენად სუსტი და უსაფუძვლოა, რომ იგი უარყოფის ღირსიც არ არის, მაგრამ ზოგიერთი მკვლევარის ცდა — უარყოს ეს აზრი იმაზე მითითებით, რომ გ. წერეთლის შემოქმედების ნატურალისტურ მომენტებშიც „მხატვრული ნიჭი მოჩანს“ და ამიტომ იგი რეალისტი მწერალია და არა ნატურალისტიო,—

---

[1] კ. აბაშიძე, ტ. 11, გვ. 66—48, 52.

საკითხის მეცნიერულ გადაწყვეტას ვერ გვაძლევს, რადგან რომელიმე მწერლის შემოქმედებითი მეთოდის არსებითი თავისებურებანი, როგორც პროფ. შ. რადიანიც აღნიშნავს, პირადი ნიჭიერებით თუ უნიჭობით არ განისაზღვრება. და რაკი ეს ასეა, გ. წერეთლის მხატვრული ნიჭიერების დასაბუთებიდან (თუ ამას საერთოდ ესაჭიროება დასაბუთება!) არ გამომდინარეობს, რომ გ. წერეთლის „შეუფერავ რეალიზმსა“ და საერთოდ კრიტიკულ რეალიზმს შორის „არსებითი განსხვავება არ არის და არც შეიძლება იყოს“. ამის საბუთად არც ის გამოდგება, რომ „შეუფერავმა რეალისტმა“ გ. წერეთელმა გააგრძელა კრიტიკული რეალისტი ი. ჭავჭავაძე. განა ნატურალისტმა ე. ზოლამ კი არ გააგრძელა კრიტიკული რეალისტი ბალზაკი? განა კრიტიკულ-რეალისტურ ლიტერატურაში უკვე მოცემული არ იყო ჩანასახის სახით ნატურალიზმის სათავეები? მერე და განა ეს იმას ნიშნავს, რომ მე-19 საუკუნის 40-იანი წლების და 70-იანი წლების ფრანგულ ლიტერატურას საერთო ნიშნებთან ერთად განმასხვავებელი თავისებურებანი არა აქვთ? რა თქმა უნდა, არ ნიშნავს და მეცნიერული კვლევის მთავარი ამოცანაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ აღნიშნოს და ახსნას მოვლენათა არა მარტო საერთო ნიშნები, არამედ მათი განმასხვავებელი თავისებურებანიც. მართალია, რომელიმე მოვლენის მეცნიერული შესწავლა შეუძლებელია, თუ მას განვიხილავთ სხვა, განსაკუთრებით მისი მსგავსი მოვლენებისაგან მოწყვეტით, მაგრამ ამასთან ერთად მოვლენის მეცნიერული შესწავლა ნიშნავს მოცემული მოვლენის ისეთ თავისებურებათა ჩვენებას, რომლებიც მის არსს ანუ რაობას შეადგენენ. თუ გ. წერეთლის „შეუფერავი რეალიზმის“ არსის გარკვევის დროს ამ დიალექტიკური პრინციპით ვიხელმძღვანელებთ, მაშინ გ. წერეთლის ნატურალისტობის უარსაყოფად და კრიტიკული რეალიზმისათვის მისი შემოქმედების მისაკუთვნებლად არ იკმარებდა, არც ასეთი, თავისთავად სწორი, საბუთი: „ამა თუ იმ სახით ნატურალიზმის ელემენტები ახასიათებს ყოველ მხატვრულ შემოქმედებას. ის წარმოადგენს რეალიზმის წინამძღვარს, და როგორც მისი ერთ-ერთი მხარე,

ყოველთვის არსებობს იქ, სადაც შემომქმედს ორიენტაცია აღებული აქვს სინამდვილეზე, როგორც თავის უშუალო ობიექტზე".

ამ საბუთის არასაკმარისობა თავისთავად ცხადია. ამიტომ სხვა საბუთსაც აყენებენ ხოლმე იმის დასამტკიცებლად, რომ „გ. წერეთელი ქართულ ლიტერატურაში აგრძელებს კრიტიკული რეალიზმის ხაზს..." ეს საბუთი იმაში მდგომარეობს, რომ ფართოდ ახასიათებენ ბალზაკისა და ფლობერის რეალისტურ შემოქმედებით მეთოდს და დაასკვნიან: გ. წერეთელიც ისეთივე მეთოდით ხელმძღვანელობდაო. რაც შეეხება თვითონ გ. წერეთლის „გარკვეულ ესთეტიკურ თეორიას", ამ თეორიას არასრულად და გ. წერეთლის ზოგადი მსოფლმხედველობისგან მოწყვეტილად გადმოსცემენ და სწორედ ამიტომ კვლავ გაურკვეველი რჩება გ. წერეთლის „შეუფერავი რეალიზმის" არსი.

იგივე უნდა ითქვას გ. წერეთლის ესთეტიკური თეორიის იმ დახასიათებაზეც, რომელშიც გ. წერეთლის შემოქმედება შედარებულია არა რეალისტი ბალზაკის, არამედ ნატურალისტი ე. ზოლას შემოქმედებასთან. გ. წერეთლის ესთეტიკური შეხედულებანი ამ შემთხვევაშიც არასრულად და მისი ზოგადი მსოფლმხედველობის ნამდვილი შინაარსის გათვალისწინების გარეშეა გადმოცემული. ასეთი მიდგომის დროს მკვლევარი წინა პლანზე აყენებს მხოლოდ ზოგიერთ ცნობილ ფაქტს, რომლებიც გ. წერეთლის შემოქმედებით მეთოდს კრიტიკულ რეალიზმს უახლოებს, მაგრამ არაფერს ამბობს სხვა, უცნობი ფაქტების შესახებ, რომლებიც არა მარტო პრაქტიკულად, არამედ თეორიულადაც გ. წერეთლის შემოქმედებას ნატურალიზმს უნათესავებს. ეს მაშინ, როცა ე. ზოლას ესთეტიკური თეორიის დახასიათებისას ზოგიერთი მკვლევარი წინა პლანზე სწევს ნატურალისტური თეორიის არსებით თავისებურებებს, თუმცა გაკვრით იმასაც აღნიშნავს, რომ ე. ზოლას შემოქმედებითი პრაქტიკა სცილდებოდაო ნატურალიზმის ფარგლებს. ცხადია, ფაქტებისადმი ასეთი არაობიექტური, ტენდენციური მიდგომა შესასწავლი მოვლენის, ამ შემთხვე-

ვაში გ. წერეთლის „შეუფერავი რეალიზმის“ არსის სწორ გაგებას ვერ მოგვცემს. „შეუფერავი რეალიზმის“ არსის გაგების ერთადერთი მეცნიერული გზა იმაში მდგომარეობს, რომ სრულად და ობიექტურად გადმოვცეთ გ. წერეთლის ესთეტიკური შეხედულებანი, გავითვალისწინოთ გ. წერეთლის ეპოქის საზოგადოებრივი პირობები, ამით განპირობებული ზოგადი მსოფლმხედველობა გ. წერეთლისა და შევაფასოთ მისი ესთეტიკური შეხედულებების იდეურ-კლასობრივი შინაარსი.

უნდა დავიწყოთ გ. წერეთლის ესთეტიკურ შეხედულებათა გადმოცემით, რადგან ეს შეხედულებანი სისტემატური სახით არც გ. წერეთელს დაუხასიათებია ერთ რომელიმე სტატიაში და არც მის მკვლევარებს გადმოუციათ სრული სახით. გ. წერეთლის ესთეტიკურ თეორიას მკვლევარნი ძირითადად გადმოსცემენ გ. წერეთლის ორი უმნიშვნელოვანესი სტატიის მიხედვით („ცისკარს“ რა აკაკანებდა?“ და „კიტა აბაშიძე და ჩვენი ახალგაზრდობა“). მაგრამ ეს წერილები სრულ წარმოდგენას როდი იძლევიან გ. წერეთლის ესთეტიკურ თეორიაზე. ხელოვნების გ. წერეთლისეულ თეორიაზე რამდენადმე სრული წარმოდგენის მისაღებად გამოყენებულ უნდა იქნას გ. წერეთლის მრავალი სხვა წერილი და რეცენზია, რომლებიც გაბნეულია მისი დროის ქართულ პრესაში. აქედან ყველაზე მნიშვნელოვანია გ. წერეთლის შემდეგი წერილები და რეცენზიები: „დავით გურამისშვილი და მისი წინა დროები“, „გ. გაბაშვილის მხატვრობა“, „Лекции в кружке Г. Г. Пальм и Ерицова“, „თემურ-ლანგი“ კ. მესხისა“, პროზაული ფრაგმენტი — „ზემოთის სამართალი“, „ხაფანგი“ მეველესი“, „ეგნატე ინგოროყვას ‘გასვენება“ და სხვა.

ჩვენი შრომა მიზნად არ ისახავს გ. წერეთლის ესთეტიკური თეორიის ყველა საკითხის განხილვას და, განსაკუთრებით, იმის გარკვევას, თუ როგორ ატარებდა გ. წერეთელი პრაქტიკულად საკუთარი ესთეტიკური თეორიის მოთხოვნებს, თუნდაც იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი უფრო ლიტერატურათმცოდნეობის სფეროს ეკუთვნის, ვიდრე აზროვნების ისტორიისას. მაგრამ ზემოხსენებულ წერილებში განვითარე-

ბული ზოგიერთი ძირითადი ესთეტიკური იდეის გადმოცემაც შესაძლებელს გახდის უფრო სრულად წარმოვიდგინოთ და ავხსნათ გ. წერეთლის შემოქმედებითი მეთოდის უმთავრესი თავისებურებანი.

ამ თავისებურებებიდან, უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის, რომ გ. წერეთელი ლიტერატურას უდიდეს მნიშვნელობას აკუთვნებდა თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის ბრძოლაში. მისი აზრით, ლიტერატურის დანიშნულება საერთოდ იმაში მდგომარეობდა, რომ მას უნდა „გამოეკელია გონიერი და საფუძვლიანი დასაწყისები, რომელზედაც მაგრად უნდა დაფუძნებულიყო მომავალი პოლიტიკური წყობილება“ [1]. ქართული ლიტერატურის დანიშნულებას კი ამასთან ერთად ისიც შეადგენდა, რომ გაეძლიერებინა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ. როგორც ჩანს, სწორედ ამიტომ იმოწმებდა გ. წერეთელი ჩეხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოცდილებას და წერდა: „ძლიერმა ეროვნულმა ლიტერატურულმა მოძრაობამ გამოიწვია ჩეხიის ეროვნული და პოლიტიკური მოძრაობაცო“ [2]. ამასვე მოელოდა გ. წერეთელი საქართველოშიც. და მართლაც, მე-19 საუკუნის 60 — 70-იანი წლების საქართველოში ლიტერატურა იყო ეროვნული და პოლიტიკური ბრძოლის უმთავრესი ასპარეზი. ეს აიხსნება არა მარტო იმით, რომ თვითმპყრობელური წყობილების პირობებში აშკარა პოლიტიკური ბრძოლის პირდაპირი გზა დახშული იყო, არამედ იმითაც, რომ ხალხის ფართო მასები იმ დროს გაუნათლებელნი და ჩამორჩენილნი იყვნენ, როგორც ეროვნული, ისე პოლიტიკური თვითშეგნების მხრივ. ამიტომ ხალხის მასების განათლებისათვის გამოყენებული უნდა ყოფილიყო შედარებით იოლი და უფრო ადვილად მისაწვდომი საშუალება. ასეთ საშუალებად თელიდნენ ქართველი განმანათლებლები მხატვრულ ლიტერატურას.

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ. სრ. კრებული, ტ. I, გვ. 14.

[2] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ჩეხელნი და მათი ისტორია, „კვალი“, № 17, 1897.

ამაზე ამბობდა ნ. ნიკოლაძე: „ხალხის გონება სიტყვას, მოძღვრებას, აზრს ისე ადვილად ვერ იგებს და იხსომებს, როგორც მოქმედებას, ან სურათსო". გ. წერეთელმაც კარგად იცოდა ეს „კანონი". ამიტომაც ამბობდა იგი: „თავი კანონი ესთეტიკისა არის ცხოვრების სურათის სიტყვით გაცოცხლებაო". მაგრამ მისი შემოქმედებითი მეთოდის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება იმაშიც მდგომარეობს, რომ იგი, როგორც ნ. ნიკოლაძემ შენიშნა, ზოგჯერ ივიწყებდა ამ კანონს და ამის გამო მის მხატვრულ შემოქმედებაში მხატვარი ხშირად ადგილს უთმობდა მოაზროვნე პუბლიცისტს. ამასთან ეს გარემოება აიხსნება არა იმდენად გ. წერეთლის ნიჭის თავისებურებებით, რამდენადაც იმ ესთეტიკური თეორიის თავისებურებებით, რომლითაც გ. წერეთელი ხელმძღვანელობდა. ამ თეორიას გ. წერეთელი „ნამდვილ, შეუფერავ, შეუკეთებელ რეალიზმს" უწოდებდა და მკვეთრად განასხვავებდა მას ი. ჭავჭავაძის „შეკეთებული, შეფერილი, გალამაზებული რეალიზმისაგან"[1]. და უნდა ითქვას, რომ რარიგ ტენდენციურიც არ უნდა იყოს გ. წერეთლის შეხედულება ი. ჭავჭავაძის მხატვრული შემოქმედების შესახებ, ერთი ცხადია: გ. წერეთლის რეალიზმი, მისი ხელოვნების თეორია მნიშვნელოვნად განსხვავდება ი. ჭავჭავაძის რეალიზმისაგან. ამ განსხვავების ზოგიერთი, უმთავრესად, გარეგნული ნიშნები (მაგალითად, ი. ჭავჭავაძის შემოქმედებასთან შედარებით გ. წერეთლის შემოქმედების თემატიური მრავალფეროვანება, გ. წერეთლის მიერ „თემების ისტორიული პერსპექტივის ფონზე გაშლა", „ნამდვილი ისტორიული ვითარების" ასახვა „ნაცვლად რეალური ცხოვრების შეთხზვისა წინასწარ შემუშავებული იდეების მიხედვით" და სხვა) ჯერ კიდევ პროფ. ს. ხუნდაძემ დაახასიათა[2]. მაგრამ გ. წერეთლის ესთეტიკური თეორიის ყველა ძირითადი დებულების გაუთვალისწინებლობის გამო დღემდე არ არის გარკვეული ი. ჭავჭავაძის რეალიზმისაგან გ. წერეთლის რეალიზმის არსე-

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, კიტა აბაშიძე და ჩვენი ახალგაზრდობა, „ცვალი", № 46, 1897 წ.

[2] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ. სრ. კრებული, ტ. I, გვ. XI, III—X, IX.

ბითი განმასხვავებელი ნიშნები. ამ საკითხის გარკვევისათვის კი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გ. წერეთლის „შეუფერავი რეალიზმის“ ძირითადი პრინციპების განხილვას.

გ. წერეთლის „შეუფერავი რეალიზმის“, მისი ესთეტიკური თეორიის გამოსავალი დებულება ის არის, რომ ხელოვნება, კერძოდ, ლიტერატურა უნდა ასახავდეს ბუნებისა და საზოგადოების რეალურ ცხოვრებას. ამ შემთხვევაშიც გ. წერეთელი ემყარებოდა თავის დიდ მასწავლებელს ჩერნიშევსკის. რომელიც, როგორც ცნობილია, ხელოვნებას და მის დანიშნულებას ასე განსაზღვრავდა: „ხელოვნება არის სინამდვილის ხელახლა წარმოქმნა... ხელოვნების პირველი დანიშნულება, რომელიც მის უკლებლივ ყველა ნაწარმოებს ეკუთვნის, — ბუნებისა და ცხოვრების გადმოღება, ხელახლა წარმოქმნაა“ [1]. ამ მხრივ გ. წერეთელი არავითარ განსხვავებას არ ხედავდა ხელოვნებასა და მეცნიერებას შორის. „მხატვრული ლიტერატურაც, — ამბობდა იგი, — ისევ ივე მიზნებით უნდა ხელმძღვანელობდეს ცხოვრებაში, როგორც ყოველი ზუსტი მეცნიერება: ცხოვრებაზე უშუალო დაკვირვების გზით მან უნდა მოსძებნოს ჭეშმარიტება“. ამასთან ხელოვნება, გ. წერეთლის აზრით, მხოლოდ დაახლოებით ასახავს ცხოვრებაში უფრო სრული სახით არსებულ საგნებსა და მოვლენებს. „...კაცობრიობის ცივილიზაციამ, — წერდა იგი, — შექმნა სახვითი ხელოვნება: ფერწერა, ქანდაკება და პოეზია. ყოველი მათგანი ცდილობს რაც შეიძლება რელიეფურად ასახოს თვით ცხოვრება, თუმცა ყოველი მათგანი, როგორც ცალკე, ისე ერთად უძლურია სავსებით მიაღწიოს იმ მთავარ მიზანს. მათი მიზანი... ცხოვრების ცოცხალი ტიპების ასახვაა: მაგრამ რაკი მათ არ შეუძლიათ სავსებით განახორციელონ თავიანთი მოწოდება, კმაყოფილდებიან მხოლოდ (მისი) დაახლოებით შესრულებით...“ [2].

---

[1] ნ. ჩერნიშევსკი, რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი; გვ. 405 — 406.

[2] შემთხვევითი როდი იყო, რომ, როცა ან. ფურცელაძემ თავისი მოთხრობის „სამის თავგადასავლების“ შესახებ დაბეჭდა კრიტიკული წერილი, რომელშიც ფართოდ გააშუქა რუსეთის რევოლუციურ-დემოკრა-

მაგრამ რას გულისხმობდა გ. წერეთელი ცხოვრების რელიეფურად ასახვაში? ცხოვრების „რელიეფურად ასახვაში“ გ. წერეთელი გულისხმობდა საგანთა და მოვლენათა გადაღებას ხელოვნებაში მთელი მათი ბუნებრივი სახით. ამიტომ ეწინააღმდეგებოდა იგი იმ ადამიანებს, რომლებიც ამტკიცებდნენ: დახატული ხე სჯობია ცოცხალსო. ეს რომ ასე იყოსო, ამბობს გ. წერეთელი, მაშინ ლუდოვიკო მეორე ბუნებრივ ტყეს სცენად არ გადააქცევდაო. თავისი შეხედულების დასასაბუთებლად გ. წერეთელი იმოწმებს ემილ ზოლასაც, რომელიც, მისი თქმით, „რეალიზმის თანამედროვე სკოლისა და შემბორკავ ხელოვნურ მოთხოვნილებათაგან სცენის განთავისუფლების პრინციპების ცნობილი წარმომადგენელია“. ამრიგად, გ. წერეთელი ფიქრობს, რომ ბუნებრივი მშვენიერება ხელოვნურ მშვენიერებაზე უფრო სრული და მაღალია. ამასთან მშვენიერი, გ. წერეთლის აზრით, ის არის, რაც სასარგებლოა, რადგან „ახლანდელს დროში მოწინავე ხალხი... სიმშვენიერეს ბევრს აღარ დასდევენ; ისინი მშვენიერებასა და პოეზიას ზევით ძალასა და გამორჩენას აყენებენ“ [1]. მაგრამ ეს კიდევ უფრო ავალდებულებს ხელოვანს — ასახოს ბუნება და საზოგადოება ისე, როგორც იგი არის. „მხატვარი, — ამბობს გ. წერეთელი, — მოვალეა მოგვცეს თვით ცხოვრების სახე მისი გარემომცველი ყველა გარემოებით ისე, როგორც იგი არის, რათა მივიღოთ მისი ყველაზე მართალი ასახვა. მასში თვითეული პირი თავისთავად უკვე ტიპია; მას ატყვია ღრმა ანაბეჭდი იმ ცხოვრებისა, რომელმაც ეს პირი შექმნა. აღურიცხველად მრავალ ასეთ პირთა რიგში არიან ისეთები,

---

ტიული ლიტერატურის ბრძოლა რეალისტური ესთეტიკისათვის, თავისუფლებისათვის და დემოკრატიისათვის, და ამტკიცებდა ქართული ლიტერატურაც აქეთ მიდისო, — გ. წერეთელი წერდა: „სამის თავგადასავლები“ იმისთანა მოთხრობაა, რომ, ჩვენის აზრით, რიგიანი კრიტიკის ღირსი არ არის... ზემოთ დაბეჭდილს სტატიას უფრო იმისთვის მიეეცით ადგილი ჩვენს გაზეთში, რომ იმაში საზოგადოთ ბევრი კარგი აზრებია გამოცხადებული და კარგი მიმართულებისაც არისო“ („დროება“, № 35, 1867 წ.).

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ. სრ. კრებული, ტ. I, გვ. 195 — 196.

რომლებიც ცხოვრების მთლიან შედგენილობაში მთელი თავით მაღლა დგანან სხვა მათ მსგავსებზე"[1]. მაგრამ ხელოვნებამ რეალური ცხოვრების ყველა მოვლენა, დიდიც და მცირეც, ბუნებრივად უნდა ასახოს. ამასთან, გ. წერეთლის აზრით, ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ხელოვანმა ყველა მოვლენა ტიპიურად უნდა მიიჩნიოს. გ. წერეთელს ტიპიურის პირველ ნიშნად რეალობა მიაჩნია. მისი აზრით, ტიპიურია განზოგადებული რეალობა, რომელიც არსებობდა, არსებობს ან იარსებებს. „მე (მწერალს. მ. გ.), — ამბობს გ. წერეთელი, — მინდა, აგიწერო ისეთი ქვეყანა, რომელიც არც იმ ადგილს აჩვენებდეს, სადაც ჩემგან მოხსენებული ამბავი მოხდა, არც დროს, როცა მოხდა, არც გვამებს, ვინც მოახდინა. მოხდა განუსაზღვრელს ალაგს, უჟამოდ, ესე იგი შეიძლება მომხდარიყოს, ახლაც ხდებოდეს და თუ ახლა არა, შეიძლება შემდეგში მოხდეს. შეიძლება არავის მოეხდინოს და ისიც შეიძლება, ყველას რომ მოეხდინოს; შეიძლება არსად არ მომხდარიყოს და ისიც შეიძლება, ყველგან რომ მომხდარიყოს"[2]. ამავე საკითხზე გ. წერეთელი სხვა ადგილას წერდა: „მწერალს შეუძლიან გამოიყვანოს ხოლმე თავის თხზულებაში ან იმისთანა გვამი, რომლის მზგავსიც ბევრი იპოება საზოგადოებაში, ან იმისთანა გვამი, რომელიც ამჟამად სამაგალითოა საზოგადოებისათვის; და თუ ახლა არა შემდეგს უფრო გამჯობინებულს ცხოვრებაში მაინც შესაძლებელია ამგვარი პირების არსებობა"[3]. ამრიგად, ტიპიურის ნიშანი, უწინარეს ყოვლისა, ის არის, რომ მით გამოხატული საგანი თუ მოვლენა ან არსებობს ან შესაძლებელია არსებობდეს. მაგრამ გ. წერეთლის აზრით, ყოველივე არსებული ან შესაძლებელიც არ არის ტიპიური. ტიპიურის უფრო არსებით ნიშნად მას მიაჩნია ის, რომ ტიპი არის მრავალ მსგავს მოვლენათა განზოგადებული ჯამი. „შესაძლებელი

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, Лекции в кружке Г. Г. Пальм и Ерицова, „Тифлисский вестник", № 38, 1878 г.

[2] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, მოთხრობები, 1939 წ., გვ. 5.

[3] „დროება", № 35, 1867 წ.

დიალ ბევრი რამეა ქვეყანაზე, — ამბობს გ. წერეთელი, — მაგრამ ყველა დრამის საგნათ ხომ არ აიღება?... მაგალითს მოგახსენებთ: იმერეთში ბატონყმობის დროს ერთმა თავადიშვილმა თავის მოახლე შეირთო ცოლად. მაგრამ აქედან ნუთუ ის უნდა გამოვიყვანოთ, რომ იგი უნდა გახდეს დრამის საგნათ და ამით დავრწმუნდეთ, რომ ჩვენში წოდებათა გარჩევა არ ყოფილა? ხელოვნების რომელსამე ნაწარმოებისაგან ჩვენ ვითხოვთ ტიპს (საზოგადო შემკრებლობითის მოვლენის ნაყოფს) და არა განკერძოებულს პირს (შემთხვევითს მოვლინებას)" [1].

ტიპიურის ასეთი განსაზღვრა, რა თქმა უნდა. სავსებით სწორ მეცნიერულ განსაზღვრად ვერ ჩაითვლება. გ. წერეთელს არ ესმოდა, რომ ტიპიურია არა ის, რაც მრავალია. არამედ ის, რაც ყველაზე უფრო სრულად და მახვილად გამოხატავს მოცემული მოვლენის არსს. მაგრამ თავის დროისათვის ტიპიურის განსაზღვრა, როგორც მრავალ მსგავს რეალურ მოვლენათა განზოგადებული ჯამისა, წინგადადგმული ნაბიჯი იყო და სავსებით გამომდინარეობდა გ. წერეთლის ესთეტიკური თეორიის უმთავრესი დებულებიდან: — ხელოვნებამ მთელი ბუნებრიობით უნდა ასახოს ბუნებისა და საზოგადოების რეალური ცხოვრებაო. გ. წერეთელი გმობდა არაბუნებრივ, ფანტასტიკურ ამბებზე აგებულ ლიტერატურულ ნაწარმოებებს. იგი ლიტერატურული ნაწარმოებისაგან მოითხოვდა მეცნიერული სიზუსტით აესახა ბუნება და საზოგადოება, რომელთა განვითარების კანონების შესახებ მეცნიერული ცოდნის გავრცელებას გ. წერეთელი ლიტერატურის ერთ-ერთ ძირითად დანიშნულებად თვლიდა. მაგრამ „საცა ერის გამოხატულება ბუნების კანონების წინააღმდეგია, პოეტური სურათები ცრუ და ერის გონების შემაშინებელია, — იქ ნამდვილი ცოდნის შეძენა და მეცნიერების მოპოება შეუძლებელიაო", — ამბობდა იგი. ლიტერატურას უნდა ეჩვენებინა „ნამდვილი კაცი, რომლის ზნეობითი სიდიდე და დამცრობა უმეტეს ნაწილათ გარემოებაზეა დამოკიდებული" [2].

---

[1] „ქვალი", № 11, 1894 წ.

[2] დაკითიანი, 1870 წ., გვ. VIII — IX.

ამიტომ იყო, რომ გ. წერეთელი „ვეფხის ტყაოსანში“ არაბუ-ნებრივი მომენტების შემცველ ზოგიერთ ადგილთან შედარებით უპირატესობას ანიჭებდა იმ ადგილებს, რომლებშიც დახატულია „მრავალგვაროვნებით სავსე ბუნება“ და „ნამდვილი კაცი“. ამიტომ იყო, რომ „დავითიანის“ იმ ნაწილთან შედარებით, რომელშიც ღვთაებრივი ფანტასტიკის ყოვლისშემძლეობაზეა ლაპარაკი, გ. წერეთელი უპირატესობას აძლევდა იმ ნაწილს, რომელშიაც ლაპარაკია სწავლისა და შრომის მნიშვნელობის შესახებ, იმის შესახებ, თუ როგორ ებრძოდა გაჭირვებას „მხოლოდ დაფლეთილის პერანგის ამარა, თავგადაპარსული, ფეხშიშველა კაცი“...[1]. საერთოდ დ. გურამიშვილის შემოქმედებას კი გ. წერეთელი ასე ახასიათებდა: „დ. გურამისშვილის თხზულებებში მოპორებული არა არის რა... დავით გურამიშვილის თხზულებაში აღიბეჭდა თავის თანამედროული სურათი ერის ცხოვრებისა: იმის აზრი, სულისკვეთება და გაჭირვება... ამასთანავე არც ის ნაკლულევანება მიიკარა, რასაც ჩვენ ვხედავთ „ვეფხის ტყაოსანში“; მაგალითად, გრძნობის და სიტყვების გაზვიადებას, გაბრტყელებას და ზოგან არა ნამდვილი სურათების გამოყვანას“[2]. ამასვე მოითხოვდა გ. წერეთელი თავისი დროის ხელოვანთაგან. ერთ წერილში იგი წერდა: „დღევანდელი ქართული სცენა სრულებით ასცდა თავის დანიშნულებას. ის გონების მწვრთნელი სკოლა კი აღარ არის, არამედ დამბაჩებისა და თოფების სატკაცატკუცო, ამოღებულ ხანჯლების სატრიალო და საცუნდრუკო ასპარეზი... გვეყოფა ამდენი ეფექტები, ხანჯლის ტრიალი და თოფის წამლის სუნი. დროა შევიგნოთ, რომ სცენა უნდა იყოს ნამდვილი კაცის ბუნების და მისი ნაკლულევანების ან ღირსების გამომხატველი... მოგვეცით, დაგვიხატეთ ხელოვნურად ჩვენი აწინდელი ცხოვრება... შორს ჩვენგან ცრუკლასიკური გამოხატვა ცხოვრებისა!“[3]. გ. წერეთლის შეხედულებით, მწერალს მისი თანამედროვე

---

[1] დავითიანი, 1870 წ., გვ. IX.

[2] იქვე, გვ. XXV — XXVI.

[3] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, „თემურ-ლენგი“ კ. შესხის, „კვალი“, № 12, 1899 წ.

ცხოვრება, მის მიერ „ნახული და განცდილი“ უნდა აესახა იმიტომ, რომ მოეცა სინამდვილის რაც შეიძლება მართალი, ბუნებრივი, შეუფერავი სურათი, რომელშიც მკითხველი დაინახავს არა „ელვარე ფორმას“, არამედ „შინაგან აზრს“. მხოლოდ ამ პირობით შეუძლია ლიტერატურას თქვას ხალხის სიტყვა, თქვას ის, რაც სტანჯავს ხალხის ცხოვრებას, შემუსროს ის ნაკლოვანებანი, რომლებიც აბრკოლებენ ცხოვრების განვითარებას და აჩვენოს ხალხს ის „ჭეშმარიტებები და კანონები, რომლების ძალითაც ისპობა ეს ნაკლოვანებები“. „მავნებელია ლიტერატურა და პოეზია, — ამბობს გ. წერეთელი, — როდესაც ის არ მსახურებს ხალხის ცხოვრებას, ატარებს დროებას ფუჭ დეკლამაციაში, როდესაც გადაღებაში... გადმომღები ხელმძღვანელობს ერთ გარეგან ბრკიალა სახით და ვერ სცნობს მის მართალს მნიშვნელობას, მის შინაგანს აზრს, ურომლისოთაც თვით ელვარე ფორმა ფუჭია და მავნებელი“ [1].

ამრიგად, გ. წერეთელი ხელოვნების ამოცანად თვლიდა არა მარტო ცხოვრების შეუფერავ ასახვას, არამედ ცხოვრების გარდაქმნასაც. ამიტომ წერდა იგი: „ცხოვრების ცუდი მხარეების დამახასიათებელი მწერალი მითი ნუგეშობს და იმედი უკეთესი მომავლისა მით უათკეცდება, რომ ის ღრმად დარწმუნებულია: ჩემი მწერლობით თანამედროვე ცხოვრება გაუმჯობესდებაო და ერთ წარმატებით ნაბიჯს წინ წადგამსო...“[2]. ამასთან უიდეო ხელოვნების მგმობელი გ. წერეთელი გადაჭრით ილაშქრებს ხელოვნების ტენდენციურობის წინააღმდეგ. მისი აზრით, ხელოვნება გარკვეულ იდეას უნდა გამოხატავდეს, ამ იდეის უარყოფას ან დამკვიდრებას უნდა ემსახურებოდეს, მაგრამ ხელოვნების იდეურობა თავისთავად გამომდინარეობს ცხოვრების შეუფერავად ასახვიდან. იმის საჩვენებლად, თუ როგორ ასაბუთებს გ. წერეთელი ამ შეხედულებას, მიზანშეწონილი იქნება მოვიყვანოთ ვრცელი, მაგრამ საინტერესო ამონაწერი გ. წერეთლის ერთი წერილი-

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ. სრ. კრებული, ტ. II, გვ. 14.

[2] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, „კიტა აბაშიძე და ჩვენი ახალგაზრდობა, „კვალი“, № 46, 1897 წ.

დან („გ. გაბაშვილის მხატვრობა"), რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გ. წერეთლის ესთეტიკური თეორიის ზოგიერთი უმთავრესი თავისებურების დასახასიათებლად. გ. გაბაშვილის მხატვრობასო, — წერს გ. წერეთელი ამ წერილში, — „ზოგი გამომეტყველებას უწუნებს, ზოგი პეიზაჟის უხერხულობას, ზოგიც ასე ამბობს, ყოველიფერი ნამდვილად არის გამოყვანილი, მაგრამ მის მხატვრობას იდეა აკლიაო... იგი, — ამბობს შემდეგ გ. წერეთელი გაბაშვილზე,— ეკუთვნის რეალურ შკოლას, ყოველივე მისგან გამოხატული სურათი ცხოვრების სინამდვილით არის აღბეჭდილი. და რადგანაც თვით ცხოვრება და მისი მოვლენა იგივე აზრი და იდეა არის, მაშ რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს იმ მოკრიტიკის დაფასებას, რომელიც ამტკიცებს, რომ გაბაშვილის მხატვრობა მართალია, ცხოვრების სინამდვილით არის აღბეჭდილი, მაგრამ იდეა აკლიაო. ცხადია, რომ მოკრიტიკე ან სუსტობს ხელოვნების ცოდნაში, ანდა მხატვრობაში მის სატრფიალო ტენდენციას ეძებს, ის კი არ იცის, რომ გაბაშვილის მხატვრობის ღირსება კიდევ იმითაა უფრო ამაღლებული, რომ ეს ესრეთ წოდებული ტენდენცია იქ არ არის, როგორც იგი არ არის არც შექსპირის თხზულებაში, არც ბალზაკისაში, არც რუბენსისაში და არც რაფაელისაში. ისინი თავის მაღალი ხელოვნებით, ვით სარკეში, ჩაგახედებენ ხოლმე ბუნებაში და ეს თქვენი საქმეა, როგორიც გეამებათ და მოგწონთ, ისეთი აზრი იპოვოთ შიგ" [1].

ამ ამონაწერიდან ნათლად ჩანს, რომ გ. წერეთლის ესთეტიკურ თეორიას, მის „შეუფერავ რეალიზმს" საფუძვლად ედო მისივე ფილოსოფიური მსოფლმხედველობა — საბუნებისმეტყველო-მეცნიერული მატერიალიზმი. მეორე მხრივ, გ. წერეთლის ესთეტიკური თეორიის შინაარსი განისაზღვრებოდა მისივე პოლიტიკური მსოფლმხედველობით — დემოკრატიზმით. ამიტომ იყო, რომ წინააღმდეგ დ. მიქელაძისა, რომელიც უარყოფდა კლასთა ბრძოლის არსებობას 90-იანი წლების საქართველოს სინამდვილეში და ამის შესაბამისად

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, გ. გაბაშვილის მხატვრობა, „კვალი", № 5, 1899 წ.

მხატვრული ლიტერატურის ამოცანად თვლიდა სინამდვილის შეფერადებას და გაიდიალებას, გ. წერეთელი წერდა: "ხელოვნება და ლიტერატურა მხოლოდ მაშინ არის საზოგადოების გონების განმავითარებელი, როცა იგი თვით ცხოვრებაზეა დაკავშირებული, როდესაც იგი აღმოხატავს ნამდვილად ზედმიწევნილი სიმართლით ცხოვრების ვითარებას, მის გულისტკივილს, მის გულის ჭრილობას, რომ საზოგადოებამ და მთელმა ერმაც სამართლიანად იძიოს წამალი თავის სატკივრისა და დამაუძლურებელის სენისაგან თავი განიკურნოს. როდესაც ხელოვნება ამ ზომამდე დაკავშირებულია ცხოვრებასთან, აი, მაშინ ჰქვია მას ნამდვილი ხელოვნება, ესე იგი რეალური ხელოვნება. მხოლოდ რეალურს ხელოვნებას აქვს ძალა ხელში ცხოვრების გაუმჯობესებისათვის. უგუნურია ის დედა, რომელიც ცდილობს ატირებულის შვილის გაჩუმებას სხვადასხვა ტკბილეულობით, მაშინ როცა ბავშვს ავი მუცლისტკივილი აწუხებს. მავნებელია ის ლიტერატურა და ხელოვნება, რომელიც იკვლევს და აღმოხატავს ისეთს სურათს კი არა, რომელიც ცხოვრებაშია, არამედ ისეთს, რომელიც არ არსებობს, მაგრამ მისი აზრით კი სასურველია, რომ იყოს. ასეთს მიმართულებას ლიტერატურასა და ხელოვნებაში ეწოდება ტენდენციური მიმართულება. „რათ მინდა შენი დიდება შიმშილით კუჭი მიხმებაო", — არის ნათქვამი. რათ მინდა შენი იდეალური, გალამაზებული ცხოვრების სურათი, თუ იქ მე ჩემს დაგრეხილს და უზნეო სახეს ვერ შევხედავ, რომ შევიგნო ჩემი სისაძაგლე და მოვიშალო. ეს არის მიზეზი, რომ ჩვენ უარს ვყოფთ ხელოვნებაში მოპორებულს ტენდენციას, რადგან იგია ჩვენის წარმატების მავნებელი და შემაჩერებელი"[1].

ბოლოს, გ. წერეთლის ესთეტიკური თეორიის შინაარსი განსაზღვრული იყო მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების თავისებურებებით. ამ თავისებურებებიდან გ. წერეთელი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ხალხის ფართო მასების პოლიტიკურ და

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, „ხაფანგი" მეველესი, „კვალი", № 5, 1894 წ.

მეცნიერულ გაუნათლებლობას და მოითხოვდა, რომ ხელოვნების შინაარსი ხალხის პოლიტიკურ და მეცნიერულ აღზრდას მომსახურებოდა, ხოლო მისი ფორმა მდაბიო ხალხისათვის გასაგები და ადვილმისაწვდომი ყოფილიყო. ამიტომ იყო, რომ მეორე დასის ერთ-ერთ დამსახურებად გ. წერეთელი ლიტერატურული ენის გამარტივებასაც თვლიდა. „ამ დასმა, — წერდა იგი, — ახალი აზროვნების მიმართულებას გარდა. თვით მწერლობის ენაც ძირიანად შეცვალა. მის დრომდის არსებული მწიგნობრული ძნელად გასაგები, გადაპრეხილი ლიტერატურული ენა ადვილ გასაგებ მდაბიო ლიტერატურულ ენად გადააქცია, რომლისთვისაც ძლიერ გაბრაზდნენ მაშინდელი პარნასის მთის ღმერთები“ [1]. ამასთან მდაბიო ხალხის ცხოვრების ასახვას, მისი რეალური ინტერესების დაცვას, ერთი სიტყვით, მდაბიო ხალხისათვის წერას გ. წერეთელი მწერლის უმაღლეს დანიშნულებად თვლიდა. ამიტომ ამბობდა იგი: მე მეცნიერებისათვის კი არ ვწერ, „უფრო მდაბიური მკითხველის მეშინიაო... (საგნის) სიმძიმემ ვაი თუ იმდენათ დაღალოს იგი, რომ პირველ ფურცელზედვე ხვრინი გაამართვინოსო“... [2] ამიტომვე აფასებდა გ. წერეთელი ასე დიდად ე. ნინოშვილის შემოქმედებას. იგი, — ამბობდა გ. წერეთელი ნინოშვილზე, — „დასტიროდა ქართველი ხალხის ჩაგრული ნაწილის გაჭირვებასა და ტანჯვას... მან თავის ნაწარმოებებში გვაჩვენა, რომ ქართველმა გლეხობამ, ამ უმრავლესობამ ჩვენი ერისა, — რომლისგანაც საქართველო ელის განვითარებას, პროგრესულ მოძრაობას, — უკვე გამოიღვიძა,

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, კიტა აბაშიძე და ჩვენი ახალგაზრდობა, „კვალი“, № 46, 1897 წ. გ. წერეთელს მხედველობაში აქვს გრ. ორბელიანი, რომელმაც 1874 წლის „ცისკრის“ ერთ-ერთ ნომერში გამოაქვეყნა მთელი ტრაქტატი, რომელიც მიმართული იყო არა მარტო გ. წერეთლის, არამედ მთელი ახალი თაობის წინააღმდეგ, თუმცა ეს ტრაქტატი იმის მაჩვენებელია, რომ კვლავ დრომოჭმული იდეების ტვირთ ქვეშ მყოფი გრ. ორბელიანი მთელი ახალი თაობის წინააღმდეგ ვეღარ ბედავდა გალაშქრებას და გულისჯავრს თერგდალეულთა ცალკეულ წარმომადგენლებზე იყრიდა.

[2] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება ძველისძველად, „კრებული“, № 4, 1871 წ. გვ. 53.

შეირხა და ვითარდება...“ „იმან მიგვითითა ჩვენი ერის საძირკველზე, მიწის მუშა დაბალ მშრომელ წოდებაზე და ცხოველის სურათებით დაგვიხატა, თუ რა დაცემულ მდგომარეობაშია იგი... იმან ამით შეგვასმინა, რომ მივეშველოთ ამ დაცემულს ბურჯს ჩვენის ერისას, წამოვაყენოთ იგი, ზნეობით ავამაღლოთ; მივცეთ მას ზურგი და მასთან ხელიხელჩაკიდებულნი ვისწრაფოთ ერთად ერის წარმატებისათვის“ [1].

რა თქმა უნდა, ამ სიტყვებით გ. წერეთელი იცავდა ლიტერატურის ხალხურობის იმავე შეხედულებას, რომელიც მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის მთელი ქართული პროგრესული ლიტერატურის ერთ-ერთ ძირითად სახელმძღვანელო პრინციპს წარმოადგენდა. მაგრამ გ. წერეთლის ესთეტიკური თეორიის უმთავრესი თავისებურება ამ შემთხვევაში ის იყო, რომ იგი ხალხის ცხოვრების ასახვაში გულისხმობდა ყოველდღიური ცხოვრების მომაკვდავი თუ განვითარებადი მხარეების პირდაპირ გადაღებას, ყოველმხრივ და ყოველგვარი სუბიექტური ტენდენციის გარეშე. გ. წერეთლის შეხედულებით, ლიტერატურას ზედმიწევნით სწორად, პირდაპირ მეცნიერული სიზუსტით უნდა აესახა „ცოცხალი, ერთნაირ ბუნებაში და გარემოებებში შექმნილი ტიპიური არსებები“ [2]. იგი თვლიდა, რომ „შეუფერავი რეალიზმის“ ამ მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა ი. ჭავჭავაძისა და ქართველი ხალხოსანი მწერლების „სანტიმენტალურ-ტენდენციური მიმართულება“ და ამიტომ „ლუარსაბი და დარეჯანი უფრო კარიკატურას წარმოადგენენ ქართველი მებატონის და ქალბატონის ტიპებისას“, ხოლო ხალხოსანი მწერლების მიერ გაღმერთებული განუვითარებელი გლეხთა ტიპები „ისე არ იყვნენ ნამდვილი ცხოვრების წარმონაშობი, როგორც არ იყო თვით გლახა თ. ილ. ჭავჭავაძისაო“ [3]. გ. წერეთლის ეს შეხედულება რომ მცდარია, ამას დასაბუთება არ ესაჭიროება. მაგრამ რა არის ამ შეცდომის წყარო? ამ შეცდომის წყაროა გ. წერეთლის ფილოსოფიური

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, И. Ингороква, გვ. 20 — 21.

[2] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, კიტა აბაშიძე და ჩვენი ახალგაზრდობა, „ქვალი“, № 46, 1897 წ.

[3] ი ქ ვ ე.

და ესთეტიკური მსოფლმხედველობის შეზღუდულობა. რაკი ცხოვრება იგივე აზრი და იდეაა, მსჯელობს საბუნებისმეტყველო-მატერიალისტი და „შეუფერავი რეალისტი", მაშასადამე, საჭირო აღარ არის ცხოვრების რეალური ფაქტების „განაზრება" (განზოგადება) და გაიდეალება; რაკი ცხოვრებაში რეალურად არსებობენ აზრები და ტენდენციები, ამიტომ საკმარისია ავსახოთ, გადავიღოთ ისინი ხელოვნებაში და მივიღებთ „ცოცხალ ტიპებს", რომლებიც მოგვცემენ ცხოვრების ყველაზე უფრო სრულ, მართალ და იდეურ გამოხატულებას. ესაა, გ. წერეთლის აზრით, რეალური ცხოვრებიდან აღებული „ცოცხალი ტიპების" უპირატესობა რეალური ცხოვრების განყენებით, რეალური ფაქტების განზოგადებით მიღებული „ტენდენციური ტიპებისაგან". სწორედ აქ იჩენს თავს გ. წერეთლის „ობიექტივისტობა" და „ნატურალისტობა" რაზედაც სამართლიანად მიუთითებდნენ ი. გომართელი და ნ. ნიკოლაძე. მაგრამ ეს ობიექტივიზმი, რომელიც ვითომ „ტენდენციის გულისათვის არ ამახინჯებდა ცხოვრებას" [1], არც ისე „უნაკლულოა", როგორც გომართელს ეგონა. საქმე ის არის, რომ ცოცხალი ტიპების ობიექტივისტური ასახვა გაცილებით უფრო არასრულ და არა ჭეშმარიტ სურათს იძლევა რეალური ცხოვრებისას, ვიდრე „რეალური ფაქტების" „ტენდენციური" განყენება სინამდვილისაგან და მათი განზოგადება, რადგან მწერალი სინამდვილის კონკრეტული ფაქტების განყენებას, განზოგადებას რომ ახდენს, ამით კი არ შორდება სინამდვილის ჭეშმარიტ სურათს, არამედ კიდევ უფრო უახლოვდება მას. გ. წერეთლის ესთეტიკური თეორიის სუსტი ადგილი სწორედ ამ ჭეშმარიტების გაუთვალისწინებლობაა: მეორე მხრივ, არც ის არის მართალი, თითქოს გ. წერეთლის მხატვრული შემოქმედება მოკლებული იყო ტენდენციურობას, ან როგორც გომართელი ამბობდა, თითქოს „მის ნაწერებში მისი საკუთარი მე არ გამოსჭვიოდეს, მისი საკუთარი სიმპათია, ანტიპათია, სურვილი, მისწრაფება არ

---

[1] ი. გ ო მ ა რ თ ე ლ ი, გ. წერეთელი როგორც ბელეტრისტი, „კვალი", № 3, 1899 წ.

აძლევდეს თავისებურ ელფერს იმ მოვლენებს და პირებს, რომ-ლებსაც ის ხატავს"[1]. თავი რომ დავანებოთ გ. წერეთლის მხატვ-რულ ქმნილებათა პუბლიცისტურ ადგილებს (მაგალითად, „მგზავრის წერილების" მეორე ნაწილს), რომელთა ტენდენ-ციურობაზე სრულიად სამართლიანად მიუთითა ნ. ნიკოლა-ძემ, — მისი ნაწარმოებების მხატვრულად ყველაზე სრულ-ყოფილი სურათებიდანაც ნათლად ჩანს გ. წერეთლის ტენდენ-ციურობა, მისი „სიმპათია — ანტიპათია", — ჩანს, როგორც ამ შრომის მესამე თავშია დასაბუთებული, რომ გ. წერეთელი მხარს უჭერს ბურჟუებს ფეოდალების წინააღმდეგ და „მშრომელებს" ბურჟუების წინააღმდეგ. (იხ. გვ. 226 — 227). ესაა გ. წერეთლის „შეუფერავი რეალიზმის" იდეური შინაარ-სი ობიექტურად, პრაქტიკაში. მაშასადამე, პრაქტიკაში მან არარაობად აქცია „შეუფერავი რეალიზმის" მცდარი სუბი-ექტური თეორიული თვალსაზრისი — ხელოვნება ტენდენციუ-რი არ უნდა იყოსო — და გასცდა მის ვიწრო ფარგლებს. ამასთან მთავარი ის კი არ არის, აღიარებდა თუ არა გ. წერეთელი თეორიულად ხელოვნების. ტენდენციურობას, მთავარი ის არის რომ პრაქტიკულად მის მხატვრულ შემოქ-მედებაში აისახა მისი დროის საზოგადოებრივი ცხოვრების ობიექტური ტენდენცია — ფეოდალიზმის მოსპობისა და კა-პიტალიზმის განვითარების აუცილებლობა. ეს წინგადადგმუ-ლი ნაბიჯი იყო მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ლიტერატურაში, რადგან ამ ლიტერატურის თვით ისეთი კლასიკური წარმომადგენლის შემოქმედებაშიც კი, როგო-რიც ი. ჭავჭავაძეა, ძირითადად იმდროინდელი საზოგადოებ-რივი ცხოვრების ობიექტური ტენდენციის — ბატონყმობის მოსპობის და კაპიტალიზმის განვითარების მხოლოდ ცალი მხარე — ბატონყმობის მოსპობის აუცილებლობა აისახა და აისახა უფრო „ზუსტად" და მაღალ იდეურ-მხატვრულ დონე-ზე, ვიდრე ამას „შეუფერავი რეალიზმის" ზოგადი პრინციპე-ბი ითვალისწინებდა. ამ მხრივ ი. ჭავჭავაძე მთელი თავით მაღლა დგას გ. წერეთელზე, რადგან იგი ბატონყმური ცხოვ-

[1] ი. გ ო მ ა რ თ ე ლ ი, გ. წერეთელი როგორც ბელეტრისტი. „კვალი", № 3, 1899 წ.

რების კონკრეტული ფაქტების გენიალური მხატვრული განზოგადებით უფრო ღრმად ჩასწვდა სინამდვილის ობიექტურ ტენდენციას, ვიდრე ამას მოახერხებდა „ცოცხალი ტიპების" რომელიმე გადამღები და ხელოვნების ტენდენციურობის უარმყოფელი. მაგრამ ბატონყმური სინამდვილე მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ობიექტური ტენდენციის ცალი მხარე იყო. რაც შეეხება ამ ობიექტური ტენდენციის მეორე მხარეს — კაპიტალიზმის განვითარების აუცილებლობას, მას ი. ჭავჭავაძემ მის ადრინდელ მხატვრულ შემოქმედებაში თითქმის სავსებით აუარა გვერდი, ხოლო გვიან, 80-იან წლებში დამახინჯებულად, მისი სუბიექტურ-ტენდენციური იდეალების მიხედვით დაგვიხატა. ამას მოწმობს მხატვრული ფორმის თვალსაზრისით ი. ჭავჭავაძის ერთ-ერთი შესანიშნავი ნაწარმოები „ოთარაანთ ქვრივი", სადაც გაიდიალებული ცხოვრება განათლებული, გაბურჟუებული მემამულისა და გაუნათლებელი გლეხისა, რომელთაც ერთმანეთის შესაყვარებლად მოუცლიათ, მაგრამ მათი შეერთების, მათ შორის ჩატეხილი ხიდის გამთელების ერთადერთ დაბრკოლებად მხოლოდ გაუნათლებლობა-ღა დარჩენილა! ამ შეთხზული „რეალური" სურათის დახატვით ი. ჭავჭავაძე აღიარებს ბურჟუაზიული განვითარების ობიექტურ აუცილებლობას. ამდენად იგი რეალისტია. მაგრამ იგი ირწმუნება, რომ გაბურჟუება ხდება ან უნდა მოხდეს არა კლასობრივი ბრძოლის, არამედ კლასობრივი თანამშრომლობის გზით. ამდენად იგი სუბიექტურ-ტენდენციურად ხატავს სინამდვილეს და ამახინჯებს მას. სწორედ აქ შორდებოდა „შეუფერავი რეალისტი" — გ. წერეთელი ი. ჭავჭავაძეს. იგი არ იზიარებდა არც კლასთა მშვიდობიანი თანამშრომლობის თეორიას კაპიტალიზმის განვითარების პროცესში და არც ამ პროცესის სუბიექტურ-ტენდენციურ ასახვას მხატვრულ ლიტერატურაში. ეს ბუნებრივიცაა, რადგან გ. წერეთელს საზოგადოებრივი ცხოვრება მიაჩნდა სხვადასხვა გარემოებებით განსაზღვრულ ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციათა ბრძოლად და მოითხოვდა ამ ბრძოლის ზედმიწევნით ზუსტად ასახვას მხატვრულ

ლიტერატურაში. ცხოვრება ბრძოლაა, — ამბობდა ი. ჭავჭავაძეც. მაგრამ ამ ბრძოლის ასახვის დროს, ი. ჭავჭავაძის აზრით, ჭეშმარიტად დიდი ხელოვნება უნდა ჰქმნიდეს „ადამიანის საზოგადო ტიპს“ და „რამოდენადაც მწერლის შემოქმედების ძალი სწვდება ამ ზოგად-კაცობის ტიპსა, იმოდენად მწერალი დიდია...“ [1] გ. წერეთლის აზრით კი, მხატვრულმა ლიტერატურამ უნდა შექმნას არა საერთოდ ადამიანის ტიპი, რომელსაც ექნება ყველა დროის და ხალხის ზოგადი ნიშნები, არამედ „ცოცხალი ტიპი“, რომელიც მხოლოდ გარკვეული დროის, ხალხის და, თუ გნებავთ, გარკვეული სოციალური წრის კონკრეტული ნიშნების გამომხატველია. რაღა თქმა უნდა, რომ ასეთი „ცოცხალი ტიპების“ შექმნას აუცილებელი უნდა გაეხადა სინამდვილის ასახვა მეცნიერული სიზუსტით და დაემცირებინა შემოქმედი-მწერლისა და შემოქმედებითი ფანტაზიის როლი სინამდვილის ასახვის საქმეში. და გ. წერეთელი არც უარყოფდა ამ აუცილებლობას. ამას მოწმობს გ. წერეთლის მთელი ესთეტიკური თეორია, განსაკუთრებით კი, გ. წერეთლისეული განსაზღვრა მწერლისა. გ. წერეთლის აზრით, მწერალი არის საზოგადოების ჩვეულებრივი წევრი, რომელიც აჩვენებს ხალხს საზოგადოებრივი ცხოვრების ნაკლოვანებებს და ამ ნაკლოვანებათა მოსასპობ მეცნიერულ საშუალებებს, რომლებზედაც უნდა დაფუძნდეს უკეთესი საზოგადოებრივი ცხოვრება [2]. ამ ამოცანების შესრულება შეეძლო საზოგადოებათმეცნიერებას დაუფლებულ მეცნიერსაც და უნდა ითქვას, რომ გ. წერეთლის მიერ მოცემული განსაზღვრის მიხედვით, მწერალი საზოგადოებათმეცნიერი უფრო არის, ხოლო მწერლობა — საზოგადოებათმეცნიერება. ამით გ. წერეთელმა თუ სავსებით არ უარყო, — ძლიერ დაამცირა მწერლის, მისი ნიჭის, მისი შემოქმედებითი ფანტაზიის როლი. სრულიად სხვაგვარად მსჯელობდა ი. ჭავჭავაძე: „პოეზია უცნაური მადლია და პოეტი ამ მადლით მოსილი

---

[1] ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, თხზ. სრ. კრებული ხუთ ტომად, ტ. 11, გვ. 62.
[2] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ. სრ. კრებული, ტ. I, გვ. 13 — 14.

კაციო" [1], — ამბობდა იგი. იქნებ ამ თქმაში აზრის გამოხატვის ფორმები არც იყოს სწორი, მაგრამ მასში ცხადად ჩანს, რომ გ. წერეთლისაგან განსხვავებით ი. ჭავჭავაძე სათანადოდ აფასებდა მწერლობის სპეციფიკურ თავისებურებას და პოეტური ნიჭისა და ფანტაზიის როლს მხატვრულ-შემოქმედებით საქმიანობაში. ეს არ უნდა ავიწყდებოდეთ ქართული ლიტერატურის იმ ისტორიკოსებს, რომლებიც ვერავითარ განსხვავებას ვერ ხედავენ ი. ჭავჭავაძის ესთეტიკურ თეორიასა და გ. წერეთლის ესთეტიკურ თეორიას შორის.

ყოველივე ზემოთქმული რომ შევაჯამოთ, გ. წერეთლის ესთეტიკური თეორიის უმთავრესი თავისებურებანი შემდეგ ძირითად დებულებებში ჩამოყალიბდება:

პირველი. ხელოვნება შეუფერაუად, მთელი ბუნებრივობით, ზედმიწევნით სწორად, მეცნიერული სიზუსტით უნდა ასახავდეს რეალურ ცხოვრებას ყველა მისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით. ხელოვნების უპირველესი ამოცანაა შექმნა ცოცხალი ტიპებისა, რომლებიც გამოხატავენ არა საერთოდ ადამიანს, არამედ განსაზღვრული ეპოქის და სოციალური წრის კონკრეტულ ადამიანს. ცოცხალი ტიპების შექმნის დროს ხელოვანი მხატვრული ფანტაზიით კი არ უნდა ხელმძღვანელობდეს, არამედ ცხოვრებაზე დაკვირვებით და საზოგადოებრივი განვითარების მეცნიერული კანონებით. ამ აზრით ხელოვნება იგივე მეცნიერებაა, ხოლო ხელოვანი — მეცნიერი.

მეორე. ხელოვნება ცხოვრებას უნდა ემსახურებოდეს, იგი უნდა ხელმძღვანელობდეს მისი დროის მეცნიერული და საზოგადოებრივი იდეებით, რათა ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნას. მაგრამ ხელოვნების ნაწარმოები ტენდენციური არ უნდა იყოს, იგი ტენდენციური იდეებით არ უნდა ხელმძღვანელობდეს; ცხოვრება და აზრი ერთიდაიგივეა და ამიტომ რეალური ცხოვრების მართალი, მეცნიერული სიზუსტით ასახვა თავისთავად ხელოვნების ნაწარმოების იდეურობასაც ნიშნავს.

---

1 ი. ჭავჭავაძე, თხზ. სრ. კრებული, ტ. 11. გვ. 110.

მესამე. ხელოვნება ხალხური უნდა იყოს შინაარსითაც და ფორმითაც. ხელოვნების შინაარსი მშრომელი ხალხის პოლიტიკურ და მეცნიერულ აღზრდას უნდა მოემსახუროს, ხოლო მისი ფორმა ხალხისთვის გასაგები და ადვილმისაწვდომი უნდა იყოს.

ასეთია გ. წერეთლის ესთეტიკური თეორიის ძირითადი მოთხოვნები, რომლებსაც შემოქმედებით პრაქტიკაში გ. წერეთელი არცთუ სავსებით ზუსტად ატარებდა და ამიტომ მისი მხატვრული ნაწარმოებებისათვის უცხო როდია კრიტიკულ-რეალისტური სული. მაგრამ ძირითადად გ. წერეთლის მხატვრულ-შემოქმედებითი პრაქტიკაც და თეორიაც იმის მაჩვენებელია, რომ „შეუფერავი რეალიზმი" მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა კრიტიკული რეალიზმისაგან. ეს ბუნებრივიცაა, რადგან „შეუფერავი რეალიზმი" იყო კრიტიკული რეალიზმის არა მარტო გაგრძელება, არამედ შემდგომ განვითარებაც. ეს განვითარება ზოგიერთ ხაზებში ნატურალიზმისაკენ მიემართება, მაგრამ ამით „შეუფერავი რეალიზმი" არც მხოლოდ უარყოფით მოვლენად ჩაითვლება და არც გ. წერეთელის მხატვრული ნიჭის სისუსტის მაჩვენებლად. რა თქმა უნდა, „შეუფერავ რეალიზმს" ჰქონდა ნაკლოვანებანი და უარყოფითი მხარეები, რომლებიც იმაში მდგომარეობენ, რომ იგი თითქმის აიგივებდა მხატვრულ შემოქმედებას მეცნიერებასთან (განსაკუთრებით თეორიულად), ამცირებდა მხატვრის, მხატვრული ფანტაზიის და მათი მეშვეობით ცოცხალი სინამდვილის განზოგადოების როლს მხატვრულ-შემოქმედებითს პროცესში, ხელოვნების ტენდენციურობის თუნდაც ფორმალური უარყოფით უბიძგებდა ხელოვნებას პოლიტიკიზმისა და ობიექტივიზმისაკენ (თეორიულად მაინც). მაგრამ ამ ნატურალისტური ელფერის უარყოფით მხარეებს გარდა „შეუფერავ რეალიზმს" ჰქონდა მრავალი დადებითი მხარე. იგი მოითხოვდა ხელოვნებისაგან თანადროულობის მეცნიერული და საზოგადოებრივი ტენდენციების ასახვას. ბუნებისა და საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონების შეცნობას და მათ გამოყენებას საზოგადოებრივი ცხოვრების გარდასაქმნელად. ამას კი უდიდესი მნიშვნელობა ჰქონ-

და გასული საუკუნის 70-იან წლებში, როცა მწერალს დემოკრატობა უფრო მოეთხოვებოდა. ვიდრე პოეტობა. მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ის არის, რომ „შეუფერავი რეალიზმი" მოითხოვდა მდაბიო ხალხის ინტერესების დაცვას ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ მხრივ გ. წერეთლის „შეუფერავი რეალიზმი" ძირეულად განსხვავდება დასავლეთ-ევროპული ნატურალიზმისაგან, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის ყოველგვარი ანალოგიის არსებობის უარყოფა შეუძლებელია. საქმე ის არის, რომ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების პირობები ძირეულად განსხვავდებოდა დასავლეთ ევროპის საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებისაგან. იმ დროს დასავლეთ ევროპის განვითარებულ ქვეყნებში ფეოდალიზმი დიდი ხნის განადგურებული, ხოლო ბურჟუაზია დიდი ხნის გაბატონებული იყო. საქართველოში კი ფეოდალიზმის ძლიერი ნაშთები ჯერ კიდევ არ იყო აღმოფხვრილი, თუმცა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარება ბურჟუაზიული გზით მიემართებოდა. ამიტომ, თუ დასავლეთ ევროპაში ხელოვნების ნატურალისტური თეორია პროლეტარული მოძრაობის წინააღმდეგ მებრძოლი გაბატონებული ბურჟუაზიის რეაქციული ინტერესების დაცვას ესწრაფოდა, — სამაგიეროდ ქართული „შეუფერავი რეალიზმი" ფეოდალიზმის ნაშთების წინააღმდეგ მებრძოლი გაღატაკებული წვრილბურჟუაზიულ-გლეხური ფენების პროგრესულ ინტერესებს გამოხატავდა. ეს იმას ნიშნავს, რომ მიუხედავად დასავლეთ-ევროპული ნატურალიზმისა და ქართული „შეუფერავი რეალიზმის" ერთგვარი თეორიული მსგავსებისა, მათი პოლიტიკური, სოციალურ-კლასობრივი შინაარსი არსებითად განსხვავებული იყო. ამიტომაც უნდა ჩაითვალოს შეცდომად „შეუფერავი რეალიზმის" სრული გაიგივება ნატურალიზმთან და გ. წერეთლის მიჩნევა „მდარე ინდივიდუალობის მქონე" ნატურალისტად — განსაკუთრებით მაშინ, როცა ამ ნატურალისტობას მწერლის პირადი ნიჭიერებით ხსნიან და არა საზოგადოებრივი ცხოვრების მოთხოვნილებით. ნამდვილად კი გ. წერეთლის ესთეტიკური თეორია მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვ-

რების პირობების განმსაზღვრელი გავლენით შემუშავდა, იგი არსებითად განსხვავდება დასავლეთ-ევროპული ნატურალისტური თეორიებისაგან და ორიგინალურ შინაარსთან ერთად ორიგინალურ სახელსაც ატარებს. ეს სახელი არის „შეუფერავი რეალიზმი".

ასეთია გ. წერეთლის ესთეტიკური თეორიის ძირითადი საკითხები.

---

* * *

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ გ. წერეთლის მსოფლმხედველობა თავისი დროის მოწინავე მსოფლმხედველობა იყო. ეს მსოფლმხედველობა საქართველოში კაპიტალიზმის აღმავლობის ეპოქაში ჩამოყალიბდა და თავისი ობიექტური შინაარსით ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გზით ქვეყნის განვითარების პროგრესულ ინტერესებს გამოხატავდა. ამასთან გ. წერეთელს სუბიექტურად გულწრფელად სურდა ხალხის ფართო მასების განთავისუფლება ყოველგვარი ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან. მსოფლმხედველობრივი და კლასობრივი შეზღუდულობის გამო გ. წერეთელმა ვერ გაიგო ბურჟუაზიული ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან მშრომელთა განთავისუფლების მეცნიერული გზები და რევოლუციური საშუალებანი, მაგრამ მიუხედავად ამისა მისი დემოკრატიული და მატერიალისტური მსოფლმხედველობა გამსჭვალულია ხალხისადმი სამსახურის მხურვალე მისწრაფებით.

პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის დაწყების შემდეგ შექმნილ ახალ პირობებში, იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციების ეპოქაში ხალხისადმი ნამდვილი სამსახური ნიშნავდა — პროლეტარული მოძრაობის შეერთებას მეცნიერულ სოციალიზმთან, შეურიგებელი პროლეტარული ბრძოლის წარმოებას თვითმპყრობელურ-მემამულური წყობილების წინააღმდეგ, კაპიტალისტური წყობილების დამხობას ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუციის გზით და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებას.

ეს მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ამოცანა წარმატებით გადაწყვიტა რუსეთის პროლეტარიატმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. რუსეთის ხალხთა გმირული ბრძოლა პროლეტარიატისა და მისი კომუნისტური პარტიის მეთაურობით დაგვირგვინდა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს — დიდი საბჭოთა კავშირის შექმნით.

ქართველმა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და დიდი რუსი ხალხის დახმარებით მოიპოვა თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ააშენა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად სოციალიზმი და ძლევამოსილად მიემართება წინ, კომუნიზმის ბრწყინვალე მწვერვალებისაკენ.

სამართლიან, ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან თავისუფალ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ წყობილებაზე ოცნებობდნენ კაცობრიობის საუკეთესო ადამიანები, მათ რიცხვში, 60 — 70-იანი წლების ქართველი განმანათლებლები. მაგრამ ისინი არა მარტო ოცნებობდნენ, არამედ თავისი დროის შესაფერისად კიდევაც იბრძოდნენ ხალხის ფართო მასების ჩაგვრისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ. ცხადია, მათ ბრძოლას ნათლად ატყვია მათი დროის ჩამორჩენილობის დაღი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ გარკვეული აზრით, განსაზღვრულ ეპოქაში ისინი მშობლიური ხალხის ღვიძლი შვილები, მისი ფიქრების, მის განწყობილებათა გამომხატველნი იყვნენ.

გ. წერეთელიც თავისი ეპოქის და მშობლიური ხალხის ღვიძლი შვილი იყო. იგი ყოველთვის სიამაყით აღნიშნავდა, რომ უანგაროდ ემსახურებოდა ჩაგრულ, მაგრამ თავისუფლებისმოყვარე, მშრომელ, ნიჭიერ, მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა და კულტურის მქონე ქართველ ხალხს. გ. წერეთელს შეეძლო თავის თავზე გაემეორებინა თავისივე სიტყვები: მწერლის „გულში, როგორც გაუქრობელი ლამპარი ანთია მუდამ ერთი წმინდა წადილი, რომელიც სიკვდილამდინ ამხნევებს მას ღვაწლისთვისო“. ეს „წმინდა წადილი“, რომელიც სიკვდილამდე ამხნევებდა გ. წერეთელს, და რომლისთვისაც გულწრფელად იბრძოდა იგი, ქართველი ხალხის თავისუფ-

ლება და დამოუკიდებლობა იყო. სწორედ ამიტომ არის გ. წერეთელი, როგორც იგი ამბობდა, თავისი დროის „მოწინავე კაცი... გაზაფხულის მომასწავებელი მერცხალი“.

გ. წერეთელი ქართველი ხალხის ბედნიერი მომავლისათვის, მაშასადამე, დღევანდელი დღისათვის იბრძოდა. მისი სამოღვაწეო დევიზი იყო: „უნდა ვეცადოთ, რომ ჩვენი ძვლებიდან არ დაიბადოს ჩამომავლობა, რომელმაც დაგვიწყოს წყევლა და დევნა“.

ჯერ კიდევ 1863 წელს გ. წერეთელი მწერლის, საზოგადო მოღვაწის დანიშნულებაზე წერდა: „მწერალი, ჩემის ფიქრით, ყველაზე პირველად იმ ქვეყნის შვილია, სადაც... შრომობს... ის არის საზოგადოების ტანჯვის და შვების თანამგრძნობელი“; მწერალმა უნდა აჩვენოს, თუ რა „სტანჯავს ხალხის ცხოვრებას და მუსრავს იმ ნაკლოვანებებს, რაც წინ უდგება ხალხის ცხოვრების კეთილმდგომარეობას“... მწერალმა უნდა აჩვენოს ხალხს ის „ჭეშმარიტებანი და კანონები, რომლების ძალითაც ისპობა ეს ნაკლოვანებანი“[1].

გ. წერეთელი ბოლომდე ჭაბუკური გატაცებით, დაუშრეტელი ენერგიულობით და იშვიათი გულწრფელობით ცდილობდა ამ პრინციპების ერთგული დარჩენილიყო. მის შემოქმედებაში, მის მსოფლმხედველობაში „შეუფერავად, შეულამაზებლად“ აისახა ქართველი ხალხის გაჭირვებული მდგომარეობა, მისი სისუსტე და ძალა გასული საუკუნის 60—70-იან წლებში. დროის შესაფერად გ. წერეთელი იმ „ჭეშმარიტებებსა და კანონებსაც“ ასწავლიდა ხალხს, რომლებიც, მისი აზრით, მოსპობდნენ ეროვნულ და პოლიტიკურ ჩაგვრას. გ. წერეთელი ცდილობდა დაკავშირებოდა ხალხის ფართო მასებს, ყოფილიყო გამომხატველი მისი საარსებო ინტერესებისა, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო 60—70-იანი წლების საქართველოს პირობებში. გ. წერეთელი მწვავედ განიცდიდა მშრომელთა მატერიალურ სიღატაკეს და კულტურულ-პოლიტიკურ ჩამორჩენილობას. იგი ცდილობდა ყოველნაირად დახმარებოდა მშრომელ ხალხს. გ. წერეთელი იბრძოდა თვით-

---

[1] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, თხზ. სრ. კრებ., ტ. I, გვ. 19—18.

მპყრობელურ-ბატონყმური წყობილების წინააღმდეგ დემოკრატიული წყობილებისათვის, ქართველი ხალხის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების უკეთ მოწყობისათვის. მას მშობლიური ხალხის და მთელი კაცობრიობის ბედნიერი მომავლისათვის დაუცხრომელი ბრძოლა თავისი ცხოვრების უმაღლეს მიზნად მიაჩნდა.

ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ესთეტიკურ-ფილოსოფიური აზრის ისტორიაში გ. წერეთელი შედის, როგორც მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე, გამოჩენილი ქართველი დემოკრატი, საბუნებისმეტყველო მატერიალისტი და რეალისტი.

შინაარსი

შესავალი 3

თავი პირველი. გიორგი წერეთელი და მისი დრო . 10

თავი მეორე. გიორგი წერეთლის ბრძოლა ქართველი ხალხის ეროვნული თანასწორუფლებიანობისათვის 50

თავი მესამე. გიორგი წერეთლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი . . . 198

თავი მეოთხე. გიორგი წერეთლის ფილოსოფიური შეხედულებანი 205

თავი მეხუთე. გიორგი წერეთლის ესთეტიკური შეხედულებანი 218

რედაქტორი ლ. გორგილაძე
გამომცემლობის რედაქტორი ი. ყიფიანი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 17/II-1955.
უე 01323. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 17,5.
შეკვეთის № 910. ტირაჟი 3 000.

ᲡᲐᲥ. ᲡᲡᲠ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ
ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲞᲝᲚᲘᲒᲠᲐᲤᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲘᲡ 1-ᲚᲘ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ.
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲘᲡ Ქ., № 50.